ჭაგთოლი ჭიტჟეჭი

ალექსანდრე ბატონიშვილი

პროგრამის ხელმძღვანელი
და მთავარი რედაქტორი
ზაზა აბზიანიძე

ეთერ ორჯონიკიძე

ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ

●

ალექსანდრე ბატონიშვილის წერილები

●

თამარ პაპავა

ალექსანდრე ბატონიშვილი და მისი ოჯახის ბედი

თბილისი – 2013

უაკ (UDC) 94(479.22:470)
ო-718

© ს.ს. „საქპრესა“

ISBN 978-9941-438-08-0

ეთერ ორჯონიკიძე

ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ

ლას აჭიანურებდა, თუმცა თან იმედსაც არ კარგავდა, რომ ახლა დელპოცოს მეშვეობით მოახერხებდა იმპერატორისათვის თავისი ნების გამოცხადებას. ბატონიშვილი დელპოცოს გაცილებით უფრო მეტად ენდობოდა, ვიდრე საქართველოს მთავარმართებლებს, რომელთა მიმართ ასეთი უნდობლობისათვის მას სათანადო საფუძველიც ჰქონდა, რადგანაც მისთვის კარგად იყო ცნობილი, რომ თითქმის ყველა მთავარმართებელს ბატონიშვილის ფიზიკური განადგურება ჰქონდა განზრახული და ამის შესასრულებლად სათანადო პრაქტიკულ ნაბიჯებსაც დგამდნენ. გარდა ამისა, ბატონიშვილს მთავარმართებლები თავის მეტოქეებად მიაჩნდა, რომელთაც, მისი აზრით, სულაც არ აწყობდათ, რომ მის წინადადებებს ხელმწიფის ყურამდის მიეღწია, ხოლო თუ რაში მდგომარეობდა ის სარგებლობა, რომლის რუსეთისთვის მიტანა, ბატონიშვილის აზრით, ტრაქტატის პირობების საფუძველზე დაკავშირებულ საქართველოს სამეფოს შეეძლო, ნაწილობრივ მაინც ჩანს მის მიერ დელპოცოსადმი გაგზავნილი ერთ-ერთი წერილიდან, სადაც იგი აღნიშნავდა, რომ თუ კი მოწყალე ხელმწიფე მიბრძანებს და დახმარებასაც მომცემს ...მე შემიძლია დაღისტნის ყველა ხალხების დამშვიდება და მისთვის დამორჩილებაო. მაგრამ როგორც აღვნიშნავდით, რუსეთის პოლიტიკურ მიზნებში საქართველოს სამეფოს აღდგენა სულაც არ შედიოდა, ტრაქტატის პირობებზე საქართველოს სამეფოსთან კავშირი მისთვის უკვე განვლილი ეტაპი იყო და ალექსანდრეს მიზნებსაც იმთავითვე არ ეწერა განხორციელება.

დელპოცოსთან ურთიერთობის პარალელურად დიპლომატი ბატონიშვილი სპარსეთთან ურთიერთობასაც არ წყვეტდა და ირანში გაგზავნილ ყველა წერილში იქ გამგზავრების უახლოეს ვადას ნიშნავდა, თუმცა საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, გაუთავებლად იმიზეზებდა რაიმე ხელშემშლელ გარემოებას და სპარსეთში გამგზავრებას ახლა სხვა ვადისათვის სდებდა.

ერეკლე II-ის მრავალრიცხოვან მემკვიდრეებს შორის მხოლოდ ალექსანდრე ბატონიშვილი (ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის მეოთხე ვაჟი) დარჩა სიცოცხლის ბოლომდე რუსული ხელისუფლების მიმართ შეურიგებელ პოზიციებზე. მან მთელი თავისი დაუშრეტელი ენერგია შეალია ბაგრატიონთა ათასწლოვანი დინასტიის აღდგენისათვის ბრძოლას და ამ მიზნის განხორციელებისათვის უცხო ძალის გამოყენებასაც არ მორიდებია – იქნებოდა ეს ირანის, თურქეთის, ლეკების თუ იმიერკავკასიის სხვა ქვეყნების ჯარები. ბატონიშვილი დღენიადაგ ცხენზე ამხედრებული დაუღალავად იქნევდა ხმალს, არ უშინდებოდა ხევსურეთსა თუ დაღესტნის თავისუფალ თემებში აუტანელ პირობებში ცხოვრებას, რასაც უწოდებდა „განგრძელებულ ტანჯვას მამულისა ჩემისათვის“ და მისივე გამოთქმით, „სალი კლდის ნაპრალს“ დამსგავსებული გულით ოსტატურად ცდილობდა ამიერკავკასიაში მომხდარი ყველა პოლიტიკური მოვლენა თავისი ერთადერთი ოცნების, საქართველოში ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენისათვის გამოეყენებინა.

ჯერ კიდევ ერეკლე II-ის გარდაცვალებისთანავე (1798 წ. 11 იანვარი) მის მემკვიდრეებს შორის სამეფო ტახტის დაკავებისათვის ატეხილ დავაში ალექსანდრემ განსაკუთრებული შეურიგებლობა გამოიჩინა. მას არ სჯეროდა, რომ გიორგი XII შეასრულებდა ერეკლე მეფის ანდერძს, რომლის თანახმადაც გიორგის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე მისი შვილების ნაცვლად უფროს-უმცროსის მონაცვლეობით ძმები უნდა ასულიყვნენ. მართლაც, სულ მალე გაირკვა, რომ სამეფო ტახტის ირგვლივ ბატონიშვილების უფროს. და უმცროს შტოს შორის ატეხილ დავაში გიორგი XII-ს რუსეთისათვის ერთგვარი არბიტრის როლი მიუნიჭებია და პავლე I-ისათვის თავის გამეფების შეტყობინებასთან ერთად საგანგებო მიმართვით მემკვიდრედ თავისი უფროსი ვაჟის – დავითის ცნობაც უთხოვია. 1799 წლის

დეკემბერში, სიონის ტაძარში გიორგი XII-ის საზეიმოდ მეფედ კურთხევის დროს პავლე I-ის მიერ მუდმივ წარმომადგენლად მოვლენილმა კოვალენსკიმ იმპერატორის გამოგზავნილი სიგელისა და სამეფო ინვესტიტურის ნიშნების გიორგი XII-ისათვის გადაცემასთან ერთად საჯაროდ გამოაცხადა, რომ პავლე I საქართველოს თავის მფარველობის ქვეშ იღებდა, მის კანონიერ მეფედ გიორგი XII-ს ამტკიცებდა და ტახტის მემკვიდრედ დავით ბატონიშვილს აღიარებდა. დავით ბატონიშვილის საჯაროდ აღიარებამ მემკვიდრედ მეტისმეტად დაძაბა ურთიერთობა ტახტის მრავალრიცხოვან პრეტენდენტებს შორის. მკაფიოდ გამოიხატა ორი საპირისპირო დაჯგუფება (ერთი მხრივ დარეჯან დედოფლის ირგვლივ შემოკრებილი ერეკლე II-ის შვილები და მათი მომხრეები და მეორე მხრივ – გიორგი XII-ის შვილები თავისი მომხრეებით), რომლებიც, ფაქტობრივად, სხვადასხვა ორიენტაციის იყვნენ. ასე რომ, ამ ორ პარტიას შორის სადავო არა მარტო ტახტის დაუფლება იყო, არამედ გიორგი XII-ის მიერ ოფიციალურად გატარებული საგარეო პოლიტიკის კურსი. დარეჯან დედოფლის გარშემოკრებილი ერეკლე II-ის შვილები თვლიდნენ, რომ გიორგი XII-ის მიერ წარმოებული პოლიტიკა – რუსეთის დასაინტერესებლად საკუთარი უფლებების მაქსიმალურად დათმობა და საქართველოს ავტონომიის უკიდურესობამდე შეზღუდვა, ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობას სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა. უკმაყოფილო ბატონიშვილები (იულონი, ვახტანგი, ალექსანდრე, ფარნაოზი) საუფლისწულოებში წავიდ-წამოვიდნენ და თავიანთ ერთგულებაზე ხალხის დაფიცებას შეუდგნენ. თავის მხრივ, გიორგი XII-მაც ტახტის განმტკიცებისათვის ენერგიულ ზომებს მიმართა. მან დარეჯან დედოფალს მამულები ჩამოართვა, იულონ ბატონიშვილის, როგორც ტახტის მემკვიდრეებს შორის ყველაზე უფრო სერიოზული პრეტენდენტის უვნებელსაყოფად გორში და სურამში (იულონ ბატონიშვილის საუფლისწულოში) რუსის

ჯარი ჩააყენა. ყოველივე ამით გაღიზიანებულმა ალექსანდრე ბატონიშვილმა სპარსეთში გაქცევა გადაწყვიტა. მან ისარგებლა იმ გარემოებით, რომ სპარსეთის ჯარი ხოის მფლობელის, ჯაფარ-ყული-ხანის დასასჯელად იყო შემოსული და თავის საუფლისწულო შულავერიდან პირდაპირ მათკენ გაეშურა. საქართველოში განლაგებული რუსული ჯარის მხედართმთავარს გენერალ-მაიორ ლაზარევს, რომელიც ფარული აგენტების საშუალებით ალექსანდრე ბატონიშვილის ყოველ ნაბიჯს გულდასმით ადევნებდა თვალყურს, რა თქმა უნდა, ეს გარემოება არ გამოპარვია და მის მოსაბრუნებლად სპეციალური აგენტი კალანტაროვი დაადევნა. მდევარი ბატონიშვილს ზედ საქართველოს საზღვარზე დაეწია, მაგრამ მისი შემობრუნება ვეღარ შესძლო. ალექსანდრე ბატონიშვილი თავისი ხალხით ირანის შაჰის მემკვიდრეს, აბას-მირზას სწორედ იმ დროს მიუვიდა ტახტის მოპოვებისათვის დახმარების თხოვნით, როდესაც ეს უკანასკნელი თავის ჯარით უკვე აყრასა და უკან გაბრუნებას აპირებდა, მაგრამ ქართველი უფლისწულის მის ბანაკში გამოჩენამ სავსებით შეცვალა აბას-მირზას გეგმები. ამ ფაქტით ფრთაშესხმულმა ირანის ტახტის მემკვიდრემ შემოატრიალა ჯარები და ერევნისაკენ გამოეშურა.

ერევანთან დაბანაკებული აბას-მირზა შეეცადა განჯის, ყარაბაღის, შაქის და ავარიის ხანების შეგულიანებას და ერთობლივი ძალებით საქართველოზე გამოლაშქრებას. ამავე დროს, იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები 3000-მდე ჯარით თბილისში შემოსულიყვნენ და დარეჯან დედოფლის წაყვანას ლამობდნენ, მაგრამ გენერალ-მაიორ ლაზარევის აქტიურმა მოქმედებამ და ცნობამ საქართველოში გენერალ-მაიორ გულიაკოვის სარდლობით რუსთა ჯარის დამატებითი პოლკის გამოგზავნის შესახებ, გადაწყვიტა ამჯერად ქვეყნის ბედი.

ამ ცნობის მიღებისთანავე თითქმის თბილისამდე მოსული აბას-მირზა 15-ათასიანი ლაშქრით აიყარა და თავრიზში გა-

ბრუნდა. ალექსანდრე ბატონიშვილი კი ყარაბაღის სახანოში დატოვა. გიორგი XII და რუსული ხელისუფლების წარმომადგენლები შესანიშნავად ხვდებოდნენ, რომ ალექსანდრეს ყოფნა ყარაბაღის სახანოში მათთვის კარგს არაფერს მოასწავებდა. მართლაც, 1800 წლის აგვისტოს შუა რიცხვებისათვის მათ თავიანთი მსტოვრების საშუალებით დანამდვილებით შეიტყვეს, რომ ომარ-ხან ავარიელსა და ალექსანდრე ბატონიშვილს მჭიდრო ურთიერთობა დაემყარებინათ და კახეთში შემოსაჭრელად ემზადებოდნენ. უკვე ოქტომბრის ბოლოსათვის კი ალაზნის გაღმა ნაპირზე, ურდოს ფონთან მყოფ სალაშქროდ გამზადებულ ომარ-ხანთან ბატონიშვილიც გამოცხადდა. აქედან მან ქიზიყის მიტროპოლიტს იოანე ბოდბელს მისწერა წერილი, რომლითაც არწმუნებდა რომ იგი აქ ქართველების ასაკლებად და დასატყვევებლად არ იყო მოსული და ეპისკოპოსს სთხოვდა. ისე განეწყო თავისი სამწყსო, რომ მისთვის წინააღმდეგობა არ გაეწიათ, რათა სისხლი არ დაეღვარა და ცოდვა არ დასდებოდა. რუსის ჯარის სარდალს ლაზარევს კი აფრთხილებდა, ჩვენ ყოვლად მოწყალე რუსხელმწიფის წინააღმდეგ ბრძოლას არ ვაპირებთ და თუ თქვენ თავს არ დაანებებთ ჩვენს დევნას, იძულებული ვიქნებით, ყველაფერი მის უდიდებულესობას მოვახსენოთო.

1800 წლის 6 ნოემბერს ომარ-ხანმა და ალექსანდრემ ალაზანი გადმოლახეს და საგარეჯოსკენ წამოვიდნენ, რომლის მახლობლადაც ნიახურასთან 7 ნოემბერს მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა. გიორგი XII-ის შვილებმა იოანემ და ბაგრატმა, რომელთაც ზურგს რუსული ჯარები უმაგრებდნენ, სასტიკად დაამარცხეს ომარ-ხანი და ალექსანდრე ბატონიშვილი. დამარცხებული ბატონიშვილი ისევ ყარაბაღში მიბრძანდა. აქედან ლაზარევისათვის მიწერილ წერილში იგი თავის დამარცხებას უმთავრესად რუსის ჯარს აბრალებდა. თქვენ რომ არა, – წერდა იგი, – ქართლი და კახეთი ჩემ წინააღმდეგ ერთ ტყვიასაც

კი არ გაისროდნენო და იქვე იმედს გამოთქვამდა, ჩვენი ასეთი შევიწროება ხელმწიფემ რომ გაიგოს, ისიც არ გაამართლებსო.

1800 წლის 28 დეკემბერს გარდაიცვალა გიორგი XII, რამდენიმე დღის შემდეგ კი თბილისში დაბრუნდნენ მის მიერ პეტერბურგს გაგზავნილი ელჩები, რომელთაც მისი უფროსი ვაჟი დავითი გამოაცხადეს „საქართველოს მემკვიდრედ და მმართველად“. დავით ბატონიშვილმა რუსეთთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, პავლე I-თან ელჩები გაგზავნა და ქართლ-კახეთის მეფედ დამტკიცება ითხოვა, მანამდის კი ენერგიულად შეუდგა თავის ერთგულებაზე ქვეშევრდომების დაფიცებასა და ქართლ-კახეთის მართვას. ამ გარემოებამ გიორგი XII-ის ძმების გააქტიურება გამოიწვია. ისინი თავის მხრივ იულონ ბატონიშვილის ერთგულებაზე აფიცებდნენ ხალხს და მარტყოფში შეკრებილნი ტახტის მოსაპოვებლად გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდნენ. აქედან მათ შიკრიკი გააგზავნეს ომარ-ხანთან, რომელსაც ლეკთა რაზმებით მოსვლა და დახმარება სთხოვეს. კახეთშივე დაიბარეს ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელიც ყარაბაღიდან ყაზახს მისულიყო და იქ თავის ერთგულ ხალხს იკრებდა გარშემო. მაგრამ მალე ძმებმა: იულონმა, ფარნაოზმა და ვახტანგმა გაიგეს, რომ იოანე ბატონიშვილი რუს-ქართველთა ერთობლივი ჯარით მათ წინააღმდეგ წამოსულიყო. ამიტომ იულონ და ვახტანგ ბატონიშვილები ქიზიყისაკენ წავიდნენ, რათა იოანესათვის დაესწროთ, ფარნაოზი კი ქართლში გაგზავნეს. მარტყოფიდან წამოსულ იულონ და ვახტანგ ბატონიშვილებს, რომლებიც ჯერ ბოდბეში მივიდნენ, შემდეგ კი მაჩხაანში გადავიდნენ, ფეხდაფეხ მისდევდა იოანე ბატონიშვილი რუს-ქართველთა ერთობლივი ჯარით. იოანეს მიერ გამოდევნილი ურჩი ბატონიშვილები მაჩხაანიდან იორისაკენ გაემართნენ, ფონს სწორედ იმ ადილას გადავიდნენ, სადაც 1800 წლის შემოდგომაზე მოხდა ბრძოლა ომარ-ხანთან და პირდაპირ მთებით კვლავ ქართლი-

საკენ გაეშურნენ. მალე მაჩხაანში ალექსანდრე ბატონიშვილიც გამოცხადდა ყაზახში შეკრებილი 500-მდე კაცის თანხლებით, მაგრამ გარდა იმისა, რომ ძმებს ველარ მიუსწრო, რუსებისა და ქართველების შეერთებული ჯარების შიშით მხლებლებიც შემოეფანტა და 20-მდე კაცის ანაბარა დარჩენილი, იძულებული გახდა, დავით-გარეჯის მონასტრისთვის შეეფარებინა თავი, ორიოდე დღის მერე კი მუხრანისკენ გაეშურა, სადაც ძმები ეგულებოდა თავშეყრილი. მუხრანში შეკრებილი ბატონიშვილები იქ დიდხანს აღარ გაჩერებულან, ისინი მიხვდნენ, რომ ამჯერად ბრძოლა წაგებული ჰქონდათ და შეატყობინეს რა ომარ-ხანს, რომ მისი დახმარება აღარ ესაჭიროებოდათ, უკვე თებერვლის დასაწყისში თავის მომხრე თავადაზნაურების თანხლებით დედაწულიანად იმერეთში, სოლომონ II-სთან გაიხიზნენ.

რუსულმა ხელისუფლებამ, დაიგულა რა ალექსანდრე ბატონიშვილი საქართველოში, შეეცადა დაპირებებით მოეგო მისი გული, რათა როგორმე დაეთანხმებინა რუსეთში წასვლაზე. ლაზარევმა იმერეთში მყოფ ალექსანდრე ბატონიშვილს მისწერა, რომ თუ კი იგი მოინანიებდა თავის საქციელს და პატიებას გამოსთხოვდა იმპერატორს, მას არამც თუ დანაშაულს აპატიებდნენ, არამედ მის შესაფერ პატივსაც მიაგებდნენ და ხელმწიფე იმპერატორის ხილვის ღირსადაც გახდიდნენ. თავის პასუხში ბატონიშვილი ერთხელ კიდევ უსვამდა ხაზს იმ გარემოებას, რომ იგი გიორგი XII-სა და მისი შვილების წინააღმდეგ ბრძოლას სულაც არ თვლიდა რუს ხელმწიფის წინააღმდეგ ბრძოლად და რომ მას ხელმწიფის წინააღმდეგ არავითარი დანაშაული არ ჰქონდა ჩადენილი. „ამაზედ გპასუხობთ, – წერდა იგი, – რომ მე ხელმწიფის წინაშე არავითარი ბრალი არ მიმიძღვის და მზად ვარ სრული გულმოდგინებით ვემსახურო ხელმწიფეს, ამას გიცხადებთ ჩემი ქრისტიანული სინდისით“.

იმერეთში მყოფმა ბატონიშვილებმა ჯერ კიდევ მარტში

გაიგეს, რომ რუსეთი სულაც არ აპირებდა დავით ბატონიშვილის მეფედ კურთხევას და საერთოდ, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება ჰქონდა გადაწყვეტილი. მართლაც, 1801 წლის მაისის ბოლოს ალექსანდრე I-ის მიერ საგანგებო მისიით გამოგზავნილმა გენერალმა კნორინგმა დავით ბატონიშვილი მმართველობიდან გადააყენა და აქ დროებითი მმართველობა დააარსა. ბიძა-ძმისწულები ახლა კი მიხვდნენ, რომ ერთმანეთთან ქიშპით გართულებს სამეფო ხელიდან ეცლებოდათ და ბაგრატიონთა ათასწლოვან დინასტიას შეწყვეტა-გადაშენება ემუქრებოდა. ასეთი საფრთხის წინაშე აღმოჩენილმა ბაგრატიონთა სახლის წევრებმა გადაწყვიტეს, ქართლ-კახეთის სამეფოს აღსადგენად გაერთიანებული ძალებით ებრძოლათ. მათ საიდუმლოდ შეფიცეს ერთმანეთს, რომ ყველაფერს გააკეთებდნენ იმისათვის, რომ მეფობა ბაგრატიონთა გვარში შეენარჩუნებინათ და მეფედ იმას აირჩევდნენ, ვისაც დარეჯან დედოფალი დაასახელებდა. ალექსანდრე ბატონიშვილი იმერეთიდან დავითს უთვლიდა, რომ ყოველთვის მზად იყო მის დასახმარებლად. თავის მხრივ, დავით ბატონიშვილიც პირობას იძლეოდა, რომ ბიძებთან შეთანხმებულად იმოქმედებდა. რუსული ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებსაც თითოეული ბატონიშვილი განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშ ჰყავდათ აყვანილი, ასეთმა გადაწყვეტილებამ ცოტა არ იყოს, შეაშფოთა. შეშფოთებას ისიც აძლიერებდა, რომ ქართული სამეფო სახლის წევრები თავიანთი კონფიდენტების წყალობით, ხშირად მათზე უკეთ იყვნენ ინფორმირებული პეტერბურგში ხელმწიფის კარზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

სოლომონ II-ის კარზე გახიზნულმა ბატონიშვილებმა თავიანთი მიზნების განსახორციელებლად ფართო მუშაობა გააჩაღეს: შეხვდნენ და დახმარება სთხოვეს ახალციხის შერიფ-ფაშას, გაცხოველებული ურთიერთობა გააბეს განჯის, ყარაბაღის,

ერევნის, ნახჭევანის და სხვა ხანებთან; კავშირი დაამყარეს დაღისტნის თავისუფალ თემებთან, ჭარ-ბელაქანთან და ყველას რუსეთის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედებისაკენ მოუწოდებდნენ; დახმარების თხოვნით მიმართეს ირანის შაჰს ბაბა-ხანსაც და სხვ. მთელი ეს მზადება უმთავრესად ალექსანდრე ბატონიშვილის საშუალებით ხორციელდებოდა, რომელიც დაუღალავად მიდი-მოდიოდა დაღისტანს, ჭარ-ბელაქანს, ამიერკავკასიის სახანოებსა და ახალციხის საფაშოს შორის და რუსეთის წინააღმდეგ საერთო აჯანყების ქსელს აბამდა, რომლის მთავარი ძალები თბილისში, დარეჯან დედოფლის ხელში იყრიდა თავს. უკვე 1802 წლის ივლისის ბოლოს, საქართველოში რუსული მმართველობის დამყარების სამი თვის თავზე, როცა კახეთის თავადაზნაურობის კელმეჩურის შეთქმულება გამჟღავნდა, შეშფოთებული ლაზარევი ატყობინებდა საქართველოს მთავარმართებელს, გენერალ კნორინგს, რომ ქართველი თავადაზნაურობიდან რუსეთის მომხრე მხოლოდ უმცირესი ნაწილი თუღა დარჩა და ეს ნაწილიც სანდო არ არისო. სანდრო არ არიან არც ყაზახ-ბორჩალოს თათრები, არც განჯა და არც ერევანიო. ლაზარევის ცნობით, ალექსანდრე ბატონიშვილი შუშაში ელოდებოდა ბაბა-ხანის სარდალს, ფირ-ყული-ხანს, რომელსაც აქ ჯარები უნდა შეეკრიბა, შემდეგ წასულიყვნენ ბელაქანში, შეერთებოდნენ ლეკებს და კახეთში შემოჭრილიყვნენ; დუშეთში, თავის საუფლისწულოში მყოფ ვახტანგ ბატონიშვილს მზად ჰყავდა ჯარები, მოლაპარაკებას აწარმოებდა ოსებთან და თაგაურელებთან და რუსეთის გზის ჩასაკეტად ემზადებოდა; იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები მცირე რაზმებით იმერეთიდან ქართლის საზღვრებისკენ წამოსულიყვნენ, დავით ბატონიშვილი ბორჩალოში მისულიყო და იქაურ თათრებს ეთათბირებოდა. შეთქმულების მამოძრავებელი დარეჯან დედოფალი ჩანდა, რომელიც ავლაბრის სასახლიდან ჩინებულად ხელმძღვანელობდა და აკავშირებდა შეთქმულების

წევრებს. შეთქმულება იმდენად კარგად იყო ორგანიზებული, რომ დავით ჩოლოყაშვილის მიერ რუსული ხელისუფლება ადრიანად რომ არ ყოფილიყო ინფორმირებული, ახლად დამყარებულ მმართველობას შეიძლება საბედისწერო დღეები დადგომოდა. მთავრობამ სასწრაფო და გადამწყვეტი ზომები მიიღო. პირველ რიგში ერთი ბატალიონი რუსის ჯარი, მძარცველ ლეკ აბრაგებისაგან დედოფლის დაცვის საბაბით ავლაბარში შეიყვანეს, ზარბაზნებით გაამაგრეს ქალაქის ციტადელი და აქ ერთი ბატალიონი ჯარი დააყენეს. დუშეთში, ვახტანგ ბატონიშვილის ჩამოსაყვანად, და ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანესი პოსტის – ღართისკარის გასამაგრებლად სათანადო რაზმით გენერალ-მაიორი ტუჩკოვი გაგზავნეს. ძირითადი ძალები: რამდენიმე ბატალიონი, საარტილერიო ქვემეხები და კაზაკები ლაზარევის მეთაურობით კახეთის მხარისაკენ გაეშურნენ, რადგანაც უმთავრესი დარტყმა – ლეკ-სპარსელთა ჯარის შემოჭრა, რომელსაც აქ თავშეყრილი შეთქმული თავადაზნაურები უნდა დახვედროდა, აქედან იყო მოსალოდნელი. ერთი ბატალიონი და ორი როტა ქვემეხებითა და კაზაკების ასეულით ყაზახ-ბორჩალოში ჩააყენეს. ასევე მიიღეს ზომები ერევნის, ახალციხისა და იმერეთის მხრიდან მოსალოდნელი შეტევის საწინააღმდეგოდ. სულ მალე შეთქმულება ლიკვიდირებული იქნა. ფირ-ყული-ხანმა ბრძოლა წინასწარვე წაგებულად ჩათვალა და სპარსეთში გაბრუნდა. იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებმა კვლავ სოლომონ II-ის კარს მიაშურეს. ალექსანდრე ბატონიშვილი კი არ აპირებდა ფარ-ხმლის დაყრას და ჭარ-ბელაქანსა და კავკასიის ხანებს კვლავ რუსეთის საწინააღმდეგო ერთობლივი მოქმედებისაკენ მოუწოდებდა.

ჩვენ განსაკუთრებით გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ მიუხედავად იმისა, რომ კახეთის თავადაზნაურობა და ბატონიშვილები უცხო ძალის – საქართველოსათვის ტრადიციულად მტრული ლეკ-ოსმალო-ირანის ძალის –

გამოყენებით აპირებდნენ ბრძოლას რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ, შეთქმულთა მოთხოვნები 1783 წლის ტრაქტატის დაცვასა და საქართველოსათვის დიდად ღვაწლმოსილი მეფის ერეკლეს ანდერძის მიხედვით მეფის დამტკიცებას არ გასცილებია. როგორც შემდგომში დავინახავთ, ალექსანდრე ბატონიშვილი ბოლომდე ამ მოთხოვნის ერთგული დარჩა და მთელი მისი ძალისხმევა უმთავრესად იქითკენ იყო მიმართული, რომ როგორმე ეიძულებინა რუსეთი, შეესრულებინა 1783 წლის ტრაქტატის პირობები.

კელმეჩურის შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ მეფის რუსეთისათვის ცხადი გახდა, რომ თუ კი იგი საქართველო-კავკასიის საბოლოო დაპყრობა-შეერთებას აპირებდა, აუცილებელი იყო ბაგრატიონთა სახლის წევრების რუსეთში გადასასახლებლად უფრო გადამწყვეტი ზომების მიღება, ვიდრე ეს აქამდე კეთდებოდა. ამიტომ, 1802 წლის სექტემბერში დანიშნული ახალი მთავარმართებლის უპირველეს მოვალეობად სწორედ ამ საქმის შესრულება იყო მიჩნეული. საიდუმლო რესკრიპტით აღჭურვილ ციციანოვს ურჩევდნენ, ყველა ღონე ეხმარა იმისთვის, რომ ქართველი მეფის სახლის წევრები რუსხელმწიფის მიპატიჟებით ნებაყოფლობით გაესტუმრებინა რუსეთში საცხოვრებლად, რათა მათი გაუბედურების შემყურე ამიერკავკასიის სახანოების მფლობელები არ დამფრთხალიყვნენ და რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლის სურვილი არ გაქრობოდათ. ამასთან ერთად ახალ მთავარსარდალს ნებას რთავდნენ, ერეკლეს ჩამომავლობასთან ნებაყოფლობით თუ ვერას გახდებოდა, ძალაც გამოეყენებინა. ამ მეტად ძნელი და საყოყმანო საქმის მოსაგვარებლად ციციანოვმა სრულად გამოამჟღავნა თავისი უტეხი და ულმობელი ხასიათი. მან ყველა ხერხს მიმართა, იქნებოდა ეს სამეფო სახლის წევრებისათვის ყმა-მამულის ჩამორთმევა და სახაზინოდ აღრიცხვა თუ აშკარა ძალადობა, და ორივე დედოფალი – მარიამი და დარეჯანი და

ბატონიშვილები სათითაოდ, ერთმანეთის მიყოლებით გაუყენა რუსეთის გზას, მაგრამ ალექსანდრე ბატონიშვილი ვერ იქნა და ვერ მოიტყუა თბილისში. ბელაქანში თავშეფარებული ბატონიშვილი ციციანოვის მოპატიჟებაზე შემდეგნაირად პასუხობდა: მრავალჯერ დაულაშქრავს და წარუტყვევნია ურჯულო მტერს საქართველო, მაგრამ მეფობის „აღხოცა“ აგარიანთაგანაც კი არ გვსმენიაო. მამა ჩვენმა ბატონმა ირაკლიმ მათს იმპერატორობით დიდებულებას იმიტომ მიმართა, რომ ქრისტიანი, ყოვლად მოწყალე ხელმწიფე ბრძანდებოდა და „... ამისთვის, რომ თავისი ოჯახი და საქართველო უმეტესად აღემაღლებინა, არამც თუ დაემდაბლებინა...“

ალექსანდრე I-ის მიერ ციციანოვისათვის მიცემულ საიდუმლო რესკრიპტში ბაგრატიონთა სახლის წევრების გასახლებასთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ამიერკავკასიის მრავალრიცხოვან სახანოებთან ურთიერთობის მოგვარებას, მათ შორის სპარსეთის გავლენის შემცირებას და ამ სახანოების, შეძლებისდაგვარად, რუსეთის მფარველობა-მორჩილებაში შეყვანას. ციციანოვმა პირველ რიგში ყურადღება ჭარ-ბელაქანს მიაპყრო, რომელიც ადრე, ე.წ. ელისუს სასულთნოსთან ერთად კახეთის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. მაგრამ ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ჰქონდათ ლეკებს მიტაცებული, რის შედეგადაც კახეთს ზღუდე მორღვეული ჰქონდა და აქედან ლეკებს განუწყვეტლივ შეეძლოთ კახეთის სოფლების ძარცვა-რბევა. ამჯერად ციციანოვს ის გარემოება აწუხებდა, რომ ჭარ-ბელაქანი რუსული მმართველობით უკმაყოფილო ბატონიშვილთა და თავადაზნაურთა თავშესაყრელად ქცეულიყო და, რაც მთავარია, აღმოსავლეთ კავკასიის სახანოების შემოერთებისათვის ბრძოლის დროს ყოველთვის მოსალოდნელი იქნებოდა ზურგიდან ალექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით ლეკებისა და უკმაყოფილო ქართველების შემოჭრა. ციციანოვმა მოხერხებულად ისარგებლა ლეკების

მიერ გაუთავებელი ძარცვა-რბევით და ქართლ-კახეთის მოსახლეობის შეწუხებით, ჭარ-ბელაქნის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ და მხოლოდ მათი ინტერესების დასაცავ ბრძოლად გამოაცხადა და ქართველებს ამ ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად მოუწოდა. ჭარ-ბელაქნის კვლავ შემოერთებასა და ლეკიანობის მოშლაში ქართლ-კახეთის მოსახლეობა იმდენად იყო დაინტერესებული, რომ ყურადღება აღარ მიაქცია იმ გარემოებას, რომ მათი საყვარელი ბატონიშვილი ალექსანდრე იქ იყო თავშეფარებული და მარტო ქიზიყის თავადებმა 4500 მეომარი გამოიყვანეს. 1803 წლის მარტში ქართველთა და რუსთა შეერთებულმა ლაშქარმა ჭარი და ბელაქანი დაიჭირა, ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილი (რომელიც კახეთის თავადაზნაურობის შეთქმულების დარბევის შემდეგ ალექსანდრესთან მისულიყო) ყარაბაღში, შემდეგ კი თავრიზში გაიქცნენ.

თავრიზიდან ალექსანდრე ბატონიშვილმა იმპერატორს წერილი მისწერა და შეეცადა, დაერწმუნებინა იგი, რომ რუსეთი საქართველოს უსამართლოდ მოექცა. წერილში ბატონიშვილმა ძველი დრო გაიხსენა: როცა კონსტანტინეპოლის (ბიზანტიის) იმპერატორები აღმოსავლეთს და დასავლეთს ფლობდნენ, წერდა იგი, საქართველო მათ მფარველობაში იმყოფებოდა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ქვეყანას გარეშე მტრები არ აწუხებდნენ, იმპერატორთაგან „მიიღებდნენ ნიჭსა ურიცხვსა“, ქართველი მეფეები იმპერატორთა კურაპალატები, ანუ სახლთუხუცესები იყვნენ და, რაც მთავარია, შეწევნითა მათითა ჰფლობდნენ კასპიის ზღვითგან ვიდრე შავ ზღვამდინ“. შემდეგში, როცა ბიზანტიის იმპერია დაეცა, საქართველოს ამგვარი შემწე აღარ ჰყავდა და „შევიდა ქუეყანა ჩვენი განუსვენებლობასა შინა“. როგორც კი განივრცო და გაძლიერდა რუსეთის იმპერია, საქართველოს მეფეებმა, გაიხსენეს რა ძველი მფარველობა, ისურვეს ქრისტიან იმპერატორს „შევე-

დრონ თავი თვისი“, რათა მინიჭებოდათ ისეთივე საფარველი, როგორითაც სარგებლობდნენ ბიზანტიის იმპერატორებისაგან: „მიენიჭოთცა იმპერატორის მიერვე მზგავსისა მათისა მართლ-მადიდებლისა“.

ამ ძველი ამბების მოგონებით და ანალოგიის გავლებით ალექსანდრე ბატონიშვილი დიპლომატიურად მიანიშნებდა ალექსანდრე I-ს, რომ თუ კი მას სურდა მართლაც ბიზანტიის იმპერატორთა მგსავსი ყოფილიყო და, რაც მთავარია, რადგანაც რუსეთი ბიზანტიის იმპერიის მემკვიდრეობას იჩემებდა, საქართველოს მიმართ გარკვეული ვალდებულებების შესრულებაც უნდა ეკისრა, დაეცვა საქართველო გარეშე მტრისაგან და სამეფოს გაფართოება-განმტკიცებაზე ეზრუნა. მამა ჩვენმა, ერეკლე მეფემო, – განაგრძობს ბატონიშვილი, – ეკატერინეს შეავედრა თავი თვისი და თხოვა დაეცვა გარეშე მტრისაგან, მაგრამ სწორედ ამ მფარველობის გამო მწარედ დავისაჯეთ. სპარსელებმა, რომელთაც თავის ხელდებულათ მივაჩნდით, იავარ ჰყვეს ჩვენი ქალაქი და „როსსიისა ჴელმწიფისა საფარველისა დადებისათვის წარტყუენვილ ვიქმენნით ჩვენ“ და ამაოდ ველოდით რუსეთისაგან ნუგეშის ცემას. შემდეგ ჩვენმა ძმამ გიორგი მეფემ შეავედრა „სახლი თვისი, რათამცა დაიცვას მშვიდობასა შინა და არა განსრულიყო მეფობა სახლით ჩვენით“, მაგრამ ამის ნაცვლად იმგვარი დაცვა მივიღეთ, რომ საქართველოში ბაგრატოვანთა ერთი ძეც აღარ მოიპოვება, აღმოვიფხვერით ჩვენი ქვეყნიდან, სადაც 1234 წლის განმავლობაში მეფობდა ჩვენი სახლი, რომელთა სისხლით მრავალჯერ არის ნაყიდი საქართველო და ქართველი ერიო. მართლაც რომ მძიმე ბრალდებებია, მაგრამ ალექსანდრე ბატონიშვილი მოუქნელი და მოუხეშავი პოლიტიკოსი როდი გახლდათ, რომ ყოველივე ეს ასე ჯიქურ დაებრალებინა ხელმწიფისათვის. იგი, რაკიღა გულს იჯერებს ბრალდებების ჩამოთვლით, იქვე დასძენს, რომ ასეთი რამ ყოვლად მოწყალე

ხელმწიფეს არც ეკადრებოდა და არც შეიძლებოდა რომ მისი ნება ყოფილიყო და ყოველივე ეს უთუოდ ჩვენ მტერთა შესმენით მოხდაო. – ყოვლადმოწყალევ ხელმწიფევ! უწყით ჩვენ, არა იქმნებოდა ესე ნება ხელმწიფობისა თქვენისა, რათამცა აღგეფხურათ უსამართლოდ ძველი ოჯახი მართლ-მადიდებლისა ქრისტიანისა იმპერატორს ქრისტიანესა და არცა იყო საკადრი დიდებულებისა თქვენისა, არამედ იქმნა ესა მტერთა მიერ ჩვენთა, რომელთაც შესმენა ჩვენი განვლინეს წინაშე დიდებულებისა თქვენისა, კვალად არა დასცხრებიან მტერნი ჩვენნი, რათამცა გვავნეს ჩვენ".

იმავე ხანებში ალექსანდრე ბატონიშვილი სპარსეთიდან ციციანოვს სწერდა: „...ახლაც ამას მოგახსენებ ეს სწორეთ მიბძანოთ და ხელმწიფის ან ნუგეში, ან წყალობა, ან სარჩო რა არის და ხათრიჯამი გამხადოთ და ამ ურჯულოს ქვეყნიდამ გამომიშოთ და საქრისტიანო წირვა და ლოცვა მაჩვენოთ; არც ხემწიფეს და არც რუსეთს არ ეკადრება, რომ ქრისტიანი კაცი ვიყო და მეფის შვილი ვიყო და სათათრეთში დავდიოდე... და როგორც ხემწიფე მიბრძანებს წერილით, მეც ისრე ვიახლები" მართალია, ალექსანდრე ბატონიშვილი წერდა, რომ როგორც ხელმწიფე მიბრძანებს წერილით, მეც ისე ვეახლებიო, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ ბატონიშვილი ყოველგვარ პირობაზე თანახმა იქნებოდა და მეფობაზე უარს იტყოდა. დაახლოებით ამავე ხანებში (1805 წელს), იგი თავის დედას, პეტერბურგში გადასახლებულ დარეჯან დედოფალს სრულიად გარკვევით სწერდა, რომ რუსებს თუ უნდათ ჩემი მოსვლა, მაშინ დასვან მეფედ ჩვენი სახლის რომელიმე წევრი და ჩვენ მოვალთ და ვემსახურებით ხელმწიფეს, ხოლო თუ ეს ასე არ იქნება, ჩვენ არაფრით არ შეგვიძლია მოსვლა, რადგანაც ისეთ უკიდურესობამდე არ მივსულვართ, რომ მხოლოდ პური გამოვთხოვოთ ვისმე. მე სპარსელების ან რომელიმე სხვა სახელმწიფოს საშუალებით ყოველმხრივ ვეცდები ჩემი მიზნების

მიღწევას. დიდებულ ხელმწიფეთაგან რომელიმე მაინც გამომიწვდის დახმარების ხელს, თუ რუსხელმწიფე გააბედნიერებს ჩვენს სახლს, მაშინ ისეთ სამსახურს ვაჩვენებთ, რომ არავითარი უკმაყოფილება და აჯანყება აღარ იქნებაო.

ჭარ-ბელაქნის დაკავების შემდეგ ციციანოვმა განჯის სახანო აიღო და უშუალოდ შეუერთა რუსეთს, შემდეგ კი ჯერი სხვა სახანოებზე მიდგა. ახლა კი მიხვდა სპარსეთი, რომ რუსეთი მარტო ქართლ-კახეთის სამეფოთი არ კმაყოფილდებოდა, რომ მას საერთოდ კავკასია ეცლებოდა ხელიდან და რომ რუსეთის წინააღმდეგ ენერგიული, გადამწყვეტი ზომების მიღება იყო საჭირო.

1804 წლის ადრე გაზაფხულზე ქართლ-კახეთი ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილების წერილებით მოიფანტა. ბატონიშვილები ქართლ-კახეთის ყველა თავადაზნაურის გვარეულობას სათითაოდ, ყველა მოხელეს, სამღვდელოებას, ერთობლივ თუშებს, ფშავებს, ხევსურებს, არაგველებს უგზავნიდნენ წერილებს და აუწყებდნენ, რომ მათ და მათთან მყოფმა თავადებმა ირანის შაჰისაგან ურიცხვი წყალობა მიიღეს თუ თეთრით, თუ იარაღით, თუ ცხენით, რომ ხელმწიფემ დიდრონი ჯარები შეყარა და მარტის ბოლოსა და აპრილში შაჰი და მისი ვაჟი აბას-მირზა თეირანიდან ორპირით მოემართებიან საქართველოსაკენ „ზღვისებრის მღელვარე“ ჯარებით, რომ „ყანდაარი და ყანდაარს ზევითი მთელი ერანი მანდ მოდის. ღმერთმა ხომ იცის, ან უნდა მანდ ამოწყდნენ და ან უნდა მანდედამ რუსები გაყარონ“, რომ ერთი ჯარი ყარაბაღის გზაზე მოდის, მეორე გოგჩაზე და ჩვენც ან შაჰთან ვიქნებით, ან აბას-მირზასთანო. ბატონიშვილები ქართველებს მოუწოდებდნენ, რომელი გზაც ერჩიათ, იმ გზაზე წამოსულიყვნენ და წინ შეგებებოდნენ. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი ბოლომდე არ იყო დარწმუნებული, რომ ქართველები საუკუნოვანი მტრის – სპარსეთის შა-

ჰის გვერდით ასე ადვილად დადგებოდნენ და იმავე წერილით აფრთხილებდა მათ, ისე არ მოქცეულიყვნენ, რომ საქართველოს წახდენის მიზეზნი გამხდარიყვნენ და იქვე ცდილობდა შთაეგონებინა მათთვის, რომ „ჩვენი ოჯახი ათას სამასი წელიწადია საქართველოს მეფენი ყოფილან და ერანის ხელმწიფის ყმანი" და ამიტომაც მათაც უწინდელივით მართებდათ ბაგრატიონთა ოჯახისათვის სისხლის დაღვრა. ყვარლელებისა და გავაზელებისათვის მიწერილ წერილში კი ბატონიშვილი აშკარა მუქარაზე გადადიოდა: ლეკებში კაცი გვყავს გაგზავნილი, რომ თქვენ წინააღმდეგ არაფერი მოიმოქმედონო, მაგრამ „თუ არ მოხვალთ და იქიდამ ლეკიც მოვა და აქედამ ჩვენცა. და ეგ ქვეყნებიც წახდება და დიდებული ხემწიფის რისხვასაც მიიღებთ და ჩვენთანაც მუხანათათ გამოცხადდებით, თუ წინ არ მოგვეგებენით"-ო. ალექსანდრე ბატონიშვილი კიდევ უფრო შორს მიდიოდა და თვით ეპისკოპოს იოანე ბოდბელს ავალებდა, ექადაგებინა თავის სამწყსოსათვის, რომ წინ მიგებებოდნენ შაჰისა და აბას-მირზას ჯარებს, რათა ქრისტიანობა არ წამხდარიყო, წინ მიგებებულ და მის მხარეზე გადასულ ხალხს კი შაჰისა და თავისი სახელით დიდ წყალობას ჰპირდებოდა. ბატონიშვილების წერილებთან ერთად ქართლ-კახეთში მრავლად გაჩნდა ბაბა-ხანისა და აბას-მირზას ფირმანები, რომლებშიც მომავალი ომის მიზნად საქართველოს რუსეთისაგან გამოხსნა და ბაგრატიონების დინასტიის აღდგენა იყო გამოცხადებული. ამ წერილებისა და ფირმანების უმეტესი ნაწილი ყოველ ნაბიჯზე გაჩენილი მსტოვრების წყალობით რუსულ ხელისუფლებას უვარდებოდა ხელთ და ამ თუ სხვა ცნობების საფუძველზე ციციანოვი კარგად იყო ინფორმირებული იმის შესახებ, რომ სპარსეთი გამალებული ემზადებოდა რუსეთის წინააღმდეგ საომრად და ფათალი-შაჰის კარზე დიდძალ ჯარს უყრიდნენ თავს.

1804 წელს ციციანოვმა ირანის შაჰის პირველი მინისტრის, მირზა-შეფის წერილი მიიღო. იგი შაჰის სახელით რუსებისაგან საქართველოს დატოვებას მოითხოვდა. ციციანოვმა, როგორც მას მსგავს შემთხვევებში სჩვეოდა, უკმეხი პასუხი გასცა და პირიქით, შაჰისაგან ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილების გაცემა მოითხოვა. ამის შემდეგ ციციანოვმა გადაწყვიტა, სპარსეთის მხრიდან შემოტევებისათვის დაესწრო და მიუხედავად იმისა, რომ საგანგაშო ცნობა მიიღო ქართლის მთიანეთის აჯანყების შესახებ, ლაშქრობა მაინც აღარ დაიშალა. მთის დაწყნარება და აჯანყებულების სასტიკი დაშლა ქსნისა და არაგვის ერისთავებს და საქართველოს მმართველს ვოლკონსკის მიანდო, თვითონ კი 1804 წლის გაზაფხულზე სახელდახელოდ შეკრებილი ჯარით ერევნისაკენ გაეშურა. პირველი შეტაკება რუსეთისა და სპარსეთის მოწინავე რაზმებს შორის სასაზღვრო ქალაქ გუმრთან მოხდა, სადაც ირანელთა ცხენოსანი რაზმის ავანგარდს ალექსანდრე ბატონიშვილი მეთაურობდა. მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა ბატონიშვილმა ფიცხელი ბრძოლა გაუმართა რუსებს, იგი მაინც დამარცხდა და იძულებული იყო მსწრაფლ გასცლოდა იქაურობას. ამის შემდეგ კიდევ ორჯერ – ეჩმიაძინისა და ერევნის მისადგომებთან სძლიეს რუსებმა სპარსელებს, რის შედეგადაც აბას-მირზა იძულებული იყო, თავისი ჯარებით უკან გაბრუნებულიყო, ციციანოვმა კი ალყა შემოარტყა ერევანს, რომელიც უომრად არ აპირებდა რუსებისათვის დამორჩილებას. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, თითქოს რუსების საბოლოო გამარჯვებას ხელს აღარაფერი უშლიდა, მაგრამ გაბრუნებულ აბას-მირზას გზად მრავალრიცხოვანი ლაშქრით მის საშველად წამოსული ირანის შაჰი შემოეყარა და ხელახლა შემობრუნებული სპარსთა ლაშქარი მოალყე რუსის ჯარს გარედან შემოეწყო. რუსის ჯარს საქართველოდან სურსათი, ფურაჟი და დახმარება რომ არ მიეღო, შაჰმა ალექსანდრე ბატონიშ-

ვილი ბამბაკში გაგზავნა და საქართველოდან მომავალი გზების გადაკეტვა დაავალა. ბამბაკში გამოჩენილ ბატონიშვილს ბორჩალოსა და ყაზახის თათრები სასწრაფოდ მიემხრნენ და საქართველოდან ჯარისათვის სურსათის, ფურაჟისა და ტყვიაწამლის მისაწოდებელი გზები საიმედოდ შეკრეს. ალექსანდრე ბატონიშვილი სოფელ სარალთან მოულოდნელად დაესხა თავს სურსათის მოსაპოვებლად ციციანოვის მიერ გამოგზავნილ რაზმს და მთლიანად გაანადგურა იგი. ბრძოლაში მოკლეს რაზმის მეთაური მაიორი მონტრეზორიც. ერევნის გარშემო პურის ნათესების გადაწვის შემდეგ კი რუსის ჯარს შიმშილით ამოწყვეტის საფრთხე დაემუქრა. ამავე დროს, ალექსანდრე ბატონიშვილს საიმედო ცნობები მოსდიოდა აჯანყებული მთიულეთიდან: მთიელებს სტეფანწმინდა და ლარსის საგუშაგო აელოთ და საქართველოს სამხედრო გზა საიმედოდ ჩაეკეტათ. ლომისას აღების შემდეგ კი აჯანყებამ ქსნის ხეობაშიც ელვის სისწრაფით დაიწყო გავრცელება. აგვისტოს დამლევისათვის აჯანყებულთა ხელში დუშეთიც გადავიდა და ანანურიც ძალზე შევიწროებული ჩანდა. ამ გარემოებით ფრთაშესხმული ალექსანდრე ბატონიშვილი აჯანყების კიდევ უფრო გასაფართოებლად და მისთვის ორგანიზებული ხასიათის მისანიჭებლად, რის ვაივაგლახით მასთან მისულ ფარნაოზ ბატონიშვილს აგზავნიდა მთაში და დაწვრილებით აუწერდა რა აჯანყებულებს, ერევანში ალყაშემორტყმული რუსის ჯარის უმწეო მდგომარეობასა და თავის გამარჯვებებს, მთიულებს ერთგულებას უქებდა და კიდევ უფრო მედგარი ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. „ათას სამასი წელიწადი არის, რომ ჩვენი ერთგულნი უნჯი ყმანი ხართ და ახლაც თქვენი ერთგულება და სამსახური გვესმის და როგორც ერთგულად ირჯებით, კიდევ მაგ საქმეზე ბეჯითად იყავით და ღვთის მოწყალებით, როგორც სანატრელ მამას ჩვენს მეფეს ერეკლეს უყვარდით და გწყალობდათ, უმეტესად ჩვენგან წყალობაცა და სიყვარული გექნებათ“, – წერდა იგი.

ასეთ პირობებში რუსის ჯარის სრული განადგურება თითქმის გარდაუვალი ჩანდა და ალექსანდრე ბატონიშვილის ოცნების განხორციელებას წინ თითქოს აღარაფერი ეღობებოდა, მაგრამ ბაბახანს მოულოდნელად თეირანიდან სულეიმან სარდლის ღალატის ამბავი მოუვიდა და იძულებული გახდა, სპარსეთისაკენ გაბრუნებულიყო. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ გარემოებით ციციანოვმაც ვერ ისარგებლა. მან ერევნის იერიშით აღება მაინც ვერ მოახერხა, ალყა მოხსნა და მთიულეთის აჯანყების ჩასაქრობად სასწრაფოდ საქართველოსაკენ გამოეშურა.

რუსეთის უმაღლესმა ხელისუფლებამ მთიულეთის აჯანყების ჩასაქრობად და გაწყვეტილი კომუნიკაციების აღსადგენად აქტიური ზომები მიიღო. აჯანყებულებს ორი მხრიდან შეუტიეს: ვლადიკავკაზიდან წამოსულ რუსის ჯარის დამატებით ნაწილებს თბილისიდან ციციანოვის მეთაურობით წასული ჯარი გაეგება და 1804 წლის ოქტომბრის ბოლოსათვის აჯანყების ბედი გადაწყვეტილი იყო. ფარნაოზ ბატონიშვილი შეიპყრეს და რუსეთში, ვორონეჟში გადაასახლეს. რუსეთშივე გაასახლეს იულონ ბატონიშვილიც. ამის შემდეგ საქართველოში ბაგრატიონთა სახლის წევრი აღარ იმყოფებოდა. ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილები კი აბას-მირზას ჯარებთან ერთად კვლავ ცხოველ მონაწილეობას იღებდნენ რუსეთის წინააღმდეგ ომში. 1805 წლის განმავლობაში შაჰისა და აბას-მირზას შემოტევებს რეალური შედეგი არ მოჰყოლია. განჯის სახანოში შემოჭრილმა აბას-მირზამ 23 და 27 ივლისს მძიმე მარცხი იწვნია და იძულებული იყო, ერევნისაკენ უკან დაეხია. შამქორთან ბრძოლაში მონაწილეობას იღებდნენ ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილებიც. 1805 წლის შემოდგომაზე გენერალი ნესვეტაევი ატყობინებდა ციციანოვს, რომ ალექსანდრე ბატონიშვილმა ერევნიდან წერილი მისწერა ირანის შაჰს, მაგრამ ბაბა-ხანმა მას არამც თუ არავითარი დახმარება არ აღუთქვა,

არამედ უბრძანა, გასცლოდა მის სამფლობელოებს. ასევე ვერ გაბედა მისი მიღება ყარსის ფაშამაცო. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ალექსანდრე ბატონიშვილმა ზამთარი ერევანში გაატარა.

1806 წელს ციციანოვის მკვლელობით გათამამებულმა ბაბა-ხანმა კვლავ გადაწყვიტა რუსეთთან ომის განახლება. 1806 წლის ივნისში ირანის ტახტის მემკვიდრის აბს-მირზას სარდლობით სპარსელებმა ყარაბაღში შეჭრა სცადეს. ყარაბაღში აბას-მირზას გამოჩენის თანადროულად შამშადილში შემოიჭრა ალექსანდრე ბატონიშვილი სპარსელთა რაზმით. აქ იგი ჰუსეინ-ყული ხანსა და აბას-მირზას უნდა დალოდებოდა და ერთად გამოელაშქრათ თბილისისაკენ, მაგრამ ყარაბაღში აბას-მირზამ რუსებისაგან სასტიკი დამარცხება იწვნია და იძულებული გახდა, იქაურობას გასცლოდა. ამის შემდეგ ალექსანდრე ბატონიშვილის ყაზახში გაჩერება საშიში იყო, მით უმეტეს, რომ რუსეთის ხელისუფლებამ მას მოლაპარაკება გაუმართა და ამავე დროს მისი ხელში ჩაგდების მიზნით მისი ბანაკის გარსშემორტყმა სცადა, მაგრამ ფრთხილი ბატონიშვილი სასწრაფოდ აიყარა და ერევნისკენ დაიხია. გოგჩასთან მას რუსეთის რაზმი წამოეწია გიორგი ერისთავის მეთაურობით და ბრძოლა გაუმართა. ბატონიშვილი დამარცხდა და ერევანს შეაფარა თავი.

რუსეთის ხელისუფლებას კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ თუ კი რაიმე გზით ალექსანდრე ბატონიშვილს მოიტყუებდნენ, სპარსეთს ომის სტიმული შესამჩნევად შეუმცირდებოდა. ამიტომ გენერალმა ნესვეტაევმა ყაზახის მოურავს იოსებ ბებუთაშვილს დაავალა ბატონიშვილი შეეპყრო, ან რაიმე გზით გამოეტყუებინა, რის განსახორციელებლად მას 500 ჰოლანდიური ჩერვონეცი შესთავაზა. ბებუთოვი ამ დავალებაზე პასუხობდა, რომ „მე ჩემს უწმიდეს მოვალეობად მიმაჩნია შევასრულო ჩემი უფროსების ბრძანებები და რადგანაც ბატონიშ-

ვილის დაჭერის სხვა საშუალება მე არ მქონდა, თუ არ წერილის მიწერა, მივწერე ბატონიშვილს საიდუმლო წერილი და გავუგზავნე სანდო კაცის ხელით, რომელსაც ადრე დაჰქონდა ხოლმე ჩემი ამბები. ეს კაცი ჩემი ერთგული არის და მე მას სათანადო გასამრჯელოსაც დავპირდიო". არსებობს იოსებ ბებუთოვის მიერ ალექსანდრე ბატონიშვილისათვის მიწერილი წერილებიც, საიდანაც ჩანს, რომ ყაზახის მოურავი რუს ხელისუფალთა გულის მოგების მიზნით ყველა ძალღონეს ხმარობს მათი დავალების შესასრულებლად და ბატონიშვილის მოსატყუებლად, ყოვლად ურცხვად არწმუნებს ამ უკანასკნელს, რომ „ჩემი მოხსენება ეს არის, ღმერთს ერწმუნე, რომ მე შენ არც ნივთით, არც მამულის მოცემით, არც პატივით, რაც უნდა მომცენ, ტყუილს არ მოგახსენებ, არც მოგატყუებ. მე ყოვლისფრით ხათრიჯამი ვარ წერილით, რომ ყოვლად მოწყალის ჩვენის ხელმწიფის წყალობა მრავალრიგათ მოგადგება; თუ თქვენის ნებით მობრძანდები, დიდის პატივით მიგიღებენ ქალაქში; თუ მე ხათრიჯამი არ ვიყო და სრულად წერილი არ მქონდეს, არც უწინ მოგახსენებდი, მანდ არას გახდები რა; თუ მაინდამ სხვაგან წახვალ სადმე, ბევრი ფათერაკი გდევს და ეს მშვიდობის გზა არის. ბოლოს კიდევ ხელმწიფესთან უნდა მოხვიდე; ნურავის დუჯერებ, წამობრძანდი. მე თუ ხათრიჯამი არ ვიყო, ამისთანას წერილით თქვენის ოჯახის შვილს არას მოვახსენებ... დღეს აქ ჯარის მბრძანებელი იარანალი მაიორი ნესვეტაევი არის და ღუბერნატორი ლაივანოვი, ორნივ დიახ სარწმუნო და კეთილის მოწადენი არიან ყოველის კაცისა; რა რიგათაც თქვენი ხათრიჯამობა გეთხოვათ ამ ორსავ იარანალებიდან ყოვლის ფრით თქვენს ხათრიჯამობას აქ მზად დაგახვედრებთ; ამ გზობით ყოვლის ფრით მერწმუნე, მე გაჩვენებ სამსახური როგორ უნდა და ან როგორ გმსახურებ". წერილში მოხსენებული სარწმუნო და ბატონიშვილისათვის „კეთილისმოწადე" გენერალ-მაიორი ნესვეტაევი ის

გენერალია, რომელიც ბებუთოვს ბატონიშვილის დასაჭერად 500 ჰოლანდიურ ჩერვონეცს სთავაზობდა. სხვა წერილში იოსებ ბებუთაშვილი ბატონიშვილს იმასაც კი ჰპირდებოდა, რომ „თქვენ იმის ფიქრი გაქვთ, რუსეთს წამიყვანენო, ღმერთს ერწმუნე, თქვენ რომ თქვენის ნებით მობძანდეთ და მეფობას გარდა, რასაც არზით ხელმწიფესა სთხოვთ, იმას აღგისრულებსო“. და ეს მაშინ, როცა მან შესანიშნავად იცოდა, რომ საქართველოში ბატონიშვილის ცხოვრება რუსული ხელისუფლებისათვის სრულიად მიუღებელი იყო. რუსული ხელისუფლების სამსახურში ბებუთაშვილი დიდად გაისარჯა, მაგრამ ფრთხილი და გონიერი ბატონიშვილის მოტყუება არც თუ ისე იოლი საქმე იყო. „ამას რომ მწერ, ხათრიჯამი იყაო, მეენდე რუსებსაო და მოწყალებას მოიღებს ყოვლად მოწყალე ხელმწიფე და ბედნიერი შეიქმნებიო, ეს არ იცი, რომ მე მაგითი ხათრიჯამი არ გავხდები; ჯერ რომ შენ ხათრიჯამი არა ხარ, წამიყვანე(ნ) თუ საქართველოში დამაყენებენ, მე როგორ გერწმუნო, ან იმ ღუდოვიჩს როგორ ვერწმუნო; ეგ ის ღუდოვიჩია, რომ მეფეს ერეკლეს ამთენი ტყუილი წიგნი სწერა და იმედი აძლია, რომ ბოლოს იმისი მიზეზით მაჰმადხანს ველარც სწორეთ შეება და ველარც შეურიგდა და მოვიდა მაჰმად-ხან და წაახდინა ქალაქი. და თუ ის არ დაინდო და ისე მაატყუა, მე როგორ ვერწმუნო, რომ დამინდობდეს და კიდევ ეს არ იცი, რომ თუ კი მოველ და მოვენდე, ალბათ რომ რაკი მანდ მოვალ ხელმწიფეს კიდეც ვნახავ, კიდეც ვისაქმებ და საქმესაც გავარიგებ; მაშინ ან შენი შემწეობა რათ მინდა და ან სხვისა...“. სხვა წერილში ბატონიშვილი აშკარად ეკითხებოდა ბებუთოვს: „საკურლათ საჩქაროდ“ რათ მაშურებ, თუ თვით ხელმწიფის ხელით დაწერილი ხელწერილი არ მომივა, მე არსად მივალო. გენერალ-მაიორ ნესვეტაევისადმი მიწერილ წერილში კი ალექსანდრე ბატონიშვილი სრულიად გარკვევით თავის მოსვლის აუცილებელ პირობად საქართველოში ცხოვრების ნებართვას

მოითხოვდა. თუ კი მე ჩემს მშობელ ქვეყანაში არ ვიქნები, რაც არ უნდა საუნჯე მომცეთ და რაც არ უნდა სიმდიდრის პატრონი ვიყო, არ მინდა და არც ჩემს თავს მოვასვენებო. ბატონიშვილი თვლიდა, რომ მისი ეს ბუნებრივი სურვილი თავის ქვეყანაში, თავის მშობელ მამულში ცხოვრებისა არავითარ დანაშაულს არ წარმოადგენდა ხელმწიფის წინაშე... მე ყოვლად მოწყალე ხელმწიფეზედა არც რა დამიშავებია და არც რა დანაშაული მაქვს და არც კისერზედ ავიღებ, ამისთვის რომ ჩემს მშობელს მამულში მინდა ცხოვრება მეცა და ჩემთან მყოფთ თავადებსაც, აზნაურთაც და სხვათაც. ახლა ჩემი უკანასკნელი სიტყვა ეს არის, რომელიც ხელმწიფე ჩემს მშობელს ქვეყანაში მამყოფებს, მე მისი თანამდები მონა და მოსამსახურე ვიქნები, ვიდრე სისხლისა წვეთამდე".

1807 წელს რუსულმა ხელისუფლებამ კვლავ სცადა ალექსანდრე ბატონიშვილთან მოლაპარაკება. ამჯერად ამ მიზნით თბილისელი მოქალაქე გიორგი ბასტამაშვილი გამოიყენეს, რომელმაც თავად შესთავაზა მთავარმართებელს, რომ გარკვეული ანაზღაურების ფასად მოახერხებდა ბატონიშვილის სპარსეთიდან ჩამოყვანას. როგორც ბატონიშვილის წერილებიდან ჩანს, იგი ბასტამაშვილს განსაკუთრებით ენდობოდა, მას თავის თანშეზრდილ, ერთგულ მეგობარს უწოდებდა და შემდგომში რუსეთთან ურთიერთობაში მუდმივ შუამავლად სწორედ მას იყენებდა. ბასტამაშვილმა ურმიაში ნახა ბატონიშვილი, საიდანაც ისინი ჰუსეინ-ყული ხანის მოთხოვნით ერევანში ჩამოვიდნენ. ერევნიდან ბასტამაშვილი აცნობებდა რუსეთის ხელისუფლებას, რომ ბატონიშვილი ჩემ მიერ სათანადოდ არის შემზადებული და თანახმაა მოლაპარაკებაზეო. მაგრამ ამჯერადაც ამ მოლაპარაკებიდან არაფერი გამოვიდა, ვინაიდან რუსეთი ალექსანდრე ბატონიშვილის საქართველოში დატოვების კატეგორიული წინააღმდეგი იყო. 1808 წლის 16 იანვარს საქართველოს

მთავარმართებლის გუდოვიჩის დავალებით ნესვეტაევი ატყობინებდა ბატონიშვილს, რომ მას და მასთან მყოფ პირებს გულწრფელი მონანიების შემდეგ ყველა დანაშაულს აპატიებდნენ, ოღონდ იმ აუცილებელი პირობით, რომ ბატონიშვილი უნდა წასულიყო რუსეთში, სადაც მას მისი ძმებისამებრ პატივს მიაგებდნენ, რაზეც ბატონიშვილი კატეგორიულ უარს აცხადებდა.

XIX საუკუნის დასაწყისში, ამიერკავკასიაში რუსეთის თანდათანობით დამკვიდრებას საფრანგეთი და ინგლისი შეშფოთებული ადევნებდნენ თვალს და თურქეთ-ირანში გავლენის მოპოვებისათვის ერთმანეთს ეცილებოდნენ, რათა ეს ორი სახელმწიფო რუსეთის ექსპანსიის წინააღმდეგ შეკავშირებულად აემხედრებინათ. მკვლევარმა ო. მარკოვამ დეტალურად შეისწავლა ამიერკავკასიის როლი ინგლის-საფრანგეთ-რუსეთს შორის არსებულ მეტოქეობაში და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საქართველოს ამ მხრივ სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგანაც ეს იყო ის ქვეყანა, საიდანაც რუსების განდევნისა და კვლავ თავისი გავლენის გავრცელებისათვის ირანი სისტხორცეულად იყო დაინტერესებული და ამის მისაღწევად მზად იყო, დაუსრულებლივ ეწარმოებინა ომი რუსეთთან. 1809 წლის 12 მარტს დაიდო ინგლის-ირანის ხელშეკრულება, რომლის მეოთხე მუხლითაც, იმ შემთხვევაში, თუ ევროპის სამხედრო ძალა დაიკავებდა ირანის ტერიტორიას, ინგლისი ვალდებული იყო ომის საწარმოებლად საჭირო ჯარით, სამხედრო აღჭურვილობით და ფულადი სუბსიდიებით მოემარაგებინა სპარსეთი, ანუ, როგორც ამას სამართლიანად განმარტავს ო. მარკოვა, ინგლისი იღებდა თავის თავზე ვალდებულებას, ყველა საშუალებით მოემარაგებინა ირანი რუსეთის წინააღმდეგ ომის საწარმოებლად. ამ დროიდან მოყოლებული, ირანი ყოველწლიურად იღებდა ინგლისიდან სუბსიდიას, 200 ათას თუმანს, ანუ 2 მილიონ მანეთს ოქროთი, რუსეთის წი-

ნაღმდეგ ომის საწარმოებლად და, რაც მთავარია, ეს დახმარება უნდა გაგრძელებულიყო მანამდე, ვიდრე რუსეთი საქართველოზე ხელს არ აიღებდა. შაჰისა და უმთავრესად კი ირანის ტახტის მემკვიდრის, აბას-მირზას კარზე თავრიზში გამუდმებით იმყოფებოდა საფრანგეთ-ინგლისის აგენტურა, რომელიც წარმატებით ცდილობდა რუსეთ-ირანის ომის გაჩაღებას. ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელსაც განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა სწორედ აბას-მირზასთან ჰქონდა და უმთავრესად მასთან, თავრიზში იმყოფებოდა, რა თქმა უნდა, ყველა ამ ინტრიგის კურსში იყო და ოსტატურად ცდილობდა, მთელი ეს სიტუაცია თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. თითქოს ახლოვდებოდა ის დრო, როცა რომელიმე დიდებული ხელმწიფეთაგანი რეალურად დაეხმარებოდა მას თავისი ოცნების განხორციელებაში, საქართველოში ბაგრატიონების დინასტიის აღდგენას რომ ისახავდა მიზნად.

1809 წელს ინგლისის აგენტების დიდი მუშაობის შედეგად გამოჩნდა რუსეთის წინააღმდეგ ოსმალეთ-სპარსეთის გაერთიანების ნიშნები. ამ წლის აგვისტოში ახალციხეში „სამთა მძლავრთა და დიდთა ხელმწიფეთა სრულიად ირანისა, ოსმანთა და ინგლისისა“ ჯარით და ხაზინით შეიარაღებული ალექსანდრე ბატონიშვილი ახალციხეში მივიდა. აქედან მან დააგზავნა წერილები საქართველოსა და კავკასიის მთიანეთში და ხალხს რუსეთის წინააღმდეგ საყოველთაო აჯანყებისაკენ მოუწოდა. იმ თვალსაზრისით, თუ როგორ იყო გარკვეული ალექსანდრე ბატონიშვილი საქართველოს გარშემო შექმნილ საერთაშორისო სიტუაციაში, განსაკუთრებით საინტერესოა მისი წერილი თაგაურელებისადმი. ბატონიშვილი თაგაურელებს არწმუნებდა, რომ შაჰს სურს, მთელი ძალ-ღონე საქართველოს შეალიოს, მაგრამ ირანის ხელმწიფემ კიდევაც რომ მოინდომოს საქართველოსათვის ბრძოლის თავის განებება, მას ამის ნებას არ მისცემენ და ირანსაც დაკარგავს. ამ წერი-

ლის საფუძველზე ნ. ბერძენიშვილი სავსებით სამართლიანად ასკვნის, რომ ალექსანდრე ბატონიშვილს კარგად ესმოდა საქართველოს განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა, რომელიც მან იმჟამად შეიძინა, როგორც ჩრდილოეთის მხრით აღმოსავლეთისათვის შეტევისთვის, ისე სამხრეთიდან ამ შეტევის წინააღმდეგ თავდაცვისათვის; რომ საქართველოთი დაინტერესებული იყო არა მხოლოდ სპარსეთის შაჰი, და კიდევ უფრო მეტიც, შაჰის ნებაზე აღარც იყო დამოკიდებული, რა პოზიციებს დაიკავებდა იგი საქართველოს მიმართ, რომ ირანს განსაკუთრებით შეურიგებელ პოზიციებს ინგლისი კარნახობდა, რომელიც ვერაფრით ვერ ურიგდებოდა აღმოსავლეთისაკენ რუსეთის წამოწევის პერსპექტივებს.

1809 წლის აგვისტოს ბოლოს ჭურთის ხეველებს ალექსანდრე ბატონიშვილი ატყობინებდა, რომ სულ მოკლე ხანში, როგორც კი სელიმ ფაშა ჯარებით შეუერთდებოდა მას, დიდრონის ჯარითა და ხაზინით ქართლში შემოვიდოდა და „მანდ რომ მოვალთ, მაშინ გამოჩნდება, როგორც გაირჯებით და ჩვენის გამქრალის ოჯახის სანთელს აანთებთ. პირველად ღმერთი იქნება ჩვენი ოჯახის გამკეთებელი და მას უკან მიზეზი თქვენ შეიქმნებით...". განსაკუთრებით საინტერესოა ბატონიშვილის წერილები, რომლითაც იგი მიმართავდა საქართველოს თავადაზნაურობას, სამღვდელოებას და ერს და დიდის მჭევრმეტყველებით ცდილობდა დაერწმუნებინა ისინი, რომ ძალითა და მახვილით კი არ მოდიოდა მათზე, არამედ სიყვარული და მშვიდობა მოჰქონდა მათთვის, რომ მართალია, მემკვიდრეობითი მეფობის მიღება იყო „განუსვენებელი შრომა" მისთვის, მაგრამ მთავარი საზრუნავი, რისთვისაც სიცოცხლესაც არ დავიშურებ, არის „გამოგიხსნა თქვენ უფლებისაგან უცხოთასა, რომელთა ხელთა შინა არა აქვს დასასრული მწუხარებისა ქვეყნისა, არა იციან პატივის სცემა თქვენი. ვერც იცნობენ გვართა და შთამომავლობათა თქვენთა..." იქვე ბატონიშვილი

შეახსენებდა ქართველ თავადაზნაურობას და ერს იმ ღვაწლს, რომელიც მათდამი მიუძღოდა ბაგრატიონთა გვარს; კერძოდ, იგი შეახსენებდა მათ თავისი ბებიის, ქეთევან წამებულის სისხლს, ქართველი თავადაზნაურობის ტყვეობიდან გასათავისუფლებლად ნადირ-შაჰისათვის ერეკლეს მძევლად მიცემას და სხვ. იგი აცნობებდა ქართველებს, რომ სამი მძლავრი და დიდებული ხელმწიფის ძალა და ხაზინა მოჰქონდა, და იქვე დასძენდა, რომ თუ კი ჩემი ბედნიერებისათვის სრულად ირანის, ოსმალეთის და ინგლისის ხაზინა და სისხლი დაინთხევა, თქვენ ხომ უფრო მეტი თავდადება გმართებთო. ბატონიშვილი მოუწოდებდა ერთობით ქართლსა და კახეთს, როგორც კი გაიგებდნენ საქართველოში მის შემოსვლას, საზღვარზე მიგებებოდნენ მას.

ამ დაპირებების მიუხედავად, 1809 წელს ირან-ოსმალეთის შეერთებული სამხედრო მოქმედება რუსეთის წინააღმდეგ ვერ განხორციელდა. მართალია, 1809 წლის ივლისსა და აგვისტოში ბამბაკის, ყარაბაღისა და განჯის მხრიდან სპარსელებმა რამდენჯერმე სცადეს შემოჭრა აბას-მირზას, მისი ძმის მუჰამედალისა და ჰუსეინ-ხანის სარდლობით, მაგრამ საქართველოს მთავარმართებელმა ტორმასოვმა ადვილად შეძლო მათი მოგერიება და ალექსანდრე ბატონიშვილმაც, რომელმაც სელიმფაშას მხრიდან ვერავითარი დახმარება ვერ მიიღო, ამჯერად ვეღარაფერი გაბედა, თუმცა იგი ახალციხის საფაშოში რჩებოდა და განაგრძობდა თავისი წერილებითა და მოწოდებებით კავკასიის მთიელების დარაზმვას რუსეთის წინააღმდეგ. ამავე დროს, 1810 წლის დასაწყისში, საქართველოს მთავარმართებელმა სცადა ალექსანდრე ბატონიშვილის დაყოლიება რუსეთის მფარველობის მიღებაზე, მაგრამ ბატონიშვილის კატეგორიული განცხადების შემდეგ იმის შესახებ, რომ იგი რუსეთთან მოლაპარაკებაზე თანახმა იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მეფედ დასვამდნენ, ტორმასოვმა შეწყვიტა

მასთან ყოველგვარი ურთიერთობა.

ახალციხის საფაშოში მყოფმა ალექსანდრე ბატონიშვილმა 1810 წლის დასაწყისიდანვე აქტიური მოქმედება გააჩაღა თავისი მიზნების განსახორციელებლად. მან ცხოველი ურთიერთობა დაამყარა იმერეთის მეფე სოლომონ II-სთან, რომელმაც ახალციხეში თავისი სიძე მალხაზ ანდრონიკაშვილი გამოგზავნა. 1810 წლის მაისში ჯავახეთის სოფელ კოთელიაში, სადაც იმ დროს ალექსანდრე ბატონიშვილი იმყოფებოდა, ტორმასოვის ტყვეობიდან გამოქცეული თავად სოლომონ II-ც მივიდა. მალე ამის შემდეგ იმერეთში ხელიდან ხელში გადადიოდა სოლომონ II-ის, ალექსანდრე ბატონიშვილის, შერიფ-ფაშას წერილები, რომლებითაც ხალხს მოუწოდებდნენ იარაღისათვის მოეკიდათ ხელი. 1810 წლის ივნისის ბოლოს კი რუსეთის წინააღმდეგ სპარსეთ-ოსმალეთის მომავალი შეთანხმებული მოქმედებით დაიმედებული სოლომონ II იმერეთში შემოიპარა და უკვე დაწყებულ აჯანყებას ჩაუდგა სათავეში. იმერეთის აჯანყების ერთდროულად 1810 წლის 26 ივლისს ალექსანდრე ბატონიშვილმა ახალციხე-იმერეთ-რაჭის გზით, ლიახვის ხეობაში დაწყებული აჯანყების ორგანიზაციის მიზნით, აქ თავისი ძმისწული, სრულიად ახალგაზრდა, 18-19 წლის ჭაბუკი ბატონიშვილი ლევან იულონის ძე შეაგზავნა. ლევან ბატონიშვილი ჯერ კიდევ 1804 წელს თავის მამა-ბიძასთან, იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებთან ერთად იმერეთიდან ქართლში შემოვიდა, სადაც იგი მათ დასაჭერად გამოგზავნილ მდევარს ხელიდან გაუსხლტა და ამის შემდეგ თავის ბიძასთან, ალექსანდრე ბატონიშვილთან ერთად იმყოფებოდა სპარსეთში. ლიახვის ხეობაში შემოპარულმა ლევან ბატონიშვილმა მოუწოდა ქართველ თავადაზნაურობას, მათი მეფე-ბატონის წყალობა და დამსახურება დავიწყებული თუ არ ჰქონდათ, მასთან შეკრებილიყვნენ. ასეთ ხელსაყრელ შემთხვევას მეორეს თქვენ აღარ ნახავთო, – წერდა იგი. ქვემო მხრიდან შაჰი მოვიდა

დიდი ჯარით, ალექსანდრე ბატონიშვილი დღეს-ხვალ 12 ათასი კაცით აქვე გაჩნდება, იმერეთი კი ისე აჯანყდა, რომ სადაც კი შეხვდა რუსებს, სულ ერთიანად გაწყვიტა და ზურგზე ბოლი ადინაო. მთიულებიც ფეხზე დგანან და თქვენც ნუღარ დააგვიანებთ მოსვლასო, – ურჩევდა იგი. ოსები, რომელთაც იმედი ჰქონდათ, რომ ქართული სამეფო წყობილების აღდგენით ერისთავიანთ ყმობას თავს დააღწევდნენ, ადვილად მიემხრნენ ლევან ბატონიშვილს. მის მხარეზე იყვნენ ამ კუთხის ყველაზე გავლენიანი თავადები – მაჩაბლებიც. ქართლის დანარჩენ თავადაზნაურობასაც მერყეობის ნიშნები დააჩნდა და რუსეთის ხელისუფლების მოთხოვნას, გამოეყვანათ თავისი ხალხი ახლად დაწყებული აჯანყების ჩასაქრობად, სხვადასხვა საბაბის მომიზეზებით თავს არიდებდნენ.

16 აგვისტოს ლევან ბატონიშვილს, მისი საქმიანობით კმაყოფილი ალექსანდრე ბატონიშვილი ახალქალაქიდან ატყობინებდა, რომ ირანის სარდალი ჰუსეინ ხანი გამორჩეული ჯარით ახალქალაქს მოვიდა. სამ დღეზე თქვენკენ მისტუმრებს, თითონ კი წალკის მხრიდან აპირებს შემოჭრას, ირანის შაჰი გოგჩის მხრიდან მოდის, აბას-მირზა ბამბაკის, მეორე შაჰზადა ალიშაჰი კი განჯის მხრიდან აპირებენ თბილისზე თავდასხმას და ამ ზამთარს მათი უკან გაბრუნება აღარ იქნებაო. ამასვე სწერდა ალექსანდრე ბატონიშვილი ლევან ბატონიშვილთან თავმოყრილ ერთობლივ ციციშვილებს, რომელთაც ერთგულებას უქებდა, დიდ წყალობას პირდებოდა და აიმედებდა: „მთლად ხორასანს აქედა ერანის ჯარი ან უნდა დასრულდეს და ან საქართველოდამ მათი სახსენებელი უნდა ამოიხოცოს. ღვთის მოწყალებით, როგორც თქვენს გულს უნდა, ყოველი საქმე ისე მოხდება, რომ საიჭო აღარ არის. ამ ოთხს დღეზედ დიდის ჯარით და თადარიგით მეც თქვენთან ვიქნები“. ერანის სარდალი ჰუსეინ-ყული ხანიც ასევე გარჯას უქებდა ლევან ბატონიშვილს და ისიც სულ მალე საქართველოში შემოჭრას ჰპირდ-

ებოდა. „გამორჩეულის ერანის ათიათასის კაცით ახალქალაქს მოვედით. თქვენს ბიძას ალექსანდრეს მეფის ძეს შევეყარენით. ამ ცოტა ხანში დიდრონის ჯარებით და ხაზინით გამოვისტუმრებთ. ჩვენც წალკის მხრიდამ ქალაქზედ მომსვლელნი ვართ...“. მართლაც, 10.000-იანი ჯარით ახალქალაქის მახლობლად დაბანაკებული ჰუსეინ ხანი და ალექსანდრე ბატონიშვილი ახალციხიდან შერიფ-ფაშას და მის ლაშქარს ელოდებოდნენ, რომ ერთობლივი ძალით ქართლში შემოჭრილიყვნენ, მაგრამ შერიფ-ფაშას საეჭვოდ აგვიანდებოდა. მას თავისი გასაჭირი დასდგომოდა: იგი ყოველ წუთს ელოდებოდა აჭარის მხრიდან ახალციხის ყოფილი ფაშის სელიმ ხიმშიაშვილის თავდასხმას და ადგილიდან არ იძროდა. ამ გარემოებით კარგად ისარგებლა ტორმასოვმა, რომელიც თითქმის საყოველთაო აჯანყების დაწყებისა და სპარსეთ-ოსმალეთის გაერთიანებული მოქმედების მოლოდინით შეშფოთებული განსაკუთრებულ ზომებს იღებდა. მან როგორც კი გაიგო ჰუსეინ-ყული-ხანის ახალქალაქთან მოსვლა, თავისი რაზმით წალკის მახლობლად, სოფელ ქვეშთან დაბანაკდა. აქედან მას საშუალება ჰქონდა, თვალყური ედევნებინა როგორც სპარსეთის, ისე ოსმალეთის საზღვრებისათვის და სადაც საჭირო შეიქნებოდა მისი დახმარება, მსწრაფლ იქ გაჩენილიყო. ამავე დროს, მან გადაწყვიტა დაესწრო მტრისათვის და ვიდრე შერიფ-ფაშა ჰუსეინს ჯარებს მიაშველებდა, თვითონ მიეტანა იერიში. ტორმასოვმა შეადგინა მსუბუქი რაზმი, რომელსაც მარკიზ პაულუჩი უთავა და ახალქალაქთან დაბანაკებული ბატონიშვილისა და ერევნის ხანის დასარბევად გააგზავნა. 5 სექტემბერს გარიჟრაჟზე, წვიმიან და ქარიან ამინდში, პაულუჩი ისე მიეპარა შუაგულ ძილში მყოფ სპარსელებს, რომ მათ, ვიდრე შიგ ბანაკში არ ატყდა სროლა, ვერა გაიგეს-რა და, რაღა თქმა უნდა, ასე მოულოდნელად თავდასხმულ მტერს წინააღმდეგობაც ვეღარ გაუწიეს. თავად ალექსანდრე ბატონიშვილმა და ჰუსეინ-ყული-

ხანმა ნახევრად შიშვლებმა ძლივს მოასწრეს გაქცევა. რუსებს სპარსელების მთელი ბანაკი – დიდძალი ქონება და იარაღი ჩაუვარდათ ხელში, ხოლო რის წაღებაც რუსებმა ვერ შეძლეს, ჰუსეინის „მოკავშირე“ ყარაფაფახელებმა დაიტაცეს, რის შედეგადაც სპარსელთა ცხენოსან ლაშქარს არამც თუ იარაღი და ტანისამოსი, არამედ ცხენებიც აღარ შერჩათ და გაწბილებული ჰუსეინი ახალციხის საფაშოდან მათ გასაყვანად დახმარებას აბას-მირზას ეხვეწებოდა. ჰუსეინ ყული ხანმა ახალქალაქთან დამარცხება მთლიანად შერიფ-ფაშას დააბრალა და ამის შემდეგ რუსეთის წინააღმდეგ ოსმალეთ-სპარსეთის შეთანხმებულ მოქმედებაზე ლაპარაკიც კი მეტი იყო. ტორმასოვსაც ეს გარემოება სავსებით სამართლიანად მიაჩნდა ამ ბრძოლის უმთავრეს შედეგად.

ახალქალაქთან სპარსელების დამარცხების შედეგი იყო ისიც, რომ საბოლოოდ გულგატეხილი თეიმურაზ ბატონიშვილი, რომელიც აბას-მირზას ბანაკში იმყოფებოდა და სპარსეთის მთელ არტილერიას ხელმძღვანელობდა, გაიპარა, ტორმასოვს მიუვიდა და პატიება ითხოვა. ალექსანდრე ბატონიშვილი კი იმედს არ კარგავდა და თავისი მიზნის მისაღწევად კვლავ შეუდრეკლად განაგრძობდა ბრძოლას. ამ მხრივ მისთვის თითქოს ყველაზე პერსპექტიული 1812 წელი ჩანდა. საერთოდ, 1812 წელი კავკასიაში რუსული ხელისუფლებისათვის განსაკუთრებით მძიმე გამოდგა. ასობით კილომეტრზე გადაჭიმულ ვრცელ საზღვარზე გაბნეულ და ქვეყნის შიგნით სხვადასხვა საგუშაგო-ციხე-სიმაგრეებში წვრილ-წვრილ გარნიზონებად ჩაყენებულ რუსის ჯარს თითქმის ერთდროულად მოუხდა ბრძოლა გარედან შემოჭრილი მტრისა თუ შიგნით მყოფი მეამბოხეების წინააღმდეგ.

1812 წლის დამდეგს ყარაბაღის სახანოში შემოჭრილმა აბას-მირზამ სერიოზული ზიანი მიაყენა რუსის ჯარს და მხოლოდ გენერალ კოტლიარევსკის მეთაურობით გაგზავნილი რაზმის

ბრძოლების შედეგად შესაძლებელი გახდა იმ საფრთხის აცილება, რაც მოელოდა ყარაბაღის სახანოში რუსეთის მფლობელობას.

1811 წლის ბოლოსა და 1812 წლის დამდეგისათვის ყოფილ ყუბის სახანოში იფეთქა აჯანყებამ რუსული მმართველობის წინააღმდეგ. პაულუჩის მიერ დროზე მიღებული გადამწყვეტი ზომების შედეგად ყუბის ყოფილი ხანი შიხ-ალი დამარცხებული და განდევნილი იქნა. მაგრამ მაინც 1812 წელს თითქმის ერთდროულად მომხდარ მოვლენებს შორის თავისი მასშტაბებით და შედეგებით რუსული მმართველობისათვის ყველაზე უფრო მძიმე კახეთის აჯანყება იყო, რომლის შესახებ პაულუჩი მოახსენებდა სამხედრო მინისტრს, რომ „ცოტას გაწყდა, რუსის ჯარი კინაღამ სულ ამოჟუჟესო“, და რომელიც ცვალებადი წარმატებებით და ხანმოკლე შესვენებებით თითქმის ერთი წელიწადი გრძელდებოდა.

1812 წლის თებერვალში, ჯერ კიდევ კახეთის აჯანყების პირველ ეტაპზე, ალექსანდრე ბატონიშვილს კახელი თავადების 40-კაციანი დელეგაცია მიუვიდა. ბატონიშვილი კახეთში მიიწვიეს და „აღუთქვეს პირი მტკიცე, რათა ჰყონ მეფედ თვისსა ზედან“. ბატონიშვილის მოწოდებანი, რომლებშიც იგი კახელებს, თუშ-ფშავ-ხევსურებს, მოხევეებს ერთგულებას, მამულისათვის გარჯას და მხნეობას უქებდა და კიდევ უფრო მეტი თავგანწირვისა და შეურიგებელი ბრძოლისაკენ მოუწოდებდა, მთელ საქართველოს მოეფინა. დიდის მჭევრმეტყველებით დაწერილ წერილებში ბატონიშვილი კახელებს ბაგრატიონთა სახლის აღმდგენელებს უწოდებდა და სწერდა, რომ თქვენი სახელი მთელ ქვეყნიერებაზე მზესავით მოჰფინეთ და „თქვენ მიერ საყვარელი მეფეც ადიდეთ და შვილებსაც თავისუფლებისა და გიხაროდენის ხმასა გვცემთ... მეფის ირაკლის მადლითნო პირმშონო შვილნო და ჩვენო უსაყვარლესნო ძმანო, თუმცა წერილით გეხმაურებით, მაგრამ ასე მგონია, თქვენში ვზივარ,

პირისპირ შემოგფრფენთ და გეხმაურებით...“. მთიულებს, გუდამაყრელებს, მოხევეებს, თუშ-ფშავ-ხევსურებს ბატონიშვილი ბაგრატიონთა ოჯახის ერთგულ და „უნჯ“ ყმათ უწოდებდა, რომელთაც სამეფო ოჯახის მტრის სისხლი „ღვარად და ღვარად“ ადინეს და რუსეთიდან საქართველოში მომავალი გზებისა და ხიდების წახდენას ავალებდა: „ხევს უნდა ჯარით გარდახვიდეთ... რომ ჩვენის ოჯახის მტრისა და თქვენის მტრის რუსთა მისასვლელი გზა წაახდინოთ, რომ ჯარმა ველარ გამოიაროს“-ო. მთის ხალხის ზნე-ჩვეულების ზედმიწევნით მცოდნე ბატონიშვილი მათ კიდევ უფრო მეტად წასაქეზებლად მთის მთავარ სალოცავებს, ლაშარისა და გუდანის ხატებს „მცირე რამ შესაწირავს“ მიართმევდა და როგორც „ლომურად ირჯებოდნენ, კვლავაც ისე ლომურად“ გარჯას ითხოვდა მათგან. 1812 წლის ივნისში კახელი თავადაზნაურობისა და ხალხისადმი განმეორებით მიწერილ წერილში, ამბოხებულთაგან დელეგაციის მისვლით აღფრთოვანებული ბატონიშვილი კახელებს ჰპირდებოდა, რომ სულ მალე თვითონაც კახეთში გაჩნდებოდა და თავის სისხლს მათ სისხლში გარევდა. იგი მათ არწმუნებდა, რომ მისი მოუსვლელობა არას გზით არ იქნებოდა, რომ ერთ კვირას მათთან სიცოცხლე ათას წელიწადს სხვაგან ცხოვრებას ერჩია. ამავე წერილით ალექსანდრე ბატონიშვილი კახელებს აფრთხილებდა, რომ რაკიღა ისინი სისხლში გაერიენ და იმდენი რუსი გაწყვიტეს, რომ მათ უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდათ, რომ რუსები არასოდეს ამას არ შეარჩენდნენ და რუსების გაუტანლობის მაგალითად ბაგრატიონთა სახლის ბედი მოჰქონდა. „ჩვენ რომ არა დაგვეშავებინა-რა და შემწეობის მაგიერ ასე დაგვამხეს, თქუენ რომ აგრე სისხლში მორეულნი ხართ, ხომ კარგად იცით, არც გიცოდებენ და არც შეგარჩენენ. ...მაგათგან უკანასკნელ ერთგულთა და ორგულთ მისაგებელი ერი მიეგება ყოველთათვის – ციბირი“ და ურჩევდა, რუსების სიტყვას არამც და არამც არ დანდობოდნენ,

როგორც აქამდე მხნედ იქცეოდნენ, ისევე მხნედ ყოფილიყვნენ და მისი მალე მისვლის იმედი ჰქონოდათ.

12 წლის განმავლობაში სამშობლოდან გადახვეწილმა ბატონიშვილმა საქართველოში შემოსასვლელად მეტად ხელსაყრელი დრო შეარჩია. 1812 წლის აგვისტოს ბოლო-სექტემბრის დასაწყისი რუსეთ-საფრანგეთის ომის ყველაზე უფრო კრიტიკული ეტაპი იყო. რუსეთის დედაქალაქი – მოსკოვი ცეცხლის ალში იყო გახვეული და რუსხელმწიფის კარზე კავკასია-საქართველოსათვის არავის ეცალა. ამას ისიც ემატებოდა, რომ საქართველოს ახალი მთავარმართებელი რტიშჩევი ჯარის მნიშვნელოვანი ნაწილით ყარაბაღში იდგა. საქმე იმაში იყო, რომ რუსეთ-საფრანგეთის გაცხოველებული ომის დროს სპარსეთის შემოტევისაგან უზრუნველსაყოფად ცენტრალურმა ხელისუფლებამ რტიშჩევისაგან დაჟინებით მოითხოვა, ყველა ღონე ეხმარა იმისათვის, რომ როგორმე ზავი დაედო სპარსეთთან. რტიშჩევი ისე იყო მონდომებული, შეესრულებინა უმაღლესი დავალება, რომ ადვილად წამოეგო შაჰის პროვოკაციულ წინადადებას, საზავო მოლაპარაკებისათვის ერთმანეთს რუსეთ-სპარსეთის საზღვარზე შეხვედროდნენ. ამ მიზნით რტიშჩევი არა მარტო თვითონ გაემგზავრა ყარაბაღისაკენ, არამედ ირანზე გავლენის მოსახდენად 3000-იანი რაზმიც თან წაიყვანა. რტიშჩევისა და აბას-მირზას წინასწარი შეთანხმებით, 40-დღიანი დროებითი ზავი გამოცხადდა და მთავარმართებელი დარწმუნებული იყო, რომ სასურველ შედეგს მიაღწევდა, მაგრამ სპარსეთი რომ სულაც არ ფიქრობდა ზავის დადებას და მთელი ეს მანევრი იქითკენ იყო მიმართული, რომ მთავარმართებელი გამოეტყუებინა საქართველოდან და ალექსანდრე ბატონიშვილისათვის საშუალება მიეცა, შეჭრილიყო საქართველოში, ამას რტიშჩევი მხოლოდ ბოლოს მიხვდა. ამჯერად იგი ყარაბაღში ამაოდ ცდილობდა აბას-მირზასთან მოსალაპარაკებლად შეხვედრას, საქართველო კი

მასზე უფრო უგერგილო გენერლის – დიმიტრი ორბელიანის ანაბარა იყო მიტოვებული. დიმიტრი ორბელიანმა ჯერ კიდევ აგვისტოს დასაწყისში მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ ალექსანდრე ბატონიშვილს განზრახული ჰქონდა კახეთში მალულად შემოსვლა, რისთვისაც უკვე მზადაც იყო. იმ დღიდან მოყოლებული, დიმიტრი ორბელიანი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ყველა იმ ფონის დაცვა-გამაგრებას, რომლითაც შეეძლო ბატონიშვილს კახეთში შეღწევა. 25 აგვისტოს ორბელიანმა გაიგო, რომ ბატონიშვილი 70 კაცამდე ამალის თანხლებით გამოვიდა ერევნიდან, რათა ყარაღაჯის გავლით აიღოს მიმართულება დიღმისა და საგურამოსაკენ, იქიდან კი თიანეთისაკენ აპირებსო წასვლას. ამ ცნობის მიღების შემდეგ ორბელიანმა მტკვარზე გადასასვლელებისა და თიანეთისაკენ მიმავალი ხეობების დაცვა გააასკეცა. 6 სექტემბრით დათარიღებული ბარათით კი 2 დღე-ღამის განმავლობაში მტკვრის ფონებზე ყარაულობიდან მობრუნებული დიმიტრი ორბელიანი რტიშჩევს მოახსენებდა, რომ ამ წუთას შემატყობინეს, კავთისხევთან მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ალექსანდრე ბატონიშვილი თავისი ხალხით დახეტიალობს და მტკვარზე გადასვლას ლამობსო. დიმიტრი ორბელიანს, რომელსაც, მისი აზრით, ისე საიმედოდ ჰქონდა თიანეთისაკენ მიმავალი გზები შეკრული, რომ მის გაუგებრად ჩიტიც ვერ გადაფრინდებოდა, ეჭვიც კი აღარ ეპარებოდა, რომ ალექსანდრე ბატონიშვილს სულ ადვილად იგდებდა ხელთ და გახარებული ქართველი გენერალი რტიშჩევს სწერდა, წარმატებას მაშინვე მოხსენებითი ბარათით შეგატყობინებთო. მართალია, ამავე 6 სექტემბრის თარიღით ორბელიანს მართლაც მოუხდა ხელახალი მოხსენებითი ბარათის გაგზავნა მთავარმართებლისათვის, მაგრამ ამ ბარათით წარმატების ნაცვლად გაწბილებული გენერალი თავის მარცხს ამცნობდა მთავარმართებელს: ალექსანდრე ბატონიშვილმა თავის ხალხით, ჩემ მიერ მიღებული ზომების მიუხედავად,

5-ში ღამით უვნებლად გადალახა მტკვარი და თიანეთისაკენ გაემართაო. ალექსანდრე ბატონიშვილმა მართლაც რომ შეუძლებელი შეძლო. მან მოხერხებულად აუბნია გზა-კვალი თავის მდევრებს, რომელთაც დანამდვილებით იცოდნენ მისი მოსალოდნელი შემოსვლის ადგილი და თარიღი და მტკვრის ფონებზე მის დარაჯობაში ორ ღამენათევ ორბელიანსა და მის რაზმს, იმ დროს, როდესაც ისინი დიდგორიდან პირდაპირ მთებზე გადმოვლით თბილისისაკენ მიემართებოდნენ, ფეხქვეშ გაუძვრა და მცხეთის ზევით, კავთისხევის მიდამოებში, კოწახურას ფონზე მშვიდობიანად გადალახა მტკვარი. იმ დროს, როდესაც ორბელიანი სწერდა რტიშჩევს, ბატონიშვილი კავთისხევთან მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე უნახავთ, სულ მალე დავიჭერ და შეგატყობინებთო, იგი უკვე თიანეთისაკენ მიეშურებოდა.

თიანეთში მისვლისთანავე, 7 სექტემბერს, ბატონიშვილმა პირველ რიგში გაბრიელ ყაზბეგთან აფრინა წერილი. ალექსანდრე ბატონიშვილს შესანიშნავად ესმოდა, რა მნიშვნელობა ექნებოდა მისი გამარჯვებისათვის რუსეთ-საქართველოს გზის შეკვრას. ეს კი მთის ყველაზე უფრო გავლენიან ფეოდალზე, გაბრიელ ყაზბეგზე დიდად იყო დამოკიდებული. ბატონიშვილმა ისიც კარგად იცოდა, რომ 1804 წელს, მთიულეთის აჯანყების დროს, ყაზბეგმა რუსული ხელისუფლების მხარე დაიჭირა და მის მერეც რუსეთის ერთგულებას იჩემებდა, ამიტომაც გაბრიელ ყაზბეგის მისამხრობად ძალას არ იშურებდა. როგორც 7 სექტემბრის წერილიდან ჩანს, ეს არ იყო გაბრიელ ყაზბეგისადმი გაგზავნილი პირველი წერილი. ბატონიშვილი დიდ პატივისცემას ჰპირდებოდა ყაზბეგს და არწმუნებდა, რომ „მაგ რუსებისა წარმავალი არის და ჩვენი წყალობა წარუვალი და საშვილიშვილო არის, ღმერთს ერწმუნე, ყოვლის შენის გულისწადილს აღგისრულებთ“. ოღონდ ამ წერილის მიღებისთანავე გზები წაახდენინე, რაც ხიდები არის, ჩააქცევინე და

აქ, თიანეთს წამოდი. ჩვენც აქ ფშავისა და ხევსურეთის ჯარს ვეძახითო.

12 სექტემბერს ბატონიშვილის მიერ დამოწმებული, ერთობით არაგველებისა და ფშავლების წერილი გაუგზავნეს ყაზბეგს, სადაც სწერდნენ, რომ ფშავი და არაგვი ერთიანად გაფიცული ვართ და თუ შენ ჩვენი ძმობიდამ არ გასულხარ, როგორც ჩვენ ვართ თავდადებული ბატონიშვილისა და ბაგრატიონებისთვის, შენც ისე უნდა მოიქცეო. „თუ ჩვენის ძმობიდან გამოხვალ და ამდენს სულს გვიმუხანათებ, ვინც მოკვდება, ჩვენი სისხლი შენს კისერზედ იქნება და ყოველთვის ჩვენი მოსისხლე იქნები“-ო. დაბოლოს, ჩვენს ხელთ არის კიდევ ერთი წერილი ბატონიშვილისა ყაზბეგისადმი, რომლითაც ყაზბეგს ყმა-მამულით საშვილიშვილოდ გამდიდრებას ჰპირდებოდა ბატონიშვილი და იქვე დასძენდა, რომ ეს მეათე წიგნია და უკანასკნელი, შენგან პასუხი ვერა მივიღეთ რაო. გაბრიელ ყაზბეგი ბოლომდე რუსული ხელისუფლების ერთგული დარჩა, რის სანაცვლოდ გენერლის ჩინი დაიმსახურა. თიანეთიდანვე ბატონიშვილმა ქვეყნის ყველა კუთხეში აფრინა შიკრიკები და ქართველ ხალხს თავისი დროშის ქვეშ დარაზმვისაკენ მოუწოდა.

ალექსანდრე ბატონიშვილის სასწრაფოდ განსახორციელებელ მიზნებში საქართველოს სამხედრო გზის ჩაკეტვის გარდა, ქართლის აჯანყებაც შედიოდა და ის განსაკუთრებული გულმოდგინებით ცდილობდა ქართლელი თავადაზნაურობის მიმხრობას. რევაზ ერისთავისადმი მიწერილ წერილში იგი აღნიშნავდა, რომ კახელი თავადები ყველა უკლებლივ ჩვენთან არიან. მარტყოფიდან დაწყებული მატაანამდე და თიანეთამდე მცხოვრები ყველა ჩვენთან მოვიდა. ჩვენს საქმეს კარგი პირი უჩანს და ელიზბარ ერისთავი დაუყოვნებლივ გამოგზავნეთ ჩვენთან, თქვენ კი ქსანელების პარტიებად წამოსვლა უზრუნველყავითო. მაგრამ ერისთავებისათვის რუსეთის ხელისუფ-

ლების მიერ ერეკლე მეფის დროს ჩამორთმეული ყმა-მამულის დაბრუნების შემდეგ ეს თავადები რუსეთს სამუდამოდ გაუერთგულდნენ და რევაზ, ელიზბარ, მიხეილ, შანშე ერისთავები იყვნენ სწორედ ის პირები, რომელთა დახმარებითაც აჯანყებისათვის განწყობილ ქსნის ხეობის მოსახლეობის მორჩილებაში ყოლას ახერხებდა რუსეთი. რევაზ ერისთავმა ბატონიშვილის ეს წერილიც საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს წარუდგინა და ქვეყანაში წესრიგის შენარჩუნებაში დახმარება აღუთქვა. უკვე სექტემბრის ბოლოსათვის შანშე და ელიზბარ ერისთავები ატყობინებდნენ გუბერნატორს, რომ ალექსანდრე ბატონიშვილს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ქართლში შემოჭრა, მცხეთისა და გორის ციხის დაკავება; რომ ამ მიდამოებში მცხოვრები თავადები იმედის თვალით შეჰყურებენ ბატონიშვილს და რომ იქვე შორიახლო, აწყურში, იმერეთის ყოფილი მეფე სოლომონ II იმყოფება, რომელიც ქართლში აჯანყების პირველივე ნიშნების გამოჩენისთანავე მზად არის შემოსასვლელად. ყოველივე ამით სერიოზულად შეშფოთებული ერისთავები გუბერნატორისაგან გორისა და მცხეთის მიდამოებში დისლოცირებული ჯარების გაძლიერებას მოითხოვდნენ. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ბატონიშვილის მოწოდებას თუშ-ფშავ-ხევსურებთან და კახელებთან ერთად ქართლის მრავალი თავად-აზნაურიც გამოეხმაურა და ალექსანდრე ბატონიშვილთან მნიშვნელოვანმა ძალამ მოიყარა თავი, რომელიც რაზმებად დაყოფილი, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ებრძოდა რუსეთის ხელისუფლებას. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა გორჯასპი ნათალიშვილისა და პაპოა აბელიშვილის ხელმძღვანელობით მოქმედ რაზმებს, კავკასიის ხაზიდან მომავალი რუსის ჯარისათვის საქართველოს სამხედრო გზის ჩაკეტვას რომ ცდილობდნენ. საგარეჯოს მოურავის თადია ჩოლოყაშვილის მეთაურობით მოქმედი რაზმი წარმატებით ახორციელებდა მისთვის დაკისრებულ ამოცანას – კახეთსა

და თბილისს შორის კომუნიკაციების გაწყვეტას. ქართლიდან თიანეთ-თელავისაკენ მიმავალ გზებს ომან ჩოლოყაშვილის რაზმი იცავდა. თითონ ალექსანდრე ბატონიშვილმა კი კახეთში მოქმედ რაზმს უთავა. თავის მხრივ, რა თქმა უნდა, არც რუსეთის ხელისუფლება იჯდა გულხელდაჭდობილი. ყარაბაღში მყოფი მთავარმართებლის მაგივრად დატოვებულმა გენერალმაიორმა დიმიტრი ორბელიანმა სასწრაფოდ დაიწყო ჯარების თავმოყრა. მან უკვე 7 სექტემბერს ეგერთა პოლკის ერთი ბატალიონი პოლკოვნიკ ტახანოვსკის მეთაურობით გააგზავნა კახეთისაკენ, პოდპოლკოვნიკ პეჩორსკის უბრძანა ბატალიონით დაეკავებინა ბულაჩაური, რათა არ დაეშვა კახეთიდან ქართლში მეამბოხე რაზმთა შემოჭრა. გარდა ამისა, ორბელიანმა ახალქალაქის გარნიზონიდან მოხსნა ერთი ბატალიონი, შეუერთა მას მეორე – 46-ე ეგერთა პოლკის ბატალიონი, ამ რაზმს თითონ ჩაუდგა სათავეში და იმერეთიდან გამოძახებული გენერალ-მაიორი სიმონოვიჩის ჩამოსვლისთანავე, მისივე გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „ცეცხლითა და მახვილით" გაეშურა კახეთისაკენ, ამავე დროს დილიჟანში მდგარ ბარონ კლოდტს უბრძანა, მოეხსნა ხერსონის ერთი ბატალიონი და პირდაპირი გზით ყარაახსაკალის გავლით გაეგზავნა ქიზიყისაკენ. კავკასიის ჯარის მთავარსარდალს, გენერალ-მაიორ პორტნიაგინს ორბელიანის თხოვნით რტიშჩევმა გაუგზავნა სამი ბატალიონი ჯარისკაცი. მართალია, პორტნიაგინმა საქართველოს სამხედრო გზის დასაცავად ერთი ბატალიონის მეტის გამოგზავნა ვერ შეძლო, მაგრამ საბოლოო ჯამში ქვეყნის ყველა კუთხიდან კახეთში რეგულარული ჯარის ნაწილების გაგზავნის შემდეგ მნიშვნელოვანი სამხედრო ძალა შეგროვდა. მაგრამ ამ ფაქტის მიუხედავად, ბატონიშვილმა მაინც მოახერხა თავისი ცვალებადი რაოდენობის რაზმებით 3-4 თვის განმავლობაში სერიოზული წინააღმდეგობა გაეწია და ზიანიც მიეყენებინა არტილერიით აღჭურვილი რეგულარული ჯარებისათვის.

ალაქსანდრე ბატონიშვილმა თავიდანვე იგდო ხელთ ინიციატივა და მის წინააღმდეგ მოქმედი ჯარების მთავარსარდალს – დიმიტრი ორბელიანს პარტიზანული ბრძოლა მოახვია თავს. როგორც საკითხის გარშემო არსებულ პირველწყაროებსა და გამოკვლევებში ერთხმადაა აღნიშნული, დიმიტრი ორბელიანის ხელმძღვანელობით სამხედრო მწყობრში დარაზმული ქვეითი ჯარი ზარბაზნებით, მძიმე არტილერიითა და აღალით გარშემორტყმული, ზლაზვნითა და ტაატით ვიდრე ერთი პუნქტიდან მეორისაკენ გადაინაცვლებდა, ალექსანდრე ბატონიშვილი მსუბუქი და მოუხელთებელი ცხენოსანი რაზმით მოულოდნელად ხან სად დაესხმოდა თავს და ხან სად, ზიანს მიაყენებდა და თვითონაც გვარიანად დაზარალებული, მსწრაფლ გაეცლებოდა, მაგრამ უკვე რამდენიმე დღეში ახალი ძალებით გარშემოყრილი, ორბელიანისათვის სრულიად მოულოდნელ ადგილას გამოჩნდებოდა. ორბელიანს პირველ ხანებში ყველა ეს ბრძოლა ალექსანდრე ბატონიშვილის საბოლოო დამარცხება ეგონა და გვიანღა მიხვდა, რომ ბატონიშვილმა თავისათვის ბრძოლის ყველაზე უფრო ხელსაყრელი ფორმა აირჩია, ორბელიანს იმ უპირატესობის გამოყენების საშუალება არ მისცა, რომელიც მას როგორც არტილერიით აღჭურვილი რეგულარული ჯარების მთავარსარდალს, ცვალებადი რაოდენობის, ჰაიჰარად შეიარაღებული ამბოხებული რაზმების წინაშე უნდა ჰქონოდა; ეს მაშინ, როცა ბატონიშვილი პარტიზანული ბრძოლის ყველა მინიმალურ უპირატესობასაც კი ამომწურავად იყენებდა და თვით ორბელიანის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ბატონიშვილისათვის საქართველოს მთა-ბარსა და ტყე-ღრეში ყველგან გზა ხსნილი იყო, ჩვენთვის კი მის დასადევნებლად და გზის მოსაჭრელად არც ერთი ბილიკი არ აღმოჩნდაო. მაგრამ რუსეთში განსწავლული და რუსული ხელისუფლების უზომოდ ერთგული გენერალი ამას გვიან მიხვდა. დასაწყისში კი მისი მოხსენებითი ბარათები ოპტიმიზმით იყო გამსჭვალული და ისეთ

შთაბეჭდილებას უქმნიდა ყარაბაღში მყოფ მთავარმართებელს, თითქოს საქართველოში ყველაფერი რიგზე იყო და ბატონიშვილიც უკვე განადგურებული თუ არ იყო, დღედღეზე იძულებული იქნებოდა, ბრძოლაზე საბოლოოდ აეღო ხელი.

როგორც აღვნიშნეთ, უკვე 7 სექტემბერს კახეთში, ქიზიყში გაიგზავნა რაზმი პოლკოვნიკ ტიხანოვსკის სარდლობით. 9 სექტემბერს ორბელიანმა ტიხანოვსკის უბრძანა 9 როტის თანხლებითა და სამი ქვემეხით წამოსულიყო თელავისკენ, შეეერთებინა უშაკოვის სარდლობით აქ მდგომი რუსის ჯარი, თელავში გარნიზონი დაეტოვებინა და თითონ ალავერდის ეკლესიასა და თელავის ციხეს შორის დაბანაკებულიყო, რათა ბატონიშვილისათვის ქიზიყისკენ მიმავალი გზა გადაეკეტა და რაც მთავარია, როგორც ხმა გავრცელდა, 14 სექტემბერს, ალავერდობა დღეს, ბატონიშვილის მოსალოდნელი მეფედ კურთხევის ცერემონიალისათვის ხელი შეეშალა. ტიხანოვსკი ერთი კვირა ელოდა ალავერდის ეკლესიასთან ბატონიშვილის გამოჩენას, მაგრამ ამ მიდამოებში სრული სიწყნარე იყო. მალე მან მიიღო ცნობა, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი სოფელ შილდაში მისულიყო, სადაც მასთან აჯანყებული კახელები და დაღისტნიდან მოსული ლეკთა რაზმები გროვდებოდნენ. ტიხანოვსკიმ სასწრაფოდ გადალახა ალაზანი და 20 სექტემბერს დილით სოფელ შილდაში დაბანაკებულ აჯანყებულებზე მიიტანა იერიში. ამბოხებულთა რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად, ტიხანოვსკიმ ხელჩართულ ბრძოლაში დაამარცხა და გაფანტ-გამოფანტა აჯანყებულები, სოფელი შილდა კი გადაწვა. უკვე ეს ბრძოლა გენერალმა დიმიტრი ორბელიანმა ალექსანდრე ბატონიშვილის სერიოზულ დამარცხებად აღიქვა და სიმონოვიჩისა და რტიშჩევისადმი მიწერილ მოხსენებით ბარათებში აღნიშნავდა, რომ ბატონიშვილის „ხროვა" გაფანტულ-გამოფანტულია, თვით ალექსანდრე ბატონიშვილი კი უკიდურესობამდეა მიყვანილი. სინამდვილეში კი მდგო-

მარეობა სულ სხვაგვარი იყო და უკიდურესობამდე მიყვანილი კაცის შთაბეჭდილებას უფრო პოლკოვნიკი ტიხანოვსკი ტოვებდა, რომელიც 20 სექტემბერს სიღნაღში მყოფ ორბელიანს აცნობებდა რა თავის გამარჯვებას, იქვე დასძენდა, რომ „ამჟამად იგი (ალექსანდრე ბატონიშვილი, – ე.ო.) დარჩენილი ჯარით ხეობაში იმყოფება და ყველა გაღმა ალაზნელი მასთან გროვდება. მე ჩემი რაზმით დავიხიე მოწინავე პოზიციებიდან და გთხოვთ იჩქაროთ ჯარებით ჩემსკენ წამოსვლა, რადგანაც ყველა მაცხოვრებელი ჩვენ გვტოვებს, მასთან გარბიან და ცდილობენ, რომ მე და ჩემს რაზმს ალაზნის გადალახვის და გზის გაგრძელების საშუალება არ მოგვცენ“. როგორც ვხედავთ, ტიხანოვსკიმ ეპიზოდური გამარჯვების მიუხედავად, არამც თუ თავისი მთავარი ამოცანის, ბატონიშვილისათვის გზის გადაკეტვის შესრულება ვერ შეძლო, არამედ თვითონ აღმოჩნდა მომწყვდევის საშიშროების წინაშე. სიღნაღიდან ტიხანოვსკის რაზმთან შესაერთებლად წასვლა ორბელიანმა მხოლოდ 28 სექტემბერს მოახერხა, როცა, როგორც იქნა, მიაღწია სიღნაღში ხერსონის პოლკის ბატალიონმა. დიმიტრი ორბელიანმა სიღნაღის დაცვა მაიორ ორბელიანს ჩააბარა, რომლის განკარგულებაში 260-კაციანი რაზმი და ორი ქვემეხი რჩებოდა. რა თქმა უნდა, ისეთ სიტუაციაში, როცა ოპტიმისტურად განწყობილი დიმიტრი ორბელიანის აზრითაც კი დღე-დღეზე ქიზიყის საყოველთაო აჯანყება იყო მოსალოდნელი, ქალაქის დასაცავად ეს რაზმი არ იკმარებდა და გენერალმა დამატებით კიდევ ორი როტა გამოითხოვა და იმით დაიმედებული, რომ სულ მალე თბილისიდან გამოძახებული ჯარი დაეხმარებოდა მაიორს ქალაქის დაცვაში, თვითონ მთავარი ძალებით ტიხანოვსკის საძებნელად გასწია, რომლის შესახებაც კომუნიკაციების გაწყვეტის გამო აღარაფერი ცნობები აღარ ჰქონდა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ დროისათვის კახეთის ყველა სოფელი ჩართული იყო აჯანყებაში. თადია და ომან ჩოლოყაშ-

ვილის რაზმების მოქმედების შედეგად გაწყვეტილი იყო კავშირი თბილისსა და კახეთს შორის და ეს რაზმები ისე ბეჯითად იცავდნენ ქართლიდან კახეთში თიანეთისა და თელავისაკენ მიმავალ გზებს, რომ სიღნაღის დასაწყნარებლად წამოსულმა რაზმმა სოფელ პატარძეულის მახლობლად აჯანყებულებთან შეტაკების მერე მხოლოდ ეგერთა პოლკის მიშველების შედეგად შეძლო ოქტომბრის პირველი რიცხვებისათვის სიღნაღში შეღწევა. ალექსანდრე ბატონიშვილი თვალ-ყურს ადევნებდა დიმიტრი ორბელიანის რაზმის მოძრაობას და შეეცადა, ხელი შეეშალა მისი და ტიხანოვსკის რაზმების შეერთებისათვის. 28 სექტემბერს ველისციხისკენ მიმავალ ორბელიანს შავტყეში თავს დაესხა ბატონიშვილი და მძიმედ დაზარალებულმა ორბელიანმა გზის გაგრძელება ვეღარ გაბედა. იგი ველისციხის მახლობლად ალაზნის ფონზე სოფელ კალაურთან დაბანაკდა. ამ დროისათვის ტიხანოვსკი ალაზნის მარცხენა მხარეს სოფ. ფაშაანის ფონზე გენერალ ორბელიანის რაზმის პირდაპირ მოსულიყო, ალექსანდრე ბატონიშვილი კი ველისციხის პირდაპირ სოფელ ახაშენის მახლობელი მთიდან ადევნებდა მათ თვალყურს და ალაზნის ორივე მხარე ეჭირა. მასთან ქართველი თავადებისა და ლეკების რაზმების გარდა ქიზიყის მთელი მოსახლეობა იყრიდა თავს. 1 ოქტომბრისათვის დიმიტრი ორბელიანმა სოფელი ველისციხე გადაწვა, თვითონ კი ალაზნისკენ გაიჭრა და ბატონიშვილის მიერ გაწეული წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც მოახერხა ალაზნის გადალახვა და ტიხანოვსკისთან შეერთება. აი როგორ აუწერდა ამ ბრძოლას ალექსანდრე ბატონიშვილი გორჯასპი ნათალიშვილს: „ამას წინად რომ შილდას შემოვიდა ტახუნევის ჯარი და როგორც რისხვა მღთისა დაეცა და რამდენიც მოკვდა ეს ხომ მოგწერეთ და კიდეც მოგსვლია. ახლა კიდევ ისევე შეფი გაგვეპარა და ყვარლის ციხეში მივიდა. ქისიყიდამ დიმიტრი კნიაზი წამოვიდა. ერთმანეთისთვის ყავლი მიეცათ და ზარბაზნები

დაუცალეს. ესეც ყვარლიდამ გამოვიდა და ფაშაანის ფონზე მივიდა. აქედამ ამას დახვდა ჩვენი ჯარი და გაღმიდამ კნიაზს და მოუხდათ სროლა. დილით მოკიდებული საღამომდის განუწყვეტელი ცეცხლი იყო. იმდენი ღთის წყალობა გაქვთ, რამდენი სალდათი აქეთა და იქით მოუკალით და ისე უფროსები. ჯარი რომ დაიღალა, და ღამემაც უსწრა, ჩამოეცალნენ და ჩვენი ჯარი რომ ნახეს ხელაღებული, ღამე მოპარვით ფაშაანში ერთად შეიყარნენ და ამავე შილდის ბოლოს დადგნენ. ჩვენც გზა მივეცით და ველისციხის ბოლოს იმათს ნასადგომარზე ჩვენ დავდექით". ტიხანოვსკისთან შეერთების შემდეგ ორბელიანი გაემართა ბატონიშვილის საძებნელად. მას იგი სოფელ საბუეში ეგულებოდა, მაგრამ აქ მას მხოლოდ აჯანყებულთა მცირერიცხოვანი რაზმი დახვდა. გენერალმა საბუე გადაწვა, თითონ ენისელში დაბანაკდა, ამ სოფლის მოსახლეობას ერთგულების ფიცი დაადებინა, 4 ოქტომბერს კი გეზი კვლავ ველისციხისაკენ აიღო, რომლის მახლობლადაც, როგორც ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი წერილიდან ჩანს, სოფელ ტოღნიანის ფონთან ალექსანდრე ბატონიშვილი იყო გაჩერებული. 5 ოქტომბერს სანავარდოსთან მოხდა შეტაკება მათ შორის. დიმიტრი ორბელიანის აღწერით ამ ბრძოლაში მიუხედავად იმისა, რომ ბატონიშვილის მხარეზე ოცამდე ლეკთა დროშა იბრძოდა, აჯანყებულებმა საგრძნობი დამარცხება იგემეს, რუსთა ჯარმა ლეკების 8 დროშა, აჯანყებულთა მთელი ბანაკი (ნაბდები, ქურქები, პური) ჩაიგდო ხელში და მრავალი მათგანი დახოცა. ალექსანდრე ბატონიშვილი კი გორჯასპი ნათალიშვილისადმი მიწერილ იმავე წერილში ამ ბრძოლის შედეგების შესახებ სრულიად საწინააღმდეგო აზრისა იყო. დიმიტრი ორბელიანმა და ტიხანოვსკიმ თავისი რეგულარული ჯარით გამოღმა გამოსვლა რომ დააპირესო, – სწერდა იგი გორჯასპი ნათალიშვილს, – „სანავარდოელნი და 400 ლეკი იმ ფონებზე დახვდნენ და სროლა აუტეხეს. აქედამ ჩვენი ქისიყისა და ლეკის ჯარი შეეჯახნენ

და საშინელი სროლა მოხდა, რომ სულ ყათლანი დამართეს. ასე გასინჯეთ, რომ ვინც დაჭერილი ჰყვანდათ, ისინიც წყალში ყარეს და საღამომდის ერთმანეთში ასეთი ომი იყო. ორი ლეკი მოგვიკლეს და ოთხი დაგვიჭრეს. სხვა ჩვენს ჯარს არა ვნებია რა ღვთით. ახლა გალმა-გამოღმა ვდგევართ. ღთის მოწყალებით ჩვენ ჯარები გვემატება, ეს რუსები სუსტდებიან. დღეს რომ ამ თვის 8 ამდენი არის და ორშაბათი ხვალ დიდრონს ჯარებს მოველით. ორმოცი ათასი კაცი უნდა შესრულდეს და მერმეთ ესენი რომ მოვლენ, ზედ მივალთ და ღვთის შემწეობის იმედი გვაქვს, რომ სულ დავამხვათ". ასე დაიმედებული ბატონიშვილი ბრძოლით გაეცალა რუსებს და კვლავ შილდის თავს დადგა, სადაც იგი ლეკთა რაზმის შემატებას მოელოდა.

ალექსანდრე ბატონიშვილის ამჯერადაც ხელიდან გასხლტომის და მისი გაურკვეველი მიმართულებით მიმალვის შედეგად განბილებული ორბელიანი ქიზიყისკენ წასვლას და იქიდან დამხმარე ჯარის გამოყვანას აპირებდა, რათა ამგვარად გაძლიერებული თავისი კოლონა ორად გაეყო და ალაზნის ორივე, მარცხენა და მარჯვენა ნაპირზე ერთდროულად დადევნებოდა ბატონიშვილს და ამგვარად შემდგომში მაინც არ მიეცა მისთვის ასე უცაბედი გადაადგილებისა და გაუჩინარების საშუალება. მაგრამ დაჭრილების თელავში მოსათავსებლად მიმავალმა ორბელიანმა გაიგო რა, რომ ბატონიშვილი ლეკთა რაზმებთან ერთად შილდაში იყო გამაგრებული, ველისციხეში დაბრუნდა და 10 ოქტომბერს სისხამ დილით გადამწყვეტი იერიში მიიტანა აჯანყებულებზე, შილდაში, ბაღ-ვენახებში ყოველ ნაბიჯზე ხერგილები და მიწაყრილები იყო გაკეთებული, რომლებსაც თავგამეტებით იცავდნენ ამბოხებულები და თითოეული მათგანის აღება ბრძოლით უხდებოდა მტერს. კახელები და ლეკები გააფრთებული იბრძოდნენ, ისინი ტყვედ ჩავარდნას რუსების ხიშტზე წამოგებას არჩევდნენ. ბრძოლამ თითქმის მთელ დღეს გასტანა და მხოლოდ შებინდებულზე

შეძლეს ორბელიანმა, ტიხანოვსკიმ და ერისთავმა ალექსანდრე ბატონიშვილის სოფლიდან გამოდევნა, რომელმაც შილდის ხეობის წვერში მთასა და ტყეს შეაფარა თავი. ორბელიანმა ყველა გამოსასვლელი დაიკავა და იმით გულდამშვიდებულმა, რომ ამჯერად ბატონიშვილი საიმედოდ ჰყავდა მომწყვდეული და ვერსად წაუვიდოდა, სოფლის განადგურებას მიჰყო ხელი. 14 ოქტომბერს ორბელიანი მთავარმართებელს მოახსენებდა, რომ „იმის გამო, რომ შილდამ ორჯერ მიიღო ბატონიშვილი და ორჯერვე მოსახლეობა ჩვენ წინააღმდეგ იბრძოდა, მე სოფლის საფუძვლიანად ამოგდება გადავწყვიტე, გავანადგურებ არა მარტო სახლებს, არამედ ბაღ-ვენახებს, მეორე დღეა სოფელს ცეცხლი უკიდია და თანდათანობით ნაცარ-ტუტად იქცევა, ეხლა პოლკოვნიკი ერისთავი გავგზავნე მთელი ბაღ-ვენახების გასანადგურებლად"-ო. მაგრამ იმავე 14 ოქტომბერს, ორბელიანს კიდევ ერთი მოხსენებითი ბარათის შედგენა დასჭირდა, რომლის ტონი მკვეთრად განსხვავდებოდა ზემოთ მოტანილი მოხსენებისაგან. საქმე იმაში იყო, რომ შილდის თავს მდგომი ბატონიშვილი ლეკების ახლად მოსული 2000-კაციანი რაზმით ბაღ-ვენახების განადგურებაში გართულ მიხეილ ერისთავს სამი მხრიდან შემოერტყა გარს და ორბელიანს დროზე რომ არ მიეშველებინა მისთვის დამხმარე რაზმი, ერისთავს ალბათ თავის დაღწევა გაუჭირდებოდა. ალექსანდრე ბატონიშვილი კი თავისი რაზმით ამჯერადაც უვნებლად გაეცალა მტერს და გაურკვეველი მიმართულებით მიიმალა. ბატონიშვილის ამჯერადაც ხელიდან გასხლტომით ნირწამხდარი ორბელიანი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ „ბატონიშვილი თავს მარიდებს და ადვილად ინაცვლებს ერთი ადგილიდან მეორისაკენ. მე კი იმის გამო, რომ ხალხი ცოტა მყავს და აქაც კრიტიკული მდგომარეობაა შექმნილი, ვერ გამიყვია ჩემი რაზმი ორად, რომ მდინარის ორივე ნაპირზე ერთდროულად ვიმოქმედო. ყველგან კუდში დავდევ მას, ვიბრძვი და ვკარგავ მეომ-

რებს, რადგანაც სრულიად აღსდგა მთელი ერი ჩვენს წინააღმდეგ. მას ყველგან იღებენ და ადვილად მისხლტება ხელიდან". გაწბილებული გენერალი ყარაბაღიდან ახლად დაბრუნებულ მთავარმართებელს ორი-სამი ბატალიონი ქვეითი ჯარისა და კავალერიის გამოგზავნას ემუდარებოდა და იმედოვნებდა, რომ ალაზნის ორივე მხარეზე ერთდროულად მოქმედი ჯარი თუკი ეყოლებოდა, მოსახლეობა დაშინდებოდა, მიატოვებდა ბატონიშვილს და ისიც აქეთ-იქით „ხეტიალს" ვეღარ შესძლებდა. ორბელიანი რტიშჩევს ჰპირდებოდა, რომ ჯარს ადგილზევე გამოკვებავდა და ხაზინას არავითარ სიძნელეს არ შეუქმნიდა, მაგრამ ყარაბაღიდან ახლად დაბრუნებულ მთავარმართებელს სხვა, უფრო საჩქაროდ გადასაჭრელი პრობლემა დახვდა. კერძოდ, როგორც აღვნიშნავდით, საქართველოს სამხედრო გზის მიდამოებში აჯანყების ორგანიზების და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაწყვეტის მიზნით, ალექსანდრე ბატონიშვილმა პაპოა აბელიშვილი და გორჯასპი ნათალიშვილი გაგზავნა. უკვე სექტემბრის დასაწყისში მათ გარშემო ექვსი ათასამდე ამბოხებულმა მოიყარა თავი და ხევსა და მთიულეთში საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა. აჯანყებულებმა გაბრიელ ყაზბეგის მიმხრობა რომ ვერ შეძლეს, ორჯერ დაარბიეს მისი სახლკარი და ეს უკანასკნელი აიძულეს, ლარსში ჯანხოტ დუდაროკოსთან გახიზნულიყო. აჯანყებულები ორჯერ შეეცადნენ დარიალის მთავარი ხიდის აღებასაც. მართალია, ვლადიკავკაზის კომენდანტის, გენერალ დელპოცოს მიერ დროულად მიღებული ზომების შედეგად მათ ეს ვერ მოახერხეს, მაგრამ კაიშაურიდან დაწყებული დუშეთამდე ყველა ხიდი დაანგრიეს. სექტემბრის ბოლოსათვის ფასანაური ალყაში იყო მოქცეული. მაიორ ნიკოლსკის, რომელიც 20-კაციანი რაზმით საგუშაგოების დასათვალიერებლად მიდიოდა, ფასანაურის მახლობლად თავს დაესხნენ აჯანყებულები, მოკლეს ნიკოლსკი, მთავარმართებელის მიერ პეტერბურგში გაგზავნილი კურიერი და

რამდენიმე ჯარისკაცი. ამათ გვამების წამოსაღებად წასულ რაზმს კაიშაურიდან ანანურამდე გზა აჯანყებულებით დაკავებული დახვდა. რაზმის საშველად ბულაჩაურიდან სასწრაფოდ გაეშურა პოლკოვნიკი პეჩორსკი, მაგრამ ფასანაურთან მთიულებმა პეჩორსკიც ალყაში მოიმწყვდიეს. მდგომარეობა თანდათან იძაბებოდა და კრიტიკულ ხასიათს იღებდა. მართალია, სამხედრო გზაზე განლაგებული ყველა საგუშაგო ჯერჯერობით რუსების ხელთ იყო, მაგრამ თითოეულ მათგანში ისე მცირე გარნიზონი იდგა, რომ თითქმის მთელ სამხედრო გზაზე აჯანყებულები ბატონობდნენ. ისინი თბილისის მახლობლად ღართისკარშიც კი გამოჩნდნენ. სასწრაფოდ გადამწყვეტი ზომების მიღება იყო საჭირო, რადგანაც აჯანყებულების მიერ დუშეთის აღების შემთხვევაში ქსნის ხეობასა და მთელ ქართლში აჯანყების საყოველთაო გავრცელება იყო მოსალოდნელი. სიმონოვიჩმა, სხვა გზა რომ არა ჰქონდა რა, ბორჩალოდან გამოიყვანა სამი როტა და პოლკოვნიკ კრაბეს მეთაურობით ფასანაურისკენ გაგზავნა. ამავე დროს, გენერალმა დელპოცომ ვლადიკავკაზიდან კაპიტან გურლებუშის ხელმძღვანელობით ერთი ბატალიონი ჯარი მოაშველა. ოქტომბრის შუა რიცხვებისათვის რტიშჩევის ყარაბაღიდან დაბრუნების დროს, თბილისი-ვლადიკავკაზს შორის კავშირი კვლავ გაწყვეტილი იყო და ამ გარემოებით შეშფოთებულმა მთავარმართებელმა პირველ რიგში სამი ბატალიონი ჯარი გენერალ სიმონოვიჩის მეთაურობით სწორედ საქართველოს სამხედრო გზის გასაწმენდად გაგზავნა. ჯერ კიდევ სიმონოვიჩის ანანურში მისვლამდე, ორი მხრიდან – ვლადიკავკაზიდან და თბილისიდან წამოსული რაზმების დახმარებით, პეჩორსკიმ კაიშაურიდან დაწყებული ანანურამდე გაათავისუფლა არაგვის ხეობა აჯანყებულებისაგან, სიმონოვიჩის მისვლის შემდეგ კი ორივენი ენერგიულად შეუდგნენ ხევისა და მთიულეთის სოფლებიდან კონტრიბუციის აკრეფასა და მოსახლეობის დამძევლებას. იქაური მო-

სახლეობის მიერ რუსხელმწიფისადმი მიცემული ერთგულების ფიცის განახლებაში რუსულ ხელისუფლებას დიდი სამსახური გაუწია გაბრიელ ყაზბეგმა, რომელიც უკვე გულმოცემული, მაიორ გურლებუშის ჯარებს მოჰყვა ვლადიკავკაზიდან. ხევისა და მთიულეთის სოფლების ქევხა-მამასახლისები, მღვდლები და მოხუცები მორჩილების ნიშნად კისერზე ხმალშებმულები ცხადდებოდნენ მათთან და შეწყალებას ითხოვდნენ.

1 ნოემბრისათვის სიმონოვიჩი აცნობებდა მთავარმართებელს, რომ თბილისიდან დაწყებული კაიშაურამდე ყველა გზა თავისუფალი იყო, რომ მან პეჩორსკის რაზმთან ერთად თიანეთისაკენ მიმავალმა, უღლისის მთაზე ომან ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობით შეკრებილი და მიწაყრილებითა და ხერგილებით გამაგრებული ფშავ-ხევსურები გაფანტა. თიანელი მოსახლეობის დასჯისა და კონტრიბუციის აკრეფის შემდეგ კი სიმონოვიჩი ორბელიანის დასახმარებლად აპირებდა წასვლას.

როგორც აღვნიშნავდით, შილდასთან მომხდარი ბრძოლის შემდეგ ალექსანდრე ბატონიშვილი თავისი რაზმით კვლავ გენერალ ორბელიანისათვის გაურკვეველი მიმართულებით მიიმალა. ორბელიანს ბატონიშვილი ველისციხის მიდამოებში ეგულებოდა და რამდენიმე დღე სოფელ ტოლნიანის ფონთან ელოდებოდა მას, 18 ოქტომბერს კი გაიგო, რომ ბატონიშვილს გეზი ქიზიყისკენ აეღო, რომ სიღნაღთან მის მიახლოებისთანავე ქიზიყის მთელ მოსახლეობას მასთან მოეყარა თავი, ქიზიყელების გარდა ბატონიშვილთან ლეკთა ახალი რაზმიც მოსულიყო და სიღნაღის ციხე ბლოკადაში ჰყავდათ მომწყვდეული. სიღნაღში 260-კაციანი გარნიზონის გარდა, დიმიტრი ორბელიანის მიერ სპეციალურად გამოთხოვილი სამი როტაც იდგა, მაგრამ ისინი ბატონიშვილის ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი რაზმის გამკლავებას დიდხანს ვერ შესძლებდნენ, სიღნაღის აღებით კი კახეთი საბოლოოდ მოსწყდებოდა თბილისს. შეშფოთებული ორბელიანი სასწრაფოდ აიყარა და

სიღნაღისკენ გაეშურა. მისი მიახლოებით გათამამებულმა მაიორმა ივანე ორბელიანმა, რომელიც სიღნაღის გარნიზონის უფროსი იყო და ქალაქის დაცვას ხელმძღვანელობდა, ციხიდან გამოიყვანა რაზმი და სოფელი ვაქირი გადაწვა. დიმიტრი ორბელიანს კი შეატყობინა, რომ ბატონიშვილი თავისი ხალხით სოფელ მაღაროში იდგა. დიმიტრი ორბელიანმა ტიხანოვსკის მეთაურობით 500-კაციანი რაზმით უკან დასახევი გზა გადაუკეტა ბატონიშვილს, თვითონ კი 23 ოქტომბერს მსუბუქი რაზმით სოფლების პრასიანისა და მაჩხაანის გავლით ზურგიდან შემოუარა მას. როგორც კი დაიწყო ბრძოლა ბატონიშვილის ხალხსა და გენერალ ორბელიანს შორის, მაიორმა ივანე ორბელიანმა ციხიდან გამოიყვანა თავისი რაზმი და წინიდან ეკვეთა ამბოხებულებს. ალექსანდრე ბატონიშვილმა ორი მხრიდან მიტანილ იერიშს ველარ გაუძლო და ჩალაუბნისკენ დაიხია. ჩალაუბნის ხეობის პირში მომხდარ ბრძოლაში, როგორც დავით ბატონიშვილი მოგვითხრობს, რუსები იძლივნენ და დიდადაც დაზარალდნენ, ალექსანდრე ბატონიშვილმა კი ბუნებით დაცულ და მიუვალ ჩალაუბნის ხეობის სიღრმეს მიაშურა. დიმიტრი ორბელიანმა დადევნება ვერ გაბედა და დამხმარე ძალის მოლოდინში ხეობის შესასვლელი დაიკავა. მან, ხეობაში, მისი აზრით, საიმედოდ ჩაკეტილ ბატონიშვილს წერილობითი მოლაპარაკება გაუმართა. ბატონიშვილმა მალე შეწყვიტა მასთან მიწერ-მოწერა, დიმიტრი ორბელიანი კი თითქმის ერთი თვის განმავლობაში ელოდა, ვიდრე ნოემბრის ბოლოს არ გაიგო, რომ ბატონიშვილი კვლავ გასხლტომოდა ხელიდან და სოფელ მანავთან მისულიყო.

მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი თავისი ცვალებადი რაოდენობის, გაუწვრთნელი, ჰაი-ჰარად შეიარაღებული რაზმებით თითქმის ოთხი თვის განმავლობაში ტოლს არ უდებდა და მედგრად წინააღმდეგობას უწევდა ტყვია-წამლით, თოფებითა და ზარბაზნებით კარგად შეიარა-

ღებულ რეგულარულ არმიას, მაინც ოქტომბრის ბოლოსათვის უკვე აშკარა გახდა, რომ მას ბრძოლა წაგებული ჰქონდა. საქმე იმაში იყო, რომ ბატონიშვილის გეგმის განხორციელება: კახეთში რუსის ჯარის დამარცხება, ქართლის აჯანყება, თბილისის აღება და საქართველოს მოწყვეტა რუსეთისგან, გარეშე ძალის დაუხმარებლად ყოვლად შეუძლებელი იყო. 70-მდე კაციანი რაზმით საქართველოში შემოსულ ალექსანდრე ბატონიშვილს სპარსეთის მხრიდან ასეთი დახმარების დიდი იმედი ჰქონდა და რუსის ჯარის წინააღმდეგ გაფართოებული შეტევის მიტანას სპარსეთიდან აბას-მირზასა და ჰუსეინხანის სარდლობით ჯარების შემოჭრასთან ერთად აპირებდა. მაგრამ ოქტომბრის ბოლოს რუსი გენერლის კოტლიარევსკის მიერ ასლანდუზასთან აბას-მირზას სასტიკი დამარცხებისა და ირანის ჯარების თითქმის საყოველთაო განადგურების შემდეგ, ალექსანდრე ბატონიშვილი ბედის ანაბარა მიტოვებული აღმოჩნდა. ამ დროისათვის რუსულმა ხელისუფლებამ აჯანყების ლოკალიზაცია მოახერხა. ოქტომბრის ბოლოსათვის რუსეთის ერთგული ქართლელი თავადების მიერ მოწყობილი ერთგვარი ჯაჭვით კახეთიდან ქართლში მიმავალი ყველა ბილიკი და გადასასვლელი საიმედოდ იყო დაცული. თიანეთიდან შიგნით კახეთისკენ ორბელიანთან შესაერთებლად საგარეჯოხაშმის გზით წამოსული გენერალი სიმონოვიჩი კი გარე კახეთს აჯანყებულებისაგან თანდათანობით ათავისუფლებდა, ხოლო 21 ნოემბერს ხაშმში აჯანყებულების დამარცხების შემდეგ სიმონოვიჩის ორბელიანთან შეერთებას აღარაფერი შეუშლიდა ხელს. მათი შეერთება რომ არ დაეშვა, ბატონიშვილმა საბედისწერო გადაწყვეტილება მიიღო – ბუნებრივად გამაგრებული პოზიციები დათმო და მანავისაკენ გაეშურა, რათა ჯერ სიმონოვიჩი დაემარცხებინა და მერე შამობრუნებოდა ორბელიანს, მაგრამ დიმიტრი ორბელიანი ფეხდაფეხ დაედევნა მას. სიმონოვიჩიც, რომელსაც ხაშმისა და პატარძეუ-

ლის მოსახლეობა უკვე დამორჩილებული ჰყავდა, მძევლები აყვანილი და კონტრიბუცია დადებული, აიყარა საგარეჯოდან და მივიდა მანავს, სადაც შეუერთდა დიმიტრი ორბელიანის რაზმს. 26 ნოემბერს მანავის მახლობლად ჩაილურთან მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა. მართალია, ბატონიშვილს მიუვიდნენ გარეკახეთის სოფლები „საგარეჯოდან ვიდრე მარტყოფამდე“, მაგრამ ეს ბრძოლა მაინც მისი დამარცხებით დამთავრდა. ამჯერად რუსულმა ხელისუფლებამ მრავალგზის ნაცად ხერხს – მოსყიდვასაც მიმართა და 26 ნოემბერს მანავთან გამართულ გადამწყვეტ ბრძოლაში ბატონიშვილის დასახმარებლად მისულმა ლეკების რაზმმა თავიანთი ბელადის – ალისკანტის ხელმძღვანელობით რტიშჩევისაგან მოსყიდულმა, უცაბედად მიატოვა ბრძოლის ველი, აჯანყების ერთ-ერთმა მონაწილემ, ბარძიმ ჩერქეზიშვილმა კი რუსის ჯარს ქართველთა ბანაკის შესასვლელი უჩვენა. ამ გარემოებამ რუსებს საბოლოო გამარჯვების მიღწევა გაუადვილა.

მანავთან დამარცხების შემდეგ სამთვიანი ომით დაღლილი და განადგურებული გლეხობა სახლებში წავიდ-წამოვიდა, ბატონიშვილი კი საკმაოდ მრავალრიცხოვანი ამალით, რომელიც მისი უახლოესი და აქტიური თანამებრძოლი თავადაზნაურებისა და გლეხობისაგან შედგებოდა, გომბორის გზით გადავიდა შიდა კახეთში, აქედან კი თიანეთისაკენ გაიქცა. თიანეთში ბატონიშვილის ამალა ორად გაიყო. უმეტესი ნაწილი ალექსანდრე ბატონიშვილის თანამზრახველისა და თანაშემწის ხუდად-ბეგის მეთაურობით უჯარმის ხეობით ყარაიას ველზე გავიდა, სოფელ ყარაჯალასთან მტკვარი გადალახა და ირანში წავიდა. ბატონიშვილის ამალის ორად გაყოფამ მის მდევრებს გზები აუბნია. ხუდად-ბეგის მეთაურობით ირანისკენ მიმავალ ამალას მარტყოფსა და ყარაბულახს შორის კაზაკებთან შეტაკება მოუხდათ, რის შედეგადაც მათი ირანისკენ წასვლა გამჟღავნდა. რაკი ბატონიშვილის უახლოესი თანამებრძოლი

ხუდად-ბეგი ირანისაკენ მიმავალი ნახეს, ბატონიშვილიც აქვე დაიგულეს და თიანეთის მიმართულებით მისი დევნა შეასუსტეს. ბატონიშვილმა კი ამასობაში მცირე ამალით ფშავში მშვიდობიანად ჩასვლა მოახერხა, სადაც დიდხანს არ გაჩერებულა და პირიქით ხევსურეთში, შატილში გადავიდა. „თქვენ რომ გამოგეყარენით, – წერდა ალექსანდრე ბატონიშვილი ხუდად-ბეგს – ფშავში შემოვედით და იქ ხევსურნი მოგვივიდნენ და ხევსურეთში მიგვიპატიჟეს. ერთი თვე ხევსურეთში დავყავით, რაც ამათს სიღარიბეს შეეძლო, კარგის პატივით და მერმეთ კიდევ პირაქეთ გადმოვედით, რომელსაც შადილს ეძახიან...“.

საქართველოს მთავარმართებელი მანავის ბრძოლის შემდეგ, აჯამებდა რა ამ ბრძოლის შედეგებს, რუმიანცევს მოახსენებდა, რომ მადლობა ღმერთს, დამთავრდა ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ გამოწვეული „უსასტიკესი რევოლუცია“ კახეთში, რომელიც ოთხი თვის განმავლობაში გრძელდებოდა და მოსახლეობის არაჩვეულებრივი გააფთრებით გამოირჩეოდაო. იქვე რტიშჩევი ვერ მალავდა, რომ აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო კახეთის მთელმა მრავალრიცხოვანმა გლეხობამ უკლებლივ და რომ ყველაზე ცნობილი კახელი თავად-აზნაურები და თვით თავადაზნაურობის წინამძღოლი ნინია ანდრონიკაშვილიც კი, ენერგიულად იბრძოდნენ და ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ ჯარების გაძლიერება-გავრცელებას. ამჟამად კი სასოწარკვეთილი ბატონიშვილი, ყველასგან მიტოვებული, გაყინულ-გათოშილი და მშიერ-მწყურვალი, სალი კლდეების სიღრმეში იმალებაო. ჩანს, ვერც რტიშჩევი და ვერც ორბელიანი ვერ გაერკვნენ ვისთან ჰქონდათ საქმე, სინამდვილეში, ხევსურეთში შეხიზნული ბატონიშვილი ბრძოლის გათავებაზე სულაც არ ფიქრობდა, პირიქით, იგი მომავალი ბრძოლისათვის გამალებული ემზადებოდა. მან თავისი ამალის უმეტესი ნაწილი ხუდად-ბეგის მეთაურობით სწორედ იმ მიზნით გაგზავნა სპარსეთში, რომ აბას-მირზას წინაშე მუდმივად ჰყოლო-

და თავისი ხალხი, რომლებიც მისი ინტერესების შესაბამისად იმოქმედებდნენ და აბას-მირზას მის დასახმარებლად დროული ღონისძიებების მიღებისაკენ უბიძგებდნენ. ხუდად-ბეგისა და სპარსელი მოხელეებისადმი გაგზავნილი მისი წერილებიდან კარგად ჩანს, როგორი ენერგიული მოქმედება გააჩაღა „სასოწარკვეთილმა“ ბატონიშვილმა, როგორი გატაცებით აღწერდა იმ სტრატეგიულ უპირატესობას, რაც მას ჰქონდა სალ კლდეებში ყოფნის შედეგად. „უკანა ხევსურეთის დასასრული არის ეს შადილი. შუა სამძღვარი არის ქისტისა, ღლიღვისა, ახოსი, ჭანთოსა და ტერელოსი, ჩაჩნისა და დაღისტნისა, ჩერქეზისა, თაგაურ-ქურთაულისა, თუშისა, ფშავისა და ხევსურეთისა ხომ ეს არის. და ხევს და ლარსს თავს ვაზივართ. და თუ არ წამსვლელი რუსი, რუსეთიდამ მომსვლელი არავინ არის. სამიოთხი რიგი კაცი ამ ყოველგან მოგვიტარებია და ამათგანაც კარგი უფროს-უფროსნი კაცნი მოგვივიდნენ. რაც შეიძლებოდა კარგად ვაჩუქეთ, მაგრამ... განა არ იცი, რაც სახარჯო დამრჩ. ჯარს, ღვთით თუ შევძელით ჭმევა, ასი ათას კაცს ვიშოვნით და კიდეც სიხარულით აღარ არიან, მაგრამ ხომ კარგად იცი, რომ ამათ ყველას მიცემა უნდა. ცარიელის დაპირებითაც არ იქნება. თუ ღმერთი შეგვეწია თავათ ამ მთვარის გასულს, თორემ მარტის პირველში ჩვენ და რუსი დავეძგერებით. ლარსს და ხიდებზედ ხუთს ექვს რიგად ჯარს ჩაუშვებთ. ღვთით ასეთის თადარიგებითა ვართ, რომ მეტი აღარ იქნება, მაგრამ კარგად იცი, კავკასიის მთა არის და ჯერ დიდად ცივა. სარდალსაც მოახსენე და შაჰზადასაც არზი აახელ, ნავროზს უკან თუ არ მობძანდა ერევანს და მაგაებში და პირველს აპრილში ყაზახში არ ჩამობძანდა, სულ აქ მოიტანენ თავიანთს ძალას და ხომ იცნობ რუსებს“. აბას-მირზას პირველი მინისტრის, მირზა ბეზიურგისადმი მიწერილ წერილში კი ალექსანდრე ბატონიშვილი აღნიშნავდა რა თავის ღვაწლს, სპარსელებს პასიურობას საყვედურობდა: „ამ ზაფხულ სამი თვე სულ ყათლანი იყო კა-

ხეთს და თქვენმა ჯარმა ყაზახში და შამშადილში ერთი ძროხა ვერ ააყენეს. ამ ზამთარს, თუ აქ არ შემოვსულიყავ, მაინთ ჰქონდათ პირი და მე რომ აქ შემოველ, არც კახეთი შერიგდა და ვერც გაბედეს. ახლა ჩემი ვედრება და მოხსენება ეს არის, რაც მომიხსენებია. ღ~თით წლეულ ჩვენია დრო და თეთრიც საჩქაროდ მოგვაშველეთ. თუ არა, მე ხომ მომიხსენებია და ნება თქვენი არის".

რუსული ხელისუფლება ადვილად ვერ შეურიგდებოდა „უსასტიკესი რევოლუციის" მომწყობი ბატონიშვილის ცხოვრებას სტრატეგიული თვალსაზრისით მეტად მომგებიან კუთხეში – შატილში და რტიშჩევმა ხევსურეთიდან მისი გამოტყუების მიზნით პრინციპული მიმოწერა გაუმართა, რომლის მსვლელობაში ბატონიშვილმა, როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, მისთვის დამახასიათებელ პირად ვაჟკაცობასა და გულადობასთან ერთად, უხვად მიმადლებული დიპლომატიური ნიჭიც გამოავლინა.

რტიშჩევმა ბატონიშვილს უმძიმესი ბრალდებები წაუყენა, იგი კახეთის გაოხრება-ამოგდებას მთლიანად ბატონიშვილს აბრალებდა, რადგანაც იგი, რტიშჩევის აზრით, ღვთის განგების წინააღმდეგი წავიდა და ღვთის მიერ მირონცხებული მეფეების ნებით რუსეთის იმპერატორისადმი მფარველობაში გადაცემული საქართველოს მტრებს დაუკავშირდა და მათი დახმარებით ქვეყანა უკიდურეს უბედურებამდე მიიყვანა. ამიტომაც, – უხსნიდა რტიშჩევი ბატონიშვილს, – ღმერთი არ წყალობს თქვენს განზრახვებს და ზეციურ მართლმსაჯულებას უკვე ამ ცხოვრებაში გამოაქვს საწინააღმდეგო განაჩენი. მოგიწოდებთ, დაადგეთ ჭეშმარიტების გზას, დაემორჩილოთ ღვთის განგებას და ყოვლად მოწყალე იმპერატორის მფარველობაში მოხვიდეთო. როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, ბატონიშვილმა საპასუხო წერილში ყველა ბრალდება ერთმანეთის მიყოლებით შეუვალი მსჯელობით დაარღვია. ამ უაღ-

რესად საინტერესო მიმოწერას დაწვრილებით ჩვენ აქ აღარ განვიხილავთ, რადგანაც ნ. ბერძენიშვილის ნარკვევში შესანიშნავად არის გარჩეული ამ მიმოწერის ყველა ნიუანსი და მხოლოდ მის მიერ გაკეთებულ ძირითად დასკვნებს გავიმეორებთ. აი, ეს დასკვნებიც:

„ალექსანდრე ბატონიშვილი რუსხელმწიფის ამ უფლებას საქართველოზე (აქ ნ. ბერძენიშვილი გულისხმობს იმ უფლებას, რომელიც ერეკლე II-მ დაუთმო იმპერატორს, – ე.ო.) არსად არ უარყოფს, ოღონდ იბრძვის იმ უფლების აღსადგენად, ბაგრატიონთა სახლს უსამართლოდ რომ წაართვეს, ე.ი. იბრძვის 1783 წლის ტრაქტატის დაცვისათვის“. წინდახედული ბატონიშვილი ყოველგვარ უსამართლობას მოხელეებს აბრალებს და ხელმწიფეს არსად არაფერში ადანაშაულებს, რაც მას საშუალებას აძლევს არ შეწყვიტოს რუსეთთან მოლაპარაკება და თავისი მიზნის მისაღწევად ბრძოლა დიპლომატიური მოლაპარაკების მიმართულებითაც განაგრძოს. „ალექსანდრე ბატონიშვილის იდეური დამსახურებაა, რომ მან გააშიშვლა დამპყრობელი, ოსტატურად შემოაცალა მას ცრუ იდეური საბურველი; მოახსენა მას, რომ სამართალი და ღმერთი იქაა, სადაც ხალხია, ხალხის ხმა ღვთის ხმაა, რომ ხალხი მის მხარეზეა, მაშასადამე, სამართალიც მის მხარეზეა და ის ებრძვის უსამართლობას, რომლის განსახიერებაც ეს დამპყრობელი არის“.

„ალექსანდრე პოლიტიკური მოღვაწეა, ურყევად დარწმუნებული თავისი საქმის სამართლიანობაში და, ამდენადვე შეურიგებელი მოწინააღმდეგე არა რუსეთთან კავშირისა, არამედ რუსეთის მთავრობის მიერ საქართველოს დაპყრობისა“. ალექსანდრე ბატონიშვილი მზადაა მოვიდეს რუსხელმწიფის სამსახურში, ოღონდ ეს აუცილებლად უნდა მოხდეს თავისუფალ საქართველოში. „...ალექსანდრე ბატონიშვილი იმ დროსაც კი, როცა ის სპარსეთის დახმარებით საქართველოში (თუ მთელი კავკასიის მასშტაბით) მეფის რუსეთის ბატონობას ებრძოდა, რუსეთის ორიენტაციისა რჩებოდა“.

1813 წლის მარტის ბოლოს ალექსანდრე ბატონიშვილმა თავისი უახლოესი თანამზრახველის ზაზა ციციშვილის წერილი მიიღო ჩეჩნეთიდან. ზაზა ციციშვილი ბატონიშვილს იმიერკავკასიის მთელი მოსახლეობის: დაღასტნელების, ჩეჩნების, ჩერქეზების, თაგაურ-ქურთაულების, ღლიღვების, ჭანთოტერელოს, თუშების და სხვათა მზადყოფნას ატყობინებდა მის დასახმარებლად. ამავე დროს ზაზა ციციშვილი რუსეთიდან მოსული ვაჭრის მიერ მოტანილ ცნობებსაც აწვდიდა ბატონიშვილს: მოსკოვი და პეტერბურგი აიღო ნაპოლეონმა, მოსკოვი დაწვა და ფრანგების ჯარი შიდა რუსეთში დგასო. ბონაპარტეს მოსკოვსა და პეტერბურგს გარდა, კიდევ 10 სამეფო სხვა წაურთმევია რუსებისათვის, მაკარიაც აუკლია; ხელმწიფე ყაზანს გაქცეულა, იქიდან საქართველოში მყოფ რუსულ ხელისუფლებას და ჯარს წერს, – მე აქ ასე მიჭირს, თქვენ მანდ რას აკეთებთ, აქეთ წამოდითო. ეტყობა ამგვარი ცნობები, ბონაპარტეს მიერ რუსეთის აკლებას რომ შეეხებოდა, სხვაც ბევრი მიიღო ბატონიშვილმა, რითაც გათამამებულმა, 1813 წლის 29 აპრილით დათარიღებულ წერილში როგორც თანასწორუფლებიანმა მხარემ, მთავარმართებელს ტყვეების გაცვლა მოთხოვა: არა ვგონებთ ჩვენ ცოცხლებით მანდ მყოფთა პყრობილთა ჩვენთა ტუსაღთა და უკეთუ ცოცხალი არიან, ჩვენცა გამოგითვალავთ მაგიერთა აფიცართა და უნდორაფიცართა და სალდათთა. ეგენი წარმოავლინეთ თიანეთს და ჩვენ წარმოვავლენთ ჩარგარსა შინა. ჩვენი ჩვენადვე მოიქციენით და თქვენი თქვენადვე მიიღევით". ამ მხრივ, კიდევ უფრო საინტერესოა ამავე რიცხვით დათარიღებული მეორე წერილი, რომლის დედანმა სამწუხაროდ ჩვენამდე არ მოაღწია. მოვიტანთ ამ წერილის სრულ თარგმანს: „უმაღლესი კარიდან გამოგზავნილი წერილებიდან და კურიერებიდან შევიტყვეთ, რომ იმპერატორმა 2 პოლკი ჯარისკაცები და ამდენივე კაზაკები გვიბოძა, რათა მე ვფლობდე და ვმართავდე საქართ-

ველოს. თქვენ კი ყველანი უნდა დაბრუნდეთ რუსეთში სხვა საჭიროებისათვის – საფრანგეთთან საბრძოლველად. ასეთი წყალობა ჩემი თქვენ გშურთ და სულ სხვაგვარ მიმოწერას მიმართავთ. ჩვენთვის ცნობილია რუსეთის მრავალი შინა საიდუმლო, რაზეც ახლა არაფერს ვიტყვი. თქვენ კი ნაცარწაყრილ ნაკვერჩხალს დამსგავსებიხართ, რომელიც თუ ვინმემ უნებლიეთ გადაქექა, ხელებს დაიწვავს. როგორ ვირწმუნო მე თქვენი, როცა თქვენ გშურთ ხელმწიფის ჩემდამი წყალობანი? მე მიმალავთ ჭეშმარიტებას, გამომიცხადეთ მართალი, რათა მე შევძლო იმპერატორის ფერხთ განრთხმა და მის გულში ჩაკვრა". როგორც ნ. ბერძენიშვილი სავსებით სამართლიანად განმარტავს ამ წერილს, ალექსანდრე ბატონიშვილმა დაიჯერა, რომ რუსეთმა ნაპოლეონთან ომი წააგო და ასეთ პირობებში სავსებით რეალურად ესახება მისი, ე.ი. ბატონიშვილის მეთაურობით საქართველოს სამეფოს აღდგენა, ხოლო იმისათვის, რომ სპარსეთის პრეტენზიებს თავი დააღწიოს, სამხედრო დახმარება – 4 პოლკი ჯარი სჭირდება. „როგორც ვხედავთ, – ასკვნის ნ. ბერძენიშვილი, – ეს იგივე 1783 წლის ტრაქტატია და ალექსანდრე ამ ტრაქტატის საფუძველზე რუსეთთან კავშირის დაჯერებული მომხრეა. ალექსანდრე ბატონიშვილი რომ მართლაც გარკვეული პირობებით რუსეთთან კავშირის დაჯერებული მომხრე იყო, ამას მისი შემდგომი მოქმედებაც ადასტურებს, რის შესახებაც დაწვრილებით საუბარი ქვემოთ გვექნება.

რუსული ხელისუფლებისათვის, რა თქმა უნდა, ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ წაყენებული პირობები ყოვლად მიუღებელი იყო და ზემოთ მოტანილი წერილის შემდეგ რტიშჩევმა მას მიმოწერა საერთოდ შეუწყვიტა, 1813 წლის მაისის ბოლოს კი ბატონიშვილის ხელში ჩაგდების მიზნით ხევსურეთს ოთხი მხრიდან შეუსია ლაშქარი. რუსებმა უდიდესი ძალისხმევის შედეგად ბარბაროსულად დაანგრიეს ხევსურეთი, 3

ივნისს აიღეს და მიწასთან გაასწორეს შატილი, მაგრამ ბატონიშვილი ხელთ მაინც ვერ იგდეს. იგი 31 მაისს შატილიდან დაღისტანში გადასულიყო, სადაც იმ დროისათვის რუსეთს ხელი ნაკლებად მიუწვდებოდა. დაღისტნის მიუვალ თემებში ალექსანდრე ბატონიშვილის ცხოვრება რუსეთისათვის სავსებით მიუღებელი იყო, რადგანაც აქ ბატონიშვილი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, ადვილად შეეძლო რუსეთის წინააღმდეგ დაერაზმა იმერკავკასიის ხალხები, დაეკავშირებინა ისინი ირანის შაჰთან და ბოლოს, შესაძლებელი და მოსალოდნელიც იყო მისი აქედან კახეთში შემოჭრა. ამის გამო საქართველოს ადგილობრივი ხელისუფლება ყველა ღონეს ხმარობდა, რომ რაიმე გზით დაეთანხმებინა ბატონიშვილი რუსეთის მფარველობის მიღებაზე და გამოეტყუებინა დაღისტნიდან. რუსეთი განსაკუთრებით შეშფოთდა მას შემდეგ, რაც მიიღო ცნობა, თითქოს ერზერუმის სერასკირი ბაბა-ფაშა ყოველნაირად ცდილობდა დაღისტნიდან ბატონიშვილის გამოწვევას და სულთანის სახელით ჰპირდებოდა იმერეთის ტახტზე აყვანას. თავის მხრივ, სპარსეთიც დიდად იყო დაინტერესებული ბატონიშვილი კვლავ სპარსეთში დაბრუნებულიყო, რადგანაც მიუხედავად იმისა, რომ 1813 წელს რუსეთ-ირანს შორის ზავი დაიდო, რომლის თანახმადაც სპარსეთმა სცნო რუსეთის უფლებები საქართველოზე, იგი ამ ქვეყნის საბოლოოდ დაკარგვას მაინც ვერაფრით ურიგდებოდა და ამ მიზნებისათვის ალექსანდრე ბატონიშვილის ორიენტაციას მისთვის გადამჭრელი მნიშვნელობა ჰქონდა. დაღისტანში თავშეფარებულ ბატონიშვილთან საიდუმლო თუ აშკარა ურთიერთობა ირანს არც გაუწყვეტია. ამრიგად, ლტოლვილი ბატონიშვილი სამი სახელმწიფოს ცილობის საგანი გამხდარიყო და ეს უკანასკნელი ყოველნაირად ცდილობდა, ეს სიტუაცია თავისი მიზნების მისაღწევად, თავის „საოცნებო საქართველოს“ დაბრუნებისათვის გამოეყენებინა.

1815 წელს სპარსეთის ხელისუფლებამ სთხოვა რტიშჩევს,

რაკიღა რუსეთ-ირანს შორის სრული მშვიდობა და „მეგობრული კავშირი“ იყო დამყარებული, რომ დაღისტნის ერთერთ თემში – აწნუხში მცხოვრებ ბატონიშვილთან მათ მიერ გამოგზავნილი დელეგაცია გაეშვა და შეეთავაზებინა მისთვის, აერჩია, სად ისურვებდა ცხოვრებას: სპარსეთში თუ რუსეთში. თუ კი ბატონიშვილი არ დათანხმდებოდა რუსეთის მფარველობის მიღებას და სპარსეთს არჩევდა, მაშინ მთავარმართებელს მისთვის სპარსეთში გამგზავრების უსაფრთხოების გარანტია უნდა მიეცა. ეტყობა, აბას-მირზა დარწმუნებული იყო, რომ ბატონიშვილი უყოყმანოდ გამოთქვამდა სპარსეთისაკენ გამგზავრების სურვილს და მის წამოსაყვანად მაღალი რანგის მოხელეს, ქელბალაი-ხანს აგზავნიდა. გარდა ამისა, ირანიდან ბატონიშვილს მის ტანისამოსსა და ფულს – 1500 მანეთს ვერცხლით უგზავნიდნენ. რტიშჩევმაც ისარგებლა ამ გარემოებით და ბატონიშვილთან 1813 წლიდან შეწყვეტილი ურთიერთობა კვლავ განაახლა. მან ალექსანდრე ბატონიშვილთან გაგზავნილ დელეგაციის წევრად მისი მსახური გოგია ბასტამაშვილი შეიყვანა და წერილი გაუგზავნა, რომლითაც სთავაზობდა საბოლოოდ აერჩია, სად და ვისი მფარველობის ქვეშ ისურვებდა ცხოვრებას ბატონიშვილი: სპარსეთისა თუ რუსეთის და ურჩევდა, შეძლებისდაგვარად სწრაფად დაეტოვებინა დაღისტანი, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ აგვისტოს განმავლობაში არ გადაწყვეტთ ან სპარსეთში წასვლას, ან ჩემთან თბილისში მოსვლას, – სწერდა მთავარმართებელი ურჩ ბატონიშვილს, – მაშინ დაღისტნის ვერც ერთი ადგილი ვერ დაგიფარავთ თქვენ სამართლიანი დევნისაგან და ღვთიური სასჯელი დაგატყდებათ თავს არა მარტო თქვენ, არამედ იმათაც... რომელთაც გადაგახვევინეს ჭეშმარიტი გზისაგან და ოდესმე პასუხს აგებთ თქვენი ამპარტავნული, ღვთის საწინააღმდეგო ზრახვების შესასრულებლად ტყუილ-უბრალოდ დაღვრილ ყოველ წვეთ სისხლზე“. გარდა ამისა, რტიშჩევ-

მა იმ მიზნით, რომ ისედაც უკიდურესად შეჭირვებული ბატონიშვილი კიდევ უფრო მეტად შეევიწროებინა და ეიძულებინა, სასწრაფოდ დაეტოვებინა დაღისტანი, მას სპარსეთიდან გამოგზავნილი ფულის მხოლოდ მცირედი ნაწილი – 300 მანეთი – გაუგზავნა. მაგრამ მრავალჭირნახული ბატონიშვილის წონასწორობიდან გამოყვანა ადვილი საქმე როდი იყო. თავისი ბრძოლის სამართლიანობაში სავსებით დარწმუნებული, იგი პასუხობდა რტიშჩევს: „...თქვენმა მაღალ კეთილ გონებამ კარგად იცის, მინამ კაცი ცოცხალი არის თავის მშობლის და სამკვიდრო მამულისათვის უნდა გაისარჯოს, ვიდრე სისხლისა წვეთამდე და არავისაგან სანახავი არ არის და არც ავათ ჩამოსართმევი. და მეც ასე ვგონებ თქვენმა კეთილ სინდისმაც არ ინებოს ავათ ჩამორთმევა. და რომელიც კაცი არ ეცდება თავისის მშობლის მამულისათვის და ანუ თავისის სარჩოსათვის, ის არ იქმნება სრულის კაცის ანგარიშში და განითულება იგი გვამი სულელთა გვამთა შინა“.

„გიბრძანებიათ, რომ ამ აგვისტოს გასვლამდინ თუ არ იყაბულებ სპარსეთსა შინა წარსვლას და ანუ ტფილისსა შინა მოსვლასა, მაშინ შესაფარავი თავისა ადგილი აღარ გექმნება. ქვეყანასა შინა ადგილი ვით შეიკვრის, რომ ჩემებრივ მცირედის გვამის დასატევი და შესაფარი ადგილი აღარ დარჩეს, რომელიც უფალსა ჩვენსა მიუცია ფრინველთათვის სარჩო და სავანე თავის შესაფარად თავისის ცხოვრებისა და გამოზრდისათვის...“ ხოლო რაც შეეხება სპარსეთიდან გამოგზავნილი ფულის დაკავებას, ბატონიშვილი მართლაც რომ ოლიმპიური სიმშვიდით სწერდა რტიშჩევს: „მაგრამ ეს დიდად მიკვირს თქვენის მაღალ გონებისაგან, ოც ოქროს მიგზავნიან, იმ ოც ოქროს იჭერთ და არ მიგზავნით, რა საკადრისია თქვენგან. თუ ამას ბრძანებთ შეწუხდეს, დიახ დიდი ხანი არის ჩემის მშობლის მამულისათვის მწუხარება კისერზე აღებული მაქვს. მაგ ფულისათვის როგორ შევწუხდები, თუნდ ასი ათასი თუ-

მანი იყოს, თქვენ არ გეკადრებათ მაგგვარი საქმე და ნება თქვენია. ზოგიერთი ჩემი ზეპირი სიტყვები დამიბარებია დავით და რუშანასათვის და ესენი მოგახსენებენ...“ რაც შეეხება ბატონიშვილის მიერ ზეპირ დანაბარებს, როგორც დავით და რუშანასა, ისე გოგია ბასტამაშვილისთვის, ის, როგორც რტიშჩევი აღნიშნავს, შემდეგში მდგომარეობდა: ბატონიშვილი თანახმა იყო რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლაზე, მხოლოდ იმ პირობით, თუ მას დაუბრუნდებოდა თავისი მემკვიდრეობა, ანუ აღდგებოდა საქართველოს სამეფო. ამჯერად განსაკუთრებულ ყურადღებას შემდეგი გარემოება იპყრობს. როგორც უკვე აღვნიშნავდით, ბატონიშვილთან გაგზავნილ დელეგაციაში მისი მსახური გოგია ბასტამაშვილიც შედიოდა. სწორედ ამით ისარგებლა ბატონიშვილმა და იმის მაგივრად, რომ უყოყმანოდ გამგზავრებულიყო სპარსეთისაკენ, ბასტამაშვილის საშუალებით სცადა მთავარმართებლების გვერდის ავლით უშუალო ურთიერთობა დაემყარებინა რუსხელმწიფესთან. რა თქმა უნდა, ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, თითქოს ბატონიშვილს მართლაც სჯეროდა, რომ საქართველოს სამეფოს გაუქმება და ბაგრატიონთა სახლის წევრების რუსეთში გასახლება მართლაც იმპერატორის ნების გარეშე ხდებოდა, მაგრამ ეტყობა, მას იმედი ჰქონდა, თუ კი უშუალო ურთიერთობას დაამყარებდა ხელმწიფესთან და თავის გულის ნადებს გაუმხელდა, მოახერხებდა მის დაჯერებას, რომ ტრაქტატის პირობების საფუძველზე რუსეთთან დაკავშირებულ საქართველოს გაცილებით უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლო რუსეთისათვის, ვიდრე დაპყრობილს.

ბატონიშვილმა თავისი განზრახვა, თუ რა პირობებით გამოცხადდებოდა იგი იმპერატორთან, ბასტამაშვილს გაანდო, მაგრამ რადგანაც იგი დარწმუნებული იყო, რომ მის ყოფილ მსახურს ადგილობრივი ხელისუფლება ხელმწიფის კარზე არ გაუშვებდა, მეტად რთული გეგმა შეადგინა. პეტერბურგს

ჯერ ივანე ყორღანოვი უნდა ჩასულიყო, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრს გრაფ ნესელროდესა და ხელმწიფისადმი მიწერილ წერილებს ჩაიტანდა, შემდეგ კი გამოიძახებდნენ ბასტამაშვილს და ეს უკანასკნელი ბატონიშვილის პირობებს წარადგენდა.

ხელმწიფისადმი მიწერილ წერილში, რომლითაც ბატონიშვილი მის მფარველობაში მიღებას ითხოვდა, ხელმწიფეს შემდეგი ციტატებით მიმართავდა ბიბლიიდან: „შჯიდით განთიათ სასჯელსა და წარმართებდით და განარინებდით მიხუეჭილსა ჴელისაგან მიმხვეჭელთა მისთასა“ და „უფალი ნაწილი არს მკვიდრობისა ჩემისა და სასუმელისა ჩემისა; შენ ხარ, რომელმან მომაგე მე მკვიდრობა ჩემი ჩემდა“. ამ ციტატებით ბატონიშვილი ხელმწიფეს ქარაგმულად მიანიშნებდა იმ უსამართლობაზე, რომელიც ბაგრატიონთა თავს დატრიალდა და იმპერატორისაგან მომავალში ამ უსამართლობის გამოსწორებასა და თავის ხვედრს ითხოვდა. ნესელროდესადმი მიწერილ წერილში კი სრულიად გარკვევით იყო ნათქვამი, რომ ბატონიშვილის განზრახვა, რა პირობებით სურდა მას რუსეთში წასვლა, ბასტამაშვილისათვის ჰქონდა განდობილი და მხოლოდ ამ უკანასკნელის პეტერბურგს ჩასვლის შემდეგ გახდებოდა ეს მათთვის ცნობილი.

ყორღანოვმა მართლაც მოახერხა ნესელროდესთან მიღწევა და ზემოხსენებული წერილების ჩატანა. მეფის კარზე იმდენად იყვნენ დაინტერესებული ურჩი ბატონიშვილის ხელში ჩაგდებით, რომ მთავარმართებლის რეკომენდაციის გარეშე ჩასული ყორღანოვი როგორც ოფიციალური პირი, ისე მიიღეს, მის მიერ ჩატანილი წერილები ბატონიშვილის რუსეთის მფარველობაში მიღებისათვის სავსებით საკმარისად მიიჩნიეს და ბასტამაშვილის გამოძახება საჭიროდ აღარ ჩათვალეს. ბატონიშვილის პეტერბურგში გამგზავრება და მისი საჭირო თანხებით უზრუნველყოფა კავკასიის ხაზზე განლაგე-

ბული ჯარების მთავარსარდალს გენერალ-მაიორ დელპოცოს დაავალეს, ივანე ყორღანოვი სათანადო წერილებითა და ბრძანებებით აღჭურვეს და უკანვე გამოგზავნეს. რა თქმა უნდა, საქმის ასე შეტრიალება ბატონიშვილს სულაც არ აწყობდა. იგი ყოველივე ამას უმთავრესად ყორღანოვს აბრალებდა. როგორც შემდეგში წერდა ბატონიშვილი, ყორღანოვმა ჯერ კიდევ ყიზლარიდან მომწერა „მომილოცავს, მამაშენის პური იშოვნე ყოვლად მოწყალის ჴელმწიფისგანო. მე ასეც ვიფიქრე, საქართველო უბოძებია ყოვლად მოწყალე ჴელმწიფესა, ამისთვის, საქართველო იყო მამიჩემის პური". ერმოლოვისადმი მიწერილ წერილში კი ბატონიშვილი უფრო დაწვრილებით ჩერდებოდა ამ საკითხზე და წერდა: „...შემდგომად ამისა, ჩემთან მოვიდა ყოვლად მოწყალის ჴელმწიფის ბრძანება. ეგრეთვე უფლის მინისტრის წერილი მებოძა. წავიკითხე და ჩემის არზის პასუხი ვერა რაი ვცან. ჩემი არზი და ჩემგან მიცემული ისტრუქცია, ეგრეთვე უფალ მინისტრთან ჩემი წერილი თვით გოგია ბასტამოვს უნდა წარედგინა. ბასტამოვის წასვლა აღარ მომხდარიყო ამისთვის, ჩემგან გაგზავნილს კაცს ჴელმწიფის კარს არ უშვებდნენ. შემდეგ ყორღანოვი ეშოვნა და ფარულად გაეგზავნა. ამის გამო, უფლის მინისტრისგან ბრძანება უნდა აელო, გიორგი ბასტამოვი ჩემი სრულის წერილებით ჴელმწიფის კარს გამოცხადებულიყო. ყორღანოვს ვეღარ მოეთმინა, თავის მაცთურება ემოქმედნა. უფალს მინისტრთან დიდად შემსუქებინა. თავის თავს ედვა ყოველივე ჩემი საქმე, შემდგომ რაღა განვავრცო მაგის კეთილ სვინდისი".

საქართველოს მთავარმართებლები რტიშჩევი და შემდეგ ერმოლოვი, რომელმაც 1816 წელს შესცვალა რტიშჩევი მთავარმართებლის პოსტზე, შეეცადნენ ბატონიშვილი ყიზლარში დელპოცოსთან მიეტყუებინათ, რათა იქიდან ნებით თუ ძალდატანებით პეტერბურგს გაემგზავრებინათ, მაგრამ ფრთხილი და კარგად ინფორმირებული ბატონიშვილი ყიზლარში მისვ-

ჩანს, სპარსეთის ხელისუფლება დიდად შეაშფოთა ბატონიშვილის ასეთმა ორჭოფულმა საქციელმა. იგი ალექსანდრეს დაღისტნიდან სპარსეთში გამოსაყვანად, რუსეთის ხელისუფლებისაგან ფარულად, ფულსა და დელეგაციას დელეგაციაზე უგზავნიდა და ათასნაირი დაპირებებით ცდილობდა მის კვლავ გადმობირებას. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ბატონიშვილის უახლოესი თანამზრახველის ხუდად-ბეგის წერილი, რომელსაც ეს უკანასკნელი ბატონიშვილის წასაყვანად გამოგზავნილ კაცებს ატანდა. იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ, როგორ შეაშფოთა სპარსეთის ხელისუფლება და სპარსეთში მყოფი ბატონიშვილის ამალის წევრები დაღისტანში ალექსანდრეს საეჭვოდ დიდხანს დაყოვნებამ, ამ წერილიდან მოვიტანთ საკმაოდ დიდ ამონაწერს: „...მთელს ერანის ჴელმწიფისა და ამის საბძანებელში და ალიოსმალოში ხმამაღლად თქვენს ქებას, ნამუსიანობას, ყაირათს, ერთპირიანობას და სიმხნეს ლაპარაკობენ. შაჰზადა სულ თქვენს ქებას და საქმეს ასე ლაპარაკობს, რომ თითქო პირდაპირ ედგე და ისე გეზრახებოდეს, ისე პირში თაფლივით ატკბობს სიტყვას და იძახის, იქნება ღმერთმან შენი თავი მშვიდობით მაჩვენოსო, რომ შენის ამდენის ჭირნახულის და ყაირათის მაგიერის ხიჯალათიდამ გამოვსული ვიყოვო. ახლა რაღა მოგახსენო, ერთგულებაც მაგაზედ მეტი არ იქნება და სიყვარულიც ამაზე მეტი, ან ჴელმწიფეს როგორ უყვარხარ და ან შაჰზადას. კარგია, თქვენი თავიც შეიბრალეთ და ამდენი ხალხიც და ან ჴელმწიფეს დასდევით პატივ და ან ჴელმწიფის შვილსა... და კიდევ მათი რჩევა ეს არის, რომ ეს ელჩი რომ აქ მოვიდა, მანამ არ უშვებს ჴელმწიფე და შაჰზადასთვისაც ასე ებძანებია, ფარვანით ვალს კაცი გაუგზავნეო, რომ გამოვიდესო, ამ რჩევასა და დარიგებაში დაესწროსო. სამოცი დღე დაუნიშნავთ, რომ ხმას არ გასცემენ და არც ჯერ ხელმწიფეს უნახავს... ასეთი საქმე დაიჭირეთ, რომ ამ სამოცს დღეზე ღ~თის შეწევნით

გამობძანდეთ... ღ~თით გაგიმარჯვებს, თადარიგს შეუდექით და რიგიანად ისაქმეთ და ღმერთიც წარგიმართავთ. ნურც შაჰზადას გახდით უიმედოდ, ჩვენი ვედრება ეს არის". ხუდადბეგის წერილის გარდა ბატონიშვილის წასაყვანად ჩამოსულმა დელეგაციამ ალექსანდრეს უახლოესი თავადების ნიკოლოზ ავალიშვილისა და გარსევან ჩოკაშვილის წერილიც ჩამოიტანა, რომელიც ბატონიშვილის ირანში მყოფ ამალის სახელით იყო დაწერილი. ისინი ემუდარებოდნენ ბატონიშვილს, ნუღარ გააჭიანურებდა სპარსეთში მისვლას, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ხალხის მთლად დაფანტვა იყო მოსალოდნელი. „თქვენი გულისათვის ვყრივართ, – წერდნენ ისინი, – თორემ მოგეხსენებათ, ყიზილბაშების სურვილი არა გვაქვს რა. ესენი რომ დღეს წამოვიდნენ, დღესა ვთვლით და გზისკენ თვალები დაგვიცეცებული გვექნება. ნდომით ისრაილთებრ ღამეც ვთვლით და დღეც, როგორც მოსეს უყვეს. გევედრებით მუხლ დადგმით, ახლავ ინებეთ წამობრძანება. ასეთი წერილების მიუხედავად, ბატონიშვილი სულაც არ ჩქარობდა სპარსეთში წასვლას და როგორც ჩანს, ცდილობდა გენერალ-მაიორ დელპოცოსთან დამყარებული ურთიერთობის საშუალებით რუსხელმწიფესთან თავისი სასურველი პირობებით მოლაპარაკებისთვის მიეღწია.

ალექსანდრე ბატონიშვილის დაღისტანში ხანგრძლივი ყოფნა რუსული ხელისუფლებისათვის ყოვლად მიუღებელი იყო და ერმოლოვი შეეცადა სხვა ზომებიც მიეღო. მან ანწუხელებს ბატონიშვილის დაჭერა მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სრული განადგურებით დაემუქრა. გარდა ამისა, ყორღანოვს, რომელიც ბატონიშვილის რისხვას გამოქცეული მასთან მისულიყო, ალექსანდრეს მოკვლა დაავალა. ბატონიშვილს არაფერი ეს არ გამოპარვია და ღირსებით აღსავსე წერილი მისწერა ერმოლოვს: „მოგეწერათ, ეგ ბატონიშვილი ჴელმწიფის მუხანათი ყოფილა, დაიჭირეთ და ოც დღეზე აქ ჩამოიყვანეთ. თუ ჩემს ბრძანებას არ აღასრულებთ, თქვენს სახლებს თქვენის ჴელით

დასწვავთო. ის თქვენი წერილი უფალს ივანე პეტროვიჩს (დელპოცოს, – ე.ო.) წარუგზავნე ბასტამოვის ჴელით. ეგრეთვე წარსულს იანვარს თქვენი მეორე წერილი მოსვლოდა ანწუხელთ და ისიც მე მომიტანეს. მსგავსი იყო ზემორე თქვენი წერილისა. ისიც წარუგზავნე ივან პეტროვიჩს დიდად განკვირვებულვარ თქვენის მაღალ აღმატებულობისაგან. ამისთანა ბრძანებებს იწერებით, არ შვენის თქვენს წრფელ გულსა. კარგად მოგეხსენებათ, თქვენის კამანდისა არ გახლავართ, ამგვარს რისხოვნებით ბრძანებას იწერებით. გარნა მხოლოდ თქვენ, არამედ რომელნიც საქართველოში მართებელნი ბრძანდებოდნენ, უფალს მარკის გარდა ყოველნი ცდილობდნენ დაჭერას და ეგრეთვე ფარულად საწამლავით სიკვდილსა ჩემსა. თქვენც დაგიყენებიათ ყორღანოვი დაღისტნის საძღვარზე და ფარულად ცდილობს საწამლავით სიკვდილსა ჩემსა, რომელიც სათქმელათაც დიდად სირცხვილი არის. მე ასე ვგონებ, ამგვარი მაცდურება ყოვლადმოწყალის ჴელმწიფის ნება არ იყოს". ამაყი და მრისხანე გენერლისათვის ასეთი წერილი სილის გარტყმას უდრიდა, მან, როგორც მოსალოდნელი იყო, უხეში პასუხი გასცა ბატონიშვილს, რომლითაც არწმუნებდა, რომ იგი მას იმდენად არაფრად აგდებდა, რომ საშიშ პიროვნებადაც არ მიაჩნდა. „ტყუილად ოცნებობთ თქვენო უგანათლებულესობავ, – სწერდა ერმოლოვი ალექსანდრე ბატონიშვილს, – რომ თითქოს ყორღანოვი იმიტომ ცხოვრობს დაღისტნის საზღვარზე, რომ თქვენი სიცოცხლის ხელყოფას აპირებდეს. მან შესანიშნავად იცის ჩემი აზრისა და მოქმედების წესი და მსგავს რამეს ვერასოდეს გაბედავს. გთხოვთ ირწმუნოთ, თქვენო უგანათლებულესობავ, რომ თქვენს სიცოცხლეს ჩემთვის არავითარი ფასი არა აქვს და მას არანაირი საფრთხე არ მოელის, როგორც სიცოცხლეს ისეთი კაცისა, რომლის ყოფა-ქცევა ახალგაზრდობაში გარყვნილებით ხასიათდებოდა, მოწიფულობაში კი უპატიოსნობით და ამიტომაც აბუჩად აგდების მეტს არაფერს

იმსახურებს“. მართალია, უზომოდ შეურაცხყოფილი გენერალი არწმუნებდა ბატონიშვილს, შენს სიცოცხლეს ჩირადაც არ ვაგდებ და ამიტომ ჩემგან არავითარი საფრთხე არ მოგელისო, მაგრამ საარქივო საქმიდან ნათლად ჩანს, რომ 1817 წელს ყორღანოვს ერმოლოვისგან მართლაც ჰქონდა ასეთი დავალება მიცემული. როგორც მთავარმართებლის კანცელარიის მმართველის მოგილევსკის მიერ ყორღანოვისადმი მიწერილი საიდუმლო წერილიდან მჟღავნდება, დაღისტნის საზღვარზე, გავაზში გაგზავნილ ყორღანოვს მართლაც ჰქონია საგანგებო დანიშნულებისთვის გადაცემული თანხა, რომელიც დიდი სიფრთხილით უნდა გამოეყენებინა. თუ ანწუხელები გაბედავენ ბატონიშვილის ჩვენთვის გადმოცემას, – წერდა მოგილევსკი, – მაშინ ფული ხელუხლებელი დარჩება. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ამაზე უარს იტყვიან, მაშინ თქვენ გააკეთეთ თქვენი საქმე, მაგრამ კიდევ ერთხელ გიმეორებთ, ფრთხილად იყავით და არაფერი დაკარგოთ“. იმავე საქმიდან ჩანს, რომ ყორღანოვს აღნიშნული თანხიდან 100 ოქრო მიუცია ბატონიშვილის უახლოესი თანამზრახველის, გლახა აბელიშვილის მკვლელისთვის, 200 ოქრო კი გადაეცა გარკვეულ პიროვნებას, რომელიც მალულად დიდოში შეაგზავნა. ვფიქრობთ, სავსებით ნათელია ამ საგანგებო თანხის დანიშნულება – იგი ბატონიშვილის ფიზიკურ მოსპობას უნდა მოხმარებოდა. ჩვენს ვარაუდს ალექსანდრე ბატონიშვილის წერილიც ადასტურებს, სადაც ნათქვამია: ყორღანოვმა „ახლაც ათი-თხუთმეტი დღე იქნება, სამასი ოქრო შიხის ჴელით შემოგზავნა ჩემ სასიკვდილოთ. სამასი ოქრო კი არა, სამი ათასი ოქრო რომ შემოიტანონ, ღვთის მოწყალებით მე ფიქრი არასი მაქვს, ამგვარი მალული საქმეები მრავალი არის, თვით შენც კარგათ იცი და რაღა განვაგრძელო“.

როგორც ეტყობა, საქმის ამგვარმა ვითარებამ შეაყოვნა ალექსანდრე ბატონიშვილის მისვლა ყიზლარის მახლობლად

ბაღათულას თემის სოფელ გუმბეთში, სადაც გადაწყვეტილი ჰქონდათ მას და დელპოცოს შეხვედრა მოსალაპარაკებლად, თუმცა კი თავის გადაწყვეტილებაზე საბოლოოდ ხელი მაინც ვერ ააღებინა და 1817 წლის ივნისში იგი ანწუხიდან ყარახის თემში გადავიდა, რომელიც ყიზლარისკენ მიმავალ შუაგზაზე მდებარეობდა. ახლა ყარახიდან დაიწყო წერილების გზავნა ბატონიშვილმა დელპოცოსა და გოგია ბასტამაშვილისადმი და მათგან ფულად დახმარებასა და შეხვედრას მოითხოვდა, მაგრამ გადაჭრილი პასუხი ვერაფერი მიიღო. იმავე წლის ოქტომბრის ბოლოს დაეჭვებული ბატონიშვილი ბასტამაშვილს სწერდა, რომ რაც საქართველო შევიდა მონარქის საფარველს ქვეშ, მე სურვილი მქონდა, მეცხოვრა საქართველოში, ჩემს მიწაზე და მემსახურა მოწყალე ხელმწიფისათვის, ვითარცა სალდათს, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. ამაზე თითქმის ყველა მართებელთან მქონდა მოლაპარაკება, მაგრამ ვერას გავხდი. ახლა თუ კი რაიმე მიზეზის გამო დელპოცო ჩამოაშორეს ჩემს საქმეს, მაშინ გამომიცხადოს, მე მის მამობრივ სიყვარულზე ხელს მაინც არა ავიღებ, და მაგის გარდა სხვას არავის ვენდობიო. „თუ კი ამ ზამთარსაც ასე დარჩა ჩემი საქმე, მაშინ შენც იმათ რიცხვში მოხვდები, ვინც ჩემი უბედურების მიზეზი არიან. დაე ყველამ იცოდეს, რომ მე ჩემს გულითად სურვილს, ვიცხოვრო საქართველოში ყოვლად მოწყალე ხელმწიფის საფარველს ქვეშ, არას დიდებით არ შევცვლი, და მაშინ ვინ იქნება მტყუანი, საქვეყნოდ გამჟღავნდება. მე ყველას წინაშე მართალი ვარ". მაგრამ ამაოდ ელოდა ბატონიშვილი ბასტამაშვილს. იგი დელპოცოს ყიზლარის ციხეში ჰყავდა გამომწყვდეული, ხოლო რაც შეეხება დელპოცოსთან შეხვედრას და მოლაპარაკებას, სწორედ იმის გამო, რომ ბატონიშვილის გულითადი სურვილი საქართველოში ცხოვრება იყო, დელპოცომ მასთან ურთიერთობა შეწყვიტა. 1817 წლის 21 ოქტომბერს სპარსეთიდან ახლად დაბრუნებული ერმოლოვი

დელპოცოს საიდუმლოდ ატყობინებდა: სპარსეთში ყოფნის დროს ალექსანდრე ბატონიშვილის ამალის ერთ-ერთმა წევრმა გამანდო, რომ ბატონიშვილი რუსეთში არას დიდებით არ წავა და მისი ჩვენთან ურთიერთობის აუცილებელი პირობა საქართველოში ცხოვრება და სხვა, ჩვენთვის სრულიად მიუღებელი და არახელსაყრელი მოთხოვნები არის. ამის გამო ყოველგვარი ურთიერთობა შეწყვიტეთ მასთანო. ამის შემდეგ ბატონიშვილს ნებით თუ უნებლიეთ სხვა აღარ რჩებოდა, რუსეთის ორიენტაციაზე საბოლოოდ უნდა აეღოთ ხელი და სპარსეთში დაბრუნებულიყო. სპარსეთში წასვლამდე მან იმიერკავკასიის ხალხებს შორის მოპოვებული დიდი ავტორიტეტი ამ ხალხების აბას-მირზასთან დაკავშირებისათვის გამოიყენა. 1818 წლის 6 მარტით დათარიღებული წერილით ბატონიშვილი სპარსულ ხელისუფლებას ატყობინებდა, რომ „ღვთის მოწყალებით და შაჰზადას დოვლათით მთელი დაღისტანი და სულთან ჰამათხანც (ავარიის ხანი, – ე.ო.) ჴელმწიფისა და შაჰზადასთვის მიშოვნია... ვინცავინ დაღისტანში რუსის მჴარე არიან და რუსის ჯამაგირს სჭამენ, ისინიც მიშოვნია. თუ შაჰზადა ინებებს, რაყამს და ჯამაგირს უბოძებს, რა ერთსაც მზევლებს ინებებს, იმთენს ვაახლებთ. მე ასე დაჯერებული ვარ და დაღისტნისაგან მარტო სულთან ამადხანის მეტი მზევალი არ ეჭირებოდეს. ეს ნურავის გონია მარტო დღეისა და ხვალისათვის მეშოვნოს დაღისტანი. ჩემის გარჯილობით ჴელმწიფისა და შაჰზადას ერთგულებისათვის მიშოვნია საბოლოოთ“. ალექსანდრე ბატონიშვილის ერთგული თათრები, რომელთაც ზემოთ აღნიშნული და სხვა წერილები მიჰქონდათ სპარსეთში, 1818 წლის ივნისში ბოლნისის ხეობაში შეიპყრეს და წერილი რუსულ ხელისუფლებას ჩაუვარდა ხელთ. ცნობამ იმის შესახებ, რომ ავარიის სულთანი ახმედ-ხანი ალექსანდრეს მეშვეობით უკავშირდებოდა სპარსეთს, ერმოლოვი საგონებელში ჩააგდო. საქმე იმაში იყო, რომ ახმედ-ხანთან თავად ერმოლოვს ჰქონდა

საიდუმლო მოლაპარაკება გამართული და მას ბატონიშვილის თვალთვალსა და თავის დროზე მის ყიზლარში მიტყუებასაც ავალებდა, რისთვისაც ახმედ-ხანისთვის საკმაოდ სოლიდური თანხა ჰქონდა მიცემული. უფრო მეტიც, ავარიის ხანი ერმოლოვს, თუ კი მას სათანადო საწამლავს გამოუგზავნიდნენ, ბატონიშვილის მოკვლასაც კი სთავაზობდა. ზემოხსენებული წერილიდან კი ჩანდა, რომ ახმედ-ხანსა და ალექსანდრე ბატონიშვილს შორის მჭიდრო კავშირი იყო დამყარებული. შეფიქრიანებულმა მთავარმართებელმა ბრძანება გასცა, დანამდვილებით გაერკვიათ, რა ხასიათის ურთიერთობა ჰქონდა ავარიის ხანს ბატონიშვილთან. გარდა ამისა, წერილების წამღებ თათრების დაკითხვიდან გაირკვა, რომ მოკლე ხანში ბატონიშვილი გაქცევას აპირებდა ან ქართლის გავლით ახალციხეში, ან ყუბის პროვინციიდან სპარსეთში. ამ ცნობის მიღებისთანავე ბრძანებები დაეგზავნათ ყაზახის, ბორჩალოს, შამშადილის დისტანციების მთავარ მამასახლისებს, ელისავეტოპოლისა და გორის ოლქების უფროსებს და სხვა სამხედრო პირებს, რათა გაეასკეცებინათ ყველა იმ გზისა და გზაჯვარედინის დაცვა, სადაც კი მოსალოდნელი იყო ბატონიშვილისა და მისი თანმხლები პირების გამოჩენა, მიეღოთ ყველა ზომა მათ დასაჭერად ან გასანადგურებლად. ამავე დროს, კიდევ უფრო გაამკაცრეს ყარახში მყოფი ბატონიშვილის ყოველი ნაბიჯის თვალყურის დევნება.

1818 წლის 20 აგვისტოს მოვიდა ცნობა, რომ 16 აგვისტოს ბატონიშვილი ოცამდე თანმხლები პირით ბაღათულელი ლეკის – დავრიშას წინამძღოლობით გამოვიდა ყარახიდან. სასწრაფოდ ამოქმედდა ბიუროკრატიული მანქანა და წამოვიდა ახალი ტალღა ბრძანებებისა ყველა იმ სამხედრო უფროსების მიმართ, ვისაც ბატონიშვილის მეთვალყურეობა ევალებოდათ, მიეღოთ საგანგებო ზომები მის დასაჭერად. ასეთი საგანგებო ზომების მიუხედავად, ბატონიშვილმა მაინც მოახერხა, ხელი-

დან გასხლტომოდა ყველა საგუშაგოს გაძლიერებულ ყარაულებს და მშვიდობიანად მისულიყო ახალციხის საფაშოში, ხერთვისის სანჯაყის ბეგთან. როგორც შემდეგში ბატონიშვილის თანმხლები პირის ნინია აღათაშვილის და სხვა მოწმეების ჩვენებიდან გაირკვა, ნუხიდან სამუხის ველით საქართველოში 11 ცხენოსნის თანხლებით შემოსულმა ბატონიშვილმა ისარგებლა იმ გარემოებით, რომ საგანგებო გაფრთხილების მიუხედავად, დემურჩიასალის საგუშაგო თითქმის ცარიელი დახვდა, ამ ფონის მახლობლად გადალახა მტკვარი და ალგეთის ნაპირ-ნაპირ განაგრძო გზა. მარაბდის გასწვრივ ბატონიშვილი და მისი ხალხი გადავიდნენ ალგეთზე, დღე მდინარე ხრამის მინდორზე გაატარეს, ღამე კი წალკასთან, სოფელ ქვეშის მახლობლად დაბანაკდნენ. მეორე დღეს მათ ხახალა-ჯვართან ზედ მესაზღვრე ჯარის შტაბ-ბინაზე გაიარეს. კაზაკები იქვე იყვნენ, მაგრამ ლტოლვილებისათვის ყურადღება არავის მიუქცევია. ბატონიშვილს ეჭვი რომ არ აღეძრა, განზრახ ნელი ნაბიჯით მიჰყავდა ცხენი, გზადაგზა კაზაკებს ელაპარაკებოდა კიდეც. ხახალა-ჯვარიდან ათიოდე ვერსის მოშორებით, ნისლიანი ამინდის გამო ბატონიშვილი ზედ ჰუსეინ-ხანის საგუშაგოს გადააწყდა. იგი აქაც არ შედრკა და ვიდრე მისი თანამგზავრები საგუშაგოს უფროსის კითხვაზე პასუხობდნენ, თუ ვინ იყვნენ და საიდან მოდიოდნენ, აუჩქარებლად გადავიდა მდინარეზე და თანამგზავრებთან ერთად განაგრძო გზა. მაგრამ საგუშაგოზე შემთხვევით მყოფი ქართველი ისაია მარუაშვილი მიხვდა, რომ ეს ცხენოსნები ბატონიშვილი და მისი ხალხი უნდა ყოფილიყვნენ და თავისი ეჭვი საგუშაგოს უფროსს გაუზიარა. ახლა კი დაედევნენ საეჭვო მგზავრებს კაზაკები, მაგრამ დარჩეულ ბედაურებზე ამხედრებულმა მგზავრებმა ისე გააქროლეს ცხენები, რომ მათი ასავალ-დასავალი ვეღარავინ ნახა. მდევრებს მხოლოდ ამალის ერთ-ერთი წევრი ნინია აღათაშვილი ჩაუვარდათ ხელში, რომელსაც ცხენი დავარდნოდა და თანამგზავრებს ვეღარ მიჰყოლოდა.

ამრიგად, ბატონიშვილის განსაკუთრებული გულადობისა და რუსული ჯარის უდისციპლინობის შედეგად, სულ ფუჭად ჩაიარა ბოლო ორი წლის განმავლობაში მისი ყველა ნაბიჯის ზვერვამ და საგანგებო ზომების მიღებამ. ბატონიშვილმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამჯერადაც მოახერხა უვნებლად გასხლტომოდა ხელიდან სასაზღვრო დაცვას, რომელიც ზუსტად იყო ინფორმირებული, თუ როდის და სად იყო მოსალოდნელი მისი გამოჩენა და მშვიდობით მივიდა ახალციხის საფაშოში ხერთვისის სანჯაყის ბეგთან.

პოლკოვნიკი ლადინსკი, რომელსაც ევალებოდა ახალციხისაკენ მიმავალი გზების საიმედოდ შეკვრა, მთავარმართებლის წინაშე თავს იმით იმართლებდა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი და ფარული გზები ისე მქონდა შეკრული, ზედ ჩიტიც ვერ გადაფრინდებოდა, მაგრამ ამას ვინ წარმოიდგენდა, რომ ბატონიშვილი დღისით-მზისით ზედ სასაზღვრო დაცვის რაზმების ბინებზე ისე გაივლიდა, თითქოს საგანგებო ღია ბარათის მფლობელი მგზავრი ყოფილიყოო. როგორც ჩანს, ბატონიშვილი, რომელიც შესანიშნავად იყო ინფორმირებული ყველა უღელტეხილისა და გადასასვლელის გაძლიერებული დაცვის შესახებ, იმედს სწორედ იმაზე ამყარებდა, რომ მისი ცნობილი გულადობის მიუხედავად, ახალციხისაკენ მიმავალ გზაზე მის აშკარად გამოჩენას მაინც არავინ მოელოდა და აკი გაუმართლდა კიდეც მოლოდინი.

ბატონიშვილის ხელიდან გასხლტომით უზომოდ განრისხებულმა ერმოლოვმა სასტიკად დასაჯა სასაზღვრო დაცვის რაზმების უფროსები, მაგრამ ამით საქმეს აღარა ეშველებოდა რა და ახლა ახალი გეგმების შედგენა დაიწყეს, თუ როგორ ჩაეგდოთ ხელთ ახალციხიდან ირანში გამგზავრებისას ბატონიშვილი. პოლკოვნიკ ლადინსკის მიერ გენერალ-მაიორ ველიამინოვთან შეთანხმებული გეგმა შემდეგში მდგომარეობდა. ლადინსკიმ გაიგო ახალციხიდან ირანში გამგზავრებისას ვინ

იქნებოდნენ ბატონიშვილის მეგზურები და დიდი თანხის დაპირებით შეუთანხმდა მათ, რომ ბატონიშვილი იმ გზით წაეყვანათ, სადაც ჩასაფრებული იქნებოდნენ თათრები და თათრულ ტანისამოსში გადაცმული კაზაკები, რომელთა თავდასხმის დროს მეგზურები თვითონ შეიპყრობდნენ ბატონიშვილს და შეუერთდებოდნენ ლადინსკის ხალხს. მეგზურები პირობას იძლეოდნენ, რომ ყველა ღონეს იხმარდნენ ბატონიშვილის ცოცხლად ხელში ჩასაგდებად, მაგრამ უკიდურეს შემთხვევაში, თუკი ამის მოხერხება შეუძლებელი იქნებოდა, თათრებს მისი მოკვლის ნებასაც აძლევდნენ. თუ ბატონიშვილს ცოცხლად შეიპყრობდნენ, ზედმეტი აურზაურის თავიდან აცილების მიზნით, იგი თბილისში კი არ უნდა გამოეგზავნათ, არამედ ანაპის გავლით გაემგზავრებინათ რუსეთში. ერმოლოვმა ძირითადად მოიწონა ეს გეგმა, მაგრამ ჩვენს ყურადღებას იპყრობს მის მიერ გაკეთებული კორექტივები: ერმოლოვი ნებას რთავდა თავდამსხმელებს მაინც და მაინც დიდად არ შეეწუხებინათ თავი იმით, რომ აუცილებლად ცოცხლად ჩაეგდოთ ხელში ბატონიშვილი, მაგრამ მოკლული ბატონიშვილის ცხედარი კი აუცილებლად გამოეგზავნათ თბილისში, სადაც მის გასვენებას რუსული ხელისუფლება ერთგვარი პატივის მიგებითაც მოაწყობდა, რომ „თავქარიან“ ქართველ ხალხს ერთხელ და სამუდამოდ ერწმუნა, რომ ბატონიშვილი ცოცხალი აღარ არის და დაწყნარებულიყო. თითქოს ცინიზმი ამაზე შორს აღარ შეიძლება წავიდეს, მაგრამ ამ მხრივ რუსული ხელისუფლების შესაძლებლობებს, ეტყობა, ზღვარი არ გააჩნდა. ბატონიშვილის შეპყრობა მკვლელობის გეგმის შემდგომი დაზუსტებისას ველიამინოვი ლადინსკის სწერდა: „თურქეთისა და ირანის სამფლობელოთა ფარგლებში ბატონიშვილის ფარული-მკვლელობის ნებას ვერას დიდებით ვერ დაგრთავთ, რადგანაც, რაც არ უნდა ფარულად მოხდეს ეს ამბავი, მაინც დააეჭვებს ხალხს, ყოველივე გამჟღავნდება და მთელი ევროპის თვალში რუსე-

თის იმპერიის ღირსება შეილახება. ამავე დროს, ასეთი ზომები სავსებით ეწინააღმდეგება მის იმპერატორებით დიდებულების ნებას და კანონებს, მაგრამ აი, ერევნის მისადგომებთან ბატონიშვილის გზის გადაღობვისას მის მკვლელობაზე კი თანახმა ვარ“.

როგორც ჩანს, სპარსეთის პასიურობით უკმაყოფილო ალექსანდრე ბატონიშვილი ორიენტაციის შეცვლას აპირებდა და ახალციხის საფაშოსა და აბაშიძეების მამულში დამკვიდრების შემდეგ საქართველოს ტახტისათვის ბრძოლას უფრო საიმედოდ მიიჩნევდა, მაგრამ აბაშიძეების უარით გაწბილებული და განსაკუთრებით კი თურქეთის საზღვრებში მისი ცხოვრების გამო ირან-თურქეთის ურთიერთობის გამწვავების შედეგად, იგი იძულებული იყო თურქეთი დაეტოვებინა და კვლავ ძველ მფარველს დაბრუნებოდა.

1819 წლის 7 იანვარს ალექსანდრე ბატონიშვილი 150-მდე შეიარაღებული თურქი მხლებლით გარშემორტყმული სპარსეთისაკენ გაემართა. ეჩმიაძინთან მას შეეგებნენ ერევნის სარდლის მიერ წარმოგზავნილი სომეხი წარჩინებულები, ხოლო ერევნის ციხის გალავანს გარეთ თვით ერევნის სარდალი ჰუსეინ-ხანი მთელი ცხენოსანი ჯარით და ზარბაზნებით გარშემორტყმული დახვდა და დიდის პატივით მიიღო. სპარსეთის ტახტის მემკვიდრემ, აბას-მირზამ ალექსანდრე ბატონიშვილს სამმართველოდ დარლაგიოზის ოლქი უბოძა, რომელიც ყარაბაღის, ნახიჭევანის, ერევნისა და განჯის სახანოების საზღვრებთან მდებარეობდა. ახლა სტრატეგიულად ასეთ მნიშვნელოვან ადგილას ბატონიშვილის დასახლებამ შეაშფოთა ერმოლოვი. იგი ყარაბაღის მმართველს გენერალ მადათოვს სწერდა, რომ მისი სამყოფელის ჩვენს საზღვრებთან ასე ახლოს შერჩევა იმ მიზნით მოხდა, რომ მან თათართა დისტანციებში მოსახერხებელი მიმოსვლით ისარგებლოს, აგვიმხედროს ისინი და თავისთან გადაიბიროსო. ერმოლოვი მადათოვს ავალებდა,

ფხიზლად ედევნებინა თვალყური ყარაბაღში მომხდარი მოვლენებისათვის და ალექსანდრე ბატონიშვილის გარემოცვაში გაეჩინა სანდო მსტოვარი, რომელსაც ყველა მისი ნაბიჯი ეცოდინებოდა, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ მეზობლად მცხოვრები ბატონიშვილი არაფერს დაიშურებდა იმისათვის, რომ ყარაბაღში თავის მომხრეთა ძლიერი პარტია შეექმნა და სპარსეთისათვის გაეადვილებინა ყარაბაღის სახანოს ხელში ჩაგდება.

აბას-მირზამ არა მარტო ბატონიშვილის საცხოვრებელზე იზრუნა, არამედ საქართველოს ტახტის მემკვიდრე უძეოდ რომ არ გადაგებულიყო, თავის მოხელეებს მისთვის შესაფერი საცოლის გამოძებნაც დაავალა და მართლაც, 1820 წლის მაისში 50 წლის ბატონიშვილმა ეჩმიაძინში ჯვარი დაიწერა ერევნის სახანოს მთავარი მელიქის, სააკ აღამალის ნორჩ, სიტურფით განთქმულ ქალზე – მარიამზე. მდიდრული ქორწილის ყველა ხარჯი აბას-მირზამ გადაიხადა.

ქორწილისათვის მზადებას და თვით ქორწილს ალექსანდრე ბატონიშვილისათვის ხელი არ შეუშლია თავისი საოცნებო მიზნის – ბაგრატიონთა ტახტის აღდგენისათვის ზრუნვა განეგრძო. სწორედ ამ ხანებში, 1819-1820 წლებში დასავლეთ საქართველოში რუსული ხელისუფლების საწინააღმდეგო საყოველთაო აჯანყება მზადდებოდა და ბუნებრივია, რომ რუსული ხელისუფლებით უკმაყოფილო ხალხს იმედის თვალი ალექსანდრე ბატონიშვილისაკენ ჰქონდა მიპყრობილი, რომლის შეურიგებლობა მთელ კავკასიაში იყო ცნობილი. ბატონიშვილის კარზე აჯანყებულთა დესპანებმა ერთმანეთის მოყოლებით იწყეს დენა. ისინი ბატონიშვილს იმერეთში იწვევდნენ და გამარჯვების შემთხვევაში იმერეთის ტახტს სთავაზობდნენ. პირველ ხანებში, რა თქმა უნდა, მრავალგზის გაწბილებული ბატონიშვილი თითო-ოროლა დესპანის თხოვნას იმერეთისაკენ გამგზავრებაზე აგრე იოლად ვერ დაეთანხმებოდა და

დასავლეთ საქართველოში მისი გამეფების შესახებ მთელი თავადაზნაურობის, ხალხისა და სამღვდელოების სურვილის წერილობით დადასტურებას მოითხოვდა. როგორც საბუთებიდან ჩანს, თანდათანობით იგი დარწმუნებულა ამბოხებულთა მიერ წამოწყებულ საქმეს სერიოზული პირი რომ უჩანდა და მისთვის ჩვეული ენერგიით მოუკიდია ხელი საქმის ორგანიზაციისათვის. პირველ რიგში მას სანდო კაცი გაუგზავნია აბას-მირზასთან იმერეთში წასასვლელი ნებართვის სათხოვნელად; ერევანში შეუკრებია თათართა დისტანციებიდან გამოქცეული მამასახლისები და ცხენოსანი რაზმის გამზადება უბრძანებია; ახალციხის საფაშოში თავისი ამალიდან გაუგზავნია თავადები მიხეილ ანდრონიკაშვილი და ესტატე თარხნიშვილი დასავლეთ საქართველოში არსებული სიტუაციის გასარკვევად და თურქეთის სერასკირისათვის დახმარების სათხოვნელად. თავის მხრივ, არც რუსული ხელისუფლება მჯდარა გულხელდაჭდობილი და ბატონიშვილის საქმიანობის შესახებ თავის კონფიდენტების მიერ ზუსტად ინფორმირებულს, სწორედ იმ პერიოდში როცა ბატონიშვილი ეჩმიაძინში ჯვრის დაწერას აპირებდა, სასაზღვრო რაზმების უფროსები მკაცრად გაუფრთხილებია, ალექსანდრე ბატონიშვილის ერევნიდან ახალციხისაკენ ყოველდღე მოსალოდნელი წამოსვლის შემთხვევაში, თუ კი მის გზაში დაჭერას ვერ მოახერხებდნენ, მაშინ მის ფიზიკურ მოსპობასაც არ მორიდებოდნენ. მაგრამ ზუსტად ამავე ხანებში დასავლეთ საქართველოს მღელვარებამ ისეთი მწვავე ხასიათი მიიღო, რომ ხელისუფლებამ იმერეთ-გურია-სამეგრელოში დიდძალი ჯარები მიაყარა და აჯანყება სისხლში ჩაახშო. ისე რომ, ალექსანდრე ბატონიშვილმა უშუალო მონაწილეობის მიღება ვეღარ მოასწრო.

1822 წლიდან ბატონიშვილს დარლაგიოზის ნაცვლად სალმასტის მაზრა უბოძეს, რომელიც უმთავრესად სომხებით და აისორებით ყოფილა დასახლებული. სალმასტის მაზრაში

ბატონიშვილთან ერთად მისი ამალის 50-მდე წევრი დასახლებულა და როგორც გადმოგვცემენ, ამ ახალი მამულის მშვენიერ ჰავას, წყალს, ბაღებსა და გარშემორტყმულ ტყეებს სამშობლოს მონატრებული ბატონიშვილისათვის ერთგვარი შვება უნდა მოეგვარა. მალე ალექსანდრე ბატონიშვილსა და მის მეუღლეს მარიამს ვაჟი შეეძინათ, რომელსაც დიდი პაპის სახელი – ერეკლე უწოდეს.

მაგრამ შედარებით მოსვენებით ცხოვრება ალექსანდრე ბატონიშვილს დიდხანს არ დასცალდა. 1826 წლის ზაფხულს ირანის ტახტის მემკვიდრის აბას-მირზას დაჟინებით, მრავალგზისი მოთხოვნების შედეგად და ინგლისის ხელშეწყობით გათამამებული, რუსეთის წინააღმდეგ საომრად გამალებული ემზადებოდა. როგორც რუსეთის საგანგებო ელჩი მენშიკოვი ატყობინებდა ერმოლოვს, ირანი დიდძალ ჯარს უყრიდა თავს, მაგრამ სპარსელები მთავარ იმედს მაინც რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ მაჰმადიანური პროვინციების ამხედრებაზე ამყარებდნენ. ასევე დიდი იმედი ჰქონდათ, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი რუსული ხელისუფლებით უკმაყოფილო ქართველების მომხრობას შეძლებდა. ჯერ კიდევ 1826 წლის მარტში სპარსეთში მყოფი ბატონიშვილისათვის იმერეთის აჯანყების შემდეგ ტრაპიზონში გაქცეულ იმერელ ვახტანგ ბატონიშვილს გაუგზავნია წერილი, რომლითაც ეკითხებოდა, მართალია თუ არა გავრცელებული ხმები, თითქოს რუსეთ-სპარსეთს შორის ომია დაწყებული და თუ კი ეს ხმები მართალია და „...თუ ღმერთმა ქნა და იქედან თქვენ წახვედით საქართველოში, მე კი ჩემს სამშობლოში (გულისხმობს იმერეთს, – ე.ო.), მალევე მოვახერხებთ ხალხის აღშფოთებას“. ამის შემდეგ სულ მალე აბას-მირზამ ამ მიზნით ალექსანდრე ბატონიშვილი მართლაც გამოიწვია თავრიზში. 1826 წლის ივლისში სპარსელებმა ომის გამოუცხადებლად დიდძალი ჯარებით მდინარე არაქსზე გადმოლახეს საზღვარი, ამიერკავკასიის

თითქმის მთელი სამხრეთი ნაწილი დაიკავეს და საქართველოსაკენ დაიძრნენ. 1826 წლის 9 სექტემბერს გენერალ-ლეიტენანტი გ. ერისთავი საიდუმლოდ ატყობინებდა თელავის ოლქის უფროსს, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი 300-მდე კაცით ჭარშია მოსული და აფრთხილებდა მას, აეკრძალა კახელებისათვის ალავერდობის ზეიმზე თავშეყრა. ასევე ავალებდა, საგანგებო ზომები მიეღო კახეთის დასაცავად, სადაც ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო ჭარელებისა და ბატონიშვილის შემოჭრა, მაგრამ 13 სექტემბერს გენერალ პასკევიჩის მეთაურობით რუსეთის ჯარმა ელისავეტოპოლთან (განჯასთან) სასტიკად დაამარცხა აბას-მირზას მთავარი ძალები და ალექსანდრე ბატონიშვილი ჭარში ვეღარ გაჩერდა. ამის შემდეგ იგი შაქის სახანოში გადავიდა, საიდანაც შაქის ხანთან ერთად აპირებდა კახეთზე თავდასხმას. მის საშველად შამშადილის დისტანციისკენ ერევნის სარდალი ჰუსეინ-ხანი გამოემართა ჯარებით, მაგრამ მას ერმოლოვმა დაასწრო და ყაზახის დისტანციაში შეიყვანა ჯარები. ჰუსეინ-ხანი იძულებული გახდა, მთაში გაჩერებულიყო. ყაზახისა და შამშადილის მოსახლეობამაც ამბოხებისაგან თავი შეიკავა, მათ მხარი ვეღარ დაუჭირეს ბატონიშვილს, რომელსაც ისღა დარჩენოდა, რომ შაქის ხანთან ერთად ყარაბაღის პროვინციის სოფლებზე მიეტანა იერიში. სულ მალე კი ერმოლოვმა ისინი აქედანაც განდევნა და უკვე ოქტომბრის შუა რიცხვებისათვის ერმოლოვი მოახსენებდა იმპერატორს, რომ ჩვენი სამფლობელოები თითქმის მთლიანად გაწმენდილია მტრისაგან და მომავალი წლის საომარი ასპარეზი უკვე სპარსეთის სამფლობელოები იქნებაო. მართლაც, 1827 წელს რუსულმა ხელისუფლებამ დიდი ხნის ოცნება შეისრულა და 1 ოქტომბერს ექვსდღიანი გააფთრებული იერიშის შემდეგ პასკევიჩის მეთაურობით, რომელმაც საქართველოს მთავარმართებელი ერმოლოვი შეცვალა, ერევანი აიღო. ამ ბრძოლაში რუსებმა ტყვედ აიყვანეს თვით ერევნის სარდალი ჰუსეინ-ხანი.

ერევნის აღებით გათამამებულმა გენერალ-ლეიტენანტმა გ. ერისთავმა, რომელიც მცირე რაზმით ნახიჭევანთან იდგა, გადაწყვიტა, ესარგებლა მომენტით და ვიდრე შეშინებული აბას-მირზა თავისი ჯარით ხოის ციხეში იყო გამოკეტილი, თავრიზისაკენ გაელაშქრა. ერისთავმა ისე სწრაფად გადალახა არაქსი და მიადგა თავრიზს, რომ მოულოდნელობისაგან დაბნეულმა სპარსელებმა არამც თუ ქალაქის გამაგრება ვერ მოასწრეს, არამედ ყოველგვარი წინააღმდეგობის გაწევის გარეშე მიატოვეს იგი და 13 ოქტომბერს სიმდიდრით განთქმული, სპარსეთის მეორე დედაქალაქი მთელი არსენალითა და აურაცხელი ქონებით ჩაბარდა რუსებს. ამის შემდეგ ომის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო და 1829 წლის 10 თებერვალს თურქმანჩაიში დადებული ზავის მიხედვით რუსეთმა ერევნის და ნახიჭევანის ოლქები შემოიერთა და ვეებერთელა კონტრიბუციის გადახდა დააკისრა ირანს.

თავრიზის აღების შემდეგ ალექსანდრე ბატონიშვილს სხვა გზა აღარ დარჩენოდა და თურქეთში გადავიდა, მით უმეტეს, რომ ახლა რუსეთ-თურქეთის ომი იწყებოდა. თავის ბედთან შეურიგებელმა ბატონიშვილმა ეს შემთხვევაც არ გაუშვა ხელიდან და 1828-1829 წლებში იგი თურქეთში გახიზნულ გურიის უკანასკნელ მთავარს, სოფიო გურიელს ეხმარებოდა ტახტის დასაბრუნებლად გამართულ ბრძოლაში. მაგრამ რუსეთ-თურქეთის ეს ომიც რუსეთის გამარჯვებით დამთავრდა და ადრიანოპოლის ზავის დადების შემდეგ ბატონიშვილი კვლავ სპარსეთში დაბრუნდა. სპარსეთში დაბრუნებულ ბატონიშვილს სალმასტის მაზრაში მცხოვრები აღარც სომხები დახვედრია და აღარც მისი ამალის წევრი ქართველები, რომლებიც პასკევიჩს გადმოუსახლებია საქართველოში. ეს გარემოება ბატონიშვილისათვის მეტად უსიამოვნო უნდა ყოფილიყო. მით უმეტეს, რომ ირანთან და თურქეთთან ომებში რუსეთის გამარჯვების შემდეგ ერევნის სახანო და ახალციხის საფაშო რუსეთის იმპე-

რიის ფარგლებში შევიდა, რის შედეგადაც ბატონიშვილს რუსეთის წინააღმდეგ სამოქმედო ბაზა ხელიდან გამოეცალა და მისი მოქმედების ასპარეზიც ერთობ შეიზღუდა. მომავალში თითქოს ალექსანდრე ბატონიშვილის საოცნებო მიზნის, ქართული სახელმწიფოებრიობისა და ბაგრატიონთა ტახტის აღდგენის განხორციელების აღარავითარი პერსპექტივა აღარ ჩანდა. მაგრამ ამ ხანებში პეტერბურგსა და მოსკოვში მცხოვრებ ბატონიშვილებსა და თბილისის მოწინავე წრეებს შორის რუსეთის საწინააღმდეგო შეთქმულების მზადება იწყებოდა და შეთქმულებსაც, პირველ რიგში, რა თქმა უნდა სწორედ ალექსანდრე ბატონიშვილი გაახსენდათ, რომელსაც მათი აზრით ხალხი ყველაზე მეტად ენდობოდა და ყველაზე უკეთ ის შეძლებდა მათ მომხრობასა და რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებას. შეთქმულთა მიერ შემუშავებული საქართველოს მმართველობის პროექტის მიხედვით, გამარჯვების შემთხვევაში ალექსანდრე ბატონიშვილი საქართველოს მეფედ და სახელმწიფო სამმართველოს ზედა პალატის თავმჯდომარედ იყო ნაგულისხმევი, როგორც შემდგომში, შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ საქართველოს მთავარმართებელი როზენი სწერდა სამხედრო მინისტრს ჩერნიშევს: „საერთოდ მას, ბატონიშვილს თვლიდნენ ისეთ პირად, რომელსაც შეუძლიან ყველაზე მეტად გამოიწვიოს მღელვარება და განაგოს საქართველო ქართველების მეხსიერებაში შერჩენილი მისი გავლენის წყალობით“. ალექსანდრე ბატონიშვილის კარზე კვლავ გაჩაღდა დესპანების მიმოსვლა. 1831 წელს შეთქმულების ერთ-ერთი მთავარი მონაწილის ალექსანდრე (პუპლია) ორბელიანის მიერ გაგზავნილმა მოლა ზამანამ ამცნო ბატონიშვილს შეთქმულების მზადება, რაზეც მრავალგზის გაწბილებული ბატონიშვილის პირველი რეაქცია მკვეთრად უარყოფითი იყო. როგორც შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ, დაკითხვაზე მიცემულ ჩვენებაში აცხადებდა ალ. ორბელიანი, მას შემოუთ-

ვლია: „მე მოვხუცდი და აღარ შემიძლიანო და ახლა თქვენმა საზოგადოებამ იცის როგორ მოიქცევითო...“. რა თქმა უნდა, ბატონიშვილი შეთქმულების პასიური მაყურებლის როლში ყოფნას დიდხანს ვერ აიტანდა და იმავე 1831 წელს მას თვითონ მიუწერია ალექსანდრე ორბელიანისათვის – „ადრევე თქვენი საზოგადოების მაგივრად საკუთრივ შენგნით მივიღე წიგნი, რომლითაც გსურთ საქართველოს განთავისუფლება და მპირდებოდით მეფობასა, მაგრამ თქვენგნით მე ვეღარა შევიტყე რა და აღარ მაცნობეთ რა...“ – რის პასუხადაც ორბელიანი ატყობინებდა, რომ 1831 წლის პოლონელების აჯანყების დამარცხებისა და სასტიკად ჩახშობის გამო თბილისელმა შეთქმულებმაც თავის განზრახვაზე ხელი აიღესო. „...ახლა სრულებით მშვიდობიანობა არის მეთქი და აღარავინ აღარას ფიქრობს, ვინაიდან პოლიაკები დაითრგუნენო“, – აცხადებდა დაკითხვაზე ალ. ორბელიანი.

1832 წელს ბატონიშვილს ეგვიპტის ფაშისაგან მოუვიდა შიკრიკი, რომელიც იმიერკავკასიის მთიელთა ბელადთან ყაზი-მოლასთან შუამავლობასა და რუსეთის წინააღმდეგ კავკასიის მთიანეთის ამხედრებას ითხოვდა. ბატონიშვილმა მისთვის ჩვეული ენერგიით მოკიდა ამ საქმეს ხელი და ყაზი-მოლასთან გაგზავნილი დელეგაციის ერთ-ერთ წევრს თათარ ბალა-მაჰმადას ალექსანდრე ორბელიანის მონახულებაც დაავალა. ამ დროისათვის შეთქმულთა საქმიანობა კვლავ განახლებული იყო და სწორედ ამ ბალა-მაჰმადას საშუალებით შეატყობინეს შეთქმულებმა ალექსანდრე ბატონიშვილს, რომ მას თავისი მოძღვარი ტალიაშვილი გაეგზავნა თავრიზში ახლად დანიშნული რუსეთის ელჩის გრაფ სიმონიჩის საელჩოს წევრთან სოლომონ რაზმაძესთან. ეს უკანასკნელი გააცნობდა მას შეთქმულების მთელ ვითარებას. ასევე ბატონიშვილს ავალებდნენ, დაკავშირებოდა თავრიზში მყოფ ინგლისელ ელჩებს და მათთვისაც ეთხოვა შეთქმულების შემწეობა.

არც ამჯერად ეწერა ბატონიშვილის იმედებს განხორციელება. სწორედ ბორჩალოელ თათრებს შორის გავრცელებულმა ხმებმა ბატონიშვილსა და ალ. ორბელიანს შორის წარმოებულ მიწერ-მოწერის თაობაზე დააშინა შეთქმულების აქტიური წევრი იასე ფალავანდიშვილი, რომელმაც ვიდრე ხელისუფლების ყურამდე მიაღწევდა ეს ხმები, დასწრება ამჯობინა და თვითონ გასცა შეთქმულება, ხოლო რაც შეეხება ყაზი-მოლას ბრძოლას რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ, როზენმა 1832 წელს სასტიკად დაამარცხა ყაზი-მოლა და მიწასთან გაასწორა მისი აული გიმრი. ბრძოლაში თვით ყაზი-მოლაც დაიღუპა. ასევე მძიმედ, თითქმის სასიკვდილოდ დაიჭრა ყაზი-მოლას მარჯვენა ხელი და შემდგომში იმიერკავკასიის მთიანეთის საყოველთაოდ აღიარებული ბელადი შამილი, ასე რომ, იმიერკავკასიის მთიანეთის ბრძოლაც რუსეთის წინააღმდეგ რამდენიმე წლით შეწყდა და ბატონიშვილს იმედი აღარაფრისა უნდა ჰქონოდა. სულ ფუჭად ჩაიარა ათეული წლების განმავლობაში მისმა თავგანწირულმა ბრძოლამ, მაგრამ ბედმა მარტო ამას არ დააჯერა ბატონიშვილი. მას წინ კიდევ ახალი, მძიმე განსაცდელი ელოდა. 1829 წელს თურქეთიდან სპარსეთში დაბრუნებულ ბატონიშვილს ცოლ-შვილი იქ აღარ დახვდა. ისინი თავრიზის აღების შემდეგ პასკევიჩმა წაიყვანა და მარიამის მამას – მელიქ სააკს მიჰგვარა. ვიდრე მარიამი და პატარა ერეკლე მამასა და პაპასთან იმყოფებოდნენ, ბატონიშვილს თითქოს შიში არაფრისა უნდა ჰქონოდა, მაგრამ მრავალჭირნახულ ბატონიშვილს მაინც ერჩია ცოლ-შვილი თავისთან ჰყოლოდა და, რადგანაც ყოფილი ერევნის სახანო ახლა უკვე რუსეთის იმპერიის ფარგლებში შედიოდა, მის აზერბაიჯანის ემირ ნიზამისთვის უთხოვია, ეშუამდგომლა თავრიზში მყოფ რუსეთის ელჩ გრაფ სიმონიჩთან, მისი ცოლ-შვილისათვის სპარსეთში დაბრუნების ნებართვა მიეცათ. თავის მხრივ, საქართველოს მთავარმართებელმა ბარონმა როზენმა რუსეთის

საგარეო მინისტრს ნესელროდესა და იმპერატორ ნიკოლოზ I-ს მიმართა წინადადებით, ალექსანდრე ბატონიშვილის მემკვიდრე პეტერბურგში გაეწვიათ, სადაც მისი წოდების შესაფერ განათლებას მიაღებინებდნენ, რუსეთისა და ხელმწიფის ერთგულებას ჩაუნერგავდნენ და საბოლოოდ მოიშორებდნენ იმ მოსალოდნელ საფრთხეს, რაც შეიძლება მოჰყოლოდა სპარსეთში მამის სულისკვეთებით ჭაბუკის აღზრდას. კერძოდ, ადვილი წარმოსადგენი იყო, რომ ერეკლეც მამის გზას დაადგებოდა, ურჩ კავკასიელ მთიელებს დაუკავშირდებოდა და მათ ბრძოლას ბოლო ადვილად აღარ მოეღებოდა. როგორც ჩანს, იმპერატორს მოეწონა როზენის მოსაზრება მცირეწლოვანი ერეკლეს პეტერბურგში გაწვევის შესახებ, მაგრამ კანონიერი ქმრისათვის ცოლ-შვილის დაბრუნებაზე უარის თქმა იმდენად გაუგონარი რამ იყო, რომ თუკი ბატონიშვილის მეუღლე თვითონ, ნებაყოფლობით გადაწყვეტდა ქმართან დაბრუნებას, მათ დასატოვებლად ძალის გამოყენება ნიკოლოზ I-საც კი უხერხულად მიაჩნდა. ამიტომ იგი როზენს ავალებდა, აეხსნა დედისთვის, რა გაჭირვება და საფრთხე მოელოდა მას და მის შვილს. თუკი ისინი სპარსეთში დაბრუნებას არჩევდნენ და რა უპირატესობა ექნებოდა ყმაწვილისათვის სასახლის კარზე ბრწყინვალე აღზრდის მიღებას. როზენს ყოველი ღონე უნდა ეხმარა, რათა მარიამი რუსეთში ნებაყოფლობით წასვლაზე დაეთანხმებინა. ასევე გაუჭირდა რუსეთის ელჩს გრაფ სიმონიჩს ალექსანდრე ბატონიშვილისა და ემირ ნიზამის დაჟინებითი მოთხოვნის – დაებრუნებიათ ბატონიშვილის ცოლ-შვილი სპარსეთში – უარსაყოფად საპატიო მიზეზის გამონახვა, მაგრამ ამას აღარავინ დაგიდევდა. რაკიღა როზენმა იმპერატორის პრინციპული თანხმობა მიიღო, ენერგიული მოქმედება გააჩაღა ბატონიშვილის ცოლ-შვილის პეტერბურგში გასასახლებლად. ამ საქმის შესრულება მან სომხეთის ოლქის უფროსს, გენერალ ვასილ ბებუთოვს დაავალა, მაგრამ ეს ასე იოლად შესასრულებელი

როდი იყო. ბატონიშვილის მეუღლის, მარიამის რეაქცია ბებუთოვის წინადადებაზე, პეტერბურგში გაეგზავნა შვილი, ან თუ თვითონაც ისურვებდა, წაჰყოლოდა მას დედაქალაქში – იმდენად მძვინვარე გამოდგა, რომ მრავლის მნახველ გენერალსაც კი თავზარი დასცა. გააფთრებული დედა იმუქრებოდა, რომ თუ მისი შვილის გადასასახლებლად ძალას იხმარდნენ, იგი ყველას თვალწინ თავისი ხელით ხანჯლით განგმირავდა საკუთარ შვილს. როზენსა და ბებუთოვს დიდი დრო დასჭირდათ იმისათვის, რომ მარიამი როგორმე თბილისში ჩამოსვლაზე დაეყოლებინათ. როგორც ჩანს, ბატონიშვილის მეუღლე ბოლოს და ბოლოს მიახვედრეს, რომ რაკი ხელმწიფემ გამოთქვა უმაღლესი ნება მისი შვილის პეტერბურგში აღზრდის თაობაზე, მისი შეუსრულებლობა არაფრით აღარ შეიძლებოდა. ამრიგად, 1833 წლის აგვისტოში ბატონიშვილის ცოლ-შვილი თბილისში ჩამოვიდა. ჩამოსვლისთანავე მარიამმა როზენს განუცხადა, რომ ვიდრე ირაკლი ცოტა მაინც არ წამოიზრდება, ვერსად გაგზავნის და, რაც მთავარია, იგი უნდა დაუკავშირდეს თავის მეუღლეს, რომელსაც სურს, ხელმწიფეს პატიება და მფარველობა სთხოვოს და თუ რუსეთი აპატიებს ურჩობას, მაშინ სამივე ერთად გაემგზავრება რუსეთში. რა თქმა უნდა, მარიამი ამას დროის მოგების მიზნით აცხადებდა, თორემ მას შესანიშნავად უნდა სცოდნოდა, რომ მისი მეუღლე არც პატიების თხოვნას აპირებდა და არც რუსეთში გადასახლებას. როზენმა მარიამის თხოვნა აცნობა იმპერატორს. რუსულმა ხელისუფლებამ დიდის სიხარულით მიიღო ეს ცნობა, სასწრაფოდ, ეს მერამდენედ, „აპატია“ ბატონიშვილს მისი „დანაშაული“ და უკვე ადგილის შერჩევა დაიწყეს, სად დაასახლებდნენ მათთან ქედმოდრეკით მისულ ბატონიშვილს. იგი კი, ზომაზე მეტად შეშფოთებული, მეუღლის წერილის მიღებისთანავე უმალვე აპირებდა გადამჭრელი ზომების მიღებას ცოლ-შვილის დასაბრუნებლად, მაგრამ ბედმა აქაც უმუხთლა. სწორედ ამ დროს,

სავსებით მოულოდნელად გარდაიცვალა მისი მფარველი და მეგობარი, რუსეთის ორიენტაციის სასტიკი წინააღმდეგი, ირანის ტახტის მემკვიდრე აბას-მირზა. რა თქმა უნდა, ბატონიშვილს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, რომ აბას-მირზას გარდაცვალების შემდეგ სპარსეთის ხელისუფლება რუსეთთან ურთიერთობის გამწვავებას აღარ მოინდომებდა და მის დასახმარებლად დიდად აღარ შეიწუხებდა თავს, მაგრამ რუსეთის წინაშე ქედის მოდრეკა მაინც არ მოინდომა, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, მის ცოლ-შვილს თბილისში აღარ გააჩერებდნენ. მართლაც, დროის მეტი გაჭიანურება აღარ ეგებოდა და 1834 წლის აგვისტოში მარიამი და ნორჩი ერეკლე პეტერბურგში გაამგზავრეს. ამის შემდეგ, ბატონიშვილი სულ მარტო დარჩა და როგორც შვილისათვის მიწერილი წერილებიდან ჩანს, მისი „მწუხარე გულის" ერთადერთი სიამოვნება „უძვირფასესი და უსანატრელესი" შვილის წერილები იყო. „...შემდგომად ამისა, თქუენის ხელით მოწერილმან წერილმან – წერდა იგი შვილს – ფრიად გვასიამოვნა. ასე რომ, მწუხარება ჩვენი განაქარნა და ჩუენთვის დაუფასებელმა პორტრეტმა თქუენმან გაგვაჭაბუკა და მიგვცა მხიარულებასა!".

ალექსანდრე ბატონიშვილისათვის განსაკუთრებით მძიმე უნდა ყოფილიყო მისი ცხოვრების ბოლო წლები, როცა ირანის შაჰის გარდაცვალების შემდეგ მას პენსიაც შეუწყვიტეს. ვალებში ჩავარდნილი ბატონიშვილი იძულებული იყო, სალმასტის მამულების შემოსავალი თავისი კრედიტორებისათვის გადაეცა, თვითონ კი თეირანს გადასახლებულიყო, სადაც 1844 წელს უკიდურეს სიღარიბეში დალია სული. მის მსახურს, იადუბ-ბეგს, მისივე ანდერძის თანახმად, იგი თეირანის შაჰ-აბდულ-აზიმის უბანში – სომხური ეკლესიის გალავანში დაუკრძალავს, როგორც ისტორიკოს შ. ხანთაძის მიერ მოტანილი ცნობიდან ჩანს, სომეხ მოგზაურსა და მეცნიერს, შარაზან-ვარდანიანს უნახავს მისი საფლავი და რადგანაც

საფლავის ქვაზე არავითარი წარწერა არ იყო, მოუნდომებია მასზე წარწერის ამოკვეთა, მაგრამ იმის გამო, რომ ქართული, ან სომხური ანბანის მცოდნე ქვისმთლელი ვერ უპოვნია. სპარსული წარწერა კი ბატონიშვილისთვის ვერ უკადრებია, ეს განზრახვა ველარ შეუსრულებია.

რაც შეეხება ბატონიშვილის ვაჟს ირაკლის, მან პეტერბურგში პაჟთა კორპუსის დამთავრების შემდეგ სასახლის კარზე ბრწყინვალე ცხოვრება და ჩინ-მედლებით გულმკერდის დამშვენება არ ინდომა, სამხედრო სამსახურიდან ადრე გადადგა და როგორც კი ამის ნება დართეს, თბილისში გადმოსახლება და აქ მოკრძალებული ცხოვრება არჩია. როგორც ჩანს, ბრწყინვალე აღზრდა-განათლების მიცემის მიუხედავად, რუსულმა ხელისუფლებამ მისი გული მაინც ვერ მოიგო. მისი თანამედროვე მაღალი რანგის რუსი მოხელე ინსარსკი აღნიშნავდა, რომ ირაკლი ბატონიშვილი მეტად საინტერესო და დიდად განათლებული პიროვნება არის, მაგრამ ყველაფერზე ეტყობა, რუსებს ძნელად გვიტანს და მისი ნება რომ იყოს, ყველას სიამოვნებით გაგვყრიდა აქედანო.

ირაკლი ბატონიშვილი, რამდენიმე წლის მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 1882 წელს გარდაიცვალა. ქართველმა ხალხმა, უცხო ქვეყნის მიწას უსახელოდ და დაუტირებლად მიბარებული მამის წილი პატივიც შვილს მიაგო და ირაკლი ბატონიშვილი დიდის გლოვით და ზარით მიასვენა მცხეთაში, სადაც სვეტიცხოვლის ტაძარში მართლაც რომ მეფურის დიდებით დაკრძალა.

ალექსანდრე ბატონიშვილის წერილები

გამოსაცემად მოამზადა

ეთერ ორჯონიკიძემ

წინასიტყვაობა

ალექსანდრე ბატონიშვილმა შესანიშნავად იცოდა, რომ გარეშე ძალა (უმთავრესად სპარსელები და ლეკები), რომელსაც იგი ეყრდნობოდა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის დროს, ქართველი ხალხისათვის ტრადიციულად მიუღებელი იყო. ამიტომ იგი დიდ ყურადღებას უთმობდა სათანადო აგიტაციას. რუსეთ-სპარსეთის ომების ყველა ბრძოლას, რომელშიც ბატონიშვილი უშუალოდ მონაწილეობდა, წინ უძღოდა მისი წერილი-მოწოდებები, მიმართული პერსონალურად თითქმის ყველა თავად-აზნაურისა და საერთოდ ქართველი ხალხისადმი. ამ წერილებით იგი აუწყებდა ხალხს, რომ ყიზილბაშები სამტროდ კი არ მოყავდა, არამედ დასახმარებლად და ყველას მოუწოდებდა უყოყმანოდ დამდგარიყვნენ მის მხარეზე.

ალექსანდრე ბატონიშვილი რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ უშუალო ბრძოლის პარალელურად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დიპლომატიურ მოლაპარაკებასაც. ამის შედეგად მას ძალიან მრავალფეროვანი ადრესატები ჰყავდა. ესენი იყვნენ არა მარტო XIX საუკუნის პირველი მესამედის თითქმის ყველა მთავარმართებელი, არამედ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ნესელროდე და თვით იმპერატორი ალექსანდრე I-იც. ბატონიშვილის წერილები დაწერილია მეტად მიმზიდველი, ხატოვანი ენით და ამ წერილებში იგი ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ მოღვაწედ და დიპლომატად გვევლინება, რომელიც თავის მრავალრიცხოვან კორესპონდენციაში, რუსულ ხელისუფლებასთან ურთიერთობის უკიდურესად დაძაბულ პერიოდშიც კი, არამც თუ რაიმეში ადანაშაულებდა იმპერატორს, არამედ ყველგან ხაზგასმით ცდილობდა, საქართველოს თავს დატეხილი უბედურებანი ხელმწიფის ნების საწინააღმდეგო ქმედებად წარმოედგინა. ყოველივე ეს კი მას საშუალებას აძლევდა, არ გაეწყვიტა ურთიერთობა რუსეთთან და თავისი მიზნის მისაღ-

წევად ბრძოლა დიპლომატიური მოლაპარაკების მიმართულებითაც განეგრძო.

ყოველივე ზემოთქმულის გამო ბატონიშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა, რომ მუდმივ მზადყოფნაში ჰყოლოდა სალაშქრო კანცელარია, რომლის სათანადოდ განსწავლული მდივნებით შევსებაზე იგი დაღისტნის მიუვალ თემში – ანწუხში ცხოვრების დროსაც კი ზრუნავდა. ჩანს, მას მდივნების საკმაოდ მრავალრიცხოვანი შტატიც უნდა ჰყოლოდა, რადგანაც მის მიერ ერთ ცალად შედგენილი წერილი-მოწოდებანი, რომელთაც იგი ყოველი ბრძოლის წინ აგზავნიდა, სხვადასხვა ხელით იყო გამრავლებული, რათა ამ კორესპონდენციის ადრესატამდე მისვლის მაქსიმალური საიმედოობისათვის მიეღწია.

ჩვენ მიერ წერილების გამოცემისას უცვლელადაა შენარჩუნებული დედნის ორთოგრაფია. პუნქტუაცია ჩვენ მიერაა დასმული. ქარაგმები მოცემულია გაუხსნელად. ყოველი წერილის არქეოგრაფიული აღწერა გადატანილია გამოცემის შემდეგ განყოფილებაში – „შენიშვნებში“ და განლაგებულია წერილების რიგითი ნომრების მიხედვით. ტექსტსა და წერილის გარეგან ნიშნებთან დაკავშირებული საკითხები და შინაარსობრივი კომენტარები არაბული ციფრებით არის აღნიშნული. მათი განმარტებაც გადატანილია „შენიშვნებში“ წერილის რიგითი ნომრის მიხედვით.

№1

1804 წლის 29 მარტის წერილი-მოწოდება ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილებისა მუხრანბატონებისადმი

ქ. ჩვენ მაგიერათ ერთობლივ მუხრან ბატონიანთ ასე მოხსენდესთ. მერმე ჩვენი ანბავი ესრეთ აუწყეთ: ჩვენის მოწყალის ხელმწიფის ფეხთა მიწა-მტვერს როდისაც ვიახელით და ჩვენი საჩივარი მოვახსენეთ, ხემწიფემ თავის ურიცხვის მოწყალებით მაშინვე მთელს ერანში ბრძანება გასცა და მაშინვე საქართველოში წამობრძანების თადარიგებში შევიდა. სხვა რიგითაც მრავალი წყალობაები მოიღო ჩვენზედ და ჩვენთან მყოფსთ თავადებზედ თეთრით თუ ხალათებით, ცხენებით თუ იარაღებით, თუ სხვას წყალობაებით. ასეთი წყალობაები მოიღო ჩვენზედ და ასეთი პატივი მოგვცა, რომ არას ერანის ხემწიფეს ჩვენს მამაპაპაზედ ამისთანა წყალობა არ მოუღია და არც ამისთანა პატივი მოუციათ და არც სხვას დროს სხვა ხემწიფებისაგან თავადებს ამისთანა წყალობა არ მიუღიათ, როგორითაც ჩვენთან მყოფთ წყალობაები მიიღეს. ყოვლის ადგილებიდამ ორმოცის დღით ნოვრუზის წინათ ჯარები მოიყვანეს. და ჯარების სანი ნახა ხემწიფემ და თავის უფროს შვილს აბას მირზას დიდრონი ჯარები უბოძა და ჩვენც თან გვაახლო და ოცდარვას მარტს თერანიდამ გამოვედით და მანდეთ წამოვედით. ჩვიდმეტს დღეს უკან ხელმწიფეც თავისის ზღვისებრის მღელვარეს ჯარებით თერანიდამ მანდეთკენ წამობრძანდება. ჩვენ ამას გწერთ, რომ რადგანაც ხემწიფემ ეს ურიცხვი მოწყალება მოიღო ჩვენზედ და ჩვენის ოჯახის ამომგდებლის მანდედამ გაყრა ინება, თქვენ არამც და არამც ასეთი საქმე გიქნიათ, რომ დიდებულის ხემწიფის რისხვამ თქვენს თავზე მოაღწიოს და საქართველოს წახდენის მიზეზი შეიქნათ და თქვენი ცოლშვილი დაატყვევოთ. ჩვენი ოჯახი ათასსამასი წელიწადია

საქართველოს მეფენი ყოფილან და ერანის ხემწიფის ყმანი. თქვენს მამა-პაპას ყოველთვის ჩვენის ოჯახისათვის და ჩვენს მამა-პაპათ წინ სისხლი დაუღვრიათ. თქვენ ასეთი საქმე არა ქნათ, რომ თქვენი ოჯახებიც არ დაღუპოთ და თქვენი ნამსახურობაები და სისხლის დაღვრაც ჩაატაროთ. ესენი ლეკები ხომ არ არიან, ხუთი ათასი კაცი არ არის, ათი ათასი და ოცი ათასი. ყანდაარი და ყანდაარს ზევითა მთელი ერანი მანდ მოდის. ღმერთმა ხომ იცის, ან უნდა მანდ ამოწყდნენ და ან უნდა მანდედამ რუსები გაყაროონ. თქვენ ახლა ყველანი ჩვენთან წამოდით და წინ მოგვეგებენით. ორპირათ მოდის ჯარები. ერთს ჯარში ყეენი იქნება და მეორეს ჯარში შაჰზადა. ერთი ყარაბაღის გზაზედ მოვა და ერთი გოგჩაზე. ჩვენც იმ დროს ან ყეენთან ვიქნებით და ან შაზადასთან. რომელიც გზა გეახლოებოდეს და ამჯობინოთ, იმ გზაზედ წამოდით და წინ მოგვეგებენით, და თუ უფრო წინ მოგვეგებებით, ის უფრო უკეთესი იქნება. ხემწიფის ფარვანიც მოგივათ ხათრიჯამობისა და დრო ეს არის, წამოდით. ხემწიფის წყალობაც დიდი დაგემართებათ და როგორითაც თქვენი მამა-პაპანი ერთგულნი ყოფილან, თქვენ უმეტესად ერთგულად აღმოჰჩნდებით. თუ ამ ჩვენს რჩევას დაიჯერებთ და მოხვალთ, ხომ კარგია, თუ არა და თქვენ იცით. ღმერთს ერწმუნეთ, რაც ამ წიგნში მოგვიწერია სწორე არის და ჭეშმარიტი სიტყვაა ყოველივე და ახლა თქვენ იცით. თითო ამისი პირი ქართლში და კახეთში ყველასთვის მიგვიწერია და ჩვენი ვალი აგვიყრია და ახლა თქვენ იცით. მარტის კთ ქ~კს უჟბ. მეფის ძე თეიმურაზ სიყვარულით მოგიკითხავთ. თუ ჩვენ ანბავს იკითხავთ, ჩვენც ამათს უმაღლესობას ბიძაჩვენს ვახლავართ. ხემწიფისაგან ასეთი მოწყალება მიადგა, რომ ჩვენს მამა-პაპას ხემწიფისაგან ასეთი მოწყალება არ მისდგომიათ. ახლა თუ ჩვენს რჩევას დაიჯერებთ, ახლავ ამათს უმაღლესობას იახელით. ღ~თნ ხომ იცის, ხემწიფისაგანაც და ბიძის ჩვენისაგანაც დიდი წყალობა დაგემართებათ და

თუ ამ ჩვენ რჩევას არ დაიჯერებთ და არ მოხვალთ, საუკუნოთ თქვენს ოჯახს დააქცევთ, ახლა თქვენ იცით.

მეფის ძე.

№2

1804 წლის 29 მარტის წერილი-მოწოდება ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილებისა ყვარლელებისა და გავაზელებისადმი

ქ. ჩვენ მაგიერათ ყვარელებს და გავაზელებს ასე ეუწყოთ. მერე ჩვენი ანბავი ესრეთ იუწყეთ: ჩვენის მოწყალის ხელმწიფის ფეხთა მიწა მტვერს როდისაც რომ ვიახელით და ჩვენი საჩივარი მოვახსენეთ, ხემწიფემ თავისის ურიცხვის მოწყალებით მაშინვე მთელს ერანში ბრძანებაები გასცა და მაშინვე საქართველოში წამობძანების თადარიქში შევიდა. სხვა რიგათაც მრავალი წყალობები მოიღო ჩვენზედა და ჩვენთან მყოფ თავადებზედა; თეთრით თუ ხალათებით, ცხენებით, იარაღებით თუ სხვას წყალობებით ასეთი წყალობაები მოიღო ჩვენზედ და ასეთი პატივი მოგვცა, რომ არა ერანის ხემწიფეს ჩვენს მამა-პაპაზედ ამისთანა წყალობა არ მიუღია და არც ამისთანა პატივი მიუციათ. არც სხვას დროს სხვა ხემწიფისაგან თავადებს ამისთანა წყალობა არ მიუღიათ, როგორითაც რომ ჩვენთან მყოფთ წყალობაები მიიღეს. ყოველის ადგილიდამ ორმოცის დღით ნავროზს წინათ ჯარები მოიყვანეს. და ჯარების სანი ნახა ხემწიფემ და თავის უფროს შვილს აბაზმირზას დიდროვანი ჯარები უბოძა და ჩვენც თან გვახლო. და ოცდარვას მარტს თერანიდამ გამოვედით და მანდეთკენ წამოვედით. ჩვიდმეტს დღეს უკან თითონ ხემწიფე, თავისის ზღვისებრის მღელვარე ჯარებით მანდეთკენ წამობრძანდება.

ჩვენ ამასა გწერთ, რომ რადგანაც ხემწიფემ ეს ურიცხვი მოწყალება მოიღო და ჩვენის ოჯახის ამომგდებლების მანდედამ გაყრა ინება, თქვენ არამც და არამც ასეთი საქმე გიქნიათ, რომ დიდებულის ხემწიფის რისხვა თქვენს თავზე მოაწიოთ და საქართველოს წახდენის მიზეზი შეიქნათ და თქვენი ცოლი და შვილი დატყვევოთ. ჩვენი ოჯახი ათასსამასი წელიწადია რომ საქართველოს მეფენი ყოფილან და ერანის ხემწიფის ყმანი. თქვენს მამასა და პაპას ყოველთვის ჩვენის ოჯახისათვის და ჩვენს მამაპაპათ წინ სისხლი დაუღვრიათ. თქვენ ასეთი საქმე არა ქმნათ, რომ თქვენი ოჯახებიც დაღუპოთ და თქვენი ნამსახურობაც და სისხლის დაღვრაც ჩატაროთ. ესენი ლეკები ხომ არ არიან. ხუთი ათასი კაცი არ არის, ათი ათასი და ოცი ათასი. ყანდარი და ყანდარს ზევით მთელი ერანი მანდ მოდის ღ~თნ ხომ იცის, რომ ან უნდა მანდ ამოწყდნენ, და ან მანდედამ რუსები გარეკონ. თქვენ ეხლავ ყველანი ჩვენთან წამოდით და წინ მოგვეგებენით. ორპირათ მოდის ჯარები. ერთ ჯარში ხემწიფე ბძანდება და მეორეს ჯარში შაზადა. ერთი ყარაბაღის გზაზედ მოვა და ერთი გოგჩაზედ. ჩვენც ამ დროს ან ყეენთან ვიქნებით და ან შაზადასთან. რომელიც გზა გეახლოებოდესთ და ამჯობინოთ, იმ გზაზედ წამოდით და წინ მოგვეგებენით. და თუ უფრო წინ მოგვეგებებით ის უფრო უკეთესი იქნება. ხემწიფის ფარვანიც მოგივათ ხათრიჯამობისა და დრო ეს არის, წამოდით. ხემწიფის წყალობაც დიდი დაგემართებათ და როგორითაც თქვენი მამა-პაპანი ერთგულნი ყოფილან, თქვენ უმეტესად ერთგულად აღმოჩნდებით. თუ ამ ჩვენს რჩევას დაიჯერებთ და მოხვალთ, ხომ კარგია, თუ არა და თქვენ იცით. ღ~თს ერწმუნეთ, რაც ამ წიგნში მოგვიწერია სწორე და ჭეშმარიტი არის ყოველივე. თითო ამისი პირი ქართლსა და კახეთში ყველასთვინ მოგვიწერია და ჩვენი ვალი აგვიხდია და ახლა თქვენ იცით. მარტის კთ ქ~კს უჟბ.

ვინ იცის ასე იფიქროთ, რომ აქედამ ლეკი მოვა და წაგვახ-

დენსო; დიდებული ხემწიფის ფარვანიც და ჩვენი კაციც იქ გაგვიგზავნია. იქიდამ ლეკი ვეღარ დაგლაშქრავსთ თუ მოხვალთ. და თუ არ მოხვალთ და იქიდამ ლეკიც მოვა და აქედამ ჩვენცა. და ეგ ქვეყნებიც წახდება და დიდებული ხემწიფის რისხვასაც მიიღებთ და ჩვენთანაც მუხანათათ გამოცხადდებით, თუ წინ არ მოგვეგებენით. და თუ მოგვეგებებით, ღ~თს ვფიცავ და მამა ჩემის მზესა საფლავსა, რომ საფიქრებელი ნურავის რა გექნებათ.

მეფის ძე თეიმურაზ სიყვარულით მოგიკითხავთ. თუ ჩვენს ანბავს იკითხავთ, ჩვენც ამათს უმაღლესობას ბიძაჩვენს ვახლავართ. და ხემწიფისაგან ასეთი მოწყალება მოადგა ბიძაჩვენს, რომ არას ჩვენს მამა-პაპას ასეთი მოწყალება არ მისდგომიათ. ახლა, თუ ჩვენს რჩევას დაიჯერებთ, ახლავ ამათს უმაღლესობას იახელით. ღ~თნ ხომ იცის, ხემწიფისგანაც და ბიძიჩვენისგანაც დიდი წყალობა დაგემართებათ. და თუ ამ ჩვენს რჩევას არ დაიჯერებთ და არ მოხვალთ, საუკუნოთ თქვენს ოჯახს დააქცევთ. და ახლა თქვენ იცით.

№3

1804 წლის წერილი-მოწოდება ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილებისა მინბაშ ზაზა ამირაჯიბისადმი

ქ. მეფის ძე ალექსანდრე და თეიმურაზ სიყვარულით მოგიკითხავთ მანბაშ ამირაჯიბო ზაზავ! მერე ვიცით ჩვენს ამბავს იკითხავ. ღთის მოწყალებით ჩვენმა ყ~დ მოწყალე ხელმწიფემ ასეთი წყალობაები მოიღო ჩვენზედ, რომ არას ჩვენს მამასა და პაპას ერანის ჴელმწიფისგანა ასეთი მოწყალებაები არ დამართებიათ. თავის უფროს შვილს აბას მირზას დიდროვანი ჯარები უბოძა. ჩვენც თან გვაახლო და ოცდარვას მარტს თერანიდამ გამოვედით და მანდეთკენ წამოვედით. ჩვიდმეტს დღეს

უკან თვითონ ყეენიც წამობრძანდება მანდეთ. მთელი ერანის ჯარი მანდ მოგვყავს. ჩვენის ერთგულობისა და გარჯის დრო ეს არის. როგორადაც შენის ერთგულებისაგან ვიცოდეთ, ისე ერდგუ ლად გაისარჯე. შენი შვილი ახლავ ჩვენთან გამოგზავნე, რომ წინ მოგვეგებნონ და შენც მანდ შენ იცი, როგორც გაირჯები. შენის სიძის წიგნიც მოგივა და ღთისმოწყალებით ჩვენს ქვეყანაში რომ შემოვალთ, ეს წიგნები ნიშნად შეინახე, რომ რას წყალობასა გვთხოვ, მოგცემთ. ახლა შენზედ ჰკიდია გარჯა. შენი შვილები ჩქარა გამოისტუმრე. ჴელმწიფიდამაც დიდ წყალობას მიიღებთ. მარტის კთ ქ˜კს უჟბ. ერთერთი შვილი გამოგზავნე შენი.

№4

1804 წლის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა დიმიტრი ჩოლოყაშვილისადმი

ქ. ბრწყინვალეო თავადო ჩვენო უსაყვარლესო სიძევ დიმიტრი! მეფის ძე ალექსანდრე და თეიმურაზ მრავალს სიყვარულით აღვსილს მოკითხვას მოგახსენებთ. ჩვენ ამბავს იუწყებ: ჩვენმა ჴელმწიფემ ასეთი მოწყალებაები მოიღო ჩვენზედ, რომ ამას ერანის ხელმწიფეს ჩვენს მამა-პაპაზედ ასეთი მოწყალება არავიზედ მოუღიათ. მთელი ერანი ჩვენს საშველად მანდ მოგვყავს. ჴელმწიფემ თავის უფროს შვილს აბას მირზას დიდროვანი ჯარები უბოძა. ჩვენც თან გვაახლო და ოცდარვას მარტს თერანიდამ გამოვედით ხელმწიფეც ჩვიდმეტს დღეს უკან თეირანიდამ გამობრძანდება და მანდეთკენ წამობრძანდება. ახლა როგორადაც შენის ერთგულებისაგან ვიცოდე... ოთხიოდე ფშავის უფროს უფროსნი და ხევსურის უფროს უფროსნი კაცნიც შენთან წამოიყვანე. ეს წიგნი შენცა და ფშავსა და ხევსურსაც ნიშნათ გქონდესთ, რომ რაც თქვენი

გულის საწადელია, იმ რიგი წყალობა დაგემართებათ ჩვენგან. ვინძლო ჩემო დიმიტრი გაისარჯო. ერთი ჩვენი წიგნიც ფშავთა და ხევსურთათვის მოგვიწერია და ახლა თქვენ იცით და თქვენმა კაცობამ ჴელმწიფიდამაც...

№5

1804 წლის წერილი-მოწოდება ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილებისა სარდალ ოთარ ამილახვრისადმი

ქ. მათს ბრწყინვალე ბატონს ამილახვარს სარდარს! მეფის ძენი ალექსანდრე და თეიმურაზ სიყვარულით მოგიკითხავთ. მერმედ ვიცით ჩვენი ბედნიერება გიამება და ჩვენი ამბავი ესე იუწყე: ჩვენ რასაც წამს ჩვენის ხელმწიფის ფეხთა მიწა მტკვერს ვიახელით, ფიცხლავ მანდეთკენ წამობრძანების თადარიგებში შებრძანდა. და ჩვენზედ ასეთი მოწყალებაები მოიღო ყოვლისფრით, რომ არას ერანის ჴელმწიფისა ასეთი წყალობაები არას ჩვენს მამათ პაპაზედ არ მიუღიათ. თავის უფროს შვილს აბას მირზას დიდროვანი ჯარები აახლო და ოცდარვას მარტს თერანიდამ გამოვედით და მანდეთკენ წამოვედით. ჩვიდმეტს დღეს უკან თითონ ჴელმწიფეც გამობრძანდება და მანდეთკენ წამობრძანდება. ჩვენის ოჯახის გულისათვის ყოველთვის თავდადებული ჰყოფილხარ და ახლაც შენ იცი, როგორადაც რომ გაირჯები. ჴელმწიფესთანაც გამოგვიცხადებია შენი სახელი და თუ კარგად გაირჯები ჴელმწიფიდამაც დიდ წყალობაებს მიიღებთ და ჩვენგანაც. ჩვენის გულისათვის დიდად უნდა გაისარჯო. მარტს კთ ქ˜კს უჟბ.

№6

1804 წლის 29 მარტის წერილი-მოწოდება ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილებისა კონსტანტინე მუხრანბატონისადმი

მუხრანის ბატონო კონსტანტინე!

ქ. მაღალ ბრწყინვალეო ბატონო! მეფის ძე ალექსანდრე და თეიმურაზ ჩვენს სასურველს პირს გაკოცებთ. მერმე ასე ვთქვათ რომ მეფის ერეკლეს შვილიშვილიც არ იყო და ჩვენი დისწული, ჩვენის გვარისა მაინც ხარ. ოსებმა იციან და ფშავლებმა თავისის თოხუმის ქომაგობა და შენ არ ვიცი, რა დაგემართა. შენგან ასეთი იმედი გვქონდა, რომ აქამდინაც არ დამდგარიყავ და ჩვენთან წამოსულ იყავ. მაგრამ არ ვიცი, რა მიზეზი არის. რას წამს ეს ჩვენი წიგნი მოგივიდესთ შენ იცი როგორათაც გაირჯები. რამთენიც რომ ბევრის კაცით მოხვალ და წინ მოგვეგებები, უფრო პატივს მოგცემენ. და შენ ნუ მომიკვდები, ღვთის მოწყალებით, როდისაც ჩვენს ქვეყანაში შემოვალთ, ჩვენი საცხოვრებელი სულ შენი იქმნება; ჩვენი დისწული ხარ და ჩვენი მამის მზგავსად საყვარელი. ალბათ რომ საჩქაროთ წამოხვალ და წინ მოგვეგებები, რომ ჴელმწიფის წყალობაც დიდი მიიღო და ჩვენიც. მარტის კთ ქ˜კს უჟბ. იოსებ მოურავმა სიყვარულით მოგიკითხა და ასე მოგწერა, რომ შენც აქ წამოდი ჩემთან, არც მე ვარ გიჟიო. შენ ნუ მომიკვდები გაბედნიერდები თუ წამოხვალ, შენს ძმას თეიმურაზს სიყვარულით მოვიკითხავთ.

№7

1804 წლის 30 მარტის წერილი ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილებისა იოანე ამილახვრისადმი

ქ. მეფის ძე ალექსანდრე სიყვარულით მოგიკითხავ ამილახვრის შვილო ომანის შვილო იოვანე! მერე მრავალი მოკითხვა გეუწყოს. მერე ვიცი, რომ ჩვენი ერთგული ხარ და ჩვენი ბედნიერება გიამება. ახლა როგორითაც შენის ერთგულობისაგან ვიცოდეთ, ისე უნდა გაისარჯო. მამის ჩემის მზემა, ღ~თნ ხომ იცის, მართალია აქამდინ ჩვენი მოშორებული ყოფილხარ, მაგრამ ყოველთვის ჩემის გონებისაგან მოუშორებელი ყოფილხარ და ხარ. ახლა ჩვენის ყოვლად მოწყალის ხემწიფის ასეთი წყალობაები დაგვემართა, რომ არას ჩვენ გვარში ამისთანა წყალობაები არავის დამართებია; თავის უფროს შვილს ხემწიფემ დიდროვანი ჯარები უბოძა და გამოისტუმრა მანდეთ. ჩვიდმეტს დღეს უკან თითონ ხემწიფეც გამობძანდება მანდეთ. გარჯისა და სამსახურის დრო ეს არის. შენ იცი... ისაც, ვისი იმედი გქონდეს, ისინიც თან წამოიყვანე. ვისთანაც რომ ჩვენი მიწერილი წიგნები მოგივიდეს, ისიც გაუგზავნე. ვინცა ვინ ჩვენთან მოვლენ, დიდ წყალობას მიიღებენ. მარტის ლ ქ~კს უჟბ.

№8

1804 წლის 30 მარტის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა ეპისკოპოს იოანე ბოდბელისადმი

იოვანე!

ქ. ყოვლად სამღდელოს ბოდბელ მიტროპოლიტს, მეფის ძე ალექსანდრე წმინდას მარჯვენას გეამბორები. ჩვენს ან-

ბავს იკითხავთ. ხელმწიფემ ასეთი მოწყალება მოიღო ჩვენზედ, რომ სხვანი საქართველოს მეფენი, რომელნიც რომ ერანის ხემწიფესთან ყოფილან, არც ერთს ხემწიფისგან ასეთი დიდი წყალობაები არ სჭირებიათ. როდესაც რომ ჩვენ ყოვლად მოწყალეს ხემწიფეს ვიახელით, იმ დღიდამ მოკიდებული აქამდის სულ საქართველოში წამობრძანების თადარიქებში ბძანდებოდა. თავის უფროს შვილს აბას მირზას დიდროვანი ჯარები უბოძა ხემწიფემ. ჩვენც თან გვახლო. ოცდარვა მარტს თერანიდამ გამოვედით. ჩვიდმეტს დღეს უკან თითონ ხემწიფეც გამობრძანდება და მანდეთკენ წამობრძანდება. თქვენ ყოვლად სამღვდელოებას ამას ვალათა ვსდებთ, რომ ჩვენ საქმეზე გაისარჯნეთ და მანდ მყოფ ხალხს ურჩიო, რომ ყველანი წინ მოგვეგებნენ, რომ ქრისტიანობა არ წახდეს. ვინც რომ ჩვენ წინ მოგვეგებება, ყველანი ხემწიფისგანაც დიდს წყალობას მიიღებს და ჩვენგანაც. თქვენგან დიდი იმედი გვაქვს, რომ ამ საქმეზედ ბეჯითათ მოიქცეთ. მრავალი ჯაფა გაგიწევიათ ჩვენის ოჯახისთვინ და ახლაც უნდა ჯაფა გასწიო. ღ~თის მოწყალებით ასეთი ჯარები მოგვყავს, რომ თქვენის მადლით სათუო აღარ არის ჩვენი საქართველოში შემოსვლა და ახლა თქვენ იცით, როგორც გაირჯებით. მარტის ლ ქ~კს უჟბ.

№9

1804 წლის 12 მაისის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა სარდალ იოანე ორბელიანისადმი

იოვანე!

ქ. მაღალ ბრწყინვალეო თავადო ბატონო ჩვენო დისწულო სარდარსახლთუხუცესო!

სრულიად საქართველოს მეფის ძე ალექსანდრე მრავალს სიყვარულით აღვსილს მოკითხვას მოგიძღვნი. ვიცი ჩვენს ამ-

ბავს იუწყებ: ღ~თის მოწყალებით ჴელმწიფემ ასეთი მოწყალება მოიღო ჩვენზედ, რომ ამისთანა მოწყალება ჩვენს გვარში არავის არ დამართებია; აბას მირზა შაჰზადა ორმოცდაათი ათასის კაცით წინდაწინ მანდეთ გამოისტუმრა და ჩვენც თან ვახლავართ. ოცი დღე არის თითონ ჴელმწიფეც თერანიდამ გამობძანდა და მანდეთკენ მობრძანდება. მანამ თქვენი წიგნები მოგვივიდოდა, მანამდის ქართლსა და კახეთში წიგნები ყველასთან გამოვისტუმრეთ. თქვენთანაც საკუთრად წიგნის მოწერა გვინდოდა. მაგრამ აქ ასე მოიტანეს ამბავი, რომ ივანე სარდარი რუსეთს წაიყვანესო. ჩვენ მანდ აღარ გვეგულებოდი, ამის მიზეზით ცალკე წიგნი ვეღარ მოგწერეთ. და ახლა, რადგანაც რომ თქვენი მოგვივიდა, დიდად ვისიამოვნეთ, რომ ისევ მანდ ბრძანდებით. თქვენი წიგნი რომ მოგვივიდა, რომელიც რომ აზრები მოგეწერათ, დიახ კარგი აზრები იყო მოწერილი. ფიცხლავ ჴელმწიფესაც და შაჰზადასაც თქვენგან ერთგულების ჩვენება მოვახსენეთ და მირზა შეფის ხათრიჯამობის წიგნი მოვაწერინეთ შენთან, რომელიც რომ ამ წიგნთან მოგივათ. თქვენ ახლავ აქ ჩვენთან წამოდი და წინ მოგვეგებე. ამაზედ სარწმუნო იყავით, რომ ჴელმწიფიდამაც დიდს წყალობაებს მიიღებთ და ჩვენი ოჯახიც შენი შეიქმნება. ჩვენი დისწული ხარ და ჩვენი სისხლი და ხორცი. რასაკვირველია, რომ ჩვენთვის უნდა გაისარჯო. სხვანი თავადნიც უნდა მოიმხრო და საჩქაროდ ჩვენ წინ მოგვეგებო. ხათრიჯამათ იცოდე ხელმწიფედამაც დიდი წყალობა დაგემართება და როგორადაც შენი დიდნი მამა-პაპანი ჩვენთ მამა-პაპათაგან პატივცემულნი ყოფილან, შენ უმეტესად პატივცემული შეიქმნები ჩვენგან. სამსახურის დროც ეს არის, შენ იცი ახლა, როგორათაც ჩქარა წამოხვალ. მაისის იბ ქ~კს უჟბ. თუ რომ შენ ვერ შეიძლო წამოსვლა ასლან და იოსებ სიჩქარით გამოისტუმრე და თქვენ მანდ ისაქმეთ. ამ საქმეს დაგვიანება აღარ უნდა.

№10

1804 წლის 12 მაისის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა ასლან ორბელიანისადმი

ასლან!

ქ. ბრწყინვალე თავადო ყაფლანისშვილო ეშიკაღასო! მეფის ძე ალექსანდრე სიყვარულით მოგიკითხავ. მერმე ყოველსავე ჩვენს ანბავს სარდლის წიგნიდამა სცნობ. შენი წიგნი მოგვივიდა შენგან დიდათ ხათრიჯამნი ვართ რომ შენ ჩემი დიდი ერთგული ხარ. რასაც წამს ეს ჩვენი წიგნი მოგივიდეს, ბიძა შენიც თუ წამოვა ხომ კარგი იქნება, თუ არა და ეგ მანდ გაისარჯოს და შენ და იოსება ახლავ აქ ჩვენთან წამოდით. ხათრიჯამნი იყავით, რომ ჩვენ დიდათ მწყალობელნი ვართ თქვენზედ და ჩემნი საკუთარნიცა ხართ. ჴელმწიფიდამაც დიდი წყალობა დაგემართებათ. ნუღარ დაიგვიანებთ, ახლავ აქ წამოდით მაისის ის ქ˜კს უჟბ.

№11

1804 წლის 23 აგვისტოს წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა ერთობლივ ფშავებისადმი

ქ. საქართველოს მეფის ძე ალექსანდრე სიყვარულით მოგიკითხავ ერთობლივ ჩვენს უნჯყმათ ფშავთ. მერე თუ ჩვენს ამბავს იკითხავთ, აქ ფამბაკში მოვედით თორმეტი ათასის ყიზილბაშის კაცით და ყაჯარი ფირყული ხან სარდალი ჩვენთან არის. ამას და გარდა ქართლიდამაც და კახეთიდამაც თავადნი, აზნაურნი და გლეხნიც მრავალნი არიან ჩვენთან და კიდევ ყაზახისა და შამშადინისა და სხვა ჩვენის თათრების და ელების

ჯარებიც აქ ჩვენთან არიან. ყეენის ამბავს იკითხავთ: ერევანს ბრძანდება ასორმოცი ათასის კაცით. და ერევანს რომ რუსის ჯარი არის იმას შემოადგა და მეჩითში შეამწყვდია. ჯერ სამი ათასი რუსი მეტი მოუკლავთ. ამას გარდა არც შინადამ ჯარში უშვებენ რუსსა და ჰარც არავის გარედამ უშვებენ რუსებთან კაცსა. შიმშილი და ჰავადმყოფობა ხომ სულ ასე ავად ეპყრობა, რომ დღეში ოცდაათი და ორმოცი მეტი კვდება რუსი. ამას გარდა, აქ ფამბაკში ყარაქილისასაც დგას ცოტა რამ რუსი, ესეც ასე შემოვსაფრეთ ღ~თით, რომ ან დღეს და ან ხვალ, თუნდ ხმაც არ გასცეთ, მარტო შიმშილი ამოსწყვეტს. ნახევარი მეტი ჩვენ გავსწყვიტეთ. ხუთასი რუსი წამოსულიყო აქეთ ფამბაკისაკენ პურის წასაღებათ. ჩვენც ამბავი მოგვივიდა მაშინვე ჯარით წამოვედით. აქ ფამბაკში ერთი სოფ... მილა. ახლა ჩვენ და თქვენ დიაღ დიდის ხნის ბატონ-ყმანი ვართ. თქვენც კარგად იცით, ჩვენს მამასა და პაპას თქვენის გულისათვის მრავალჯერ სისხლი დაუქცევიათ და ყოველთვის მამაშვილურათ ყვარებიხართ. და ეგრეთვე თქვენც ყოველთვის ჩვენის ოჯახისათვის მრავალჯერ სისხლი დაგიქცევიათ. ათას სამასი წელიწადი არის, რომ ჩვენი ერთგულნი უნჯნი ყმანი ხართ და ახლაც თქვენი დიდი ერთგულება და დიდი სამსახური გვესმის და როგორც ერთგულად ირჯებით, კიდევ მაგ საქმეზედ ბეჯითად იყავით და ღ~თის მოწყალებით, როგორც სანატრელს მამას ჩვენს მეფეს ერეკლეს უყვარდით და გწყალობდათ, უმეტესად ჩვენგან წყალობაცა და სიყვარული გექნებათ. ახლა ჩვენს ძმას ფარნავაზს გამოვისტუმრებთ ღ~თით მანდეთ ჯარით, და როგორც ჩვენი სიტყვა და ჰაზრი არის, ეს გამოგიცხადებსთ და გაცნობებსთ. მარიამობისთვის კგ ქ~კს უყბ.

№12

1806 წლის 16 ივლისის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა იოსებ მიშკარბაშისადმი (ბებუთაშვილისადმი)

ქ. მეფის ძე ალექსანდრე სიყვარულით მოგიკითხავ მიშკარბაშო იოსებ. მერე მაჰმად აღა რომ გეთხოვნა, გამოგვიგზავნია და რაც ჩვენი სიტყვა არის სრულად ამისთვის დაგვიბარებია. და რაც შენი სიტყვა იყოს, ამისის პირით შემომით)ვალე. კათათვის ივქ˜კს უჟდ. და თუ ნდობის წიგნით მამწერ და ზოგს ზეპირათ დააბარებ ისი... მაგრამ ამ უბეჭდოს წიგნს რომ მწერ, ამისი ყაბული არა მაქვს და არც დავიჯერებ გულსა. ვისგან გეშინიან რომ ბეჭედი იჯდეს შენი. და ამას იქით როცა მომწერო, უბეჭდოს ნუ მაიწერები.

№13

1809 წლის 31 აგვისტოს წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა ჭურთის ხეველთადმი

ქ. საქართველოს მეფის ძე ალექსანდრე ძმურის სიყვარულით მოგიკითხავთ ჭურთვის ჴეველთ. მერმე ვიცით რომ ჩვენს ანბავს იკითხავთ. ღ˜თის მოწყალებით მშვიდობით ვიმყოფებით. კაცნი და წიგნი გამოგეგზავნათ, მოგვივიდა. ჩვენ დაგებარებინეთ. როგორც ჩვენ გვინდოდა, ისე იმისთანა ხაზინითა და ჯარით ჴელმწიფემ ახალციხეს გამოგვისტუმრა და ახალციხეს მოვედით ხაზინითა და ჯარით. ახლა ეს თქვენი გამოგზავნილი კაცნი ისევ საჩქაროთ თქვენთან გამოვისტუმრეთ. ჩვენც საჩქაროთ წამოვიდოდით, მაგრამ რადგან სელიმ ფაშა ქალაქის პირში დასაკრავათ წასულიყო, იმას მოველით და რასაც დროს ფაშა მოვა, მაშინვე ჩვენც დიდრონის ჯარითა და

ხაზინით ქართლში ჩამოვალთ. მანდ რომ მოვალთ, მაშინ გამოჩნდება, როგორც გაირჯებით და ჩვენის გამქრალის ოჯახის სანთელს აანთებთ. პირველად ღ~ი იქნება ჩვენის ოჯახის გამკეთებელი და მას უკან მიზეზი თქვენ შეიქნებით. ეს რომ ასე მოხდება, გასინჯეთ რომ თქვენი რა მწყალობელი ვიქნებით. და ჩვენი საყვარელნი ძმანიც იქნებით, არა თუ ყმანი. ეს ჩვენი გამოგზავნილნი კაცნი ერთერთი ისევ საჩქაროთ ჩვენთან გამოგზავნეთ და ხუთი თქვენი გულს სანდო კაციც გამოატანეთ, რომ რასაც ანბავს ეგ თქვენი კაცნი მოგვიტანენ, ისე იმ რიგათ მოიქცევით. სხვას აქაურსა და ჩვენს ანბავს ეს თქვენი კაცნი გიამბობენ და რაც აქ ანბავი და ჩვენი სიტყვა არის, ეს ჩვენი თავადიშვილი იორამ გიამბობსთ. აგვისტოს ლა ქ~კს უჟზ.

№14

1809 წლის 31 აგვისტოს წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა ოთარ და გიორგი ამილახვართადმი

ქ. მათს ბრწყინვალებას ამილახვარს ძმათა და მეგობართა ჩემთა. ღვთისა მიერ მემკვიდრე მეფობისა თქვენისა მეფის ძე. ალექსანდრე ძმებრივითა სიყვარულითა მოგიკითხავთ. მშვიდობით ხილვას თქვენსა მოველი მაღლისაგან. თუმცა მიღებად მემკვიდრეობითის მეფობისა ჩემისა არს განუსვენებელი შრომა ჩემი, გარნა მოწამე არს ჩემდა ჭეშმარიტება, უმეტესად მაქვს მისწრაფება, რათამცა ძმებრივითა სიყვარულითა ვიხარებდეთ თქვენთანა ერთობით ქართლთა და კახთა თანა და გამოგიხსნა თქვენ უფლებისაგან უცხოთასა, რომელთა ხელთა შინა არა აქვს დასასრული მწუხარებასა თქვენსა. არა იციან პატივის სცემა თქვენი, ვერცა იცნობენ გვართა და შთამომავლობათა თქვენთა. და უკეთუ ძალი და ხაზინა ს~დ ირანისა, ოსმანთა

და ინგლისისა და სისხლი მათი დაითხევის ბედნიერებისა ჩემისათვის, რა გმართებსთ თქვენ ერთობით ქართლსა და კახთა, რომელთა ძველნი სახელოვნად მსახურებიან მამა-პაპათა ჩემთა და სისხლითა მათითა ვალდებული ვართ, რათამცა თქვენ შვილნი მათნი, ვითარცა ძმანი შეგიყვაროთ და ვითარცა თავადთა და დიდებულთა პატივი გცეთ. ესე არს მინუტი ბედნიერებისა თქვენისა, რათამცა ახლად ვალდებულყოთ მემკვიდრება მეფობისა ბაგრატოვანთა და საზღვარსა შინა ქართლისასა სისწრაფით და ერთგულებით მომაშუროთ, სადა იგი გესმასთ ხმა მოსვლისა ჩემისა და უკეთუ არა ინებოთ, უვალო ვრჩები მე გამწარებისა თქვენისაგან, რომელ იცი არა მნებავს მე, ვინაიდგან სიყვარულისა და გამოხსნისა თქვენისა არს დაუძინებელი შრომა ჩემი. აგვისტოს ლა.

№15

1809 წლის 31 აგვისტოს წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა საქართველოს თავადაზნაურობასა, სამღვდელოებასა და სრულიად ქართველი ერისადმი

ქ. ბრწყინვალენო თავადნო საქართველოსანო, ერთობით ქართველნო თავადნო, აზნაურნო და ყოველნო დიდნო და მცირენო სამღვდელონო და ერნო!

საყვარლისა მეფისა და სახსოვარისა მამისა თქვენისა მეფის ირაკლის ძე ალექსანდრე მოხუცებულთა, ვითარცა მამასა და ჭაბუკთა ვითარცა ძმასა, ერთობით ყოველთავე მოგიწერთ სიყვარულსა, მშვიდობასა და მოკითხვასა. არა მოვალ თქვენზედა ძალითა და მახვილითა და არცა შურის გებითა, უკეთუ გაქვსთ რომელთამე წინააღდგომა რაიმე დიდი, ანუ მცირე მაღლისა ოჯახისა ჩემისა. არამედ მოვალ ძალითა მღთისათა მტერთა ზედა და თქვენ ყოველთადმი მშვიდობითა და სიყვარ-

ულითა. ვითარცა ძმათა ამბორს გიყოფთ და ვითარცა მამათა პატივს გცემ. ვიცნობ გვართა თქვენთა, ვიცი სისხლადმდე თავდადებით დამსახურება მათი, მახსოვს პატივისცემა თქვენი და სიყვარულისა თქვენისათვის არა შევიწყალებ სიცოცხლესა ჩემსა, ვიდრემდის გამოგიხსნათ თქვენ უფლებისაგან უცხოთასა, რომელთა არა იციან პატივისცემა თქვენი, ვერცა იცნობენ მამა-პაპათა თქვენთა, რომელთა ხელთა შინა არა აქვს დასასრული მწუხარებას თქვენსა. აწ მოიხსენეთ თქვენცა სიყვარული მამა-პაპათა ჩემთა მეფეთა პატრონთა და მემკვიდრეთა თქვენთა და კვალად მოიხსენეთ ტყვეობა მამისა და პაპისა ჩემისა და ტყვედ მიცემა მამიდისა ჩემისა გამოხსნისთვის თქვენისა ნადირ ავშარისაგან და კვალად სისხლი წამებულისა ქეთევან დედოფლისა ბებიისა ჩემისა აბაზ პირველისაგან, და აწ ესეოდენ დაუძინებელი თქვენთვის შრომა ჩემი, რომელსა მომაქვს სამთა მძლავრთა და დიდთა ხელმწიფეთა ძალი და ხაზინა სრულიად ირანისა, ოსმანთა და ინგლისისა, გამოხსნად თქვენთა ხელთაგან უცხოთასა. ესე არს მინუტი ბედნიერობის თქვენისა, რათამცა განაახლოთ ერთგულობა მამა-პაპათა თქვენთა და მიიღოთ პატივი შესაბამი დიდთა და მცირეთა, შეიწყალოთ სახლეულნი საყმონი და საცხოვრებელნი თქვენი და მშვიდობით დაცვისა თქვენისათვის სისწრაფით და ერთგულობით მომაშუროთ საზღვარსა შინა საქართველოსასა, სად იგი გესმასთ ხმა მოვლისა ჩემისა. და უკეთუ არა ინებებთ უვალო ვიყო მე ყოვლისა განმწარების თქვენისაგან, რომელიც არა მნებავს მე. ვინაიდგან სიყვარულისა თქვენისაგან არს ნიადან განუსვენებელი შრომა ჩემი. აგვისტოს ლა.

№16

1809 წლის 16 აგვისტოს წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა ლევან ბატონიშვილისადმი

ლევანს!

ქ. მათს უგანათლებულესობას ჩვენ ღ~თის წყალობად საგულვოს ძმისწულს!

ბიძა თქვენი ალექსანდრე ღ~თსა ვსთხოვ თქვენს ბედნიერად და მშვიდობით შეყრას. ეს არის ღ~თის მოწყალებით ყოველი ჩვენი საწადელი საქმე ყიზილბაშის მხრიდამ შესრულდა: სახელოვანი სარდალი უსეინ-ხან დიდის ხაზინით და მთლად ერანში გამორჩეული ასიათასის კაცით აქ ახალქალაქს მობძანდა. გუშინ ორშაბათს ერთად შევიყარენით. როგორც ჩვენს გულს უნდა, ისე თავდადებულია ჩვენს საქმეზედ. ამ სამს დღეზე დიდის ჯარით და ხაზინით თქვენს მჯარეს მისტუმრებს და თითონ წალკის მხარეს მობრძანდება. არასდროს ამისთანა თადარიგი არ ყოფილა. თვით ხემწიფე გოგჩას მობრძანდება და ამ ზამთარს ამათ გაბრუნება აღარ იქნება. შაჰზადა აბასმირზა ფამბაკის მხრიდამ თბილისზე მობრძანდება, შაჰზადა მეორე ალიშაჰ განჯის მხრიდამ უნდა მოვიდეს, იბრაიმი ხან ყაჯარი თხუთმეტი ათასის კაცით შაქისა და შირვანის მხარეს გაისტუმრეს და ჩვენ ეს არის დიდის ჯარით და ხაზინით მოსულნი ვართ. იმერეთის ძლიერებაც ხომ გესმისთ. ღ~თის მოწყალებით ყოველივე ჩვენი საწადელი სრულებას მიიღებს, საიჭო აღარ არის. თქვენი სახელი და ვინც ჩვენის ოჯახის ერთგულობა თავადთა თუ მთის კაცთა გამოაცხადეს, დიდებულს ჴელმწიფესთან გამოცხადებული შეიქმნა და ყოველნივე ღ~თის და ჴემწიფის წყალობით აივსებიან. და ვინემდის ჩვენ შეგეყრებოდეთ კიდევ უმეტესად განძლიერდით და საქმის წინ წაყვანას ეცადეთ. სარდალმაც თავადთა ოჯახებს და ძმებს წიგნები მოსწერათ. როგორც ამჯობინოთ, ისე გაუგზავნოთ.

მე ხომ ეს არის, მომსვლელი ვარ და დიდად ჩვენთვის სამჯობინარო და სარდლისაგან გულის დასაჯერებელი საქმე იქნება რომ ერთი ორი მართებული თავადიშვილი სარდალთან გამოისტუმროთ საჩქაროდ. აგვისტოს ივ წელთა ჩყი.

№17

1810 წლის 16 აგვისტოს წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა ერთობლივ ციციშვილებისადმი

ქ. მათს ბრწყინვალებას, დიდათ პატივით საცემელს ერთობით ციციშვილებს საქართველოს მეფის ძე ალექსანდრე მრავალს მათის ბრწყინვალების შესაბამს მოკითხვას მოვახსენეფთ. მერეთ თქვენგან ჩვენი ერთგულობა, ჩვენ ძმისწულს ლევანთან მობძანება, და როგორც თავდადებით და ბეჯითად ირჯებით, ყოველივე დიდებულს ხელმწიფესთან და შაზადასთან გამოვაცხადეთ. ერანის პირველმა სარდალმა და სახელოვანმა უსეინ ხანმაც მოგწერათ და გამოგიცხადათ, რომ ხელმწიფე და დიდებული შაზადა თქვენზედ როგორ დიდის მოწყალებით ბრძადებიან. და საქართველოზე ამისთანა დიდი თადარიგი არასდროს ყოფილა. თვითონ ხელმწიფე გოგჩაზედ მობრძანდება. ამ ზამთარ გაბრუნება აღარ იქნება. დიდებული შაზადა აურაცხელის ჯარით ფანბაკის მხრიდამ საქართველოში უნდა შემოვიდეს. მეორე შაზადა განჯის მხრიდამ თბილისზედ უნდა მოვიდეს. დიდი სარდალი ალი ხან ყაჯარი თხუთმეტი ათასი კაცით შაქისა და შირვანის მხარეს გამოვისტუმრეთ, რომ რაც ამ მხარეზედ რუსი იყოს, იმათ ყათლანი უყონ. დიდი სახელოვანი ხორასანის დამჭერი სარდალი უსეინ ხან ათი ათასითა რჩეულის ჯარით აქ ახალქალაქს მობძანდა ამ სამსდღეზედ დიდის ჯარითა და ხაზინით მე თქვენთან მისტუმრებს და თითონ წალკის მხარეს თბილისზედ უნდა მოვიდეს.

მთლად ხორასანს აქედან ერანის ჯარი ან უნდა დასრულდეს, და ან საქართველოდამ მათი სახსენებელი უნდა ამოიხოცოს. ღ~თის მოწყალებით როგორც თქვენს გულს უნდა ყოველი საქმე ისე მოხდება, რომ საიჭო აღარ არის. ამ ოთხს დღეზედ დიდის ჯარით და თადარიგით მეც თქვენთან ვიქნები. ეს არის დრო საუკუნოდ ჩვენს ოჯახზედ თქვენგან ვალის დადებისა, ჩვენგან, დიდის ხელმწიფის წყალობით, თქვენის საბოლოდ გაკეთებისა. აწ თქვენ იცით და თქვენმა ერთგულობამ, როგორც თავდადებით ეცდებით და გაირჯებით და კიდევ უმეტესად ერთგულობას გამოაცხადებთ. აგვისტოს ივ წელთა ჩყი.

№18

1812 წლის 16 მაისის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა ჩერქეზიშვილებისადმი და საგარეჯოს მოხელეთა და ხალხისადმი

ქ. მათს ბრწყინვალებას მანავს მცხოვრებელთ ჩერქეზიანთ და ერთობით უკან საგარეჯოს ძირობის თემობის მოხელეთ და ხალხთ, საქართველოს მეფის ძე ალექსანდრე მრავალს ძმურის სიყვარულით აღვსილს მოკითხვას მოვახსენებ. მერმეთ თქვენმან ეგეთმან სახელგანთქმულმან და ნამუსიანმან სიმხნემან ოთხივე მხარეს: აღმოსავლეთს, დასავლეთს, სამხრეთს და ჩრდილოეთს მიაღწია და ყოველნი ერნისა ხალხნი თქვენის ძლევისა და ქების გვირგვინისა შემთხზველნი არიან. დღეს იდიდა საქართველოს შინა მცხოვრებელნი და დღეს დაგვირგვინდა დიდების გვირგვინებითა. რა ქება მოგიძღვნათ, ანუ რა წყალობა აღგითქვათ, რომელნიც უმაღლესი ღირებულებისა და პატივისა ღირსნი ხართ. ესრეთ დაცემული სამეფოს აღმმართველნი და მეფის ირაკლის შვილების მომძიებელნი და იმის თქვენზედა მამაშვილურის პატივის ცემისა არაუგულებ-

ელს მყოფელნი. აფერუმ თქვენს გულისხმიერებასა, ბარაქალა თქვენს კეთილგამორჩევასა და შაბაშ თქვენს ეგეთ სიმხნესა და მამაცობასა! რა ვყო თუ გხადით შვილად. მამაზედ უმეტეს გამოაჩინეთ მოწყალებიანი მომგონებლობა და თუ გიწოდოთ ძმად არავინ ძმათაგანმან უყო ძმას ესე ვითარნი კეთილნი. გარნა თვალნო, რომელ გონება თვალისაგან ნათობს და მეფის ირაკლის ოჯახის ფრთენო ჭეშმარიტად, თუმცა ჩვენ შვილნი ვახლდით სანატრელს მეფეს, მაგრამ უმეტესი მამობრივი მოწყალება და სიყვარული თქვენთვის არ მოუკლია; ზოგნი შვილურად, ზოგნი ძმურად და მოხუცებულნი მამობრივის პატივისცემით იზრდებოდით ჩვენს სამეფო პალატში. და განსვენებული მეფეც თქვენთვის ზრუნვისგან არ განისვენებდა. აწე ძმანო, თქვენ უკეთესი და უმეტესი მაგიერი აღასრულეთ რომელ იმის დაცემული ოჯახი ერთის სარწმუნოების მტერთა და უცხო თესლთაგან თქვენ სვეტნი ძლიერებისა შეიქმენით და მიზეზნი ჩვენის სამეფოს სახლის აღდგინებისა. მზეებრ თქვენი სახელი ყოველსა ქვეანასა ზედა მოჰფინეთ და განსვენებული, თქვენ მიერ საყვარელი მეფეც ადიდეთ და იმის შვილებსაც თავისუფლებისა და გიხაროდენის ხმასა გვცემთ. დასაბამითგან ეგ ბატონყმობის სიყვარული არავინ ქმნა, ვითარ თქვენ. ამისათვის ყოველთაგან ქებულნო პატივით და სასურველად საყვარელნო და მეფის ირაკლის მადლითნო პირმშონო შვილნო და ჩვენო უსაყვარლესნო ძმანო, თუმცა წერილით გეხმაურებით, მაგრამ ასე მგონია, თქვენში ვზივარ და პირისპირ შემოგფრფენთ და გეხმაურებით. ღ˜თნ უმეტესად გადიდოსთ ყოვლისა სახელისა აღმატებით. და ჩვენც სიხარულით მაგიერის აღსრულება გვღირსებოდეს ღ˜თით. ვიცით აქაურ ვითარებას იუწყებთ. ღ˜თს მოწყალებით შაჰზადა მობძანდა დიდის ჯარებით და ხაზინით სავსე. გოგჩაზედ და ყაზახის მთაზედ ვაპირებთ მოსვლას თორმეტის ათასის ქვეითის სარბაზით და ზარბაზნებით და ოცდაათის ათასის სხვას ჯარით. იქით, ოსმალოს მხრიდამ

კიდევ სარასკარი მოდის დიდის თადარიგით თოფხანით და სამოცდაათას ათასის კაცით, რომ ნახევარი ჯარი ახალციხის მამულში გარდმოვიდა. ქვეიდამ კიდევ ერთი შაჰზადა განჯის მხრისაკენ უნდა მოვიდეს ოცდაათის ათასის კაცით. დიდრონი თადარიგები არის. და აქ რომ სარდალი არის, ამას გუმბრზედ ისტუმრებს შაჰზადა, შაგრამ თქვენის ამბის მაყურებელნი ვართ. როგორც მაინდამ თქვენი ამბავი მოგვივა, ისე საჩქაროდ გამოვწევთ, რაგვარადაც თქვენ შემოგვითვლით და მოგვწერთ. ღ~თით მაგათში შეძლება აღარა არის რა. საჩქაროდ ამისი პასუხი გვაცოდინეთ. სხვას აქაურის თადარიგისა და ჯარების ამბავს ამ წიგნის მომტანნი გიამბობსთ და რაც ამათ მოგახსენონ, ჩვენი სიტყვა არის და თქვენც ისე მოიქეცით და ღ~თის შემწეობით ჩვენი საქმე რიგიანად წარიმართება. მაისის ივ ქ~კს ფ. ქ. შაჰზადას რაყამი თიანეთზედ გამოვისტუმრეთ და იქიდან მოგივათ და ნახავთ.

№19
1812 წლის 16 მაისის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა მთიულებისადმი

ქ. საქართველოს მეფის ძე ალექსანდრე ძმურის სიყვარულით მოგიკითხავთ ერთობით მთიულეთის მოხელენო და ს~დ არაგვის თემის მთიულეთის ხალხნო. ჩვენ მიერ მრავალი სიყვარულით აღსავსე მოკითხვა გეუწყოსთ. მერმეთ თქვენი ეგეთი სიმხნე და ვაჟკაცობის ხმა ყოველს ქვეყანაზედ განითქვა და ჩვენის ოჯახისათვის აგრე თავდადებულნი ხართ, მთელი ერანის ხალხნი თქვენ გაქებენ. ჭეშმარიტად ბაგრატოვანთ ოჯახის ერთგულნი და უნჯი ყმანო. თუ ღ~თნ მოგვხედა ჩვენი დიდება თქვენი იქნება და ყოვლის თქვენ მიერის სათხოვარისა წყალობით გულშესრულებულნი იქნებით და ძმებსავით საყვა-

რელნი. რომელნიც დღეს ამისთანას ჩვენს დაცემულს სამეფოს სახლს შეეწევა, მამანიც ისინი იქნებიან და ძმანიცა. ყოველთვის თქვენ ჩვენთან პირნათელნი ხართ და ღ~თნ სულ აგრე პირნათლად გატაროსთ. ახლა არის შემწეობის დრო, ახლა არის სამსახურის ჟამი და წყალობის მიღებისა. თქვენ ეს ვალი დაგვდევით და ყოვლის თქვენის წადილის სათხოვარით გული შეისრულეთ. ხევს უნდა ჯარით გარდახვიდეთ. გუდამაყრელთ და ხევსურთათვისაც მოგვიწერია, ეგრეთვე მოხევეთათვის, რომ ჩვენის ოჯახის მტრისა და თქვენის მტრის რუსთა მოსასვლელი გზა წაახდინოთ, რომ ჯარმა ველარ გამოიაროს და საქართველოში მყოფის რუსისა, ღ~თის შემწეობით, ჩვენ ვიცით. ვინც მაინთ მხარეს ჩვენი მუხანათი არის და ახლა თქვენთან მოვა და გაირჯება, იმას თქვენ არწმუნეთ, რომ ჩვენგან არა გარდახდეს რა და თქვენ იმისნი თავდებნი იყავით ერთიანად თემნი და ამ საქმეზედ იმხნევეთ და კულავ როგორც ლომურად ჰყოფილხართ, ისე ლომურად გაისარჯენით. ბაგრატოვანთა და ლაშარის ჯვრისა და გუდანის ჯვრისა მოძმის სამეფოს ოჯახის მტრისა და საძირკვლით ამომღების მტრის სისხლი თქვენც უხვად ღვარად და ღვარად ადინეთ. – სანატრელი მამა ჩვენი მეფე ირაკლი ამისთვის გდებდათ დიდს პატივს და თავის შვილებში არ გარჩევდათ, რომ ამისთანას დროში ამის შვილებს გამოგვდგომოდით. თქვენი ჩვენს ოჯახზედ მრავალრიგად სახელოვნად გარჯილი ძველი ხმალი მოიგონეთ და რჯულის და თქვენის საყვარელის მეფის ირაკლის შვილებისათვის თქვენს ნამუსიან სახელს და თავს ნუ დაზოგავთ. საუკუნოდ თქვენი გულოვნებაც ასახელეთ და მეფის ირაკლის ოჯახი და სახელიც ადიდეთ, რომ ყოველს ცას ქვეშეთ კაცმა თქვან მეფეს ერეკლეს ამისთანა ერთგულნი ყმანი დაუგდია თავის შვილებისათვისო. თქვენ ამ ხმით იდიდნეთ და განსვენებულს მეფესაც საფლავში პატივი ეცეს და რაღა მოგახსენოთ მამანო და ძმანო და შვილნო, ეს არის სიმხნისა და გამოჩინების ჟამი და ჩვე-

ნის სამსახურისა. და ახლა თქვენ იცით და თქვენმან მრავალგვარად სახელიანმან ხმალმან. შ~დ ამისა ვიცით, აქაურს ამბავს იუწყებთ: ღ~თის მოწყალებით შაჰზადა მობძანდა დიდის ჯარებით და ხაზინით სავსე გოგჩაზედ და ყაზახის მთაზედ ვაპირებთ მოსვლას თორმეტის ათასის ქვეითის სარბაზით და ზარბაზნებით და ოცდაათის ათასის სხვას ჯარით. იქით ოსმალოს მხრიდამ კიდევ სარასკარი მოდის დიდის თადარიგით თოფხანით და სამოცდაათის ათასის კაცით, რომ ნახევარი ჯარი ახალციხის მამულში გარდმოვიდა. ქვეიდამ კიდევ ერთი შაჰზადა განჯის მხარისაკენ უნდა მოვიდეს ოცდაათის ათასის კაცით. დიდრონი თადარიგები არის და აქ რომ სარდალი არის, ამას გუმბრზედ ისტუმრებს შაჰზადა. მაგრამ თქვენის ამბის მაყურებელნი ვართ. როგორც მაინდამ თქვენი ამბავი მოგვივა, ისე მოვიქცევით ჩვენცა როგორც შემოგვითვლით და მოგვწერთ. ღ~თით მაგათში შეძლება აღარა არის რა. საჩქაროდ ამისი პასუხი გვაცოდინეთ. სხვას აქაურის თადარიგისა და ჯარების ამბავს ამ წიგნის მომტანნი გიამბობსთ და რაც ამათ მოგახსენონ, ჩვენი სიტყვა არის და თქვენც ისე მოიქეცით და ღ~თის შემწეობით ჩვენი საქმე რიგიანად წარიმართება. მაისის ივ ქ~კსფ. მაგათს უდიდებულესობის ლომისას მთავარ მოწამეს წმინდას გიორგის მცირე რამ შესაწირავი მოვართვით და თქვენ შესწირეთ უძლეველსა მამას ჩვენდა წარსამატებლად ყოველსა ზედა საქმესა და მტერთა ჩვენთა საძლეველად.

№20

1812 წლის 7 სექტემბრის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა გაბრიელ ყაზბეგისადმი

ქ. მის კეთილშობილებას ყაზიბეგის შვილს გაბრიელს საქართველოს მეფის ძე ალექსანდრე ძმურის სიყვარულით მო-

გიკითხავ. მერმეთ ამას წინათ წიგნები მოგწერეთ და ვიცი, რომ კიდეც მოგივიდა. ახლაც ამას გწერთ: სანატრელის მამის ჩვენის მეფის ირაკლისაგან მამის შენის პატივისცემა კარგად მახსოვს. მეც იმისი შვილი ვარ, უკეთესს პატივს მოგაპყრობ. ღ~თს ენდე, მე მერწმუნე და იმ სანატრელის მეფის ერეკლეს საფლავს, რომ შენ ჩვენგან სიყვარულისა და პატივისცემის მეტი და ძმობის მეტი არა ნახო რა. მაგ რუსებისა წარმავალი არის და ჩვენი წყალობა წარუვალი და საშვილიშვილო არის. ბედნიერება გინდა – მე, და დიდება გინდა – მე. ღ~თს ერწმუნე, ყოვლის შენის გულისწადილს აღგისრულებთ. რას წამს ეს წიგნი მოგივიდეს, მაშინვე დაუყოვნებლად აქ თიანეთს წამოდი. ჩვენც ფშავისა და ხევსურეთის ჯარს ვეძახით. შენც მანდ გზები წაახდენინე და ჩვენთან წამოდი, გვნახე და როგორც დაგარიგოთ, ისე მოიქეც. მაგრამ მაგ გზების საქმეს რიგიანად ეცადე და რაც ხიდები არის, სულ ჩააქცევინე. ახლა არის ერთგულობის ჟამი და სამსახურის და ჩვენგანაც წყალობის მიღებისა. ნუღარ შეიგვიანებ. სხვას ჩვენ სიტყვას ეს თამაზა ამირიძე მოგახსენებს. სექტემბრის 8 ქ~კს ფ.

№21

1812 წლის 12 სექტემბრის წერილი ერთობით არაგველებისა და ფშაველებისა გაბრიელ ყაზბეგისადმი, დამტკიცებული ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ

გაბრიელს!

მის კეთილშობილებას ყაზიბეგის შვილს ერთობით არაგვიანი და ფშაველნი ძმურის სიყვარულით მოკითხვას მოგახსენებთ. მერმე ჩვენ ერთიანად ფშავი და არაგვი გაფიცულნი ვართ. თუ შენ ჩვენი ძმა ხარ და ჩვენის ძმობიდამ არ გასულხარ, როგორც ჩვენ ვახლავართ ჩვენს ბატონიშვილს ალექსანდრეს და

ბაგრატიონისათვის თავი დაგვ..., შენც ისე ერთგულად მოიქეც და ამ თავდების წიგნს გაძლევთ, რომ თუ შენ ერთი ნაკლებობა მოგიხდეს რამე ან ბატონით, ან ჩვენით, შენი სისხლი ჩვენს კისერზედ იყოს და რასაც ითხოვ კიდევ ბატონისაგან არ გაგირიგოთ. თუ ჩვენის ძმობიდამ გახვალ და ამდენს სულს გვიმუხანათებ, ვინც მოკვდება ჩვენი სისხლი შენს კისერზედ იქნება და ყოველთვის ჩვენი მოსისხლე იქნები. ამ ნიშნითაო, რომ ზაზამ მოგახსენათ, ჩვენის მოურავის დაპატიჟებული ვიყავითო, ბაბანაშვილი გლახაც თან გახლდათ. მაშინ რომ მე სიტყვა გითხარიო, ამ ნიშნითაო შენი მოვალე და თავდები ვიყოვო, თუ შენ გიშავდეს რამეო, ან ბატონიდან და ან სხვადამაო.

ქ. ჩვენ ს~დ საქართველოს მეფის ძე ალექსანდრე ამ წერილს ვამტკიცებ. ღ~თს გაძლევ თავდებათ და მამის ჩვენის მეფის ირაკლის საფლავს და ამდენს სულს არაგველთა და ფშაველთა, რომ შენ წყალობის მეტი ვნება არა მოგადგეს რა. ღ~თი კი ვერა ჩამოა შუა და ამდენი კაცი მომიცია თავდებათ და მე ამას ვერ წაუვალ, რასაც ესენი გვეტყვიან, ის წყალობაც დაგემართება.

სეკდემბერს იბ ქ~კს ფ.

№22

1812 წლის 17 სექტემბრის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა გაბრიელ ყაზბეგისადმი

ქ. მეფის ძე ალექსანდრე ძმურის სიყვარულით მოგიკითხავ კეთილშობილო ყაზიბეგის შვილო გაბრიელ. მერმეთ ამდენს წიგნსა გწერთ, არ ვიცით მოგდის თუ არა. ვინც მაინდამ მოდიან, შენს ერთგულებას გვიცხადებენ და შენგან პასუხი ვერა მივიღეთ რა. ღ~თს ენდე, ყმით გაგამდიდრებ და მამულით და ნივთით საშვილიშვილოდ. თავდებები ეს არის, რომ მოგვიცია

მთელი მთა და ბარი. პატივი ეს არის და წყალობა. ჩვენის გვარის საქმე იცი, რომ რასაც ვიწერები, ღ~თის ქვეშე სწორეს ვიწერებით. ახლა ამ საქმეზედ გორჯასპი ნათანის შვილი და პაპოა მამით და პაპით ერთგულნი და თითონაც ნამსახური და ყოველთვის თავდადებული ჩვენ ამისთვის გვირწმუნებია და ეს შენ გარწმუნებს, რომ ყოველივე შენი სათხოველი აღგისრულოთ და ძმასავითაც საყვარელი იყო. დაიჯერე და მერწმუნე, ეს მეათე წიგნია და უკანასკნელი და შენ იცი სხვას ჩვენს სიტყვას გორჯასპი გიამბობს. სეკდემბერს იზ ქ~კს ფ.

№23

1812 წლის 17 სექტემბრის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა ერთობით ქისტებისადმი

ქ. მეფის ძე ალექსანდრე ძმურის სიყვარულით მოგიკითხავთ ქისტეთის უფროს უფროსნო და ერთობით ქისტებო. მერმეთ ლაზარე ჩოფიკას შვილი გამოვგზავნეთ მანდა. და რასაც ეს გეტყვით, ჩვენი სიტყვა არის და ამას დაუჯერეთ. თქვენ უნდა შეიყარნეთ და ჩამოხვიდეთ და ეგ ხიდები წაახდინოთ. რომელთაც ჯამაგირის წიგნები გაქვსთ, მაგას ერთი ორად შეგისრულებთ და სხვა წყალობა მეტი იქნება. კვლავაც ბევრჯელ გიქმნიათ ამისთანა სამსახური და ახლაც ინამუსეთ და ჩვენგან წყალობით გული შეისრულეთ. მანდ ჩვენი ერთგული თავადი ნათალისშვილი გორჯასპი და პაპოა გამომიგზავნია. ვისაც ვის წყალობას ეგ აღუთქვამს, ჩვენ დაუმტკიცებთ და და თქვენც მაგას ემორჩილენით. ახლა თქვენ იცით, როგორც რიგიანად მოიქცევით. სექტემბრის აზ ქ~კს ფ.

№24

1812 წლის 7 ოქტომბრის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა გორჯასპ ნათალიშვილისა და პაპოა აბელიშვილისადმი

ქ. მეფის ძე ალექსანდრე ძმურის სიყვარულით მოგიკითხავ ნათანის შვილო გორჯასპი და აბელას შვილო პაპოავ! მერმეთ თქვენი წიგნი მოგვივიდა და რაც მოგეწერათ ვცანით. ვიცით აქაურს ამბავს იკითხავ. ამასწინად რომ შილდას შემოვიდა ტახუნევის ჯარი და როგორც რისხვა მ~ღთისა დაეცა და რამდენიც მოკვდა, ეს ხომ მოგწერეთ და კიდეც მოგსვლია. ახლა კიდევ ესევე შეფი გაგვეპარა და ყვარელის ციხეში მივიდა. ქისიყიდამ დიმიტრი კნიაზი წამოვიდა ერთმანეთისათვის ყავლი მიეცათ და ზარბაზნები დაუცალეს. ესეც ყვარელიდამ გამოვიდა და ფაშაანის ფონზედ მივიდა. აქედამ ამას დახვდა ჩვენი ჯარი და გაღმიდამ კნიაზს და მოუხდათ სროლა. დილით მოკიდებული საღამომდის განუწყვეტელი ცეცხლი იყო. ამდენი ღ~თის წყალობა გაქვსთ, რამდენი სალდათი აქეთა და იქით მოუკალით და ისე უფროსები. ჯარი რომ დაიღალა და ღამემაც უსწრა, ჩამოეცალნენ და ჩვენი ჯარი რომ ნახეს ხელაღებული, ღამე მოპარვით ფაშაანში ერთად შეიყარნენ და ამავე შილდის ბოლოს დადგნენ. ჩვენც გზა მივეცით და ველისციხის ბოლოს იმათს ნასადგომარზედ ჩვენ დავდექით. გამოღმა რომ გამოსვლა დააპირეს, სანავარდოელნი და ოთხასი ლეკი იმ ფონებზედ დახვდნენ და სროლა აუტეხეს. აქედამ ჩვენი ქისიყისა და ლეკის ჯარი შეეჯახნენ და საშინელი სროლა მოხდა, რომ სულ ყათლანი დამართეს. ასე გასინჯე, რომ ვინც დაჭერილი ჰყვანდათ, ისინიც წყალში ყარეს და საღამომდის ერთმანეთში ასეთი ომი იყო. ორი ლეკი მოგვიკლეს და ოთხი დაგვიჭრეს. სხვა ჩვენს ჯარს არა ვნებია რა ღ~თით. ახლა გაღმა-გამოღმა ვდგევართ. ღ~თის მოწყალებით ჩვენ ჯარები

გვემატება, ეს რუსები სუსტდებიან. დღეს რომ ამ თვის ზ ამდენი არის და ორშაბათი ხვალ, დიდრონს ჯარებს მოველით, ორმოცი ათასი კაცი უნდა შესრულდეს და მერმ(3)ეთ ესენი რომ მოვლენ, ზედ მივალთ და ღ~თის შემწეობის იმედი გვაქვს რომ სულ დავამხვათ. ქვემოურის ამბავს იკითხავ. ის არტაშევი რომ არის, მთავარმართებელი შაჰზადას შემოსაფრული ჰყავს და მეწინავე კაცი რომ გაეგზავნა, სულ ერთიანად დაეხოცათ, რომ ერთი არ გადარჩენიათ ათას ხუთასის კაცისა. და ახლა ის შემოუსაფრეს და დგას, აქეთ აღარ უშვებს და იქით. ერევანს რომ ციციშვილი იყო, იმაზედ უარესად შემოსაფრული ჰყავს. იმისი იმედი ნუღარა გაქვს, რომ აქეთ ღა შეიძლოს მოსვლა. სარდლის კაცი და წიგნი მოგვივიდა ერევნიდამ. ისიც თორმეტის ათასის კაცით გუმბრს და ყარაქილისას მოსულა და წიგნში მოეწერა, რომ თქვენს ანბავს ველი, თუ გინდა ყაზახში გავალთ თუ გინდ შენთანაო. და ჯერ პასუხი არ მიგვიწერია. და ყაზახში გვინდა მოვიწვიოთ. ახლა მანდაური საქმე თქვენ იცით, როგორც ბეჯითად მოიქცევით. და ეს წიგნი ყოველს კაცს გამოუცხადე და შეატყობინე. ლეკის ჯარი გეთხოვნათ. ავეტიქა ამისთვის არ გამოვისტუმრეთ, რომ ლეკის ჯარს და ავეტიქას ერთად გამოგიგზავნით და თქვენც ბეჯითად იყავით. და როცა ჯარსა და ავეტიქას გამოგიგზავნით, მაშინ როგორც მოგწეროთ, ისე მოიქეცით და ყველას ასე გამოუცხადე, რომ ჩვენგან დიდი წყალობა დაემართება ყველას. თქვენც ასე იცოდეთ. სხვას თქვენს ამბავს ნუ დაგვაკლებთ.

ოკდომბერს ზ. ქ~კს ფ.

№25

1812 წლის 28 იანვრის წერილი ალექსანდრე ბატონიშივილისა ხუდად ბეგისადმი

ხუდადბეგს!

ქ. მისს ბრწყინვალებას ალიშანს!

საქართველოს მეფის ძე ალექსანდრე ძმურის სიყვარულით მოგიკითხავ. მერმეთ თქვენ რომ ჩვენიდამ გაგისტუმრეთ, კაცი მოგვივიდა, რომ ღ~თით მშვიდობით გასულხართ და რამდენიმე რუსიც გეშოვნათ. მოგვილოცავს გამარჯვება. შ~დ პირველი მოწერა ეს არის ჩვენი, რომ ვინცა ვინ მანდ თავადები იმყოფებიან მანდა, ეგენი ხომ კარგად იცით, დიდი და პირველი ოჯახის შვილები არიან და თუ თავადებს გარდა მანდ აზნაურნი და გლეხნი არიან, სულ რჩეულნი და ოჯახის შვილები არიან. აეგენი კარგის პატივით, კარგის ულუფით და ანამით უნდა შეანახვინო რაც შეიძლო. მეორედ ვიცით ჩვენს ამბავს იკითხავთ. თქვენ რომ გამოგეყარენით, ფშავში შემოვედით და იქ ხევსურნი მოგვივიდნენ და ხევსურეთში მოგვიპატიჟეს. ერთი თვე ხევსურეთში დავყავით, რაც ამათს სილარიბეს შეეძლო, კარგის პატივით. და მერმე კიდევ პირაქეთ გარდმოვედით, რომელსაც შადილს ეძახიან. უკანა ხევსურეთის დასასრული არის ეს შადილი. შუა სამძღვარი არის ქისტისა, ღლიღვისა, ახოსი, ჭანთისა და ტერელოსი, ჩაჩნისა და დაღისტნისა, ჩერქეზისა, თაგაურ ქურთაულისა, თუშისა, ფშავისა და ხევსურეთისა ხომ ეს არის, და ხევს და ლარსს თავს ვაზივართ. და თუ არ წამსვლელი რუსი, რუსეთიდამ მომსვლელი არავინ არის. სამი ოთხი რიგი კაცი ამ ყოველგან მოგვიტარებია და ამათგანაც კარგი უფროს უფროსნი კაცნი მოგვივიდნენ. რაც შეიძლებოდა კარგად ვაჩუქეთ, მაგრამ სარქალი ხალ არის. განა არ იცი, რაც სახარჯო დამრჩა. ჯარს, ღ~თით თუ შევძელით ჭმევა, ასიათას კაცს ვიშოვნით

და კიდეც სიხარულით აღარ არიან, მაგრამ ხომ კარგად იცი, რომ ამათ ყველას მიცემა უნდა. ცარიელის დაპირებითაც არ იქნება. თუ ღ~თი შეგვეწია თავად ამ მთვარის გასულს, თორემ მარტის პირველში ჩვენ და რუსი დავეძგერებით. ლარსს და ხიდებზედ ხუთს ექვს რიგად ჯარს ჩაუშვებთ ღ~თით ასეთის თადარიგებითა ვართ, რომ მეტი აღარ იქნება, მაგრამ კარგად იცი, კავკასიის მთა არის და ჯერ დიდად ცივა. სარდალსაც მოახსენე და შაჰზადასაც არზი აახელ. ნავროზს უკან თუ არ მობძანდა ერევანს და მაგაებში და პირველს აპრილში ყაზახში არ ჩამობძანდა, სულ აქ მოიტანენ თავიანთს ძალას და ხომ იცნობ რუსებს. კახეთის ამბავს იკითხავ, ვინც თავადები მიენდვნენ, რომ ხელი ჰქონდათ რუსებთან გაკეთებული და არ ეშინოდათ, მივიდნენ და დაიჭირეს და სხვანი არავინ მინდობია. გაღმა მხარი ისევ აშლილი არის და ყოველთვის სროლა არის და რომ ვერა დააკლეს რა და ბევრი სალდათი დაეხოცათ, ხელი აიღეს. ჩვენც აქედამ ფეხს უბაკუნებთ. ეცადე რომ ჯარს ადრე გამოსწიო. მოტყუების ჟამი არ არის. ხელის გამოღების დრო არის. კუნტვით არ იქნება, თორემ თითონაც იციან. რასაც შაჰზადა მალე წამობძანდება, ისი სჯობს. ახ სახარჯო და სახარჯო, თორემ იანვარშივე ყათლანს უზამდით ღ~თით. არც თეთრი ემეტებათ, არც ჯარი და მუქთად ქვეყანას ვინ მისცემთ. თეთრის გამოგზავნის რაღა ბეჯითობა მოგწერო და ჯარის ადრე მოსვლისა. ახლა შენ იცი. მანდაური საქმე შენ იცი და აქაური საქმე ჩვენ. რაღა მოგწერო, შენ იცი ხაზინა მოგვინდება თუნდა ისევ მივართმევთ. სხვას ჩვენ სიტყვას თავადი იორამ, აბრამ შავერდი, საქოა იბრეიმა, უსუფა, აჰმადა ჰასანა, ფშაველი იოსებ მოგახსენებენ. იანვრის კშ ქ~კსა ფა. ქ. რაც შეიძლო ტყვია, წამალი და ტალი ბევრი გაარიგე, რომ უფროსი საჭირო ტყვია წამალი არის.

№26

1813 წლის 28 იანვრის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა ერევნის ხან ჰუსეინ-ყულისადმი

უსეინ ხანს!

ქ. მათს მაღალ ალაგიანს და სიმაღლეს, ერანის ჴელმწიფის პირველ სარდალს და ერევნის ბეგლარ ბეგს, ჩვენს მწყალობელ ძმას საქართველოს მეფის ძე ვალი ალექსანდრე მრავალს მათის სიმაღლის შესაბამს ძმებრივს მოკითხვასა, სამსახურის სურვასა და მათის წადილისამებრ მშვიდობით და ბედნიერებით ბძანების სიამეს მოვახსენებ. მერმეთ ამდენს ხანს რომ თქვენმა წიგნმა და ამბავმა დაიგვიანა, ამისთვის დიდად ვწუხვართ. ხომ კარგად მოგეხსენებათ, თქვენ მიერის წიგნის ბოძება და თქვენი მშვიდობის ამბის სმენა ჩვენთვის დიდად სასიამოვნო არის და ამისთვის გთხოვთ, რომ თქვენის ძმობიდამ დაუვიწყებელი გახლდეთ. შ˜დ ვიცით აქაურს ამბავს მოიხსენებთ. რაც ადრეული ამბავები იყო, ხუდად ბეგისა და ჩვენის თავადებისაგან მოგხსენდებოდათ და ახალი ეს არის, რომ კახეთს გაღმა მხარში დიდი სროლაები იყო და სალდათები რომ ბევრი დაეხოცათ, ხელი აიღეს და გარიგებას ეხვეწებიან, მაგრამ არ გარიგდნენ და არიან ასე. ალისკანტი ბეგ რომ თეთრით მოიტყუეს და ჩვენ გაგვექცა და ასე დაგვღუპა, ის დაპირებული თეთრი რუსებმა აღარ მისცეს და ილისუს სულთნის მამულში დგა და ჩაფაულობს. ჯერ ექვსი ფარა ცხვარი წაულიათ. კახეთის თავადები, ვინც იმათკენ იყვნენ და ხელი გაკეთებული ჰქონდათ, მიენდნენ და სულ დაიჭირეს. და ვინც ჩვენი ერთგულნი არიან და არც მიენდვნენ და კიდეც ესვრიან. კახეთის სოფლიდამ სოფელს ორასი კაცი რუსისა ვერ გაივლის ასეთი არეულობა არის. სხვას ჩვენს ამბავს მოიხსენებთ. ჩვენ რომ ხუდადბეგს და თავადებს გავეყარენით თიანეთს, ფშავში შემოვედით. მერმეთ: იქ ხევსურნი მოვიდნენ და მოგ-

ვიპატიჟეს და ხევსურეთში შემოგვიყვანეს. და ერთი თვე, რაც ამათს სიღარიბეს შეეძლო, კარგა დაგვხვდნენ და აქედამაც უკან ხევსურეთს გადმოვედით, რომელსაც სახელად შადილი ჰქვიან და სამზღვარი და შუაგული ეს არის მთელის კავკასიის მთებისა: ხევსურეთისა, თუშისა, ფშავისა, ქისტისა, ღლიღვისა, ახოსა, ტერელოსა, ჭანთისა, მთელის დაღისტნისა, ჩაჩნისა და ჩერქეზისა და თაგაურ-ქურთაულისა და საცა რუსის გზა არის, თავს ვადგივართ. ამათში ყველგან ჩვენი კაცნი გავგზავნეთ და ამათგანაც ყოველგან უფროს-უფროსი კაცნი მოგვივიდნენ; ვაჩუქეთ და გავისტუმრეთ. ასე მოგხსენდეთ, რომ აღარაფერი აღარ შემოგვრჩა რა და დიდს თადარიგებში ვართ, თუ შევძელით, ოთხმოცი ათასი და ასი ათასი ჯარი მეტი შემოიყრება, მაგრამ ხომ მოგეხსენება, ამათ ყველას მიცემა უნდა. ჯარს რომ ვერ აუვიდეთ, შიგა და შიგ უფროსებს და ბელადებს მაინც უნდა. ჯერ მთა არის და ძალიან ცივა და ღ˜თით ამ მეორეს მთვარეზედ ჩვენ და რუსებს ომი მოგვივა და გამმარჯვე ღ˜თი არის. ახლა რაღას გეევედროთ და რაღა მოგახსენოთ, მაინთი საქმე თქვენზედ ჰკიდია. იმათს დიდებულებას შაჰზადას ბეჯითი არზი აახელი, რომ თეთრი და ფარჩა ბევრი გვიბოძოს. ხუთასის და ათასის თუმნით არ იქნება, თქვენ უმჯობესი მოგეხსენება. მეორედ ამას გეევედრებით, რომ ამაზე ბეჯითად ბრძანდებოდეთ, რომ შაჰზადა მარტსა და აპრილის პირველში ყაზახში არ მობრძანდეს, არ იქნება. ამისთვის, რომ ჩვენ ომი მოგვივა და სულ აქ მოგვატანენ და საქმე წახდება და ამასაც მოგახსენებთ, რომ მანდ ეგ თავადები კარგის პატივით შეინახოთ ამისთვის, რომ საქართველოში პირველი და ჩინებული ოჯახისშვილები არიან. ჩვენ, მანამ პირში სული გვიდგა, ერანის ჴელმწიფის და შაჰზადას ერთგულობაზედ ჩვენს სისხლს დავაქცევთ. მაგრამ თქვენგანაც ამ მოწყალებას მოველით, რომ ამ მოხსენებაებზედ დიდად შეგვეწივნეთ. და თქვენგანაც ასეთი იმედი გვაქვს, რომ ვიცით, ჩვენს მოხსენებას არ

დააგდებთ და არც დაგვივიწყებთ. ამისთვის ნუ დაგვივიწყებთ, რომ ვერას გმსახურებთ. ღ~თს გაძლევთ თავდებათ, რომ ჩემი ოჯახი თქვენის სიმაღლის საკუთარი სახლი იქნება და თუ ღ~თნ მშვიდობა მოგვცა, მაშინ ნახავ სიკეთესაც, სამსახურსაც და გამოდგომასაც. დიდად ვედრებითა გთხოვთ, რომ ამ საქმეზედ შემეწივნეთ და ხუდად ბეგ გაგზავნოთ და ეს ჩვენი კაცნიც თან გაატანოთ მათს დიდებულებას შაჰზადასთან, რომლისთვისაცა დიდად მადლობით შემთვალებელი გახლდები, ასე რომ საქართველო თქვენის ხელით ხელდახელ მიბოძოთ. თუ ჩემი მწყალობელი და ძმა ჰასან ხან მანდ ბძანდებოდეს, ვიცი მწყლობს და ეგეც დიდად შეგვეწევა. სხვას ჩვენ სიტყვას ჩვენი კაცნი თავადი ბარათაშვილი იორამ, აბრამ შავერდი, საქოა იბრეიმა, უსუფა, აჰმადა ჰასანი ფშაველი იოსებ და მოსე მოგახსენებენ. იანვრის კ3 ქ~კსა ფა. ქ. კარგად მოგეხსენება, რომ ჩვენი დიდი საჭირო ტყვია-წამალი და ტალი არის და რაც შეიძლო, ბევრი გვიბოძეთ, რაც მომეტებით იქნება, უმჯობესია.

№27

1813 წლის 28 იანვრის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა ყაიმაყამ მირზა ბეზიურგისადმი

მირზა ბუზურგს!

ქ. მათს მაღალ ალაგიანს და ხარისხოვანს ერანის ჯელმწიფის შვილის და მემკვიდრის შაჰზადას ყაიმაყამს ბატონს.

ჩემს მამობრივ მწყალობელს და ძმას საქართველოს მეფის ძე ვალი ალექსანდრე მრავლის ძმურისა და მამაშვილურის სიყვარულით აღვსილის შესაბამს მოკითხვასა და სამსახურის სურვას და მათის წადილისამებრ მშვიდობით და ბედნიერებით ბძანების სიამეს მოვახსენებ. მერმეთ, მაგათის დიდებულების

შაჰზადას რაყამი ამდენ ხანს არ გვებოძა. ამისთვის დიდად ვწუხვართ, ხომ მოგეხსენებათ, აქეთ ადგილებშიც სახელი არის და ჩვენთვისაც დიდად წყალობათ მისაღები. ვიცით ჩვენს ამბავს მოიხსენებთ. უკან ხევსურეთში გახლავართ, რომელსაც შადილი ჰქვიან. და ეს შადილი შუა სამძღვარი არის ხევსურეთისა, თუშისა და ფშავისა, ქისტისა, ღლიღვისა, ახოსა, ტერელოსა, ჭანთასა, ჩაჩნისა, ერთიან დაღისტნისა, ჩერქეზისა და თაგაურ ქურთაულისა და რუსის გზასაც თავს ვაზივართ და მათში ჩვენი კაცი მიდის და მოდის და ამათი კაციც მოვიდნენ ყველასგან გამოგზავნილი უფროს-უფროსი კაცნი და ისევ გავისტუმრეთ საჩქაროდ. და ყოველგან ჯარის თადარიგში არიან. და ჩვენცა ვართ დიდს თადარიგებში, რომ ღ~თის შემწეობით ამ მთვარის გასულს ჩვენ და რუსებს ომი მოგვივა. მაგრამ ცარიელმა კაცმა რა ვქნა. უფროსებს მიცემა უნდა და დაჭერილს მომგვრის ვინმე, ან თავს მომართმევენ, ამას ყველას მიცემა უნდა და ჩვენ ერთი ფარა არსადა გვაქვს. ალბათ ღ~თს მოწყალებით ოთხმოცი ათასი კაცი მეტი შეიყრება და იფიქრეთ რა მოუნდება. ახლა თქვენ იცით, როგორც მაგათის დიდებულებას შაჰზადასთან შეგვეწევით და ვიცით, რომ თუ თქვენი კეთილმწადნელობა მოინდომებს, კიდეც გაარიგებთ. ხუთასის და ათასის თუმნითაც არ იქნება. ხომ მოგეხსენებათ, რომ რუსები ხაზინას აბნევენ. რაც არა დაიხარჯება რა, არა გარიგდება რა. დიდად გთხოვთ, რომ რასაც მოიხერხებდეთ, თეთრიცა და ფარჩაც, საჩქაროდ გვიბოძოთ. მეორე ჩვენი ვედრება ეს არის, რომ შაჰზადა ნავროზის მეორეს დღეს წამობრძანდეს და აპრილის პირველში ყაზახში მობრძანდეს, რომ მაინთ მხარეს არეულობა ჩამოვარდეს. თუ ასე არ ინება მაგათმა დიდებულებამ, რაც რუსი არის აქ მოგვაწვება და საქმე წახდება. გევედრებით, რომ ამეებზეც ბეჯითად ბრძანდებოდეთ. ჩვენ მანამ ცოცხლები ვართ, შაჰზადას ერთგულობაზედ სისხლს დავაქცევთ და შენევნისა თქვენ იცით. ამაზედ

ნუ დაგვემდურებით, რომ ბევრს გამსახურებთ. ჯერ მოცალება არა გვაქვს და მერმე ღ~თით, თუ ამას მოვრჩით, ჩემი ოჯახი თქვენი საკუთარი სახლი იქნება და მერმე ჩვენ ვიცით, როგორ გმსახურებთ. და შ~დ ამასა ვითხოვ, რომ ვინცავინ მანდ თავადები გახლავსთ, კარგად პატივით და წყალობით შეინახოთ, რომ დიდი ერთგულები და საქართველოს პირველი ოჯახისშვილები არიან და რაღა მოგახსენოთ. სხვას ჩვენს სიტყვას ჩვენი თავადი იორამ ბარათაშვილი, აბრამ შავერდი, საქოა იბრეიმა და სხვანი მოგახსენებენ. იანვრის კ‰ ქ~კს ფა. ქ. კარგად მოგეხსენებათ, ჩვენი დიდი საჭირო ტყვია, წამალი და ტალი არის და გთხოვთ, რომ ბევრი გვიბოძოთ, რაც მომეტებული იქნება, უმჯობესია.

№28

1813 წლის 28 იანვრის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა აბას-მირზასადმი

ქ. მათის დიდებულების ერანის ჴელმწიფეთ ჴელმწიფის შვილს და ერანის მემკვიდრის შაჰზადას წინაშე მათის მონის ალექსადრესაგან უმდაბლესი არზი და მოხსენება.

უდიდებულესო ჴელმწიფეო ჩემო! ერევნით საქართველოს მამულში რომ გიახელით, ყოველივე თქვენს დიდებულებას მოხსენებული ექნებათ. ღ~თის შემწეობით და თქვენის დიდებულების ბედნიერებით, მანამ პირში სული მიდგა თქვენს ერთგულებაზედ და სამსახურზედ სისხლს დავაქცევ. და ყოველთვის ჩემი ცდა ეს არის, რომ თქვენს დიდებულებას სამსახური და ერთგულება ასეთი ვაჩვენო, რომ ერანში არავის ემსახურნოს და პირნათლად აღმოვჩნდე. ვიცი თქვენი მოწყალებიანი ნება ჩვენის და აქეთურის ამბავს ინებებს. ყოველისავე მათის სიმაღლის სარდალ ერევნის ბეგლარ-ბეგის უსეინ

ხანისაგან და ყაიმაყამის და ვეზირის მირზა ბუზურგისაგან თქვენს დიდებულებას მოხსენდება. და უმდაბლესის ვედრებით ვთხოვთ თქვენს დიდებულებას, რომ ჩვენი აზრი და მოხსენება მიიღოთ და მოხსენებისამებრ წადილი აღგვისრულოთ. და ჩვენც მარადის თქვენს ერთგულებაზედ ვიქმნეთ, ვიდრე სისხლთაცა დათხევადმდე და ამისთვის წარმოვავლინეთ ჩვენი თავადი ბარათაშვილი იორამ და გარეჯელი აბრამ შავერდი და საქოა იბრეიმა, რომ ყოველივე ჩვენი სათხოვარი და ვედრება თქვენის ტახტის წინაშე მოახსენოს. მუხლდადგმითა გთხოვთ, რომ ინებოს კეთილგანმსჯელმან მწადნობელმან თქვენმან და ყოველთვის თქვენის ბედნიერის რაყმით და სამსახურის ბრძანებით გაბედნიერებულნი ვექნეთ უმდაბლესს სამსახურსა შინა. იანვრის კჱ ქ˜კსა ფა.

№29

1813 წლის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა ირანის ყაიმაყამ ბეზიურგისადმი

ყაიმ აღამს!

ღ˜თი არის ამაში მოწმე, რომ მანამ პირში სული მიდგა, ერანის ჴელმწიფისა და შაჰზადას პურმარილზედ და ერთგულებაზედ ხელის ამღებნი არა ვართ. და ჩემს სისხლსაც მაგათის ერთგულებისთვის დავაქცევ, მაგრამ ჩემი ამდენი ცდა, სამსახური და ერთგულობა სულ ცუდი არის, თუ ან ჯარით, და ან თეთრით მხარს არ მომაბამთ. ღ˜თს ერწმუნეთ, რუსნი ხაზინას ხარჯავენ და ყოველთვის კაცს გვიგზავნიან და გვეხვეწებიან შეგვირიგდიო. ალაზანს გაღმა კახეთს შენ მოგცემთო და ორიათას თუმანს წელიწადში ჯამაგირს მოგცემთო და მანდ ვინც თავადები გახლავანო თითოს სოფელს და სამოც-სამოცს თუმანს საღს ფულს წელიწადში ჯამაგირს მივსცემთო. მაგრამ

ღ~თნ ნუ ქნას. შაჰზადას თავსა ვფიცავ, რომ ესენი ასე არის და ჩემგანაც მანამ ცოცხალი ვარ, რუსის გარიგება არ იქნება და არც შაჰზადას პურმარილის გმობა. მაგრამ რა ვქმნა, უთეთრობით ჯარი დამეშალოს, არც თქვენ მომცეთ შემწეობა თეთრით და ჯარით და როგორ ვქნა. ამ ზაფხულ სამი თვე სულ ყათლანი იყო კახეთს და თქვენმა ჯარმა ყაზახში და შამშადილში ერთი ძროხა ვერ ააყენეს. ამ ზამთარს, თუ აქ არ შემოვსულიყავ, მაინთ ჰქონდათ პირი და მე რომ აქ შემოველ, არც კახეთი შერიგდა და ვერც გაბედეს. ახლა ჩემი ვედრება და მოხსენება ეს არის, რაც მომიხსენებია. შაჰზადა რასაც ადრე მობძანდება ყაზახში, ისი სჯობს. ღ~თით წლეულ ჩვენია დრო და თეთრიც საჩქაროდ მოგვაშველეთ. თუ არა, მე ხომ მომიხსენებია და ნება თქვენი არის.

№30

1813 წლის 15 თებერვლის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა ნიკოლოზ თევდორეს ძე რტიშჩევისადმი

მებოძა რა მაღალაღმატებულესობისა თქვენი წერილი, რომლისთვისაცა ხილვისა მოსურნე ვიყავი, გარნა განხილვამან ამავე წერილისამან, არა მცირედისა ფიქრისა პელაგონია შინა შთამაგდო. ესრეთ, არა თუ მხილებითა, არამედ საყვადურითაცა სავსე. ჰმბრალებთ კახეთისა ხალხისა დაბრმობასა და უბედურებითსა სლვასა; მყვედრით განზრახულისა ჩემისა ღ~თისაგან არაკურთხევასა, მაშინებთ ფრიადისა ძალისა ქონებასა, მაბრალებთ საზოგადოობის დარღვევასა და გიხარისთ ჩვენისა უძლურებისა მსხვერპლისა ზედან დაცემასა. ვინაითგან მაქვს პატივი მეცა ჭეშმარიტი გამოუცხადო მაღალაღმატებულებასა თქვენსა და სჯამან სინდისისა თქვენისამან ჭეშმარიტებით მოიხილოს:

სდებთ ბრალთა კახეთისა ხალხთა უბედურთა, რა მართლათ უბედურნი! რომელ მემკვიდრისთვის თვისისა იჭირვიან, იტანჯვიან, და საპყრობილეში ისვრიან და აფარებთ პირთა ზედან ხელთა და მიგიღიათ ეგეოდენნი სატანჯველნი არა ჭეშმარიტებით.

მყვედრით განზრახულისა ჩემისას არა კურთხევასა ღ~თისაგან. უკეთუ არა აკურთხა ღ~თ, ესეოდენნი ერნი რამან აღძრა. გარნა უსამართლოება მდევნის მარადის. მაშინებთ ფრიადისა ძალისა ქონებასა ზედან. ვიცი, ჭეშმარიტად მათის იმპერატორებითის დიდებულება ძლიერ არს, გარნა შემწყნარებელცა და წყალობა გამოუთქმელ და თქვენ არა უცხადებთ ესეოდენთა ერისა სიმართლით ღაღადებასა. მაბრალებთ საზოგადოობის დამარღვევლობასა, მე ღ~თმან მაშოროს დარღვევა. შლით თვით თქვენ ერთა კეთილთა აღრჩევასა. გიხარით დაცემასა ჩვენისა უძლურებისასა. და ღ~თი არს აღმადგინებელ, ვინათგან განსჯა ჭეშმარიტისა ქრისტიანებრისა სიმართლისა არს ქრისტიანეთა. რავდენნი ბევრნი მოსწყვიტნა იროდიმ ქრისტესთვის ყრმისა ახლადშობილისა, გარნა უბრალო იყო ქრისტე სისხლითა მათთაგან და მარტვილთა თანა შეირაცხნენ იგინი.

საჯეთ ჭეშმარიტი, უკეთუმცა მამულისა და სჯულისათვის არა გვმედებს და იჭირვის მაღალაღმატებულება ეგე თქვენი, რასათვის კეთილი მოხუცებულება თქვენი როსიით აქამომდე მიიღებს ესეოდენთა სასჯელსა, რომელ დღითიდღე ზრუნვისაგან არა განისვენებთ. და მე მყვედრით მამულისა და ხალხისა ჩემისათვის ერთისა ცხენისა შემოძუგძუგებასა, და ამისათვის თავსცა ჩემსა არა წარვაგებ მამულისა, რჯულისა და სახელისათვის.

მყვედრით მიკრვასა და მიყოლასა სანიადაგოთა და სარწმუნოებისა მტერთასა; ესე ჭეშმარიტ! დაღაცათუ არიან მტერნი, გარნა მაქვს ამათშივე თავისუფლებით ცხოვრება და პატივი, ვითარცა შვენის გვართა ჩემთა.

გეშინიან ყოველთა მტერთა და მოყვასთა და მეგობართა და თვით აჩრდილისაცა შენისაო. არა უწყითა? ყოველნი მოშიშნი სიფრთხილით დაიცავენ თავსა თვისსა და საქმესაცა ესრეთვე წარმართებენ. და კ˜დ შიშმან გარე განდევნოს მწუხარებანი. მამულისა ჩემისა მოშურნეობისათვის გული ჩემი სალი კლდისა ნაპრალს დამსგავსებია და რამან შეუძლოს განყენება ჩემი, გარნა თქვენ კეთილისა ქრისტიანისა და ჭეშმარიტის გვამისა მამობრივი და სიმართლით შეტკბობამან.

მაშინებს ტყვეობა ძმათა ჩემთა და მდედრთაცა, დედუფალთა ქრისტიანეთა და მოამაგეთა, შესევანი სალდათთანი, დატაცებანი სახლიწულთა მეფეთანი. უკეთუმცა არიან ესენი სანიადაგო მტერნი, არაოდეს მიუღიათ სკიპტრა მეფობისა ჩვენისა, დაღა თუმცა ცხოვრება ესე ჩემი არა არს ცხოვრებად წოდებად, არამედ განგრძელებული ტანჯვა მამულისა ჩემისათვის, არამად შემირაცხიეს და მაქვს თავის უფლებითი ყოფა და ცხოვრება კეთილმბრძანებლობით. ესე ჭეშმარიტი, რომელიცა გამოუცხადე მაღალ აღმატებულებასა თქვენსა და საჯეთ სინდისისა თქვენისა განსჯითა. უკეთუ არა არს ესე ყოვლითურთ ჭეშმარიტი, ვგონებ სინდისმან მართლისა განსჯისა თქვენისამან უმეტეს აღგძრას ლმობად ჩემდა.

კიცხვა ძმისწულისა ჩემისა ლეონისა თქვენს მიერ, სახელოვანთა გვამთა არა იყო საკადრი და პასუხსაცა ვიდუმებ. და იგი არის წიაღთა აბრამისათა, რომელ მამულისა თვისათვის დასდვა თავი თვისი.

თქვენო მაღალაღმატებულებავ! თანა წარვხდეთ ესე ვითართა და აწმყოისა საქმენი ვიწყოთ და ჭეშმარიტი მოვახსენო რომელიცა შ˜დ დაიწერება: მიწვევ რჩეული და ჭეშმარიტი გვამი ქრისტიანებრითა მამობრივისა მოწყალებითა ლმობილი და არა მიცხადებთ ადგილთა, სადით იქმნების ცხოვრება ჩემი და კ˜დ ჩემთანა მყოფთა რაი მიღება ექმნებათ. დანიშნეთ ბოძება ყოველისავე ჩემისა ცხოვრებისა ადგილით და მაშინ ექმნება ჰაზრსა ჩემსა განსვენება.

მივანდობ თავსა ჩემსა ქრისტიანებრსა მამობრივობასა და ვითხოვ მიხილოთ ვითარცა რა კეთილ მზრუნველმან და მართლმადიდებელმან ქრისტიანემან და ყოველივე გამომიცხადოს მაღალაღმატებულესობამან თქვენმან, რათა შემეძლოს და მოვატანო მამობრივთა წიაღთა თქვენისა მაღალაღმატებულებისადმი, და მეცა ვეგო მარადის ერთგულად მათის იმპერატორებითის დიდებულებისა ვიდრე უკანასკნელად სისხლთაცა ჩემთა დათხევადმდე და მაშინ სცნობთ სამსახურისა ერთგულებასა და შეძლებასა.

შ~დ ამისა ვთხოვ თქვენს აღმატებულებას, ოდესცა კ~დ წარმოავლინოთ თავადი ვაჩნაძე და აზნაური ჯორაევი ზაქარია, დიმიტრი და ივანგულა ჩემსკენ, ამათთანავე გვიბოძოთ პაპოა აბელოვი, რომელსაცა მადლობად მივიღებ. და დავშთები თქვენის მაღალაღმატებულების უღრმესი პატივისცემითა.

ჩყიგ-სა წელსა
ფებერვალს იე დღესა,
შადილით.

თქვენის მაღალაღმატებულების მოწყალის ჴელმწიფის სამსახურის მოსურნე, საქართველოს მეფის ძე.

№31

1813 წლის 20 თებერვლის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა კუდაროს ხეველთადმი

ქ. მეფის ძე ალექსანდრე ძმურის სიყვარულით მოგიკითხავთ ერთობით კუდაროს თემის ხალხნო. მერმეთ ვიცით ჩვენს ამბავს იკითხავთ. ღ~თის მოწყალებით მშვიდობით ვიმყოფებით აქ ხევსურეთს და ჯარს ვყრით ლეკისას, ქისტისას, ღლიღვისას, ჩაჩნისას, ჭანთისას, თუშისას, ფშავისას, ხევსურისას და რუსებზე მისვლას ვაპირებთ. ახლა ვიცით, რომ თქვენც ჩვენი

დიდი ერთგულნი ხართ და თქვენც ჯარად უნდა შეიყარნეთ და სადაც რუსი არის მაგათ მიუხდეთ. ახლა თქვენ იცით და თქვენმა ნამუსიანმა სიმხნემ. ჟამიც ეს არის სამსახურისა და წყალობის მიღებისა. რა წამს ეს წიგნი მოგივიდესთ, მაშინვე ჯარად უნდა შეიყარნეთ და ქვეით ქართლში და მაგ ძირობაზედ სადაც რუსი არის, მიუხდეთ. და ღ~თით ჩვენც აქედამ მოვალთ. კიდევ ყეენი ქვეიდამ მოვა და ღ~თის მოწყალებით ჩვენს მტერს ამოვიღებთ. თქვენ როგორც ერთგულად მოქცეულხართ, ისე ერთგულად მოიქეცით და ჩვენგან წყალობით გული შეისრულეთ. სხვას ჩვენს სიტყვას ამ წიგნის მომტანნი გიამბობთ. თებერვალს კ ქ~კს ფა.

№32

1813 წლის 7 აპრილის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა მთიელ მოურავებისადმი

ქ. მეფის ძე ალექსანდრე ძმურის სიყვარულით მოგიკითხავ არაგვის სახლთუხუცესო დურმიშხან, მთიულეთის მოურაო სოლომონ, თრუსოს მოურაო გოშპარის შვილო ივანე, სარიდანის შვილო სოლომონ, ჩრდილელო მოურაო შოშიავ და მეღვინეთ ხუცესო ქუმსის შვილო ნინიავ. მერმეთ თქვენი ერთგულება და აგეთი სიმხნე რომ გვესმის, დიდად გიმადლით. ღ~თს მოწყალებით ჩვენგანაც თქვენის გულის წადილისამებრ წყალობით გული შეგისრულდებათ. ღ~თით ჩვენც დიდრონ თადარიგებში ვართ. ქვეიდამ ყიზილბაშთ რუსთ ყათლანი უყვეს და შუშა აიღეს და ამ რამდენსამე დღეზედ ქალაქზედ მოვლენ. ჩვენ ეს არის ორმოციათას კაცს მეტს შევყრით რომ სულ მთელი დაღისტანი, ჩაჩანი, ჩერქეზი, ქისტი, ღლიღვი, ჭანთო, ტერელო და ეს ჩვენის მთების ხალხნი სულ მზად არიან. ცოტა სიცივე არის, თორემ აქამდისაც არ დავდგებოდით. ახლა რო-

გორც თქვენი ერთგულებისაგან მოველოდეთ, ისე მოიქეცით. სხვა ჩვენი სიტყვა ყოველივე ამ წიგნის მომტანებისათვის დაგვიბარებია და როგორც გიამბონ, ისე მოიქეცით. და ჩვენგან წყალობით გული შეისრულეთ. აპრილის ზ ქ˜კს ფა.

№33

1813 წლის 27 აპრილის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა ბარათაშვილ იორამისადმი

თქვენო ბრწყინვალებავ ბარათოვო იორამ, ალექსის შვილო ნინიავ და ციმაკურიძე სვიმონ!

თქვენი წიგნი მოგვივიდა. დიდად გვიამა, მაგრამ აქ თქვენი დახოცა თქვეს. ნიშანი რომ მოგეწერათ, ამას გული არ დავარწმუნეთ. ამისთვის, რომ მაგათი კანონი არის პირველად ჰკითხავენ და ამისთვის ვერ ვირწმუნეთ, ვაი თუ ადრევე კითხვაში გათქმევინესთ და თქვენ კი აღარ იყვნეთ ცოცხალნი. თუ მშვიდობითა ხართ, თქვენ გამოგგზავნონ თიანეთს და ჩვენ მაგათს რუსებს გამოვგზავნით ჩარგალს. თავიანთი მაგათ წაიყვანონ და თქვენ აქეთ გამოგიშონ. თუ მშვიდობით არა ხართ და მადლობა ყ˜დ ძლიერს ღ˜თს მრავალი უბრალო სისხლი დასთხიეს და ამას არ ფიქრობენ, რომ ღ˜თი შურს აგებს. სწორე ეს არის, თუ მშვიდობით ხართ თიანეთს ხომ მაგათი ჯარი არის, მანდ გამოგგზავნონ თქვენ სულ ყველანი. და ჩვენც აქედამ ამათ გამოვგზავნით. და წერილი თუ მოგვწეროთ, თქვენი ხელი მოაწერეთ, თორემ არ ვირწმუნებთ. ნუ შესწუხდებით ღ˜თ მოწყალე არის, ღ˜თ მოგსცემთ ასეთს მიზეზს, რომ მშვიდობით მორჩეთ. შენ არ მისდიოდი, მაგრამ ჩვენ არ მოგეშვით, ეგრეთვე მაგათ. ღ˜თს მიენდევით და ღ˜თი დაგიხსნისთ.

აპრილს კზ, ქ˜კს ფა.

№34

1813 წლის 29 აპრილის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა საქართველოს მთავარმართებელ რტიშჩევისადმი

თქვენო მაღალაღმატებულებავ!

ნუ მეჭვთ რასმე ბოროტსა, რათამცა ნამდვილი გამოუცხადო მაღალაღმატებულებასა თქვენსა. მწერთ, ვითარმედ ოდესცა მოხვალ ჩემთან, მაშინ გექმნებათო უშიშოებით და კმასაყოფელი ცხოვრებაო. ძალითა ყოვლისა შემძლებელისა მღ~თისათა არავისაგან ვშიშნეულობ. გარნა მონდომე ვარ, რათამცა ქრისტიანეთა შორის მშვიდობამან განისვენოს. უკეთუ გულწრფელობითა ქრისტიანებრითა სახით მარწმუნებთ, არს პირველი სახე ქრისტიანებრივი სიყვარულისა და როგორ დავერწმუნო, რომელსაცა მარადის მდევნით. და გულწრფელობითი სახეცა ესე არს, რომელ წერილით გამომიცხადოთ მამულსა შინა ჩემსა სიმტკიცით ცხოვრება. და არს აქა არა წრფელობანი, არამედ მარადის მიმზერთ მოტყუებასა ზედან. მონდობილნი მამობრივისა წიაღისა ყ~დ უდიდებულესისა ჴელმწიფისადმი ან ვიქმენით დასატაცელ და სამაგალითოდ მეზობელთა ჩვენთა შორიელთა და მახლობელთა შორის დადებულ, რომელ ერთ სარწმუნოებასა მინდობამან უკანასკნელი ჩუენი ესრეთ აწარმოა. აჰა, გიჩვენე რომელ არს განამხელ სიყვარული ქრისტიანებრი. კ~დ თანა წარხედ ესე ვითართა ჩვენზედ მოწევნადთა შემთხვევათა და გულწრფელობითა ჩემითა მოვანდევ თავი მაღალაღმატებულებასა თქვენსა. და მწერს თავადი ორბელიანი დიმიტრი მარტის იდ ამდენთა რიცხვსა შინა, რომელ ნურცა რას იწერები და არცა რასა გწერთო, რომელიცა არა შეეფერება მდგმუბასა და პატივსა ჩემსა. ესრეთისა ისრითა განმაწონებს. შ~დ ამისა წერილითა თქვენითა წარმოგევლინათ თავადი ვაჩნაძე და აზნაური ჯორაევი ზაქარია. და ესეცა გან-

მაკვირვებს, ვითარ გაბედა ჯორაევმა აქ მოუსვლელობა და გარდასვლა ბრძანებისა თქვენისა მაღალაღმატებულებისა. და უკეთუ შიშისათვის ქმნა, ვითარ ვკადრებდი პატივსა ჩემსა მისსა შეპყრობასა, რომელ თვით ჩემგან იყო დაბარებული და რწმუნებულიცა ჰქონდა ჩემნი სრულნი სიტყვანი და არცა არს კანონი დაჭერა ელჩთა, ანუ ავად მოპყრობანი. და ამანაცა არა მცირედს დაბრკოლებას მიმცა, მოწერილობამან თავადისა ორბელიანისა დიმიტრისამან და მოუსვლელობამან ჯორაევისამან. რად ეშიშვის მაღალაღმატებულება თქვენი ჭეშმარიტებისა თქმასა და არა დამიმტკიცებთ მტკიცისა დამტკიცებითა ხვედრსა და მიღებასა ჩემსა ვითარისა სახითა მექმნება კმაყოფილება მამულსა შინა ჩემსა. ბრძანებთ როდესაც აღუთქმიდი ყ˜დ მოწყალეს ჴელმწიფეს ერთგულებასა დათხევადმდე წვეთამდე სისხლისა, მასვე ჟამსა აღუთქმიდი აბაზ მირზასაც შაჰზადასო. ესე ჭეშმარიტი! განიხილეთ რიცხვნი წერილთანი, უკეთუ ადრევე არა იყვნენ წარვლენილნი, გარნა აგიღიათ კისერსა ზედან სისხლი ესე ოდენთა უბრალოთა ქრისტიანეთა და ატარებთ ცხოვრებათა თქვენთა უბრალოთა სისხლთა ღვრათა შინა და ამას არა ფიქრობთ, რომელ იძიებს გამომძიებელი მართლმსაჯულება მ˜ღთისა. არა ვგონებთ ჩვენ ცოცხლებით მანდ მყოფთა პყრობილთა ჩვენთა ტუსაღთა და უკეთუ ცოცხალი არიან, ჩვენცა გამოგითვალავთ მაგიერთა აფიცართა და უნდორ აფიცართა და სალდათთა. ეგენი წარმოავლინე თიანეთს და ჩვენ წარმოვავლენთ ჩარგარსა შინა. ჩვენი ჩვენადვე მოიქციენით და თქვენი თქვენადვე მიიღევით. და უკეთუ არა ინებებს მაღალაღმატებულება თქვენი, ეგენიცა წარსულთა თანავე იყვნენ. შ˜დ იმისა წერილნი ცარიელნი არად სახმარ არიან. გარნა დაამტკიცეთ სახელის დადებითა და მაშინ შემექმნება ჰაზრთა განსვენება და მივენდობი მაღალაღმატებულებასა თქვენსა, რათა მეპყრას წერილი თქვენმიერი და ვეგები მარადის თქვენდამი კეთილ მოწადედ.

თვესა აპრილსა კთ დღესა,
შადილით.
საქართველოს მეფის ძე ალექსანდრე

№35
1815 წლის 15 აგვისტოს წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა საქართველოს მთავარმართებელ რტიშჩევისადმი

თქვენო მაღალ მსვლელობავ უფალო ნიკოლაი რტიშჩევი, მოწყალეო ჴელმწიფევო ჩემო!

თქვენი მაღალი მსვლელობის მამებრივი სიყვარულის ჩემდა კეთილ სასარგებლო წერილი აგვისტოს იმ დღესა მივიღე ხელითა კეთილშობილისა ბასტამა შვილ გიორგისათა. და ეგრეთვე პირათ დაბარებული თქვენგან ყოველივე კეთილად მიიღო ყურმან ჩემმან ჩემდა იმედად და ნუგეშად და გმადლობ თქვენის მაღალ მსვლელობას ჩემზე თქვენს მიერ ესრეთის გულმომტკინეობისათვის. შემდგომ ამისა გებრძანათ, რათა დავაგდო მე კავკასიის მთასა შინა დაღისტანში ყოფნა და მოვიდე მისის უდიდებულესობის იმპერატორის საფარველსა შინა, და ანუ ისევ მივიდე სპარსეთის ჴელმწიფის საფარველში და მოგიგდიათ ნებასა ჩემსა ზედა ორთა უდიდესის მეგობართა ურთიერთის მფარველობასა შინა მოსვლა, რომელიც მე ვირჩიო.

მე, მარად მოსურნე დიდის გვამის იმპერატორის მონებასა შინა წარმოსვლისათვის, საქართველოსა შინა მოსულთ ყოველთ მართებელთა თანა მქონია წერილითა ანუ თუ ლაპარაკითა, რათა მე დავაგდო გარემოები და მოვიდე მათის უდიდებულესის იმპერატორის მფარველობასა შინა. და ყოველთვის მითხოვნია ჩემდა დასარწმუნებელი წერილი და არა რომელის-

აგან მე მივიღე სრული პასუხი. პირველ ესე გრაფ გუდოვიჩს წარმოეგზავნა ჩემთან ესე კეთილ შობილი ბასტამოვი გიორგი და მიცხადებდა პირად დაბარებით მფარველობასა ქვეშე მიღებასა და სათხოვრისა ჩემისა მათის დიდებულების იმპერატორისა მიერ აღსრულებასა და მოწყალებასა ჩემდა. დროთა და ჟამთა მიერ არა მოცალე იქმნა საქმისა ჩემისა სრულებისათვის. შემდგომ ამისა მივიღე წერილი ტურმუზოვისა მიერ და იმისის წერილის ძალით, რომელიც რომ მიცხადებდა, რაც თქვენი სათხოვარი არის სთხოვე უდიდებულესს იმპერატორსა არზითა თქვენითა და წარმომიგზავნე თქვენი სარწმუნო კაცის ჴელით და მე თვით წარვადგენ კაცსა და წერილსა თქვენსა უდიდებულესს კარსა და ვიშუამავლებ შეძლებისამებრ ჩემისა თხოვნისა და ვედრებისა თქვენისა აღსრულებისა. და მეც მისის წერილის ძალით წარმოვგზავნე ესე კეთილშობილი გიორგი ბასტამოვი არზითა ჩემითა და მივანდე ჩემი ყოველი საქმე. როდესაც ტფილისსა შინა იახლა, მაშინ უარყო და აღარ ინება თავის წერილისა და სიტყვის დამტკიცება და გარემო აქცია და აღარ ინება. ამისთანას თავისს წერილისა და სიტყვის შემცვლელს ვეღარ მივანდე თავი და საქმე ჩემი და დავრჩი მას აქეთ გარეგან მოარული ყოვლის ცდით და საძიებლად ჩემის სამკვიდროს მამულისათვის. და რომელიც მოგიგდიათ ნებასა ჩემსა ზედა, უფროსიღა ვირჩიო ორთა ჴელმწიფეთა საფარველსა შინა მოსვლა და კეთილად ცხოვრებისა ჩემისა ყოფნა. შემდგომ ამასაც აზრობთ, ვითომც მაქვს კახეთში გამოგზავნილი წერილნი და ესეც გებრძანებინათ, რომ ვითომც ხელში გქონდეთ ჩემი წერილნი. ეს დიდათ მიკვირს თქვენის მაღალ მსვლელობისაგან არ უნდა გამოგეცხადებინათ ჩემთვის, ამისთვის რომ თქვენმა მაღალ კეთილ გონებამ კარგათ იცის, მანამ კაცი ცოცხალი არის თავის მშობლის და სამკვიდრო მამულისათვის უნდა გაისარჯოს ვიდრე სისხლისა წვეთამდე, და არავისაგან ეს საზრახავი არ არის და არც ავათ ჩამოსართმევი. და მეც

ასე ვგონებ თქვენმა კეთილ სინდისმაც არ ინებოს ავათ ჩამორთმევა. და რომელიც კაცი არ ეცდება თავისის მშობლის მამულისათვის და ანუ თავისის სარჩოსათვის, ის არ იქმნება სრულის კაცის ანგარიშში და განითულება იგი გვამი სულელთა გვამთა შინა.

გიბრძანებიათ, რომ ამ აგვისტოს გასვლამდინ თუ არ იყაბულებ სპარსეთსა შინა წარსვლას და ანუ ტფილისსა შინა მოსვლასა, მაშინ შესაფარავი თავისა ადგილი აღარ გექმნება. ქვეყანასა შინა ადგილი ვით შეიკვრის, რომ ჩემებრივ მცირედის გვამის დასატევი და შესაფარი ადგილი აღარ დარჩეს, რომელიც უფალსა ჩვენსა მიუცია ფრინველთათვის სარჩო და სავანე თავის შესაფერად თავისის ცხოვრებისა და გამოზრდისათვის. აწ დაუტეოთ თქვენი მაღალ მსვლელობის ამთენი თავის წყენა, რადგანაც ვარ თქვენი მაღალ მსვლელობის ამთენი თავის წყენა, რადგანაც ვარ თქვენი კეთილ პატიოსანის და ჭეშმარიტის სიტყვისა ზედან მტკიცეობით მცნობელი და ეგრეთვე მიანბო თქვენი მაღალ მსვლელობისაგან გამოგზავნილმა კეთილშობილმა გიორგი ბასტამოვმა და ფიცით მარწმუნა თქვენგან აღთქმულის პირობის მოცემა, ჭეშმარიტებით დამტკიცება და არა შეცვლა. ჩემს გასაცილებლად მაღალხარისხოვანი და მაღალპატივცემული ქალბალი ხანისა და რუსის მცველის გამოსტუმრება გებრძანათ ჩემ გასაცილებლად. არ არის საჭირო და არც დასარწმუნებელი ამისათვის, რომ არც ერთხელ არ ყოფილა შემწედ ჩემდა გასვლა გამოსვლაზე და არც ახლა არის საჭირო. ამისათვის, რადგანაც თქვენს მაღალ მსვლელობას უნებებია ჩემი სპარსეთსა შინა წარსვლა და მეც ვარ თქვენის ჭეშმარიტის პირობისა მტკიცებით ყაბული, კმა არს თქვენის მაღალ მსვლელობისაგან ჩემთვის გასაცილებლად წარმოგზავნილი ერთი სარწმუნოსა და ჩინებულის ხელით თქვენი წერილი ჩემად დასარწმუნებლად. სხვებრ, რაც ჩემი აზრი და მოხსენება არის, ყოველივე ამ კეთილ

შობილის გიორგი ბასტამოვისათვის დამიბარებია, ყოველისავე ჩემ დაბარებულს სიტყვას ეს მოგახსენებთ და გთხოვთ, როგორათაც თქვენ კეთილპატიოსანს კაცობას ეკადრებოდეს ჩემი საქმე კეთილშემწეობით წარმართოთ, რომ მეც კეთილ ცხოვრებაში ვიცხოვრო და არღარა აღშფოთებაში. თუმცა მქონდა თქვენდამი სხვადასხვა აზრები, მაგრამ თქვენ ასეთი მამობრივი წიგნი მოგეწერათ, რომ იმან დამაყენა, აგრევე კეთილშობილმა გოგია ბასტამოვიმ დიაღ დიდის ფიცით ჩემი გული არწმუნა ხათრიჯამობით. აწ გთხოვთ, რათა უპყრათ ყური კეთილად და სიმართლით ნახოთ ჩემი საქმე და გასვლის გზა და ეგრეთვე საჩქაროთ გამოისტუმროთ თქვენი კაცი და ესევე ბასტამაშვილი გიორგი ჩემის დაბარებულის პასუხით და წერილით თქვენით. რადგანაც ამ აგვისტოს თვეში გიბრძანებიათ ჩემი სპარსეთისაკენ გასვლა, მეც მომლოდინე ვარ ეგრეთვე პასუხისა თქვენისა სწრაფობით. თუ ჩემის დაბარებულისა და სრულისა პირობისა სარწმუნო კაცთ განაწესებთ, რომელნიც მე დამიბარებია ჩემის გასვლისათვის, მეც დაუყოვნებლივ წამოვალ და თქვენს მოცემულს ვადას აგვისტოს თვის შესრულებაზედ გავალთ. და თუ ხანს გაატარებთ, იმისიც ნება გაქვთ. რომელიც ჩემი აზრი და განზრახვა იყო, ამჟამათ დავაყენეთ და თუ ხანის გაგრძელება იქმნება, მე კიდევ ჩემ საქმეს შეუდგები და ნება ღ~თისა აღსრულდეს.

სხვებრ დავშთებით თქვენი მაღალ მსვლელობის
უმორჩილესი საქართველოს მეფის ირაკლის
ძე
აგვისტოს კგ დღესა
წელსა ჩყიე
ანწუხით.

№36

1815 წლის 5 ოქტომბრის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა საქართველოს მთავარმართებელ რტიშჩევისადმი

თქვენო მაღალ მსვლელობავ უფალო ნიკოლაი რტიშჩევ, მოწყალეო ხელმწიფეო ჩემო!

შემდგომ ამ წარსულს აგვისტოში თქვენი წერილი გოგია ბასტამაშვილის ჴელით მომივიდა და რასაც თქვენი წერილი გვიცხადებდა, ყოველივე ვცან. და აგრევე მსწრაფლ თქვენის წერილის პასუხად წერილი მოგართვით გოგია ბასტამაშვილის ჴელით. დიდად იმედი მქონდა იმავ აგვისტოში ჩემს აზრს განუსვენებდით და ისე აღმისრულებდით. ყოველთვის მომლოდინე ვიყავ თქვენის ჭეშმარიტის წერილისა და კაცისა და ვარ. მე რასაცა გწერთ ჭეშმარიტებით და სიმართლით, რადგან ორ დიდებულს ჴელმწიფეთ შუა ზავი დაიდვა, მე რაღა სიტყვა მაქვს წინააღმდეგობა ვიჴმარო და სხვა საქმე დავ(ი)ჭირ(ო) და რაც ერანის ჴელმწიფიდამ ბძანება მომივიდა, იმ ბძანებაზე დავდეგ და რომელიც ჩემი განზრახვა და აზრი იყო. ყველაზე ხელი ავიღე. ახლა თქვენს მაღალ მსვლელობასთან ეს ჩვენი კაცნი წარმოვგზავნე: ყორღანაშვილი დავით, ბერო მარდალი, იოლჩი, მოსახლე ქაიხოსრო და დიდათ გთხოვთ ბერო მარდალი სარწმუნოს წერილითა თქვენისა მსწრაფლ წარმოგვიგზვნოთ და რომელიც თქვენში და იმათში ზავი დადებულა, მეც ის ბძანება მომივიდეს და იმ ბძანებაზე დავდგე და ეგრეთვე ყორღანაშვილი დავით, იოლჩი, მოსახლე ქაიხოსრო დაუყოვნებლივ გაგზავნოთ და რომელიც ერანის ჴელმწიფის და შაზადას ბძანება მომივა, იმაზე დავდგე და აღვასრულო ბრძანებული მისდა ჩემდა მიმართ. სხვას ჩემს სიტყვას ჩემგან წარმოგზა-

ვნილნი კაცნი მოგახსენებენ.

სხვებრ დავშთები თქვენი მაღალმსვლელობის
კეთილმოსურნე საქართველოს მეფის ირაკლის
ძე
ოკდომბრის ე დღესა 1815 წელსა ანწუხით.

№37

1815 წლის 19 დეკემბრის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორ გენერალ-მაიორ სტალისადმი

თქვენო აღმატებულებავ, ღენერალ მაიორო და ღრუბელ ნატორ ნაჩალნიკო და რაოდენთამე კავალერო კარლი ფეოდორიჩ სტალო,

ჩემო მოწყალევ ჴელმწიფევო!

ამას წინათ უფალს მთავარმართებელს ჩემი კაცნი და წერილი ვახელ. თქვენთანაც წიგნი უნდა მიახლებინა, თქვენი ტიტლო და ხარისხი არ ვიცოდი და ამის მიზეზით თქვენ წიგნი ვერ გახელით და არ უნდა გწყენოდათ, ამისთვის რომ უბრალოს ხომ ვერასა გკადრებდით. მაგრამ რიგი არ იყო თქვენგან, რომ ასე უპასუხოთ გამოისტუმრეთ ეს ჩემი კაცნი. თუმცა თქვენ არ გეახლათ ჩემგან წერილი, უფალს მთვარმართებელს ხომ ვაახელ. იმ ჩემი წერილის პასუხი რატომ არ მებძანა. ჩემის კაცების გაგზავნა ვთხოვე ერევანს და ეგრეთვე ერთი კაცი და ჩემის წიგნის პასუხი აქ უნდა მომსლოდა. აღარც იქით – ერევანს გაისტუმრეთ და აქაც უპასუხოთ მოვიდნენ. ეგ ფიქრი და აზრი მე არ მემეწონა და ნება გაქვთ. რადგან ორ დიდებულთ ჴელმწიფეთ შუა ზავი დაიდვა, ამის მიზეზით გამოვგზავნეთ ეს ჩვენი კაცნი მაშინაც და ეგრეთვე ახლაც. რომელნიც მად გახლდენ ეს ოთხი კაცნი, ისევ ეს ოთხი კაცნი წარმოვგზავნე.

რადგან ორ დიდებულთ ჴელმწიფეთ შუა ზავი დაიდვა, მე ხომ სხვას წინააღმდეგობას ვერას ვიხმარებ. ეს ჩემი კაცნი ერევანს გაისტუმრეთ საჩქაროთ და რომელიც იქიდამ ბძანება მომივა, იმ ბძანების აღმსრულებელი ვარ. ერანის ჴელმწიფე მიბძანებს, აქედამ გაგირიგდებით და თუ იქით წასვლის ბძანება მომივა, იქ წავალ. ჩემი სრული და ჭეშმარიტი სიტყვა ეს არის. ვითხოვ თქვენი კეთილმეგობრობისაგან ამაზე ბეჯითად გაისარჯნეთ და საჩქაროთ გაისტუმროთ ეს ჩემი კაცნი. ანწუხის ჯამათმა უფალს მთავარმართებელს წიგნი ახლეს და ჩემი კაცების ჴელით მოგერთმევათ. თუ ინებებდეთ ამათ გასტუმრებას ერევანში, ვითხოვ თქვენის მეგობრობისაგან თქვენი კაციც გაყოლოთ, ერთათ წავიდნენ და ისევ მანდ ერთად გიახლნენ. და მაიდამ ეს ჩემი კაცნი წარმოგზავნოთ ჩემთან თუ ინებებდეთ კარგი იქნება, თუ არა ნება გაქვთ. ზოგიერთს ჩემ სიტყვას და აზრს ეს ჩემი კაცნი მოგახსენებენ.

დეკემბრის ათ დღესა 1815 წელსა – ანწუხით.

სხვებრ დავშთები თქვენის აღმატებულების კეთილ-მოსურნე,

საქართველოს მეფის ირაკლის ძე.

№38

1815 წლის 19 დეკემბრის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა საქართველოს მთავარმართებელ რტიშჩევისადმი

თქვენო მაღალმსვლელობავ, უფალო მთავარმართებელო ნიკოლაი რტიშჩევი და რაოდენთამე სხვადასხვა კავალერო.

მოწყალეო ჴელმწიფეო ჩემო!

ეს დიდათ მიკვირს თქვენი მამობრივის მოწყალის გულისაგან, ჩემგან წარმოგზავნილი წერილი და კაცნი თქვენ-

მა მაღალმსვლელობამ არ მიიღო და უპასუხოთ წარმოგზავნეთ და ანუ ჩემგან თხოვილი ერევანს წარგზავნილი კაცნი არ გაისტუმრეთ. მაგვარი ფიქრი საკადრისი არალის, რადგან ორ დიდებულ ჴელმწიფეთ შუა ზავი დაიდვა, ამის მიზეზით წარმოვგზავნე ჩემი კაცნი, ერევანს უნდა გაგესტუმრებინათ. სხვას წინააღმდეგს საქმეს ხომ ვერ დავიჭერდი და ვერც დავიჭერ, ხომ კარგათ მოხსენებული გაქვსთ, რამდენიმე ხანია ერანის ჴელმწიფის საფარველი მძეს და ამის წყალობით ვცხოვრობ, რიგი არ არის ჩემგან უიმისოთ საქმე დავიჭირო. თუ ამასა ბძანებთ, ქალბალი ხან მოვიდა იმის ბძანებით შენ საქმეზე მაშინვე გაახელ ჩემის წერილით. იმის პასუხი თქვენი მაღალ მსვლელობისაგან არ მებძანა და ვიყავ თქვენი მაყურებელი, იმისათვის წარმოვგზავნე ჩემი კაცნი. მაინც პასუხი არა მებძანა რა. მაგრამ ჩემი თანა მდებობა ეს იყო, რომელიც მანდ ჩემი ოთხი კაცნი გახლდით, ისევ ეს კაცნი გახელით ჩემი წერილით. ვითხოვ თქვენი მამობრივის სიყვარულისაგან ეს ჩემი კაცნი მსწრაფლ გაისტუმროთ და რაც ერანის ჴელმწიფიდამ ბძანება მომივა, მე იმ ბძანების აღმასრულებელი ვარ. თუ ინებებდეთ ამათ გასტუმრებას ერევანში, წყალობას ვითხოვ, თქვენი კაციც გაყვეს. ერთათ წავიდეს და ისევ მანდა ერთათ გიახლნენ. და მაიდამ ეს ჩემი კაცნი წარმოგზავნოთ ჩემთან. თუ ინებებდეთ, კარგი იქნება და თუ არა, ნება თქვენია. ზოგი ერთ ჩემს სიტყვას და აზრს ეს ჩემი კაცნი მოგახსენებენ. ჩემი სრული და ჭეშმარიტი სიტყვა და მოხსენება ეს არის.

სხვებრ დავშთები თქვენის მაღალმსვლელობის
კეთილმოსურნე, საქართველოს მეფის ირაკლის
ძე.
დეკემბრის ით დღესა
1815 წელსა
ანწუხით.

№39

1816 წლის 17 იანვრის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა საქართველოს მთავარმართებელ რტიშჩევისადმი

თქვენო მაღალაღმატებულებავ ღენერალ ლეიტენანტო უპირატეს მართებელო და მრავალთა ორდენთა სხვადასხვა კავალერო რტიშჩევო,

მოწყალეო ხელმწიფეო ჩემო!

მებოძა წერილი თქვენის მაღალაღმატებულებისა, რომელიც დაგენიშნათ ადგილი გზისა, რომ ვითამც იმ გზაზე მშვიდობით გამეველო და ჩემის ჴელმწიფის ძის შაჩზადას მიერცა მებრძანა თქვენის წერილის ძალით ჩემი გზა მშვიდობიანი იქმნებოდეს და წავიდე. ვინათგან შაჩზადასგან აქამდისი არა მბრძანებდა ჩემი აქადამ წასვლა, ამისთვის ვიმყოფებოდი აქ და რათგანაც მებძანა, მათ ბძანებასაც ვემორჩილები და თქვენს წერილსაც ვერწმუნები. მაგრამ მეტად შეუძლებელი დრო და ჟამი არის ზამთრისა და ავის გზის მიზეზითა ამჟამათ ჩემი წამოსვლა. და ამ ზამთარს აქ ვიქმნები ჩემთვის უშფოთველათ და როდისაც დრო და ჟამი იქმნება და ღმერთი მშვიდობას მომცემს ზაფხულში და ჩემის ჴელმწიფის ძის შაჩზადას ბრძანებისაებრ აღმასრულებელი ვიქმნები და წავალ. ამაზე ნუ უგულებელს მყოფთ. ამ ჟამათ ჩემი წასვლა შეუგათ შეუძლებელი იყო ავის გზისა და ზამთრის მიზეზით. თქვენც კარგათ მოხსენებული გექმნებათ აქაურის გზისა და მთების საქმე. მაგრამ ეს დიდათ მიკვირს თქვენის მაღალ გონებისაგან, ოცს ოქროს მიგზავნიან, იმ ოცს ოქროს იჭერთ და არ მიგზავნით, რა საკადრისია თქვენგან. თუ ამას ბძანებთ შეწუხდეს, დიახ დიდი ხანი არის ჩემის მშობლის მამულისათვის მწუხარება კისერზე აღებული მაქვს. მაგ ფულისათვის როგორ შევწუხდები, თუნდა ასი ათასი თუმანი იყოს. თქვენ არ გეკადრებათ მაგვარი საქმე და

ნება თქვენია. ზოგიერთი ჩემი ზეპირი სიტყვები დამიბარებია დავით და რუშანასათვის და ესენი მოგახსენებენ.

სხვებრ დავშთები თქვენის მაღალაღმატებულესობის კეთილ მოსურნე საქართველოს მეფის ირაკლის

ძე

იანვრის იზ დღესა, ჩყივ წელსა, ანწუხით.

№40

1816 წლის აგვისტოს წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა საქართველოს მთავარმართებელ რტიშჩევისადმი

თქვენო მაღალაღმატებულებავ მოწყალეო ჴელმწიფევ, ნიკოლაი ფეოდორეს ძეო!

მე მქონდა ბედნიერება გავლილს წელს მოხსენებად ყ˜დ უმოწყალესისადმი ჴელმწიფისა, რათა მიღებულ ვიქმნა მე დიდსა საფარველსა ქვეშე მისსა, რომლისა პასუხი ყ˜დ უმოწყალესად მივიღე გავლილის ივლისის ათს რიცხვს, რომლითაც უნებებია მათს იმპერატორებითს დიდებულებას მიღება ჩემი საფარველსა ქვეშე თვისსა.

მისი ბრწყინვალება გრაფი ნესელროდენ წერილით თვისით მაუწყებს, რომელ ჴემწიფე იმპერატორს კეთილუნებებია ყ˜დ უმოწყალესად მიტევებად ჩემთან მხლებელთ და ნამსახურთ ამალათათვის, და უბოძებია ჩამორთმეული მათი ყმა და მამული, და რათგანაც უფროსი ნაწილი ჩემთან მხლებელთა თავადთა, აზნაურთა და სხვისა მდგომარეობისა კაცთა აწ იმყოფებიან სპარსეთში, ერევანს და თავრიზს, მე სამღვთო და მიუცილებელ ვალად დავსდე ჩემთვის, რათა წინასწარ ვაუწყო ჴსენებულთა ნამსახურთა კაცთა ჩემთა ესე წადილი ჩემი და მიღებულნი ჩემ მიერ წყალობითნი წერილნი უაგვისტესისა

ერთ მთავრისა, რომელ იგინიცა არა მოკლებულ იქმნან ესე ვითარისაგან ერთმთავრულისა მოწყალებისა, და არცა ძალ ედვასთ იჭვნეულ ყოფად, სულგრძელობასა ზედა ჩემსა, ანუ დიდსულებასა ზედა დიდისა დიდისა და წყნარისა ჴელმწიფისა სრულისა რუსეთისასა.

მე მწადდა გამოგზავნა კაცისა ჩემისა ტფილისს, რათა მაინდამ გასტუმრებულ ყოფილიყო ერევანს თქვენის მაღალ აღმატებულებისაგან მოსაწოდებლად იქ მყოფთა ამალათა ჩემთა. გარნა ვინაითგან წარსულს წელს თქვენს მაღალ აღმატებულებას ებრძანა ჩემს კაცთათვის, რომელ მოისპოს მისვლა და მოსვლა საქართველოსა შინა კაცისა ჩემისა; ამისათვის ვალად ვსდებ ჩემთვის, რათა უწინარეს გაუწყოთ ამით ესე ვითარი ერთმთავრული მიღებული ჩემ მიერ მნებებლობა, და გკითხოთ მისცემთა კაცსა ჩემსა ნებას ტფილისზედ ერევანს წასვლად, რათა მოწოდებულ იქმნან მხლებელნი ჩემნი. რომელ შედგომ მეც ძალა მედვას აღსრულება სამღთოისა ნებისა ყ˜დ მოწყალის ჴელმწიფის იმპერატორისა, რომლისთვისაც ვითხოვ თქვენს მაღალ აღმატებულებას დაუყოვნებლივ მაუწყოთ, ამ ჩემგან გამოგზავნილის აზნაურის მადათის მიერ, თანჴმობა, ანუ უარ ყოფნა ამა ჩემისა წინადადებისა, რათა მეცა მოვახსენო ჴელმწიფეს იმპერატორს.

მოიმედე, რომელ არა დაუტევებთ ამა თხოვასა ჩემსა უპასუხოდ, მე ვიქმნები მარადის ჭეშმარიტითა პატივისცემითა და პირუთნებელითა მოსყიდულებითა.

აგვისტოს, ჩყივ წელს,
ანწხით.
თქვენის მაღალ აღმატებულების
მორჩილ მოსამსახურედ.
საქართველოს მეფის ძე.

№41

1816 წლის 18 ოქტომბრის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა ივანე ციციშვილისა და გორჯასპი ნათალიშვილისადმი

ქ. საქართველოს მეფის ძე ალექსანდრე ძმურის სიყვარულით მოგიკითხავთ მოურაო იოვანე და გორჯასპი.

მერე ჩვენს ანბავს იკითხავთ. ღ~თის მოწყალებით მშვიდობით ვიმყოფებით. ჩვენის თავადების ხელით თქვენი წიგნი და თავად ოღლი მაჰმატალის აღას წიგნი მოგვივიდა და რაც მოგეწერათ, ყოველივე ვცან. ეს თქვენც კარგად იცით, რომ მე დიდათ მომდომე ვარ აქედან გამოსვლისა და ან რათ მემდომება აქ ყოფნა და ან რა ბინა მაქვს აქ, მაგრამ თქვენც კარგათ უნდა იცოდეთ, რომ ჩემი აქედამ ასე აშკარათ არ შეიძლება გამოსვლა, თუ არ ერთის ოსტატობით. ახლა ამაზე თქვენც ხათრიჯამნი უნდა იყვნეთ, რომ ღ~თის მოწყალებით მეც თადარიგში ვარ, რომ აქედამ გამოვიდე. და ახლა მაინდამ მოსულნი კაცნი ზოგნი აქ დავიჭირე, და ზოგნი მანდ გამოვისტუმრე. და როგორც თქვენგან ვიცოდე, მანდაური საქმე კარგათ რიგიანათ დაიჭირეთ თქვენცა და თავად ოღლიმაც, რომ ჩვენი საქმე ღ~თის მოწყალებით კარგა მოვიდეს. ამაზე დიდათ უნდა გაისარჯნეთ, როგორც თქვენგან ვიცოდეთ. ახლა ზოგი ერთი ჩვენი ხალხი მანდ გამოვისტუმრეთ და როგორც თქვენგან ვიცოდეთ, ისე გაისარჯენით, რომ ეს ჩვენი კაცნი მანდ შეგვინახონ. სხვას ჩვენს ანბავს ეს ჩვენი კაცნი გიანბობენ.

ოკდომბრის გ ქკ~ს ფგ.

№42

1816 (?) წლის 20 ოქტომბრის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა ივანე ციციშვილისა და გორჯასპი ნათალიშვილისადმი

საქართველოს მეფის ძე ალექსანდრე ძმურის სიყვარულით მოგიკითხავთ მოურავო ივანე და გორჯასპი. მერე: თუ ჩვენს ანბავს იკითხავთ, ღ~თის მოწყალებით მშვიდობით ვიმყოფებით. მაგრამ ამ ჟამათ ჩვენი წამოსვლა არ მოხდა ამის მიზეზით, რომ თოვლმა გვისწრო და გზები შეგვიკრა და აშკარათაც ჩვენი წამოსვლა არ შეიძლებოდა. ჩვენ დიდათ მოვინდომეთ წამოსვლა, მაგრამ ანწუხის ჯამაათმაც თავი არ დამანებეს, ამიტომ რომ გზა აღარ არისო და სხვა. დაღისტანში შენი წასვლაც არ იქნებაო და გულსაც ვერავის დავანდოფთო, ამ ზამთარს კიდევ აქ ბძანდებოდეო. ღ~თის მოწყალებით გაზაფხულს გზა რომ მოვა, ჩვენ გაგიძღვებით და საცა შენი ნება იქნება, იქ მიგიყვანთო. ახლა აქიდამ მზევლები გამოისტუმრეს და როგორც თქვენგან ვიცოდე, ისე რიგიანათ წაიყვანეთ ღ~თის მოწყალების იმედით. სხვას ჩვენს ანბავს ჩვენი თავადები გიანბობენ. ოკტომბრის კვ ქ~კსა ფგ.

ქ. ვინცა ვინ თქვენთან მოსულნი ჩვენი მსახურნი ქიზიყელნი და ქართველნი სიყვარულით მომიკითხეთ ერთობით.

№43

1816 წლის 26 ოქტომბრის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა მირზა ახმედისადმი

ქ. ს~დ საქართველოს მეფის ძე ალექსანდრე ძმურის სიყვარულით მოგიკითხავ მირზა ამად. ახლა ეს ყურა მამადას

შვილი გამოვგზავნე მანდა. თუ ჩვენი სიყვარული გაქვს, მაგას კარგათ ასწავლე წიგნი, როგორც შენი ერთგულობისაგან ვიცოდე შენთან ამყოფე მუდამ დღე და ღამე გაუყრელათ. და კარგათ გაძლებინე. სხვას ჩვენს სიტყვას იოანე და გორჯ(4) ასპი გიამბობს.

ოკდომბრის კვ ქ˜კს ფდ.

№44

1816 წლის 26 ოქტომბრის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა ხუდად ბეგისადმი

ქ. ხუდადბეგ! ეს თოდოკოლელი ყურა მამადაშვილი მანდ გამოვგზავნე მზევლათ. და მირზა ამადს მიაბარე, რომ წიგნი ასწავლოს კარგათ და შენც თვალყური დაიჭირე. და მაგასაც ცხენი, იარაღი, ულუფა და ჯამაგირი მიეც და ყოვლის ფრით მადრიელი ამყოფე. და ამ ყურა მამადასაც გამოუგზავნე რამე. ცოტას ნუ გამოუგზავნი, კარგა ფარჩა გამოუგზავნე, ერთი მაუდიც გამოუგზავნე.

ოკდომბრის კვ ქ˜კს ფდ.

ყურა მამადამა მოკითხვა მოგახსენა ახლა შენ იცი, როგორც ჩემ შვილს კარგათ გაძლებინებ.

№45

1816 წლის 26 ოქტომბრის წერილი ალექსადრე ბატონიშვილისა ხუდად-ბეგისადმი

ქ. ხუდადბეგ! ეს ქალბალი მამად ველი ბეგ სარდალს გამოეგზავნა ჩემთან ჩემს წინ გასაძღოლათ. მე ხომ აღარ მო-

მიჴდა წამოსვლა ამ ზამთარობით. ახლა ეს დიდათ გამოსაყენებელი კაცი ყოფილა და თუ ჩვენი სიყვარული გაქვს, შენთან ამყოფე. ულუფა და ჯამაგირი გაურიგე შაზადადამ და რიგიან გაძლებინე.

ოკდომბრის კვ ქკ~ს ფდ.

№46

1816 წლის 26 ოქტომბრის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა ხუდად-ბეგისადმი

ქ. ხუდადბეგ! თუ ჩემი სიყვარული გაქვს, სხვა თავადებს კი მისცემია რაყმები ეს სამნი თავადნი დარჩომილან: იოანე, ბარძიმ და იოთამ. მე შუა ვარ, რომ ამათაც მისცე. მე ვიცი, ჩემის გულისათვის შაგინახავს და მეც მიბოძებია და შენც მიეც. ოკდომბრის კვ ქ~კს ფდ.

№47

1816 წლის 26 ოქტომბრის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა ხუდად ბეგისადმი

ხუდად ბეგს

ქ. მათს მაღალ ბრწყინვალებას!

ს~დ საქართველოს მეფის ძე ალექსანდრე ძმურის სიყვარულით მოგიკითხავ და შენს მშვიდობას ღმერთსა ვთხოვ. იოანე და გორჯასპიც მოვიდნენ აქ ჩვენთან და დიდათ ეცადნენ ჩვენს წამოსვლას მაინთ. და ჩვენც მზათ ვიყავით წამოსასვლელათ. და ანწუხელნიც თან მოგვდევდნენ, და მაგრამ თოვლი მოგვივიდა და გზები შაგვეკრა. და ამ მიზეზით დავრჩით, და თორემ

ეს იოანე და გორჯასპიც გიამბობს. და თქვენი დიდათ საქმიანობა და გარჯა გვიანბეს ამათ. მეც ვიცი შენის კარგის კაცობისაგან დიდათ ისაქმებდი და გაირჯებოდი. ვიცი უსვინიდისო კაცი არა ბძანდები. კიდევ შენ იცი, როგორ დიდათ და კარგათ გაირჯები და შენს საქმიანობას არ დააკლებ და მომატებულს გარჯას და ჩვენს რიგიანს საქმის დაჭერას ეცდები. ანწუხელნიც გამოვგზავნე. ახლა შენ იცი, როგორც თვალ-ყურს დაიჭერ და მადრიელს ამყოფებ. ეს რუსის ელჩი ჴელმწიფის ხლებას რომ აპირებს, ხომ კარგათ იცი დიდი ლაპარაკები იქნება. დიდი ვაჯუბი არიან რომ იქ დაესწრათ შენცა, იოანე და გორჯასპი და ეს ანწუხელნიც თან წაიყვანე და იქ დაესწარით ლაპარაკში. თუ ჴელმწიფების გარიგება მოჴდეს ამ ანწუხელთ გარიგებაც იქ ილაპარაკე და ჩვენი საქმეც. ხომ კარგათ იცი ჩემი ანბავი. სხვა ეჭვი ნუ გაქვს რა შე უსამართლო, როგორ ვერ მიცან აქამდინ შენ კარგათ იცი, ეს ზაზა უზბაში მამიჩემისაც დიდი ნამსახურევია და ჩემიც. ახლა მანდ გამოვისტუმრე გიორგი ენდრონიკაშვილი, რევაზ ჯანდიერიშვილი. ამათ ჯამაგირი და ულუფაც გაურიგე და მიეცით როგორც სხვა თავადებს აქვს, გაისარჯე ამათზე. ეს ანწუხელნი რომ გამოვისტუმრე, სხვა საქმით გამოვისტუმრე. დიდათ მადრიელი ამყოფე ცხენით, იარაღით, ულუფით, ჯამაგირით, ტანსაცმლით და ყოვლის ფრით. თუ კარგი თოფი გინდა, ცოტა ბევრი თეთრი გამომიგზავნე საჩქაროთ. კარგს თოფს გიშოვნი და თუ ცოტა თეთრს გამოგზავნი იმისი შენ იცი. ახლა რაც თეთრი მომივიდა, სულ დაიხარჯა და ჩვენ უთეთროთ დავრჩით და თორემ იოანე და გორჯასპიც გიამბობს რაღაც თეთრი დაგვრჩა. შაქარი და იოლჩი გამოგზავნე და ცოტა ბევრი თეთრი გამოგვიგზავნე, უთეთრო დავრჩით. სხვას ჩვენს სიტყვას იოანე და გორჯასპი გიამბობს.

ოკდომბრის კვ ქ~კს ფდ.

№48

1816 წლის 15 ნოემბრის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა საქართველოს მთავარმართებელ რტიშჩევისადმი

თქვენო მაღალაღმატებულებავ ნიკოლაი რტიშჩევი, მოწყალეო ჴელმწიფეო ჩემო!

შემდგომ ამისა უფალს დელპოცოს წარმოეგზავნა ჩემთან აზნაური გოგია ბასტამოვის და აზნაურის იერუსალიმცკის დავითის ჴელით ჩემი წერილის პასუხი და ეგრეთვე ანწუხის ჯამათისათვისაც, რომელიც მად მოგართვესთ. გთხოვთ, რომ ეგ ჯამათთან მოწერილი წერილი იარანალისაგან აქაც წარმოგზავნოთ. ამას წინათ ყორღანოვმა იოანემ ერთი ჩემი კაცი ჯაბადარი სვიმონა გააბრიყვა და თავის წერილით მანდ გამოგზავნა ჩემ შეუტყობრივ. და მეორეც ეს ასე ქმნა ჩემი დალაქიც მომპარა, და რომელიც მანდ ოთხი ხუთი ლეკები წამოიყვანა ალიხანა და ოთხნი სხვანი ჩემსა და ჯამათის შეუტყობრივ გამოიპარნენ. თქვენმა მაღალ აღმატებულებამაც კარგათ უწყის ყ˜დ მოწყალის ჴელმწიფისაგან ყოველივე ჩემი საქმე უფალს იარანალს დელპოცოს აქვს ბძანება და ეგრეთვე ამ ანწუხის ჯამათისა ყოველივე ჩვენი საქმე იმან უნდა გაასწოროს და შემდგომ ამისა, გთხოვთ ეგ ყორღანოვი და ორი ჩემი კაცი ჯაბადარი და დალაქი ჩემთან გამოგზავნოთ. ეგ ყორღანოვი და ბასტამოვი უფალს დელპოცთან წარვადგენ. იმან გამოიძიოს ამათი საქმე და თუ არ ინებებთ და არ გამოგზავნით ჩემთან, მართალსა და წრფელს ყორღანოვს და ალიხანას დაუჯერებთ, ნება გაქვთ. მე ამის მეტს თავს აღარ გაწყენთ. სხვებრ დავშთები თქვენის მაღალ აღმატებულების პატივის ცემითა და გულს მოდგინებით.

თქვენი მაღალ აღმატებულების უმორჩილესი

მოსამსახურე, საქართველოს მეფის
ირაკლის ძე,
ნოემბრის იე დღესა, 1816 წელსა, ანწუხით.

№49

1816 წლის 25 ნოემბრის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა გენერალ-მაიორ დელპოცოსადმი

თქვენო აღმატებულებავ ივან პეტროვიჩ, მოწყალეო ჴელმწიფეო!

ამ თვის ისა დღესა აღმატებულებისა თქვენისა ორი წერილი მებოძა. ერთი მე და ეგრეთვე ერთი ანწუხის ჯამათს გიორგი ბასტამოვის და დავით იერუსალიმიცკის ჴელით. ამა წერილებისა შემდგომ ორი წერილიც აზნაურმა არტემ მადათოვმა მოგვიტანა. ამ თვის კგ-სა დღესა მივიღეთ და ვსცან ჩემდა თქვენის მამებრივის სიყვარულით კეთილი რჩევანი და ჩემის თხოვისამებრ გინებებიათ რათ თქვენ კერძო წამოვიდე ანწუხის უფროსის კაცებითურთ როსის სამძღვრის სიახლოეზე ურთიერთარს შესაყრელად. ვითარცა განშორებული ძე მამისა თვისისა შეყრისა და ხილვისა მოსურნე იქმნება, ეგრეთვე მსურს აღმატებულესობისა თქვენისა ხილვა, რომელიც წარსრულს სეკდემბრის თსა დღესა ჩემის და ანწუხის ჯამათის წერილებით ტფილისის ქალაქზე წარმოვგზავნე ზემორე ჴსენებული ბასტამოვი, რომელიც უფალს რტიშჩევს ვსთხოვე, რათა დაუყოვნებლივ – თქვენს აღმატებულესობასთან წარმოეგზავნა და რაზე თქვენც ჩემის წერილის პასუხით წარმოგეგზავნათ ჩემთან, ამისთვის ზამთრის მოსწრაფებით აღარ მომეცნეს წარმოუსვლელობისა მიზეზნი. უფალს რტიშჩევს ჩემი თხოვა დაეგდო და ყორღანოვისაგან ჩემის კეთილის აზრების ამღვრევის თანახმობით და მისის წერილების მიხედვით ოცი დღე ბასტამო-

ვი ტფილისში დაეყოვნებინა და შემდგომ თქვენთან წარმოეგზავნა. რომელიც ყორღანოვმა თავის მაცთურებით ამას წინათ იმოქმედა, თქვენც მოხსენებული გაქვთ. ვინაითგან მოსწრაფებული იყო ზამთარი და ბასტამოვის დაგვიანებისა გამო აღარ შევიცადე და წარსულს ოკდომბრის ოცდახუთს დღესა ანწუხიდამ თქვენ კერძო წამოსვლა დავაპირე. უწინარეს ჩემი ბარგი წარმოვგზავნე, რადგანაც ანწუხის ჯაამათში თავის მაცთურს ენას ატარებდა და ამ მიზეზით თავის მაცთურის საქმის მოქმედებისათვის ყორღანოვს ჩემი დალაქი მიუჩინე და ისიც გაებრიყვებინა და გაქცეულიყვნენ. ანწუხის გაღმა სოფელში მიმალულიყვნენ. და იმ სოფელში მოსახლე ალიხანა ლეკი თავისის ძმისწულით, სიძით და ორის ბიძაშვილით ისინიც შეეგულიანებინა და გაპარულიყვნენ საქართველოს მჴრისაკენ. და შემდგომ იმათი გაპარვა ვცანით. ანწუხელნი გამოუდგნენ მათ დასაბრუნებლად და ამ მიზეზით ანწუხელთ შემაცდევინეს. ისინი წინა ღამეს გაპარულიყვნენ და მეორეს დღეს გამოუდგნენ და ველარ მოსწეოდნენ, ამისთვის რომ ანწუხიდამ საქართველომდინ ოცი საათის სავალი არის. და იმ ჟამათ თქვენის აღმატებულესობისა ზემორე ხსენებულნი წერილნი მივიღეთ და დიდის ცდით ვეცადენით მეცა და ანწუხელნიც მთებზე გადმოსვლას და ზამთრის სიფიცხის მიზეზით ამ ჟამათ არ შეიძლებოდა წამოსვლა. თქვენც კარგათ მოგეხსენებათ კავკასიის მთების საქმე. ამას გთხოვ თქვენ მამობრივს სიყვარულს, ამ ჟამათ ჩემის წამოუსვლელობისათვის თქვენი მშვიდი და კეთილი გული არ შესცვალოთ. ამას ჭეშმარიტის მოხსენებით გარწმუნებთ მეც და ეგრეთვე ჯამათიც, რომ კავკასიის მთების გზის პოვნის დროს დაუყოვნებლივ წამოვალთ ბაღათულაში, რომელიც უწინარესვე იქა მქონდა მომზადება ურთიერთთან შეყრისა. მაგრამ შეუყრელობისა მიზეზნი ზემორე მომიხსენებია. თუ ბასტამოვი ტფილისიდამ დროზე თქვენთან წარმოეგზავნათ უეჭველად ურთიერთარს შეყრა მოგვიჴდებოდა, ვითხოვ თქვე-

ნის აღმატებულესობისაგან ყორღანოვთან წარსრულნი ჩემი მხლებელნი სვიმონა ჯაბადარი და დალაქი ამირან და იმათთან წასულნი ლეკნი ტფილისიდამ წააყვანიოთ ყიზლარს, ყორღანოვიც დაკრძალულ იქმნას ტფილისს, ვიდრე ჩვენ ურთიერთთან შეყრამდინ, მაშინ – სცნობთ მის ქმნილს საქმეებს. სხვებრ უწინარესვე მაქვს ჩემი საქმენი მინდობილი ჩემთან შეზრდილს ზემორე ხსენებულს ბასტამოვთან და აწცა ჩემი საქმენი ამისთვის მიმიდვია და ყოველსავე ეს მოგახსენებს. და ამისი მოხსენება თქვენც შეიწყნაროთ და რომლისგანვე ამღვრეულს საქმეებს ყური მიუპყრათ. ამისთვის უდიდესის ჴელმწიფის ბძანებით ჩემს საქმესა შინა მხოლოდ თქვენ ბძანდებით და აგრეთვე მეც თქვენს გარდა არავის ვენდობი. და ამავ ბასტამოვთან წარმოვგზავნე აზნაური გიორგი მირზაშვილი და ჩემი მსახური იოანე. ამისთვის ბასტამოვი და მადათოვი მანდ გაახლდებათ და ამ წერილის პასუხს ჩემის კაცების ჴელით მიბოძებთ.

თქვენის აღმატებულესობის პატივის ცემით და სრულის მორჩილებით.

საქართველოს მეფის ირაკლის ძე ალექსანდრე.

ჩყივ წელსა, ნოემბრის კე დღესა, ანწუხით.

№50

1816 წლის 27 ნოემბრის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა გენერალ-მაიორ დელპოცოსადმი

თქვენო მაღალ აღმატებულესობავ ივან პეტროვიჩ,

მოწყალეო ჴელმწიფევ!

როდესაც თქვენის აღმატებულესობის წერილი მივიღეთ მე და ანწუხელთ, მაშინვე თქვენი წერილების მტკიცე პასუხით ბასტამოვი და მადათოვი თქვენ კერძოვე წარმოვგზავნეთ. და

მეორე დღეს ანწუხელთ შუა ერთი წერილი აღმოსჩნდა და მე მომიტანეს, უფალს იერმალოს გამოუგზავნიაო, რომელიც ამ წერილთან მიგართვით. რაც იმ წერილში აცხადებს, იქიდანა სცნობთ იოანე ყორღანოვს თავის მაცთურება იქაც უმოქმედებია და ამისთანას აღსაშფოთებელს წიგნებს იწერებიან; ასე გონიათ, ყორღანოვთან გამყოლნი ლეკნი ვითამც ჯამათის თანხმობით წასულიყვნენ. ჩემო მოწყალეო ჴელმწიფევ, მოკლედ მოგახსენებ: უფალს მარკის გარდა რაც საქართველოში მართებელნი მოსულან, ყველასთან მითხოვნია მისის მონარხის საფარველსა შინა შედგომა ჩემი, და არა რომელთაგანმე ვერ მივიღე სრული პასუხი, არამედ აღშფოთებისა და ჩემს მავნებლად სხვა და სხვა გვარად ბრკმობისა. ჭეშმარიტებით გარწმუნებ ჩემო მოწყალეო მამაო, ანწუხის ჯამათი და არც დაღისტნის ლეკნი ჩემს სავნებ საქმეში არ გაერევიან და არც ჩემი წინააღმდეგი საქმე შეუძლიანთ. თქვენს აღმატებულებასთან როდესაც ბასტამოვი წარმოვგზავნე, შემდგომ მისა სპარსეთიდამ ჩემი მხლებელნი თავადნი წარმოეგზავნათ ჩემთან, მომიტანეს წერილნი და რა მცირედი სახარჯო. ეგრეთვე ხსენებულნი თავადნი რამდენიმე ლეკით ისევ სპარსეთისკენ წარვგზავნე მათის გულის დასამშვიდებლათ, ამისთვის რადგან ჩემი ხალხი იქ გახლავან. მიზეზი ეს არის. ჩემი წვრილნიც გავატანე, წყალობას ვითხოვ თქვენის აღმატებულესობისაგან ამაზე თქვენ იჭვნეულათ არ შეიქმნათ ჩემზედ და ნურც დამძრახავთ. ოცი წელი მოდის სპარსეთის ჴელმწიფე მინახავს და დღესაც დაღისტანში საზრდოს ის მიგზავნის და ჩემი ამალანი ას ორმოცდაათ კაცამდინ თავადნი, აზნაურნი და სხვანი ეგრეთვე რამდენიმე ანწუხელნი სპარსეთში გახლავან. ამისთვის მე მოვალე ვარ, ყოველთვის ჩემი წერილი და ანბავი არ დავაკლო. მოწყალეო მამავ, მერწმუნეთ, რაგინდ მრავალი ხაზინანი გამომიგზავნონ, ჩემი კეთილი აზრი არ შეიცვლება და ვერცა ვინ გულს შემიცვლის მისის მონარხის საფარველსა შინა შევრდომასა. ეგრეთვე და არც ჩემ

ბედნიერებას დავკარგავ. უმდაბლესად ვთხოვ თქვენს მამობრივ სიყვარულს, რომელიც უფლის იერმალოვის წერილითა ვცან, ვითომც ჩემი წარგზავნილი ზემორე ხსენებული კაცნი, ანუ ლეკნი გზაზე დაეჭიროსთ. წყალობას ვითხოვ, თუ მართლა დაჭერილნი იყვნენ, ქართველნი თუ ლეკნი, მანდ თქვენთან მიაყვანინოთ. მეორეს, ჩემისა და ჯამათისა მოწერილობისამებრ გზის პოვნის დრომდის თქვენ კერძო არ წამოვიდეთ, მაშინ ყოველნი მართალნი იქმნებიან. იმ ჟამად თქვენც შეიძლებთ იმ დაჭერილების გარდაჴდევინებას. ამ წიგნის მოსვლაზედ ანწუხელთ ჯამათმა ან როგორ შეიწყნარეს და რასაც პირობაზე დადგნენ ბასტამოვსა და მადათოვს კითხეთ, ესენი მოგახსენებენ. სხვებრ დავშთები თქვენი აღმატებულესობის მორჩილი მოსამსახურე.

საქართველოს მეფის ირაკლის ძე ალექსანდრე.

ჩყივ წელსა, ნოენბრის კზ-სა დღესა, ანწუხით.

№51

1817 წლის 27 იანვრის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა გენერალ-მაიორ დელპცოსადმი

წარსულს ნოემბრის თვეს ორი წერილი მოგართვით აზნაური გიორგი ბასტამოვის ჴელით და ეგრეთვე ჩემი ორი კაცი გაახელ, აზნაური მირზაშვილი გიორგი და მსახური იოანე. რაც ჩემი აზრი იყო, მაგ წერილებით მოგხსენდებოდათ. თქვენის აღმატებულესობისაგან მოველოდი მსწრაფლ პასუხი მბოძებოდა და დიდად მიკვირს, რამ დაბრკოლა. პასუხი აღარ მებოძა. თუ ამ მიზეზით აბრკოლებთ, ერანში კაცნი წარვგზავნე წერილებით, ამას წინათაც მოგახსენეთ იმის აზრები, ურთიერთთან ნახვამდის როცა დროს დავიცავ, ამ კაცსაც გავგზავნი და წერილსაც. უფალო მამავ, ამაზე ნუ უგულებელს

მყოფ, ამისთვის, ჩემი გამომზრდელნი ისინი არიან. ღ~თის მოწყალებით, როდესაც თქვენ გნახავთ, რაც ჩემი სრული აზრები არის, თვით მე მოგახსენებთ და თქვენც ჴელმწიფეს წარუდგენთ. ყ~დ მოწყალის ხელმწიფისაგან მეც ერთი წყალობა მებოძება და თქვენით იქნება ჩემი თავი შემოტანილი საფარველსა ქვეშე მისსა და ჭეშმარიტებით დავიკრძალები, ყ~დ მოწყალის ჴელმწიფის წინააღმდეგს საქმეში აღარა გავერთო. და რაღა განვაგრძელო, ღ~თის მოწყალებით თვით მე ვიცი თქვენ რომ გნახავთ, ჩემს აზრებსაც სისრულე მიეცემა. ამისთვის მოგახსენებ, რომ გული წრფელი მაქვს და დიდად მსურს მისის მონარხის სამსახური. ამას თქვენ აღმატებულესობას ვარწმუნებ ჭეშმარიტებით, რომ ამ წარსულს ზაფხულს თქვენ შეუყრელად არ დავდგე. და თუ ყორღანოვის მაცთურებას არ დავებრკოლებინე და ეგრეთვე უფალს მართებელს იერმოლოვთან სხვაგვარად აღსაშფოთი აზრით შეუსმენივარ, მითამ მე იმას სიკვდილს უპირობდი და ანუ ნასაღს. უფალო მამავ, ჭეშმარიტისა თქმით გარწმუნებთ ჩემს გულში ყორღანოვის სიკვდილი და არც სხვა აზრი გავლილიყოს. მხოლოდ ესე, რომ თქვენთან უნდა წარმომეგზავნა ყიზლარს და იმის საქმე თქვენ უნდა გაგეშინჯათ და მაშინ სცნობდით, რისაც დამნაშავე იყო. და კვალად უფალს იერმალოვს წარმოუგზავნია გავაზს, რომელიც არის კახეთის და დაღისტნის სამძღვარი. მის მაღალ აღმატებულესობას არ შეშვენით ამგვარი მოწერილობა. ამაზე სარწმუნო უნდა ბრძანდებოდეს, რომ დიდად შეუძლებელი საქმე არის იმის მოწერილი აზრი. ღ~თის მოწყალებით მე ხომ შიში არავისგან მქონდა ძალით ვისგანმე, რომ არზი მიმერთმივა. თვით ჩემის ნებით არზი მივართვი ყ~დ მოწყალე ჴელმწიფეს და საფარველს ქვეშე მისსა შევრდომა ვთხოვე და აწცა მსურს. დიდად ვითხოვ თქვენის აღმატებულესობისაგან უფალს მართებელს ერთი წიგნი მისწეროთ ჩვენი ურთიერთთან ნახვამდინ ამგვარი აღსაშფოთებელი წერილნი დაყენოს

და ყორღანოვსაც სხვა რიგად რას ასაქმებს. ასეთი ნიშნები ვნახე, წერილით ვერ მოგახსენე, ამისთვის რომ თქვენც დიდად შესწუხდებოდით. მე ასე ვგონებ, ამგვარი საქმე მისის მონარხის წინააღმდეგი საქმე იყოს და ეგრეთვე მეცა ვწერ უფალს მართებელს ამგვარს საქმეზე ჴელი აიღოს, რომელიც არ შეშვენის მის მაღალ მსვლელობას. რასაც სიცრუვით ყორღანოვი ელაპარაკება და აღსაშფოთებელს წიგნებს აწერინებს ანწუხელთ ჯამათთან, რომელიც იმისი წერილი და ჯამათისაც წერილი თქვენ მოგერთმევათ. ეს ხალხი ასე მელაპარაკება, ჴელმწიფის ბრძანება არც ერთთან არ ყოფილა შენი საქმეებისაო, თორემ მთავარმართებელი ამგვარს წიგნებს ვერ მოიწერებაო. სწორეს მოგახსენებ, ხალხის ლაპარაკმა დიდად ეჭვში შამიყვანა. მე თქვენ კიდეც გნდობივარ და კიდეც გენდობით, როგორთაც ჩემს მშობელ მამას ეგრეთვე თქვენ, თუ ამგვარს აღსაშფოთებელს მოწერილობას და ავ საქმეებს დააყენებენ. მე ასე ვგონებ, თქვენი წერილი უფალს მართებელს მიერთვას, ამგვარი აღსაშფოთებელი წერილი და უკადრისი საქმე დაყენოს. თუ რომ არ ინებებს, ნება აქვს. ვგონებ ყ˜დ მოწყალის ჴელმწიფისა წინააღმდეგი საქმე იყოს. მე მამიხსენებია და ამას იქით ბრალს ნუღარ დამდებთ. თუ ამ ჩემს წერილს ყურს მიუპყრობთ თქვენ და ან უფალი მართებელი, ამას წინათაც მომიხსენებია და აწცა მოგახსენებ, რომელიც ჩემგან გაგზავნილნი ანწუხელნი არიან დაჭერილნი ანუ ყორღანოვი, მად თქვენთან მიაყვანინეთ და თქვენთან გახლდეს ჩემს წარმოსვლამდინ. სარწმუნო ბრძანდებოდეთ, ყორღანოვი თუ თქვენთან არ მიაყვანინეთ, იცოდე თავის მაცთურებას არ დაიშლის და დიდად ავს საქმეს იმოქმედებს. მე მომიხსენებია და ნება გაქვთ იმისი მოწერილი წერილიც მიახლებია. შემდგომ ამისა ანწუხის ჯამათის წიგნი მოგერთოსთ, თუ ჩემი ქართული ბეჭედი არ იჯდეს, იმ წიგნს ნუ შეიწყნარებთ. ამ ჯამათის პირობაც ასე არის. ამას წინათაც მოგახსენე ჩემი საქმე გიორგი ბასტამოვისა, ყოველი

მისთვის მიმინდვია და ეგე მოგახსენებსთ და აწცა ჩემს საქმეში არც არავინ გამირევია და არც არავინ არის, მხოლოდ ეგე არს. უფალო მამავ, დიდად გთხოვ, ჩემი ამგვარი ლაპარაკი არ გეწყინოსთ. მე წრფელის გულით მოგახსენებ.

თქვენის აღმატებულესობის უმორჩილესი მოსამსახურე,
საქართველოს მეფის ირაკლის ძე ალექსანდრე.
ჩყიზ წელსა,
იანვრის კზ დღესა,
ანწუხით.

სხვას ჩემს სიტყვას და აქაურ ანბავს ეს ჩემი კაცი მიახლებია, აზნაური მამაცაშვილი პავლე. ყოველსავე ეს მოგახსენებსთ.

№52
1817 წლის 27 იანვრის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა გიორგი ბასტამაშვილისადმი

კეთილშობილო უფალო გიორგი ბასტამოვ, ჩემო სარწმუნო მეგობარო!

ამას წინათ შენი წიგნი მომივიდა ანწუხელის ბელადი აჯიას ჴელით ანდრიდამ და რაც მოგვეწერა ყოველივე ვცან. დიდად მიკვირს რაც შენ ანდრიდამ გასცილდი, თქვენი ანბავი ვეღარა შევიტყვე რა. ბევრს ეჭვში არის ჩემი გული ამთენის ხნის თქვენის ანბის დაგვიანებისათვის. მე ვიცი უფალს იარანალს ბევრს ავს ანბავს შეასმენენ ქალაქიდამ. თუ ეგენი ვერ მიცნობენ, შე უღ˜თო, შენ ხომ კარგად მიცნობ. ეს მეორე წელი არის ჴელმწიფისათვის არზი მიმირთმევია თვით შენი ჴელით და ყოველივე ჩემი აზრები შენთვის მითქვამს. ჩემგან მოცემული ისტრუქციაც შენა გქონდა, ყ˜დ მოწყალე ჴელმწიფეს თვით შენის ჴელით უნდა მირთმეოდა ჩემი არზი და ჩემგან მოცემული ისტრუქციაც. პირველ, აქედამ რომ გაგისტუმრე

ტფილისსა, შენ ხომ ვეღარ წახველ ჴელმწიფის კარზე. ვინცა ვინ მართებელნი იმყოფებოდნენ ჩემგან გაგზავნილს კაცს არ უშვებდნენ ჴელმწიფის კარს და შემდგომ იოანე ყორღანოვი გეშოვნა და იმისთვის მიგენდო შენი გული და შენ მაგივრად ის წარგეგზავნა ამ ფიქრით, ჩემს მისვლამდის შემიცდის ჴელმწიფის კარსა. ფიცითაც დაერწმუნებინა შენი გული. იქაც ხომ აღარ შეგიცადა. უფალი მინისტრიც დაერწმუნებინა ფიცით მეფის ძის ალექსანდრეს საქმე ყოველივე ჩემს ჴელშიაო. თვით შენ კარგათ იცი, მე იმის წასვლა არც კი შემტყობია, სანამ ყიზლარიდამ წიგნი არ მომივიდა იმისი. ასეც მოეწერა თავის წერილში: მომილოცავს, მამიშენის პური გიშოვნე ყ˜დ მოწყალის ჴელმწიფისგანაო. მე ასეც ვიფიქრე, საქართველო უბოძებია ყ˜დ მოწყალე ჴელმწიფესა, ამისთვის, საქართველო იყო მამიჩემის პური. შემდგომ ამისსა აქ მოხვედით, როგორ პატივით მივიღეთ, თვით შენის თვალით ნახე. რაც იმან აქ საქმეები იმოქმედა, ისიც შენ დიახ კარგათ იცი, რომელიც დიდებულს ყ˜დ მოწყალე ჴელმწიფეს არ ეკადრებოდა და არც მე. ახლაც უფლის იერმალოვის ყური უპოვია და როგორც თვითონ უნდა, იმგვარს წიგნებს აწერინებს და ანწუხის ჯამათში აგზავნინებს. და დიდადაცა ცდილობენ დაფარულად საწამლავით ჩემ სიკვდილსა, რომელიც სათქმელათაც საზარელია. ეს საქმე თვითეულად შემიტყვია და ჭეშმარიტებითაც ვიცი. და რა საკადრისი არის ყ˜დ მოწყალის ჴელმწიფისა ამგვარი უკადრისი საქმე. მე ასე ვგონებ, ამგვარი ჩირქიანი საქმე ყ˜დ მოწყალის ჴელმწიფის ნება არ იყოს. ამგვარს საქმეებს თუ დააყენებენ, ხომ ესე სჯობს. და რომელიც უფლის იარანალისთვის წერილები მომირთმევია, იმ ჩემის წერილების სიტყვაზე ვდგევარ, არც შემიცვლია და არც შევცვლი. თუ აღარ მომეშვებიან, რაღა გაეწყობა. უკეთუ ღმერთი ჩემ კერძ არს, ვინ არს ძვირის მყოფელ ჩემდა. და სხვას ჩემს ანბავს უფლის იარანალის წიგნითა სცნობ. და როგორც მომეწეროს უფლის იარანალისათვის, ჩემი საქმე ისე იმოქმედე. ერთი წიგნი მართებლისა, რომელიც

მოეწერა ანწუხელთ ჯამათთათვის და ერთი ყორღანოვისა, რომელიც ჩემთვის მოეწერა, ორივ მანდ გამომიგზავნია. მაგ წერილებითა სცნობ იმათ განზრახულობას. გავს ყორღანოვის წერილის ძალით ჩემი არზი დიდს კარს ველარ მიერთმევა. აღარც ჩემს მოხსენებას ყ˜დ მოწყალე ჴელმწიფე შეიწყნარებს. თუ მიზეზს ამასა სდებენ, ყიზილბაშებს ელაპარაკებაო, თითონ შენ კარგათ იცი, ჩემი შემნახავი ისენი არიან. ამისთვის ჩემი საქმე რათ უნდა დაბრკოლონ. უწინაც მომიხსენებია უფლის იარანალისათვის და აწცა ეს არის, სანამ ამ ზაფხულს ღ˜თით ჩემ წარმოსვლამდე, მანამ ჩემგან იმათზე ჴელის აღება არ შეიძლება და ვერცა ვინ შემაძლებინებს იმათზე ჴელის აღებას. და რაღა განვაგრძელო, მე ღ˜თის მოწყალებით ქრისტიანი ვარ და მაგათი აღმატებულესობაც დაარწმუნე, როცა ღმერთი გზამშვიდობისას მოგვცემს, მაგათი უნახავი არ დავდგები და ჩემს აზრს ყოველსავე გამოუცხადებ და ჩემს წრფელ გულს მაშინა სცნობს. სხვას ჩემს სიტყვას და აქაურს ანბავს ეს აზნაური მამაცაშვილი პავლე გამომიგზავნია და თვითეულად ეს გიანბობს.

თქვენის კეთილშობილების სარწმუნო მეგობარი, საქართველოს მეფის ირაკლის ძე ალექსანდრე. ჩყიზ წელსა იანვრის კ-სა დღესა ანწუხით.

№53

1817 წლის 9 თებერვლის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა საქართველოს მთავარმართებელ ერმოლოვისადმი

თქვენო მაღალ აღმატებულესობავ უფალო ალექსი პეტროვიჩ იერმალოვ, სხვა და სხვა კავალერო, მოწყალეო ჴელმწიფევ!

წარსულს ნოენბერს თქვენი წერილი მებოძა ანწუხელი მაჰ-

მუტას და ჩიქოალის ჴელით. თქვენი მაღალ აღმატებულესობის ჩემდამი კეთილნი რჩევანი ყოველივე ვცან. და კვალად მიცხადებთ ჩემს ყიზლარის მჴარეს უფლის ივან პეტროვიჩის კერძთ წასვლას. როდესაც მისის უდიდებულესობის იმპერატორისა ჩემდა მოწყალეების ფარვანი მებოძა, მსწრაფლ შეუდეგ ჩემს წარსვლის მზადებას. შემდგომ იოანე ყორღანოვისაგან სხვა და სხვა თავისაის მაცთურებით ასეთი აღშფოთებისა მიზეზნი მომეცა, ჩემი წარსვლა დაბრკოლდა. ეგრეთვე ნოენბერს ათს ივან პეტროვიჩის წერილი ბასტამოვის ჴელით მივიღე და შემდგომ მისსა კვალად მეორე წერილი მადათოვის ჴელით მომივიდა. და კვალად შეუდეგ ჩემს წარსვლის მზადებას ყიზლარს მჴარეს. იმავ ჟამს თქვენი ერთი წერილი აღმოჩნდა ჩემი დიდად დასაბრკოლებელი და ანწუხელთ აღსაშფოთებელი. მოგეწერათ, ეგ ბატონიშვილი ჴელმწიფის მუხანათი ყოფილა, დაიჭირეთ და ოც დღეზე აქ ჩამოიყვანეთ. თუ ჩემს ბრძანებას არ აღასრულებთ, თქვენს სახლებს თქვენის ჴელით დასწვავთო. ის თქვენი წერილი უფალს ივან პეტროვიჩს წარუგზავნე ბასტამოვის ჴელით. ეგრეთვე წარსრულს იანვარს თქვენი მეორე წერილი მოსლოდათ ანწუხელთ და ისიც მე მომიტანეს. მსგავსი იყო ზემორე თქვენის წერილისა. ისიც წარუგზავნე ივან პეტროვიჩს. დიდად განკვირვებულვარ თქვენის მაღალ აღმატებულესობისაგან, ამისთანა ბრძანებებს იწერებით, არ შვენის თქვენს წრფელ გულსა. კარგათ მოგეხსენებათ, თქვენის კამანდისა არ გახლავართ, ამგვარის რისხოვნებით ბრძანებებს იწერებით. გარნა მხოლოდ თქვენ, არამედ რომელნიც საქართველოში მართებელნი ბრძანდებოდნენ უფალს მარკის გარდა, ყოველნი ცდილობდნენ დაჭერას და ეგრეთვე ფარულად საწამლავით სიკვდილსა ჩემსა. თქვენც დაგიყენებიათ ყორღანოვი დაღისტნის სამძღვარზე და ფარულად ცდილობს საწამლავით სიკვდილსა ჩემსა, რომელიც სათქმელათაც დიდად სირცხვილი არის. მე ასე ვგონებ,

ამგვარი მაცთურება ყ˜დ მოწყალის ჴელმწიფის ნება არ იყოს. თუ ამ მიზეზს ბრძანებთ, ერევანს კაცნი წარვგზავნე ჩემის წერილებით, რამდენიმე ლეკნი და ქართველნი დაეჭირათ და თქვენთვის მოერთმიათ, ამაზე სარწმუნო ბრძანდებოდეთ, ჰერანის ჴელმწიფეზე ჴელს ვერავინ ამაღებინებს, ამისთვის, ეს მეოცე წელი არის იმის მოწყალეებით ვცხოვრობ და არც საძრახი ვარ ჩემი კაცი და ანუ წერილი დავაკლო, როცა დროს დავიცავ ვიდრე ყ˜დ მოწყალე ჴელმწიფე ჩემს აზრს სისრულეს არ მისცემს. და ამაზედაც დიდად განკვირვებულ ვარ თქვენის კეთილ გვამისაგან, ერთს პლუტს ბიჭს ასე როგორ უშოვნია თქვენი ყური, რომელსაც ეგ მოგახსენებსთ ეგრეთვე თქვენც უმტკიცებთ. სარწმუნო მექმენით, ყორღანოვს თქვენთან ანუ სხვაგან ჩემი სიკვდილი როგორც უმოქმედნია, თვითეულად შატყობილი მაქვს. წერილის მორთმევასაც არ ვაპირებდი – თქვენს მაღალაღმატებულესობასთან, მაგრამ ჩემა სინდისმა კვალად მამხილა. თქვენთვის არ გამომეცხადებინა არ იქმნებოდა. ტფილისიდამ მაგის ჴელმწიფის კარს წასვლა არ მცოდნია, ვიდრე ყიზლარიდამ მაგის წერილი არ მომივიდა. ეგრეთვე მოელოცნა ყ˜დ მოწყალის ჴელმწიფისაგან მამიშენის პური გიშოვნიაო. შემდგომ ამისა ჩემთან მოვიდა ყ˜დ მოწყალის ჴელმწიფის ბრძანება. ეგრეთვე უფლის მინისტრის წერილი მებოძა. წავიკითხე და ჩემის არზის პასუხი ვერა რაი ვცან. ჩემი არზი და ჩემგან მიცემული ისტრუქცია, ეგრეთვე უფალ მინისტრთან ჩემი წერილი თვით გოგია ბასტამოვს უნდა წარედგინა. ბასტამოვის წარსვლა აღარ მომჴდარიყო, ამისთვის ჩემგან გაგზავნილს კაცს ჴელმწიფის კარს არ უშვებდნენ. შემდგომ ყორღანოვი ეშოვნა და ფარულად გაეგზავნა. ამის გამო უფლის მინისტრისაგან ბრძანება უნდა აელო, გიორგი ბასტამოვი ჩემის სრულის წერილებით ჴელმწიფის კარს გამოცხადებულიყო. ყორღანოვს ველარ მოეთმინა, თავის მაცთურება ემოქმედნა. უფალს მინისტრთან დიდათ შემსუბუქე-

ბინა, თავის თავს ედვა ყოველივე ჩემი საქმე. შემდგომ რაღა განვავრცო მაგის კეთილ სვინდისი. დიდად ვთხოვ თქვენს მაღალ აღმატებულესობას, ეგ ყორღანოვი ყიზლარს წარგზავნოთ. ღ~თის მოწყალეებით ზამთრის სიფიცხეს მოვრჩებით, ჩემი და უფლის ივან პეტროვიჩის ურთიერთთან ნახვა მოჴდება. მაგისი ყოველი სიმართლე იქიდამ მოგხსენდებათ. თვით თქვენ კარგად უწყით, ყ~დ მოწყალის ჴელმწიფისაგან ყოველი ჩემი საქმე უფალს ივან პეტროვიჩს აქვს მინდობილი და იმას სრულიად უნდა გამოუცხადო. თუ თქვენ ამგვარ აღშფოთების წერილებს დააყენებთ, ეგრეთვე ყორღანოვსაც ყიზლარს წარგზავნით ჩემი სრული და ჭეშმარიტი მოხსენება ეს არის და ნება გაქვსთ. სხვებრ დავშთები უღრმესითა პატივისცემითა და პირუთნებლითა მოსყიდულებითა ჩემითა თქვენის მაღალ აღმატებულესობის უმორჩილესი მოსამსახურე.

საქართველოს მეფის ირაკლის ძე
ალექსანდრე.
ჩყიზ წელსა, ფებერვლის თ დღესა, ანწუხით.

№54

1817 წლის 12 თებერვლის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა გენერალ-მაიორ დელპოცოსადმი

თქვენო აღმატებულებავ, იარანალ მაიორო უფალო ივან პეტროვიჩ, მოწყალეო ჴელმწიფევ!

ამ თვის ათს დღეს თქვენი წერილი მებოძა ბაღათულელი დავრიშის ჴელით. ყოველივე ვცან. თქვენს აღმატებულესობას გამოეცხადებინა სწორე ვერ რაი ვცან და რა მოგწერო. ამას წინათ ბასტამოვის და მადათოვის ჴელით წერილი მოგართვი. ეგრეთვე აზნაური მამაცაშვილი პავლე გაახელ წარსულს იანვარს და მეორე ჩემი წერილი მოგართვით. ყოველივე

სრული აზრი მოგახსენეთ. არ ვიცი თქვენ ვითარ სამე დაურწმუნებლობასა ხედავთ. ჩემ მიერ დიდად სარწმუნო მექმენით, რაც თქვენთვინ წერილებით მომიხსენებია და ანუ კვალად მოგახსენებ, ყოველივე სრული და ჭეშმარიტი არს, თუ ტფილისიდამ უფლის მართებელისაგან ჩემი სავნო და აღსაშფოთებელი მიზეზნი აღარა მომეცა რა. სხვა რაღა განვავრცო. ყოველივე სრული აზრი გიორგი ბასტამოვისათვის მომინდვია. ეგ გამოგიცხადებს და მოგახსენებს. და თქვენმა აღმატებულესობამ კარგათ უწყის, უწინარეს ზემორე ჴსენებული გიორგი ბასტამოვისათვის მიმინდვია ჩემი ყოველივე სრული აზრი და აწცა ეგ გახლავსთ, სარწმუნო ექმენით. სხვებრ დავშთები თქვენის აღმატებულესობის მორჩილი მოსამსახურე.

საქართველოს მეფის ირაკლის ძე

ალექსანდრე.

ჩყიზ წელსა, ფებერვლის იბ დღესა, ანწუხით.

№55

1817 წლის 12 თებერვლის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა გიორგი ბასტამაშვილისადმი

მაღალკეთილშობილო უფალო გიორგი ბასტამოვ, ჩემო სარწმუნო მეგობარო!

უფლის იარანალის ივან პეტროვიჩის წერილი მებოძა ბაღათულელი დავრიშას ჴელით ათს ფებერვალს, ეგრეთვე შენი წერილი და რაც მოგეწერა ყოველივე ვცან. ამ იანვრის წარსრულს პავლე მამაცაშვილი წარმოვგზავნე. უფალს იარანალსაც წერილი ვაახელ და ეგრეთვე შენც მოგწერე. ახლა უფლის იარანალის წერილი მიცხადებს ჩემი საქმის დაურწმუნებლობასა და ჩემზე ხათრიჯამი არა ბძანდება. არ ვიცი რა არის, თუ ამ მიზეზს ბძანებს, ერევანს კაცნი წარვგზავნე წერილებით,

თვით შენ კარგათ იცი, მანამ ყ˜დ მოწყალის ჴელმწიფისაგან ჩემს აზრს სისრულე არ მოეცემა, ჩემი იმათზე ჴელის აღება არ იქმნება. და მაგათ აღმატებულებისათვისაც ასე მომიხსენებია: იმათზედაც ჴელი ავიღო და მაგათგანაც ჩემს აზრს სისრულე არ მოეცეს, ჩემგნით დიდად შეუძლებელი საქმე იქმნება. მე შენთვის მომინდვია ყოველივე ჩემი საქმე, მაგათის აღმატებულესობის კეთილი გული თვით შენ უნდა დარწმუნო. რაც მე შენთან მილაპარაკნია ღ˜თის მოწყალებით არც გარდამიცვლია და არც გარდავცვლი. მე იმ ჩემს სიტყვაზე ვდგევარ და ვარ დამყარებული, თუ უფალი მთავარ მართებელი ჩემს სავნოს და აღსაშფოთებელს საქმეზე ჴელს აიღებს ფარულად, ანუ თუ ცხადად. ყორღანოვი სამჯერ წასულა ქალაქს და მოსულა და ახლაც აქ არის გავაზს. ასე ნურავის გონია, რასაც საქმეს მოქმედებენ მე არ ვიცოდე. ჭეშმარიტად თვითეულად შატყობილი მაქვს, მაგრამ მაგის მამობრივის სიყვარულს და ჩემს კაცობას არ ეკადრება, თორემ ამთენს ჩემს შეწუხებას არ დავთმობდი. ეგენი რომ ვერ მიცნობენ, შენ ხომ კარგათ მიცნობ. მეც ცოტას რასმე შევიძლებ მაგიერს სამსახურს. თუ ამას ბრძანებენ, დაღისტნიდამ საქართველოში თითო ოროლა რაზბონიკის კაცისაგან ჴდება რამე, ევროპა უფრო დიდის კანონისანი არიან და იქაც იპოება რაზბონიკნი. მე მაგაში ბრალი არა მაქვს და არც ქურდი კაცის ამხანაგი ვარ. ხომ კარგად იცი, ეს მეორე წელიწადი არის, შენ რომ წიგნები გაგატანე, მას აქეთ წინააღმდეგი საქმე აღარა მიქნია რა, რაც ერევანს კაცნი და წიგნები არ გავგზავნე. ესენი აშკარა არის. მრავალჯერ კაცნი და წიგნებიც გამიგზავნია და პასუხიც მომსვლია. ამდენი ხანი დაღისტანში ჩემი ცხოვრება როგორ იქნებოდა, თუ იქიდამ შემწეობა არ მქონოდა. კარგათ იცოდე, მე თუ ყ˜დ მოწყალის ჴელმწიფისაგან მაგ უფლის იარანალის შემწეობით მოწყალებას არ მოველოდე და მაგათი მაყურებელი არ ვიყო, ამთენი ხანი მე უსაქმოთ არ დავდგებოდი და არც ჩემგან შეი-

ძლებოდა ამდენი უსაქმობა. და რაღა განვაგრძელო, ღ~თის მოწყალებით ამ ზამთრის სიფიცხეს რომ მორჩებით, უფლის იარანალის ურთიერთან უნახაობა არ იქმნება, საცა პირობა არის, რომელიც არს ბაღათულა. უწინარეს და ახლაც შენა ხარ ჩემს საქმეში, შენ იცი ჩემო გოგიავ, როგორც მაგ უფალის იარანალის გულს ხათრიჯამათ ამყოფებ და მაგის მოხუცებულესობას ჩემგან არა ეწყინოს რა. მე დიდად მსურს, რომ მაგასთან დაახლოებული ვიყო, მაგრამ რა ვქმნა, ეს გზები შენც კარგათ გასშინჯული გაქვს. ახლა არ თუ ქვევითს კაცს, თორემ ცხენიანს კაცს არ შეუძლიან წამოსვლა. ღ~თის მოწყალებით ბევრი გასულა და ცოტა რა დარჩომილა. სხვა რაც ჩემი ზეპირი სიტყვა არის დავრიშისთვის მითქვამს და ეს გიანბობს ყოველსავე აქაურს ანბავსაც.

შენის მშვიდობის კეთილმოსურნე, საქართველოს მეფის ირაკლის ძე ალექსანდრე,

ჩყიზ წელსა, ფებერვლის იბ დღესა, ანწუხით.

კეთილშობილს არტემ მადათოვს მოვეკითხე. მადლობელი ვარ და ეგრეთვე მეც ძმურის სიყვარულით მოვიკითხამ და ეგრეთვე ისაი ნაზარიჩს მოკითხვის მადლობას უმზღვნი.

№56

1817 წლის 13 თებერვლის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა გიორგი ბასტამაშვილისადმი

უფალო გოგია ბეგ! პირველ, ანწუხიდამ რომ გაგისტუმრე, ტფილისიდამ უნდა წასულიყავ ყ~დ მოწყალის ჴელმწიფის კარს და ჩემის ყოველი სრულის აზრის წერილებითურთ გამოცხადებულიყავ. შენ ხომ წასვლა აღარ მოგიჴდა, ამისთვის მთავარ მართებელნი ჩემ გაგზავნილ კაცს პეტრე ბურხს არ უშვებდნენ. ჩემ შეუტყობრივ ყორღანოვი გაემგზავრა. ამასაც

შენი გული ფიცით ერწმუნებინა, ის უნდა მისულიყო პეტრე ბურხს, უფლის მინისტრისაგან ბძანება უნდა აეღო შენის წაყვანისა და თვით შენ უნდა გამოცხადებულიყავ ჩემი სრულის აზრის წერილებით უფალს მინისტრთან. და თვით ყორღანოვს ველარ მოეთმინა და თავის მაცთურება ემოქმედნა, ყოველივე ჩემი საქმე თვით კისრათ აეღო. შენ ხომ კარგათ იცი და მოწმე ხარ, სანამ ყიზლარიდამ იმის წიგნი არ მოვიდა, იმის წასვლა არ მცოდნია. იმას ასე გამოეცხადებინა, თავი თვისი თვით მე გამეგზავნოს ყ˜დ მოწყალის ჴელმწიფისაგან მეთხოვნოს ჩემი პეტრე ბურლს წასვლა. თვით შენ კარგათ იცი, მე იქ წასვლა არ მითხოვნია. მე თუ მდომოდა პეტრე ბურლს წასვლა, არც შენ გაგზავნიდი და არც ჩემს წერილებს. მე თვით ასე წავიდოდი და შევიდოდი რუსეთის სამძღვარში, არას კაცს არ შეეტყო. მე მოვიმდომე მისის მონარხის საფარველსა ქვეშევრდომა ამის გამო, აქეთ ჩვენს მხარეს მეცხოვრა, ყ˜დ მოწყალის ჴელმწიფის და იმის მჴედრობისთვის სისხლით მემსახურნა. და აწცა გამზადებულ ვარ ვითარცა სალდათი, თუ ყ˜დ მოწყალის ჴელმწიფისაგან უფლის იარანალის შემწეობით ჩემს აზრს კმაყოფილება მიეცე(3)მა. საქართველოდამა მართებელი იწერება, მანდედამ უფალი იარანალი მწერს, შენ გითხოვნია ყ˜დ მოწყალის ჴელმწიფის კარს მისვლა და იქ უნდა წახვიდეო. შენ ხომ კარგათ იცი ჩემი თხოვნა, რომელიც იყო ყ˜დ მოწყალე ჴელმწიფესთან, ან უფალ მინისტრთან. როგორ ვერ დაგიხათრიჯამებია მაგათი აღმატებულესობა, რომელიც არის ჩემი სათხოვარი. ამ გვარს წიგნს რათა მწერს, დიდად განკვირვებულვარ ამ საქმეზე მაგისთანა კანონიანს ხალხში ის უკეთური ყორღანოვი ასე როგორ აჯერებინებს, ყოველს საქმეებს თითონ მოქმედებს, ახლაც ათი ხუთმეტი დღე იქნება სამასი ოქრო შიხის ჴელით შემოგზავნა ჩემ სასიკვდილოთ. სამასი ოქრო კი არა, სამი ათასი ოქრო რომ შემოიტანონ, ღ˜თის მოწყალებით მე ფიქრი არასი მაქვს, ამგვარი მალული საქმეები მრავალი არის, თვით

შენც კარგათ იცი და რაღა განვაგრძელო. ღ~თის მოწყალებით ჩემი ფიქრი ნურა გაქვსრა. უფალი იარანალი კარგათ დააახათრიჯამე: მე ვგონებ ღ~თის მოწყალებით კვირაცხოვლობის შემდგომ კვირას აქედამ აყრა მომიჯდეს, თუ რომ მეტათ მომატებულმა ავმა დარმა არ დაგვაბრკოლა, ანუ კახეთიდამ და ტფილისიდამ ამღვრეულმა საქმეებმა, სარწმუნო ბრძანდებოდეს მაგათი აღმატებულესობა, მაგას უნახავს არ დავაგდებ საცა პირობა არის, მასკვან თითონ იცის. შენ რომ მოგეწერა გარჩევით მომწერეო რაერთი ხარჯი მოგინდება და ან რაერთი კაცნი გიახლებიანო, ჯერ სწორეთ არ ვიცი. ეს დავრიშა რომ მოვა მანდ ისევ საჩქაროთ გამოისტუმრე და ჩემნი კაცნის ანბავიც მაცნობე და ეგრეთვე მეც ისევ საჩქაროს ორს ჩემს კაცს და ხუთს ანწუხელს კარგს კაცს გამოვგზავნი, როგორც შენ მოგეწერა და ეგრეთვე ჩემს სიას, რაერთიც მომინდება ყოველსავე გარჩევით მოგწერ და მანდაური საქმისა შენ იცი.

ფებერვლის იგ ქკსა ფე.

№57

1817 წლის 19 სექტემბრის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა გენერალ-მაიორ დელპოცოსადმი

თქვენო აღმატებულესობავ, ღენერალმაიორო უფალო ივან პეტროვიჩ დელპოცო, მოწყალეო ჴელმწიფევ!

მე დიდად მსურდა ჩემი აღთქმისამებრ ბაღათულის სოფელში მოსვლა, რომელ არს გუმბეთი. გიორგი ნაზარბეგოვმა თქვენის აღმატებულესობის წერილი მომიტანა. მსწრაფლ შეუდეგ ჩემი წამოსვლის მზადებას. ერთი ორი დღის მეტს დაგვიანებაც აღარ ვაპირებდი – ყარახის ჯამათი ჩემთან მოვაყვანინე. გამოუცხადე, რამდენიმე თქვენი უფროსი კაცნი გამოარჩივეთ, თან უნდა გამომყვნენ უფლის იარანალის შესაყრელად. ჩემი

ბაღათულაში მოსვლა დიდად აწყინეს. ასე მოგახსენეს: ვერც ჩვენ გიახლებით და არც შენ გაგიშვებთ. არ დაიშლი წასვლას, პირველად ჩვენს ცოლშვილს და ჩვენ ყელები უნდა დაგვაჭრა და ისე წახვიდეო. უფალს იარანალს შენი ნახვა ნებავს, ქინდალის სოფლებში მობძანდეს, იქ ერთათ შევიყარნეთ. არ ინებებს, იმას იქით არც ჩვენ გიახლებით და არც შენ გაგიშვებთ. უფალო მამავ, სარწმუნო ბრძანდებოდეთ, ჩემი განზრახვა სხვა არა იყო რა, მხოლოდ მანდეთ წამოსვლის მეტი. ჩემი გული ამაზე დიდად წუხს. აღთქმისამებრ ბაღათულაში წამოსვლა არ მიყაბულეს. თქვენი აღმატებულესობა ინებებდეს და შეიძლებდეთ ქინდალის სოფლებში მობძანებას, დიახ დიდს წყალობაში ჩავიგდებ. ჩემთვის ასეთი სასიამოვნო დღე იქნება, ვითარცა სანატრელი მეფე ირაკლი მეხილვოს. თქვენს წამობრძანებას მიზეზი მიეცემოდეს და ვერ შეიძლებდეთ წამობრძანებას, სამი ოთხი თქვენი სანდო კაცნი, რომელთანაც თქვენი აზრი განისვენებდეს, ამათთან ერთი მწერელი გვიბოძეთ, ქართული და რუსული კარგად გვითარგმნოს. ამათთან გიორგი ბასტამოვიც გამოისტუმრეთ ამ ჩვენს ლაპარაკებში დაგვესწრას. თქვენც კარგათ უწყით, პირველითგანვე მაგასთან მქონდა ჩემის საქმის დაწყობილობა და აწც ეგ არის. გთხოვთ დიდად ამ საქმემ აღარ დაიგვიანოს. დავშთები თქვენის აღმატებულესობის მორჩილი მოსამსახურე.

საქართველოს მეფის ირაკლის ძე
ალექსანდრე.
ჩყიზ წელსა,
სეკდემბრის ით დღესა,
ყარახით.

და სხვა რაც ჩემი სიტყვა და საქმე არის ზეპირი, არტემ მადათოვი, გიორგი ნაზარბეგოვი მოგახსენებენ.

№58

1818 წლის 6 მარტის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა თავის ამალის თავადაზნაურობასა და მსახურებისადმი

ქ. ბრწყინვალენო თავადნო, კეთილშობილნო აზნაურნო და მსახურნო! ს~დ საქართველოს მეფის ძე ალექსანდრე ძმურის სიყვარულით მოგიკითხავთ. ჩემს ანბავს იკითხავთ: ღ~თის მოწყალებით ჴელმწიფისა და შაჰზადას დოვლათით მშვიდობით ვიმყოფები. ყარახში შემოდგომაზე თქვენი წიგნი მოგვივიდა, რაც მოგეწერათ ყოველივე ვცან, თქვენგან დაწყობილი კეთილი აზრები როგორია. თუ ღმერთი გწამთ, ან მე რათ მარცხვნით მთელს ერანში და ან თქვენს თავს. გავს რომ ფულს მსახურებიხართ და ჩემი სიყვარული არა გქონიათ. თუ თქვენ ერთმანეთში ლაპარაკი გაქვსთ, ერთმანეთს ხომ თქვენ ვერ გადაჴდევინებთ. ღმერთმა ადღეგრძელოს შაჰზადა, ჩემი ასეთი მწყალობელი ბძანდება. ჩემის ხათრით ჩემს კაცს რაც უნდა დანაშაული ქონდეს, ურიგოთ არას უბძანებს. თუ მაგ ხუდად ბეგს დანაშაული აქვს რამე, ღ~თის მოწყალებით ამ ცოტა ხანში ერთად შავიყრებით, მოვკითხავ და ისე გადავახდევინებ. ეგ კაცი ჩემგან არის დაყენებული. მართალია, მე უნდა გავამართლო და მტყუანია, მე უნდა გადავაჴდევინო. რაც მოჴდა იკმარეთ, დაეხსენით მაგვარს საქმეებს. თუ ჩემი სიყვარული გაქვთ და ან ჩემი თავი გინდათ, თქვენ და ხუდად ბეგ ერთად შეიყარენით და თქვენი სიტყვა და საქმე ერთი იყოს. ნუ ირევით, არეულობის დრო და ჟამი არ არის. ამ ჩემ საქმეზე დიდი და პატარა ბეჯითი იყავით. ხომ კარგათ იცით, თუ ჩემი საქმე კარგათ მოვიდა, თქვენიც კარგათ იქმნება. ეს კარგათ იცოდეთ, თუ ჩემი საქმე კარგათ არ იქნება, თქვენი საქმე სულ ძირს გაივლის. რაღა განვავრცო, ახლა თქვენ იცით და თქვენმა კაცობამ, როგორც რიგიან და მართებულად მოიქცევით. სხვას ჩვენ სიტყვას პავლე მამაცაშვილი და ჯაღალაშვილი სოლომან გამომიგზავნია და ესენი გიამბობენ, მარტის ვ, ქკს ფვ.

№59

1818 წლის 6 მარტის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა უსუფ-ხანისადმი

უსუფ ხან!

ქ. ს~დ საქართველოს მეფის ძე ალექსანდრე ძმურის სიყვარულით მოგიკითხავ. ბატონო, ჩემს ანბავს იკითხავთ. ღ~თის მოწყალებით და შაჰზადას დოვლათით ყარახში მშვიდობით ვიმყოფები. შაჰზადას არზი ვაახელ. ყაიმაყამს და ვეზირსაც წიგნი მივწერე დაღისტნის საქმეზე ჩემის კაცების ჴელით. ვითხოვ შენის ძმობის სიყვარულობისაგან ამ საქმეზე როგორც შენს გულს ვიცნობდე, ისე ბეჯითად გაისარჯე შაჰზადასთან, ყაიმაყამთან და ვეზირთან, ამ ჩემა ჯაფამ ტყუილათ არ ჩაიაროს. ღ~თის მოწყალებით და შაჰზადას დოვლათით მთელი დაღისტანი და სულთან ჰამათხან ჴელმწიფისა და შაზადასთვის მიშოვნია. ახლა სულთან ჰამათხანც არზისა და მზევლების ხლებას აპირებდა შაზადასთან. სწორე ეს არის, მე ამ გზობით ვერ ვარჩივე. ასანამ, ხალილამ და ჭარელთ შაჰზადას ბძანება მომიტანეს. ჩემს რაყამში რომ არა ებძანებინა რა, მეც იმან დამაბრკოლა. ვინცავინ დაღისტანში რუსის მჴარე არიან და რუსის ჯამაგირს სჭამენ, ისინიც მიშოვნია. თუ შაჰზადა ინებებს რაყამს და ჯამაგირს უბოძებს, რა ერთსაც მზევლებს ინებებს, იმდენს აახლებთ. მე ესე დაჯერებული ვარ და დაღისტნისგან მარტო სულთან ამადხანის მეტი მზევალი არ ეჭირებოდეს. ეს ნურვის გონია მარტო დღეისა და ხვალისათვის მეშოვნოს დაღისტანი. ჩემის გარჯილობით ჴელმწიფისა და შაჰზადას ერთგულობისათვის მიშოვნია საბოლოოთ. ახლა, ჩემს ამდენს ჯაფას და სამსახურს უბრალოდ არ ჩაატარებენ, ხომ კარგი იქნება და თუ არ ინებებენ, ნება ხელმწიფისა და შაჰზადასი ასრულდეს. შენ იცი ჩემო უსუფ ხან, როგორც შაჰზადას წვრილად მოახსენებ და რიგიანად

გააშინჯებ ამდენს ჩემს ღვაწლს და სამსახურს. და რაღა განვაგრძელო, სხვას ჩემს ანბავს თვითეულად მამაცაშვილი პავლე და ჴიზიჴელი მსახური სოლომან ესენი მოგახსენებენ. როგორც შაჰზადამ ინებოს, ის ბოძვნება საჩქაროთ მაცოდინეთ, მეც მაგათის ბძანების მაყურებელი ვარ. სხვებრ ვითხოვ შენის ძმობისაგან ამ სოლომანს ერთი ჩაფრის ცხენი უშოვნო და საჩქაროთ ერევანს გაისტუმრო. ხუდად ბეგ და სხვა ვინცავინ ჩემნი ხალხნი იმყოფებიან მანდ, შაჰზადას იახლნენ და ლაპარაკში მანდ დაესწრნან. მარტის ვ, ქჴკს ფვ.

№60

1818 წლის 6 მარტის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა ხუდად ბეგისადმი

ქ. ხუდადბეგ! თუ ჩვენი სიყვარული გაქვს, ამ ჯაღალაშვილმა სოლომანმა ჩვენის ერთგულობისათვის მრავალი სამსახური გასწივა და ნაკლულევანება მოითმინა ჩვენის ერთგულებისათვის და შენც კარგათ იცი და ამას უსაჩუქროთ ნუ გამოისტუმრებ. რიგიანათ აჩუქე. მარტის ე, ქჴკს ფე.

№61

1818 წლის 29 მარტის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა ხუდად ბეგისადმი

ქ. ხუდად ბეგ! პავლე მამაცაშვილი და სოლომან ჯაღლალაშვილი წარმოვგზავნე შიხალი ხანთან მანდეთ წარმოსასვლელათ და გზა არ მისცემოდათ იქიდამ და აქ ჩვენთანვე მოვიდნენ. ახლა ამ ჭარიდამ წარმოვგზავნე ხალილა და პავლე და ჩვენი

სიტყვა ყოველივე ამათთვის დამიბარებია და ესენი გიამბობენ და ყოველივე ჩვენი საქმე საჩქაროთ ისაქმე და ისე წარმოგზავნე ესენი და სხვანიც მანდაურის სწორეს ანბით. მარტის კთ ქკს ფვ.

№62

1818 წლის 26 ოქტომბრის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა ლევან აბაშიძისადმი

ლეონს!

ქ. მის მაღალს ბრწყინვალებას აბაშიძეს ბატონს საქართველოს მეფის ძე ალექსანდრე მრავალს ძმურის სიყვარულით აღვსილს მოკითხვას მოვახსენებ. მერმეთ: შენი მანდ შენს ყმასა და მამულში მშვიდობით ყოფნა დიდად გვიამა, მაგრამ სრულის გულით ნუ მიენდობი. თუ ჩვენს ვითარებას მოიხსენებთ, ღ~თის მოწყალებით, დაღისტნიდამ მშვიდობით გამოვაწიე და აქ მაჰმად აღას ყონაღში ვიმყოფები ჩემდა გუნებად. და ახალი ფაშა რომ მოვიდა, ამან აქედამ არ გაგვიშვა. და ხონთქარს არზი მისწერა, ამისთანა გამოსაყენებელი კაცი მოვიდა და აჯამში მივიდოდა და არ გაუშვი და რას ბძანებო. იქიდამ ერანის ჴელმწიფე და შაჰზადა ჯავრობენ, ამთენი წელიწადი არის ჩვენ ვინახავთო და ესენი საუკუნოდ ერანისანი არიან ვალი და დიდი და ჩინებულნიო. ეს საქმები ასე არის და ბოლო როგორ მოვა ღ~თით არ ვიცი, მაგრამ გაზაფხულზედ აშლას ამბობენ და თუ მართალი არის, არა მგონია გამიშონ, და მეც მირჩევნია. შ~დ ამისა, ჩვენ და თქვენ ძველთაგანაც მოყვარენი ვყოფილვართ და ნათესავნი და ახლა რადგანაც და მისეულად მე მოწადინებული ვარ, რომ მოყვრობა ისევ გავაახლოთ და დავამტკიცოთ ღ~თის ხელის დადებით და მოციქულთ მიცემით და დამტკიცებით, თუ თქვენც ინებებთ თქვენის ძმის

შვილი დიმიტრის ქალი მე მომათხოვოთ და თუ მოინდომებთ გამოგზავნაც შეგიძლიათ. მგონია დასაწუნარი სიძე არ ვიყო. ამისი პასუხი საჩქაროდ მომწერეთ, სწორე შევიტყო, მეც ჩემს თადარიგს შევუდგე. სხვას თქვენს მშვიდობის ამბავს ნუ დაგვაკლებ, რომელიც რომ ჩვენთვის დიდად სასიამოვნო იქნება. ოკდომბრის კვ, ქკს ფე.

თამარ პაპავა

ალექსანდრე ბატონიშვილი და მისი ოჯახის ბედი

საქართველოს მწუხრის მოახლოებისას ყველანი გრძნობდნენ, რომ ერეკლე მეფის კანცლერის, სოლომონ ლეონიძის ნათელი და გონიერი თავი, მისი გამჭრიახობა და შორსჭვრეტა, საქმეს მარტო ვერ უშველიდა; საჭირო იყო ძლიერი მკლავიც, ვაჟკაცური შეტევა, ძველებური ბრძოლის ჟინი და გამამხნევებელი შეძახება ალექსანდრე ბატონიშვილისა.

საბედისწეროდ, ვერ მოხერხდა ამ თავისა და მკლავის გაერთიანება მთელი საქართველოს მოცულობით. სოლომონ ლეონიძის „რიტორობა", დავით ბატონიშვილის რუსეთისადმი რომანტიულმა მინდობამ ჩაჰკლა, ხოლო ალექსანდრე ბატონიშვილის ხმალი ქსნის ერისთავებმა გადაამტვრიეს და თან მისი მარჯვენა ხელნი: იულონი და ფარნაოზ ბატონიშვილები შეკოჭილნი ღენერალ ციციანოვს მიჰგვარეს. სოლომონმა დავით ბატონიშვილის ტყვეობიდან გაქცევა მოახერხა და ეხლა იმერეთს მოავლინა თავისი სიბრძნე და დიპლომატიური გამოცდილება; და მან ეხლა სამშობლოს უკანასკნელი კუთხის გადარჩენა სცადა რუსთა დიდ მოზღვავებულ ტალღისაგან, სოლომონი ნახევრად განწირულ საქმეს იცავდა და იმერეთის ელჩობის გახანგრძლივება ვეღარ შესძლო პეტერბურგში ბრძენმა კანცლერმა.

სოლომონ ლეონიძის ჭკუა-მახვილობამ და სიდარბაისლემ იმთავად მაინც ძალიან გაუჭირვა საქმე პეტერბურგის საგარეო სამინისტროს. იმერეთის დესპანმა დიდის მოხერხებით გაუმტყუნა რუსეთს დიპლომატიური დივერსია: – გამჭრიახმა ლეონიძემ თავდაცვიდან შეტევაზე გადასვლა შესძლო და ალექსანდრე პირველის დაპირებათა განაღდება მოითხოვა, ლეჩხუმის სოლომონ მეფეზე გადაცემის სახით. ამ კაცთან იმპერიის ძლიერი ენით ლაპარაკი არ სჭრიდა; რაკი რუსეთს სხვა გზა ვეღარ ეპოვნა, მან იმერეთის ელჩს, დიპლომატიური ეთიკის სრულის დავიწყებით, უხეშად გამოუხურა კარი... სოლომონმა მაინც მოახერხა საგარეო სამინისტროსადმი ერთი ნო-

ტის გადაცემა, რომელიც ქართული დიპლომატიის ტრადიციულის განკვეთილობით, პათოსით და მჭევრმეტყველებით იყო დატვირთული და რომლის უარყოფა მტკიცე ლოღიკას აღარ შეეძლო.

პეტერბურგიც სხვა გზას დაადგა: ამ კაცთან შეჯიბრი ცუდად უნდა დამთავრებულიყო და ამიტომ მას საპატიო, საელჩო „კალასკა“ მიართვეს და ტფილისისაკენ გამოისტუმრეს; იქ დანარჩენ საკითხებზე მასთან ციციანოვს უნდა ეწარმოებინა „მოლაპარაკება“, თანახმად გადაგზავნილ საგანგებო ინსტრუქციისა.

ეს „ინსტრუქცია“ კი დიპლომატიურ გზით წაგებულ იმერეთის ზარბაზნებით აღებას ნიშნავდა. სოლომონმა პეტერბურგში გაიმარჯვა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ დიპლომატიური გამარჯვება, რომელიც რუსეთს არ უშლიდა ყოველგვარ ტრაქტატების და ვალდებულებების წაშლას ციციანოვების უხეშ და „შეუდრეკელ“ დაკვრით...

* * *

ხმლისა და ფაქტის რაინდმა ალექსანდრე ბატონიშვილმა კი „დიპლომატიის“ გზა რუსეთთან თავიდანვე წაგებულად მიიჩნია; მარტო შეტევებით და აჯანყებებით ცდილობდა ის, რომ ახლად შექმნილ მდგომარეობას სიმტკიცე არ მისცემოდა, რომ ქართველი ხალხი უცხო ძალის გაბატონებას არ შესჩვეოდა და რუსეთის მიერ მოულოდნელად მომხდარი ოკუპაცია სტაბილურად არ მიეჩნია.

პერმანენტული ბრძოლები, პარტიზანულ თავდასხმებით მდგომარეობის გართულება, სხვადასხვა მხარეებიდან მოვლა-დაკვრა, პანიკის და დეზორგანიზაციის შექმნა ახლად შემოსულ ძალთა რაზმებში... – აი, ეს იყო სამოქმედო გეგმა ალექსანდრე ბატონიშვილისა და მის გვერდით მდგომ ძმათა, ძმისწულთა

და სხვა თანმხლებელთა. ეს შეტევები ხშირად საკმაოდ მომზადებული არ იყო: არც იარაღი, არც სურსათი და არც ფული იყო მომარაგებული, მაგრამ ბატონიშვილს, ყველა ამისათვის ცდა დროს უცარავდა, ხოლო ეს დრო კი რუსის მოხელეობასა და მის ერთგულთ ღრმად უდგამდა ფესვებს საქართველოში.

მართლაც გასაოცარია ის თავგანწირულება, რომლითაც ეს კაცი რამდენიმე ათეულის წლის განმავლობაში უტევდა რუსის მხედრობას ხან ერთი და ხან მეორე მხრით; და თუ ერთი მოკავშირე დასუსტდებოდა და ხელიდან გაუსხლტებოდა, უცებ მეორეს აიჩენდა (სპარსეთი, ოსმალეთი, დაღესტანი და კერძო ფაშები და ხანები ახალციხისა, განჯისა, ერევნისა და სხვ.). გადიოდა წლები და რუსის მთავარსარდლებს გული უსივდებოდათ მისი შეპყრობის მოლოდინში. „მწყალობელნი" თუ მას პირველში პატიებას და ყველაფრის „დავიწყებას" ჰპირდებოდნენ, ბოლოს „პენსიონებს" ჩინ-ორდენებს და ყმებსაც კი სთავაზობდნენ; – ოღონდ როგორმე პირი ექნა რუსეთისაკენ და იმ „წყეულ" საზღვარზე ფეხი გადმოსცდენოდა.

მაგრამ ვერ იქნა, ვერ მოიგეს ბატონიშვილის გული და ბოლოს ისღა დარჩენოდათ, რომ ერმოლოვის (მთავარმართებელი) პირით განეცხადებინათ: აბა რა მნიშვნელობა აქვს ასეთ „ქარაფშუტა", თავზე ხელაღებულ, მოხეტიალე ბატონიშვილსო?

ამ ნამდვილ რუსულ სალდათს თავიდანვე არ მოსწონდა წინანდელ მთავარმართებელთა „ცერემონიები" და განსაკუთრებით რტიშჩევის გზა მან ზიზღით უკუაგდო; ამ ხანად მაინც იმის მეტი ვერაფერი მოახერხა, რომ ბრაზმორევით, სრულიად უაზრო და უმართებულო რამ ეთქვა: „ეს ადამიანი (ე.ი. ალ. ბატონიშვილი), ცნობილი თვისი გარყვნილის ცხოვრებით, „პადლეცობით" და სიმხდალით (sic!), არ შეიძლება ჩვენთვის საშიშო იყოს და მე არც ერთ გროშს არ მივსცემ, არც მის სიცოცხლეში და არც ასეთ არამზადის სიკვდილშიო").[1] და მან

[1] იხ. პოტტო ტ. III, გვ. 196.

მართლაც აღუკრძალა ღენ. დელპაცცოს კვლავაც ეწარმოებინა რაიმე მშვიდობიანი მოლაპარაკება ბატონიშვილთან.

ერმოლოვი არც იმას მოერიდა, რომ ეს გეგმა პეტერბურგიდან მოდიოდა თვით მინისტრ ნესსელროდესაგან, რომელიც უბრძანებდა დელპაცცოს: როგორმე თხოვნა-ვედრებით გამოეყვანა ბატონიშვილი ლეკეთიდან და დაემზადებინა „ეკიპაჟები" მისთვის და მისი მხლებლებისათვის და დიდის პატივით გაემგზავრებინა ისინი პეტერბურგისაკენ; რადგან ამას ითხოვდა თვითონ რუსის ხელმწიფე, რათა ბატონიშვილისათვის „წყალობანი" მას პირადად გადაეცა.[2]

მაგრამ მრისხანე ღენერალმა ერმოლოვმაც მალე შესცვალა თვისი გეგმები და ეხლა ანწუხელთ ათასნაირის დაპირებებით ავსებდა, ოღონდ ამათ შეხიზნული ბატონიშვილი გაეცათ.

მაგრამ, როდესაც ამან ვერ გასჭრა და ანწუხელებმა აბასმირზას ექვსი მეთაურნი ამანათადაც კი გაუგზავნეს და აღუთქვეს, რომ მომავალ 1817 წლის გაზაფხულზე ბატონიშვილს თვითონ გაიყვანდნენ და სპარსეთისაკენ გზას გაუკვალავდნენ, – ერმოლოვი შიშმა აიტანა. იმ კაცის გულისათვის, რომლის ფასად წინათ „ერთი გროშიც" არ ემეტებოდა, ეხლა მთელი ჯარები დააყენა ფეხზე და ანწუხს წალეკას უქადდა: – „თუ სამს კვირაში არ ჩამაბარებთ ბატონიშვილს", – სწერდა იმათ, – „თქვენს მთავარ კაცებს, ჩემთან რომ წამოგზავნეთ, ყველას თავებს დავაყრევინებ; მაგრამ ეს არ კმარა! მე ჭარბელაქნელებს, რომლებიც თქვენი მტრებია, ვაპატიებ მათს ძველს დანაშაულს ჩვენს წინააღმდეგ, ძველად ისინი ალექსანდრე ბატონიშვილს რომ აქეზებდნენ. ეხლა მათ რუსის ჯარებს შევუერთებ და ყველა ამათ ერთად თქვენ მოგისევთ, რომ ერთთავად ამოგიყლიტონ თქვენი ცოლები, შვილები და გაგიცამტვერონ თქვენი სამყო-საბადებელი".[3]

---

[2] იხ. „აქტები", ტ. IV.

[3] იხ. „აქტები", ტ. VI, ნაწ. II, გვ. 31.

ეტყობა, დიდი მნიშვნელობა დასდებია ასე უეცრად ამ „ქარაფშუტას“ და არარაობას“, როგორადაც ერმოლოვმა ბატონიშვილი წინათ გამოაცხადა, მაგრამ დიდი რუსეთის ღენერალს, პატარა ანწუხის თემი მაინც დარბაისელის და ღირსეულის პასუხით დახვდა: „ვფიცავთ დიდს ალლახს, რომ ჩვენის მხრით არასდროს არ მოხდება ღალატი და გაცემა ემირ ალექსანდრე-ხანისა. შენ შენს წერილში ითხოვ, რომ ალექსანდრე წარმოგიგზავნოთ; უფალსა ვფიცავთ – ჩვენ მას ვერ ვუღალატებთ და ვერ ჩავიდენთ მისდამი მუხანათობას, თუნდ სულ დახოცო ჩვენი ხალხი და ჩვენი ცოლ-შვილიც... ასეთ საქმეს ჩვენგან შენ ნუ მოელი, ალექსანდრე ჩვენი სტუმარიაო“ და სხვ.[4]

და მართლაც, 1818 წ. ივლისში, მიუხედავად წინასწარ ყოველგვარი ზომების მიღებისა რუსთა მხრით, ალექსანდრემ რამოდენიმე მხლებლებითურთ მაინც მოახერხა რუსეთის რაზმებშუა გაპარვა და მალე ახალციხეში გაჩნდა. „მე ჩვენს ჯარს აწი ველარ ვენდობი“, – სწერდა ბრაზით სავსე ერმოლოვი პეტერბურგს, – „მას შემდეგ, რაც ალექსანდრემ შესძლო რამდენიმე პოსტის მშვიდობიანად გავლა და თვით პოლკის შტაბ-კვარტირასთანაც გაიარა მხლებლებით, რალა ითქმის!!!“[5] მაგრამ ის იმედს მაინც არ ჰკარგავდა და ველიამინოვს უბრძანებდა: – დადევნებოდა ბატონიშვილს, ყოველი საშუალება ეხმარა, სხვის სახელმწიფოშიაც კი შეჭრილიყო ოსმალურ ან სპარსულად გადაცმულ ჯარისკაცებით; და სპარსეთში გადასვლისას ადგილობრივ მცხოვრებთა მოსყიდვით, გაქცეული ბატონიშვილი როგორმე მოეტაცა და გამოეყვანა; ყველაფერი ამაო აღმოჩნდა, ბატონიშვილი ელვის სისწრაფით გავიდა სამშვიდობოში...

ალექსანდრე ბატონიშვილს რუსები შემდეგშიაც რომ უდიდეს როლს აკუთვნებდნენ და მისი „ლიკვიდაციისათვის“ არავითარ გზას აღარ ერიდებოდნენ, ეს სჩანს იმ ვერაგული

---

[4] იქვ, გვ. 32.

[5] იხ. პოტტო, გვ. 479.

მოპყრობიდანაც, რომელიც მათ გამოიჩინეს ბატონიშვილის ოჯახის მიმართ, რათა ამ გზით როგორმე თვითონ ბატონიშვილიც ხელთ ეგდოთ. ჩვენ ქვევით დავინახავთ, რომ მოულოდნელმა შემთხვევამ რუსებს ბატონიშვილის ოჯახი მართლაც ხელთ ჩაუგდო, მაგრამ რაც შემდეგ დიდმა იმპერიამ ჩაიდინა, ის „შემთხვევა" კი არ იყო, არამედ უფრო მისი ბუნება...

* * *

ალექსანდრე ბატონიშვილი უკანასკნელი იყო ერეკლესა და გიორგი მეფის მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრთაგან, საქართველოს მიჯნასთან ახლოს რომ დაშთენილიყო და ქართული დროშით და მამაპაპური ხმლით ხელახლა ეპირებოდა დამონებულ საქართველოში ბრძოლით შეჭრას და ამიტომ ყველა სამაჰმადიანო სახელმწიფოებში, სახანოებში და თემებში მოკავშირეებს ეძიებდა. ბოლოს მას ყოველმხრივ შემოაცალეს სიმაგრენი – თვისი საყვარელი ძმისშვილები, საქართველოს ღირსების აღდგენისათვის მასთან ერთად რომ გახიზნულიყვნენ: – თეიმურაზ პეტერბურგს გაგზავნეს, ლევან ვერაგულად მოჰკლეს კახეთის ამბოხების ჩაქრობის შემდეგ (1812 წ.). ბატონიშვილი გრიგოლ იოანეს-ძე, რომელიც ფრონელის სიტყვით, „რაღაც სასწაულით ერთადერთი გადარჩენოდა ციციანოვს რუსეთში გადაუსახლებლად", დაპატიმრებულ იქმნა და ისე წარიგზავნა ცივს ჩრდილოეთისაკენ;[6] ამით დაამთავრა მთავარმართებელმა რტიშჩევმა ციციანოვის მიერ დაწყებული ბატონიშვილთა გადასახლება.

მაგრამ, ვიდრე საქართველოს საზღვრებთან ჯერ კიდევ თავისუფლად დაჰქროდა ალექსანდრე ბატონიშვილი, რუსეთს მაინც გული საგულეში არა ჰქონდა. საკმარისი იყო ოსმალეთ ან სპარსეთთან მდგომარეობის გართულება, რომ ამ ნაშთს „ასპიდისა"-ს (ასე უწოდებდა ციციანოვი სახელოვან ბაგრა-

[6] იხ. ა. ფრონელის „კახეთის ამბოხება".

ტიონთა დინასტიას), ხელახლა თავი წამოეყო და დიდი რუსეთის „შესხეულებით უკვე გაბედნიერებულ“ ყოფილ საქართველოს სახელმწიფოს კითხვა კვლავ დასმულიყო...

ეს ამბავი უკვე 30 წლის მანძილზე მოდიოდა, მაგრამ სიცხოველეს არა ჰკარგავდა და ქართველის გულში კიდევ რაღაც „რომანტიულ, უნიადაგო ოცნებებს“ წარმოშობდა; ქვეყანა არ წყნარდებოდა და აბა სანამ უნდა ეთმინა კიდევ დიდ რუსეთს მწვავე და მძიმე ნესტარი ბატონიშვილ ალექსანდრესი? ვაჟკაცობით მისი ხელში ჩაგდება ვერ მოხერხდა, გაკრული გზები ალექსანდრეს ძლიერ მუხლებს ვერა „ჰკრავდენ“ და ის მუდამ უვნებლად უსხლტებოდა რუსთ. როგორც ვნახეთ, ვერც რუსული ოქრო აღმოჩნდა შესაფერისი სამაგიერო ბატონიშვილის თავისა და არც ქართველთა, არც ლეკთა, არც სომეხთა ან სპარს-ოსთა შორის არ აღმოჩნდა ისეთი, რომ სანატრელ ერეკლეს ვაჟი პეტერბურგის ჯვრებში გაეცვალა.

შემდეგში რუსობა იმ გარემოებამ უფრო გააბრაზა, რომ უკვე მოხუც ბატონიშვილს მემკვიდრე შეეძინა და პრეტენდენტობის წინააღმდეგ, წელთა ბრუნვა ძალას ჰკარგავდა. ამ საქმეშიც რუსეთს სპარსეთმა გაუჩინა გართულება; თავში თითქოს იმედიც იყო, რომ ურჩი ბატონიშვილი, რომელსაც რუსეთის სიძულვილში არასოდეს ზომა არა სცოდნია, ბოლოს მაინც უოჯახოდ და უძეოდ უნდა გადასულიყო, მაგრამ ეს იმედიც დაურღვია მათ ბატონიშვილმა; ამაზე დაწვრილებით ქვევით... ჯერ კი პირველ ხანაზე შევჩერდეთ...

* * *

ალექსანდრემ სიყრმის ჟამს დანიშნა დიდი ყაბარდოს თავადის მისოსტოვის ასული – იშვიათი სილამაზისა; ამ წარჩინებულ ოჯახიდან ადრევეც მოჰყავდათ ბაგრატიონებს მშვენიერნი ასულნი[7] და ამათში ალბათ ყველაზე შესანიშნავი ვახ-

[7] იხ. ბუტკოვი, ტ. I, გვ. 505.

ტანგ მეექვსეს მეუღლე იყო, რომელსაც მონათვლის შემდეგ, სახელად რუსუდანი ეწოდა და იყო დედა შესანიშნავ დედოფალ თამარისა (თეიმურაზ მეორის ცოლისა) და ბებია უფრო შესანიშნავ მეფე ერეკლესი... მაგრამ მშვენიერი ასული ყაბარდოს მთავრისა, ალექსანდრეს ცოლად ვერ იქცა, ისე უეცრივ და მოულოდნელად მიიცვალა.

თავის დროზედ ეს ქალი თვითონ მეფე ერეკლეს გამოერჩია საყვარელ ალექსანდრესათვის. 1790 წელს მეფეს მოციქულები გაუგზავნია ყაბარდოს თავადთან, რომელიც მისი ნათესავი იყო; ერეკლეს ვაჟის სიძობა, აბა ვისთვის არ უნდა ყოფილიყო საამაყო და „ყაბარდოს მზე ბრწყინვალე, მანათობელი“[8] წარმოუგზავნიათ დიდებულ მეფის კარზე. ის უნდა ადგილობრივ ზნე-ჩვეულებას და წესებს შესჩვეოდა, სასახლეში შესაფერი სწავლა მიეღო და შემდეგ, როცა ქრისტეს მცნებას შეითვისებდა, საღმრთო წერილებში გაიწვრთნებოდა, უნდა ქრისტიანად მოქცეულიყო და სახელიც გამოეცვალა (ეგრევე გზა გაევლო ხომ თავის დროზე დედოფალ რუსუდანსაც). ამ მზეთუნახავს თვისი ძიძა-გამდელი და რამოდენიმე წარჩინებული ყაბარდოელებიც თან გამოჰყოლიან.

მართალია, ის ქართველ ქალად იქცა და ქართული ისტორიული სახელიც მიიღო, სწორედ ისეთი – კაბადოკიიდან მოსულ მშვენიერ განმანათლებელს რომ ჰქვიოდა, მაგრამ ბედი მაინც არ შეიქმნა მისი მწყალობელი და ყაბარდოდან მოსული მზეთუნახავი, ალექსანდრეს „დაწინდული ნინო“ უეცრად გარდაიცვალა.[9] ალექსანდრეს დიდხანს მოუხდა გლოვა, ხოლო ალექსანდრესათვის საგლოვი რუსებს მრავალ წელთა შემდგომაც სამხიარულოდ დაურჩათ.

შემდეგ წლებში მას უკვე სხვაგვარი ფიქრები დაეუფლნენ.

---

[8] იხ. ჩვენი წერილი: „მეფე ერეკლეს ქალები“, სადაც ბატონიშვილის მარიამის ლექსია მოყვანილი, ამ შემთხვევის გამო რომ დაუწერია.

[9] იხ. პროფ. ექვ. თაყაიშვილის „ოპისანიე“, №203, გვ. 80.

ამბები სწრაფად ვითარდებოდა; ღელვა იზრდებოდა, რუსეთი მაგრად იდგამდა ჩვენში საძირკველს და მის მოძულე ალექსანდრეს, საკუთარი ოჯახის შესაქმნელად აღარ ეცალა; მაშინ, როცა „სტუმარი“ უძველესს და უძლიერეს ოჯახს ბაგრატიონებისას, რომელსაც თორმეტი საუკუნე ზურგს უმაგრებდა, ანადგურებდა და საქართველოს ორი ათასი წლის სახელმწიფოს ერთბაშად შლიდა, ბატონიშვილს უფრო დიდი ვალი აწვა... და ალექსანდრე ბრძოლად გაიჭრა და დააგდო ფიქრი საკუთარ ოჯახზე.

როცა საქართველოს სამეფო გვარეულობიდან ალექსანდრეს გარდა ყველა აჰგავეს, რუსებს იმედად ის რჩებოდათ, რომ ალექსანდრეც ერთხელ სპარსეთში ან დაღესტანში დღეს დალევდა და მისი მომდევნო მემკვიდრე კი აღარავინ ჩანდა.

მაგრამ ბაბა-ხანის ღირსეული ვაჟი, აბას-მირზა, სპარსეთის შაჰის მემკვიდრეობა რომ წილად ხვდა და დაქანებული ირანის ჯებირის გასამაგრებლად გურჯისტანის რუსეთის ხელიდან გამოგლეჯისათვის იღვწოდა, ასე არა ფიქრობდა... მას მუდამ აღონებდა ის, რაც ახარებდა რუსეთს, სპარსეთის ახლოს რომ მაგრად მოიდგა ფეხი მოტყუებულ საქართველოს მამულში.

ეს დაუცხრომელი მეომარი, დარბაისელი და ღირსეული მოწინააღმდეგე, მარტო იმის ოცნებაში იყო, რომ საქართველოს მიწა-წყალი „რუსული უწმინდურებისაგან“ გაეთავისუფლებინა და გურჯისტანში ბაგრატიონის ტახტი სპარსეთის მფარველობის ქვეშ კვლავ აღედგინა, მდგომარეობას არ სცვლის ის, რომ ამას თვით სპარსეთის ინტერესები მოითხოვდა.[10]

---

[10] აბას-მირზაც – რა თქმა უნდა – არა საქართველოს, არამედ ძველი ირანის პატრიოტი იყო, მაგრამ როცა გაზვიადებულმა დათვმა ჩრდილოეთიდან ძლიერი თათი გურჯისტანის გულს მძლავრად დააბიჯა, ირანის დაღლილ ლომს სიბერის ძილი დაუფრთხო; და აბასიც თავის მამას – ბაბა ხანს – ალექსანდრე ბატონიშვილთან ახლო კავშირით აიმედებდა.

საქართველოც მას რუსთა საწინააღმდეგო ბაზად მიაჩნდა.

აბასი გვერდით არ იშორებდა მისებრ დაუღალავ და დარბაისელ მებრძოლ ალექსანდრე ბატონიშვილს და საუკეთესო მეგობრადაც სთვლიდა. მართალია, შეხიზნული ბატონიშვილი და მისი მხლებელნი შაჰმა დიდი წყალობითა და საჩუქრებით აავსო: სასახლე, ფული, მამული და პატივი საშვილისშვილოდ დაუმკვიდრა, მაგრამ ფეხტ-ალი შაჰმა და მისმა მემკვიდრემ, აბას-მირზამ ძალიან კარგად იცოდნენ, რომ ღირსეულ ერეკლეს შვილს მუდმივი ემიგრანტობა არ უხდებოდა და ვერც როდისმე მიუდგებოდა. მართალია, ომებში აბას-მირზას და მასთან ალექსანდრეს ბედი არ სწყალობდათ, რუსული ზარბაზნები და ქართველთა „მილიციები“ (რომელთაც რუსეთი ქრისტეს ჯვრით ხელში და რუსულის ჯვრით მკერდზე, ასე გულუბრყვილოდ აქეზებდა), სპარსეთს უწყალოდ ამარცხებდა და საქართველო ისევ რუსეთს რჩებოდა; მაგრამ იმედი მაინც არ ილეოდა და შაჰს ძველებურად სჯეროდა რუსების კავკასიიდან განდევნა. საქართველო უნდა ხელახლა ამდგარიყო და ამაზე ალექსანდრეს ფიქრი და ზრუნვა არ უნდა დაეგდო „ემიგრანტობის“ დროსაც. ამიტომ აბას-მირზა მას დაჟინებით ურჩევდა ცოლის შერთვას და მემკვიდრის გაჩენას, რათა რუსებს მისი უძეობის იმედი მაინც გაქარწყლებოდათ.[11]

ჩვენ გვგონია, რომ შაჰის მემკვიდრეს ადრიდანვე აფიქრებდა ბაგრატიონთა სახელოვანი გვარის რუსთაგან გაწყობა (ამოწყვეტა).

მართალია – ბაგრატიონები მუდამ მოხერხებული დიპლომატები იყვნენ და გრძელ და მძიმე ისტორიულ გზაზე ქართველი ერი დიდის მოქნილობით მოჰყავდათ; ამ მოქნილობის გამო არაერთხელ განდგომიან ეს ვალიები ირანს, შაჰის მტრებსაც კი მიჰკედლებიან და ზურგში მახვილი ჩაუციათ, შემთხვევით წაჩოქებულ სპარსეთისათვის, მაგრამ... ტალღა

[11] იხ. პოტტო, „კავკასიის ომები“, ტ. 4.

გადაივლიდა; ისტორიული სინამდვილე ეხლა სხვაგვარ „მოქნილობას" მოითხოვდა და ბაგრატიონები ისევ სპარსეთის ორიენტაციის ქვეშ დგებოდნენ და ირანის ხმალს დიდებით და მამაცობით აგვირგვინებდნენ. ამ გზით არა ერთხელ გადაურჩენიათ ბაგრატიონებს ქართველი ერი და სპარსეთსაც დიდად დახმარებიან...

ეხლა კი საქართველოში ბაგრატიონები აღარ იყვნენ, თვით საქართველოც უნდა გამქრალიყო, იქ დიდი იმპერია სამუდამო ბინას იდგამდა და სამუდამოდვე უფრთხობდა ძილს მოხუც, უძლურ ირანს...

ეხლა უკვე საჭირო შეიქნა ხელოვნურად გამაგრება ირანისაგან ბევრჯერ ასე უსამართლოდ და უწყალოდ აღგვილის, ასე ხშირად გაუკაცრიელებულის გურჯისტანისა.

ამ დანგრეულ ზღუდის აღდგენა სპარსეთს საზღვრების დაკარგვის შიშს გაუნელებდა, მაგრამ აბა ვის შეეძლო ეხლა ამ დიდი იმპერიის ბრჭყალებიდან პატარა გურჯისტანის გამოგლეჯა?!

საქართველოს სჭიროდა ბელადი; ტრადიციულის სიბრძნე-მოქნილობით შეიარაღებული, მრავალ საუკუნეთა მადლით ნაკურთხი მეთაური. ამას ასე ერთბაშად ვერავინ შექმნიდა, ის უნდა მოცემული ყოფილიყო ძველ ფესვთაგან. ასეთი კი მარტო ბაგრატიონთა დინასტია იყო და რუსეთმა სწორედ ამას მოჰკვეთა თავი: ან გაჟლიტა, ანდა აშკარა გადაგვარების გზაზე შეაყენა...

სპარსეთი ხედავდა, რომ ალექსანდრე ბატონიშვილის გარდასვლასთან, გარდავიდოდა საქართველოს აღდგენის სულიერი მეთაურიც, ჰქრებოდა ბაგრატიონთა გვარის ის ნაწილი მაინც, რომელიც საქართველოს ახლოს იყო და მისი თავისუფლების და გუშინდელ დამოუკიდებლობის ჰავით სუნთქავდა.

ასევე განადგურებული იყვნენ ხომ იმ ხანად ქართლის და იმერეთის ბაგრატიონებიც.

სპარსეთისათვის, მაშასადამე, აუცილებელი უნდა ყოფილიყო ეხლავე თადარიგის მიღება, რათა რუსთა მიერ განადგურებული დინასტია როგორმე გაგრძელებულიყო და ამით კავკასიიდან რუსების განდევნისათვის ბრძოლა მომავალშიაც შეიძლება უკეთეს პირობებში წარმოებულიყო.

ამიტომ ვფიქრობთ, რომ ის დაუღალავი და განუწყვეტელი ზრუნვა, რომელსაც შაჰი და განსაკუთრებით მისი მემკვიდრე ალექსანდრე ბატონიშვილის დაღესტნიდან უვნებლად გამოსაყვანად იჩენდნენ, მარტო ალექსანდრეს პატივისცემა-სიყვარულით კი არ ხდებოდა, არამედ ბაგრატიონთა დინასტიის გაგრძელების მიზნითაც. ამიტომ აბას-მირზა არაფერს მორიდებია და არც რუსეთ-სპარსეთს შორის დიპლომატიურ ურთიერთობის გამწვავებამ ჩააფიქრა ამ დროს სპარსეთი.

აბას-მირზას დავალებით რამდენიმეჯერ წარიგზავნენ დესპანები რტიშჩევთან და შემდეგ ერმოლოვთან ბატონიშვილის სპარსეთში გამოყვანის მიზნით. მრავალჯერ გზავნიდა ერევნის სარდალიც აბას-მირზას ბრძანებით ფულს და საჩუქრებს დაღესტანში, რათა ბატონიშვილი უვნებლად შეენახათ იქ და შემდეგ კი როგორმე გამოეპარებინათ. რუსეთი ამის გამო ნოტას ნოტაზე უგზავნიდა სპარსეთს, მაგრამ ვერ იქნა, ვერავითარმა მუქარამ ვერ ააღებინა შაჰის მემკვიდრეს ხელი ალექსანდრე ბატონიშვილისთვის ზრუნვა-მფარველობაზე.

როგორც ვიცით, ეს ცდა კეთილად დაგვირგვინდა და ბატონიშვილმა ანწუხელთა თანხლებით მამაცურად გადაიარა რუსული ჯარების პოსტები და საოკუპაციო ხაზიდან უვნებლად გავიდა; აბას-მირზა მას მოუთმენლად ელოდა სპარსეთში, მაგრამ ბატონიშვილი არა ჩქარობდა; ამჟამად მან ახალციხის ფაშასთან დაიდო ბინა. თითქოს ბატონიშვილს ახალციხის ფაშა თვითონ არ იშორებდა, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ბატონიშვილის ზრახვაც შეესაბამებოდა ფაშის ასეთ სურვილს.

სპარსეთის კარს, როგორც აღვნიშნეთ, მეტად აფიქრებდა

ალექსანდრეს უშვილობა და ამიტომ ნაირი გეგმები ეწყობოდა თავრიზში და ერევანში ბატონიშვილის დაქორწინებისათვის.

მართალია, ალექსანდრე უკვე მოჭარბებული ხნის და ბევრ ჭირთა მნახველიც იყო, მაგრამ ბაგრატიონთა დინასტიის მაინც უტეხი და ჭარმაგი წარმომადგენელი იმ დინასტიისა, რომელმაც გამრავლების საუკეთესო მაგალითები მეთვრამეტე საუკუნის მიწურულსაც კი აჩვენა.

არა, ეს ოჯახი ჯერ კიდევ ცხოველ-მყოფელი იყო; მის გადაგვარებას ტყვილა დღესასწაულობდა რომანოვების რუსეთი და ალექსანდრემაც მალე დაანახა ქვეყანას, რომ ის ღირსეული მამის ამ ტრადიციასაც არ ღალატობდა.

ალბათ ალექსანდრეს ყურამდეც მოაღწიეს სპარსეთიდან ცნობებმა მისი მემკვიდრის გაჩენისათვის ზრუნვის შესახებ და ბატონიშვილს, უნდა ვიფიქროთ, მაინცა და მაინც სასურველად არ დაურჩებოდა სპარსეთის კარის მიერ ასე სახელდახელოდ გამორჩეული საცოლე...

რაკი საქართველოში ბაგრატიონთა ოჯახი ველარ სწყვეტდა ამ დიდ საკითხს და დესპანები სასძლოს გამოსარჩევად მეფე-ბატონისგან არ იგზავნებოდენ, ბარემ თვით ბატონიშვილს ამოერჩია თვისი საყვარელი მეუღლე და მომავალი დედოფალი...

ალბათ ბატონიშვილს უტყუარი ცნობები დაახვედრეს ახალციხეში გახიზნულმა ქართველმა ემიგრანტებმა, რომელნიც ერევნის სახანოსთან და თვით თავრიზთანაც მუდმივ კავშირში იმყოფებოდნენ, რომ აბას-მირზა ბატონიშვილისათვის საცოლეს დაეძებს და სხვადასხვა კუთხეში ჰყავს შუაკაცები დაგზავნილი (ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, რომ რუსეთის მხედრობასაც მოუვიდა საამისო ცნობები).

ბატონიშვილს, მუდამ გარდახვეწილობაში მყოფს და ბრძოლებში ჩაბმულს წინად ამაზე არ ეფიქრა და არც შეეძლო ფიქრი, მაგრამ აბას-მირზასათვის უარის თქმა ეხლა მას არ არგებდა...

იმ მფარველობა-დახმარებათა შემდეგ, რაც ამ პრინცმა ბატონიშვილს აღმოუჩინა, აბა როგორ იკადრებდა დარბაისელი და გამჭრიახი ბატონიშვილი ამ წინადადებაზე ცივი უარი ეთქვა; მით უმეტეს, რომ ბატონიშვილის მომავალ გეგმათა განსახორციელებლად ერთადერთი რეალური დახმარება მარტო სპარსეთიდან თუ იყო მოსალოდნელი. და თუ ბატონიშვილს მაინც უნდოდა თავაზიანად და მოხერხებით ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევა, მისთვის მარტო ერთი გზა რჩებოდა: გზა ფაქტის შექმნისა: თითქოს ბატონიშვილი ჯვარის წერაზე უარს არ ამბობდა, მაგრამ მას უკვე ჰყავდა დანიშნული საქართველოში; და ეს ქალი თუ ჩამოსული არ იყო, ამ მოკლე ხანში უნდა გამოეყვანათ იქედან ერთგულ თანამებრძოლთ. ამავე დროს ეს ქალი იყო გავლენიანი და ტრადიციული ოჯახის შვილი, რომლის გულისათვის დიდი ნაწილი მის მრავალრიცხოვან მონათესავეთა თავს დასდებდა...

შევჩერდეთ ამაზე უფრო დაწვრილებით: საქართველოს მიწა ჯერ კიდევ არ გაციებულიყო, იქ აჯანყება-აჯანყებას მისდევდა და ამხანადაც დიდი შეთქმულება მზადდებოდა... იმერეთის ხალხი ჩუმად ირაზმებოდა და ფიცს სდებდა, რომ პირველ დაძახებისთანავე რუსთ შეებრძოლებოდა და ან ერთბაშად დაიხოცებოდა, ან მტერს განდევნიდა... იდებოდა შესაფერისი „აქტი შეფიცვისა“, რომელსაც სამღვდელოება და წარჩინებულნი ხელს აწერდნენ; იგზავნებოდნენ საიდუმლო შიკრიკები თვით ალექსანდრე ბატონიშვილთან და სხვა...

ჰაერში კიდევ იმედის ზარი რეკდა და ამ დროს საჭირო იყო ახლოს ყოფნა იმერეთთან და შემდეგ ბრძოლის ცეცხლის აღმოსავლეთ საქართველოში გადატანა, ალექსანდრე ბატონიშვილს კიდევ ეძლეოდა ერთი შემთხვევა, რომ ამჟამად დასავლეთ საქართველოში ეცადა თვისი და ქართლის ბედის აღდგენა...

სწორედ ეხლა იყო საჭირო ძველ ნათესავ-მეგობრების გახ-

სენება, ახალის გაჩენა და ხელის გაწვდენა. გარეშე ძალებით შეჭრამ ქვეყანას აქამდე ვერაფერი უშველა... საჭიროა, საქართველო ჯერ თვითონ დაირაზმოს და ყოველნაირად მოემზადოს მტრის წინააღმდეგ...

აი, ამ მიზნითაც უნდა გამოეყენებინა ალექსანდრე ბატონიშვილს აბაზ-მირზას წინადადება – მისი დაქორწინების შესახებ. მას უნდა საქართველოს წარჩინებულ და ყველაზე გავლენიანი ოჯახის ქალი გამოერჩია და ხელი მისთვის გაეწვდინა... ეს იქნებოდა თითქოს დიპლომატიური დაქორწინებაც და ამავე დროს მის გულთანაც ხომ ქართველი ქალი უფრო ახლოს უნდა ყოფილიყო, ვიდრე თუნდაც ფრიად წარჩინებულ აისორის, ან სომხის ოჯახის შვილი.

ალექსანდრე ბატონიშვილმაც არჩია ამ საკითხის გამორკვევამდე გადაედო თვისი შეხვედრა აბას-მირზასთან და ერევნის სარდალთანაც; ის ჯერ ახალციხეში დარჩა და იქიდან შუაკაცები გაგზავნა საქართველოში.

ამჟამად მისი გული და გონება ერთ შესანიშნავ ქალზე შეჩერდა, რომელიც ღირსეული ოჯახის შვილი იყო; სწორედ ისეთის, რომელსაც ამ კრიტიკულ მომენტში დიდი დახმარების გაწევა შეეძლო ალექსანდრე ბატონიშვილისთვის და რომელსაც ჰქონდა გრძელი ტრადიცია საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლისა. ეს იყო დიმიტრი აბაშიძის ოჯახი...

ბატონიშვილი კარგად იცნობდა სოლომონ II-სთან დაახლოებულ ამ ოჯახს და უნდა ვიფიქროთ, დიმიტრი აბაშიძის ასული მას ძველთაგანვე ჩაუვარდა გულში, მაგრამ ამ მის იდუმალ ზრახვას შესაფერი დრო არ დასდგომოდა: და რაკი ეხლა სპარსეთის კარი მისგან ცოლის შერთვას მოითხოვდა, აბა, ამ ქალზე ძვირფასს ვინ გამოუძებნიდა ალექსანდრეს?

გავიხსენოთ გაკვრით ის ძველი ამბებიც: სახელოვანი გვარი აბაშიძეებისა გვერდში ამოუდგა დიდებულ მეფე სოლომონს და ერთის წუთითაც არ გაუგდია ხელიდან ხმალი იმერეთის

სამეფოს რუსთა კლანჭებიდან სახსნელად. ამ მებრძოლ წრეში ძმები ლევან და დიმიტრი აბაშიძეები მუდამ თვალსაჩინო და მოწინავენი იყვნენ: ისინი არამარტო მკლავით იცავდნენ ტახტს, არამედ დიპლომატიურ მისიასაც იღებდნენ თავის თავზე.

როცა კავკასიის მთავარმართებელმა ტორმასოვმა ქუთაისის (და იმერეთის) მმართველს სიმონოვიჩს 1810 წელს თვისი პროკლამაცია გამოაცხადებინა: იმერეთის სამეფოს გაუქმების და სოლომონ II-ის ტახტიდან გადაყენების შესახებ, ძმები დიმიტრი და ლევანი, მეფის დავალებით პირველნი გაიჭრნენ ახალციხეში შერიფ-ფაშასთან და დაუყოვნებლივი დახმარება ითხოვეს... მალე ამ აბაშიძეთ მოემატათ ბრძენი კანცლერი ლეონიძე და სარდალი მალხაზ ანდრონიკაშვილიც (ხოლო პატრი ნიკოლა ადრევე იყო ამ დავალებით გაგზავნილი).

ჩვენ ვიცით, რომ იმ ხანად ამ შუამავლობამ უნაყოფოდ ჩაიარა, მაგრამ შემდეგში მაინც იყო საგრძნობი დახმარება...

და როცა სოლომონ მეფემ ახალციხიდან ჯარებით ხელახლა შემოჭრა მოახერხა, მას თან ახლდნენ დიმიტრი და ლევან აბაშიძეები, რომლებიც თავდადებით და ღირსებით იბრძოდნენ იმერეთის და ტახტის გადასარჩენად. ლევან და დიმიტრი თვისის რაზმებით ზოგ ადგილას ამარცხებდნენ კიდეც რუსის ჯარებს და სარდალი მალხაზ ანდრონიკაშვილი მათ ამ ბრწყინვალე გამარჯვებას ულოცავდა.[12]

საფიქრებელია, რომ ძმები აბაშიძეები სოლომონ მეფის ტფილისიდან გაპარების შემდეგ (10 მაისი, 1810 წ.), არაერთხელ გადიოდნენ ახალციხის საფაშოში და უკან ბრუნდებოდნენ მეფისა და ალექსანდრე ბატონიშვილის დავალების აღსრულებაში მოსაყვანად. ამ დროს სოლომონ II-ს ახალციხეში თან ახლდა თავისი შტაბი, წარჩინებულთა წარმომადგენელნი და ამათ შეუერთდნენ ალექსანდრე ბატონიშვილი და მისი ახლობლებიც.

---

[12] იხ. „აქტები“, ტ. IV, №395.

მეფის ამ ახლო გარემოცვაში ძმები აბაშიძეები და ალექსანდრე ბატონიშვილი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს და მათ შორის ალბათ ძველი კავშირი განახლდა და განცხოველდა. დიმიტრი და ლევან აბაშიძეები 1810 წ. ივლისს ერთხელ კიდევ ხლებიან მეფეს და ახალციხეში დაბანაკებულ შტაბს, რათა მათთვის შეეტყობინებინათ, რომ იმერეთი შეფიცულია საყვარელ მეფეზე და მის მობრძანებას დარაზმული უცდის.[13]

იმერეთის მმართველს სიმონოვიჩს სამეფო სამუდამოდ გაუქმებულად გამოეცხადებინა და ხალხი რუსეთის მონარქის ერთგულებაზე დაეფიცებინა, ხოლო მთავარმართებელი ტორმასოვი ხელმწიფეს გამარჯვებას ულოცავდა, იმერეთს ფეშქაშად აწვდიდა ხონჩით და სთხოვდა განკარგულებას – თუ როდის გაგზავნა პეტერბურგში ტყვედ-ქმნილი ყოფილი მეფე, ტფილისში რომ ჰყავდა სუმბათის სახლში დამწყვდეული...

მაგრამ უცებ ყოველგვარი ანგარიში თავდაყირა დაუდგა რუსებს; მეფე ტფილისიდან გაექცათ და ახალციხეში შემდგარ რაზმებით იმერეთში კვლავ შემოიჭრა. დაპყრობილ-დაფიცებული იმერეთი, როგორც ერთი კაცი კვლავ ფეხზედ დამდგარი-

---

[13] ჯერ კიდევ 3/VII.1810 წელს ძმები ორჯონიკიძეები სწერდენ რუსების ჯართა უფროსს ქუთაისში: იმერეთი ფეხზე დადგა და მეფის შემოჭრას ელოდება ახალციხიდანაო; ქაიხოსრომ (რომლის გვერდით მრავალი „მოღალატენი" დგანან), უკვე ოდიშ-ლეჩხუმი დააფიცა მეფის ერთგულებაზე, შემდეგ წერეთელმა, სეხნია წულუკიძემ, როსტომ ნიჟარაძემ და სხვ. შეკრიბეს აფხალაურში თავადაზნაურობა, გლეხობა და სამღვდელოება – შეჰფიცეს სოლომონ მეორეს და დაადგინეს – არ მისცენ რუსებს არც პური, არც წყალი, არც მისყიდონ და არც მათგან იყიდონ რამე, არც ახლოს მიუშვან... რომ შიკრიკებს აგზავნიან ახალციხეში მეფესთან, ალექსანდრე ბატონიშვილთან და იწვევენ: „მოდით, ჩვენ მზად ვართო". რომ ლევან და დიმიტრი აბაშიძეებიც გაიქცნენ მეფესთანო და სხვა (იხ. „აქტები", ტ. 4, №283). აღსანიშნავია, რომ იმ ხანებში ეს იყო მართლაც უდიდესი მარცხი, რომელიც რუსებს იმერეთში მოუვიდათ და ამაშიაც ალექსანდრე ბატონიშვილს პატარა წილი არ ედო.

ყო; რუსთა რაზმებს და ციხეებში დაბანაკებულ გარნიზონებს აჯანყებულებმა ალყა შემოარტყეს და მთავარი ნაწილი რუსულ მხედრობისა, სიმონოვიჩის ხელმძღვანელობით, ქუთაისთან მოჭრილი შეიქმნა და საფრთხეში ჩავარდა.

რუსეთის ჯარების პრესტიჟი მთელს კავკასიაში ირყეოდა ამ დივერსიით და ალექსანდრე ბატონიშვილიც, როგორც ვსთქვით, ამ აჯანყების ცეცხლის გადატანაზე ფიქრობდა იმერეთიდან საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში.

მდგომარეობა მართლაც კრიტიკული იყო, ყველაფერი ძაფზე ეკიდა და სიმონოვიჩი ახალი ჯარების და ზარბაზნების გამოგზავნას ევედრებოდა ტორმასოვს.

სასწრაფოდ მოხდა კონცენტრაცია რუსთა მხედრობისა და მთავარი ძალები როზენის წინამძღოლობით დიდძალის ტექნიკურის მასალებით (რაც იმ დროს ასე უწყალოდ ანადგურებდა აჯანყებულ ქართველთა გმირებს) სიმონოვიჩის რაზმის საშველად გაეშურა; და აი, ამ დიდ ჯარს წინ გადაეღობა დიმიტრი აბაშიძის რაზმი, რომელიც 5000 მეომრისგან შესდგებოდა.[14] ბრძოლა ჩხარის ახლოს მოხდა და დიმიტრი აბაშიძის რაზმი იძულებული გახდა, სოფელ გრადოსაკენ უკან დაეხია; აქ ის ხელახლა გამაგრდა და შეუტია როზენის ჯარს, მაგრამ ცხარე ბრძოლის შემდეგ, რომელმაც 3 საათზე მეტი გასტანა, რუსულმა არტილერიამ მაინც სძლია დიმიტრი აბაშიძის მამაცურ რაზმს. ამით როზენმა ქუთაისისაკენ გზა გაიხსნა და სიმონოვიჩს მიაშურა.

---

[14] ამ ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა ქუთაისის და კერძოდ სიმონოვიჩის ჯარების ბედი და საყურადღებოა, რომ ასეთი დიდად საპასუხისმგებლო ამოცანა მეფემ დიმიტრი აბაშიძეს მიანდო; არა ამაზე ნაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანა დაავალა სოლომონმა ადრევე ძმებს დიმიტრი და ლევან აბაშიძეთ: ამათ 2000 კაცით უნდა ბრძოლა მიეცათ ღენ. ორბელიანისათვის, რომელიც რუსთა დიდძალ ჯარებით მიიწევდა საფრთხეში ჩავარდნილ მაიორ ტიხოცკის რაზმის სახსნელად (იხ. ჩუდინოვი, «Имеретинская неурядица в 1809-1810 годах. Кавк. сборн., ტ. 15, 16, 1895 წ.).

ამ ცხარე ბრძოლაში გმირულად დაიღუპა თვითონ რაზმის მეთაური დიმიტრი აბაშიძე, რომლის გვამი მტრებმა ხელში იგდეს... ეს მოხდა 24.07.1810 წ.; რუსებმა დიდად იდღესასწაულეს დიმიტრი აბაშიძის სიკვდილი და ყველაზე უფრო ის ახარებდათ, რომ ამ „ავაზაკს“ ჯიბეში საყურადღებო ინსტრუქციები და წერილები უპოვეს თვით მეფისაგან, დედოფალ მარიამისაგან და სხვა წარჩინებულ პირთაგან.

ასე სახელოვნად შეეწირა ეს კაცი დიდ საქმეს საქართველოს განთავისუფლებისას და, რა თქმა უნდა, მისი ტრადიცია და ოჯახი ასეთივე ძვირფასი უნდა ყოფილიყო ალექსანდრე ბატონიშვილისათვის ამ 9 წლის შემდეგაც.

და რაკი აბას-მირზა ასე მოწადინებული იყო ბატონიშვილის დაქორწინებას, უკეთესს აბა ვის ამოირჩევდა ბატონიშვილი ალექსანდრე, თუ არა ამ დიმიტრი აბაშიძის ასულს...

და მან ეს გულის ზრახვა გაუზიარა ქალის საყვარელ ბიძას – ლევანს, რომელიც მას ზრდიდა და პატრონობდა დიმიტრის დაღუპვის დღიდან.

ლევანი ამ ხანად, მართალია, აქტიურად შეთქმულებაში აღარ ერია და მას შემდეგ, რაც ბრძოლათა და აჯანყებათა პირველი პერიოდი (1812 წლამდე) ასე უშედეგოდ დამთავრდა, მან ლოიალობა აირჩია, მაგრამ ეს „ლოიალობა“ დროის მოგება უფრო უნდა ყოფილიყო, ვიდრე შერიგება; სოლომონის და იმერეთის დაღუპვას ეს ძველი მებრძოლი ხომ ასე ადვილად არ აპატიებდა რუსთ. მან იცოდა შურისძიება და დამარცხებასაც მუდამ ძვირად დაუჯენდა ბაგრატიონთა მტერს.[15]

---

[15] სოლომონ მეფის ხელმეორედ დამარცხების შემდეგაც გაჰყვა მას ლევანი ახალციხეში და ერთის წლის შემდეგ (10.VI.1811 წ.) ის თურქულ-ლეკურ მხლებლებით ისევ შემოიჭრა ქართლში (აწყურიდან – ზედუბანში), დაეცა ყაზახთა რაზმს, ბევრი დასჭრა და გაფანტა, რენეგატ ყიფიანს 14 მცველი წაართვა, გადასწვა მისი სახლ-კარი და სხვებისაც, საცა რუსის ჯარები იდგნენ და დახმარებას ჰპოულობდნენ; და დიდის ნადავლით გადვიდა ვახანში (იხ. „აქტები“, ტ. IV, №497).

იმერეთი რუსეთმა ხომ ვაჟკაცობით ვერ დაამარცხა, ვიდრე ლევანი და მსგავსნი თავდადებული მებრძოლნი მეფეს გვერდით უდგნენ; მაგრამ აბა, რა ექნათ ამ რაინდებს, როცა შავი ჭირი და საშინელი სიმშილი მძვინვარებდა მთელს იმერეთში, რამაც ერთიანად გააუკაცრიელა ეს მხარე და რუსების საწინააღმდეგო უნარი დიდის ხნით მოშალა ხალხში.

ტყვილა უცდიდა ლ. აბაშიძე საქმის გამობრუნებას, გული უსივდებოდა, და როცა ალექსანდრე ბატონიშვილის ახალი ცდა კახეთში ასეთივე მარცხით გათავდა (1812 წელს), ლევანი თავის საყვარელ იმერეთს დაუბრუნდა და გარეგნულად მაინც ლოიალობის გამოჩენა არჩია; მაგრამ ერმოლოვის აგენტები ლევანის ყოველ ნაბიჯს ფხიზლად ადევნებდნენ თვალ-ყურს და ეხლა რომ იმერეთში ახალი შეთქმულება მზადდებოდა, ლევანის გავლენის და მისი ნაცად სარდლობის შიში რუსებს დიდად ჰქონდათ.

ეს ამბავი ალბათ ლევანმაც კარგად იცოდა და მას უთუოდ არ გამოპარვია, რომ ერმოლოვის ყურამდე უნდა მისულიყო იმ წერილის ამბავიც, რომელიც მას ალექსანდრე ბატონიშვილმა ხერთვისიდან მოსწერა. „ლოიალობას“ სწორედ ამ სახიფათო დროში სჭიროდა დამტკიცება, თორემ ნიღაბი აშკარად გამოჩნდებოდა... ერმოლოვის მოადგილეს ღენ. ველიამინოვს საიდუმლო აგენტების საშუალებით, ალბათ უკვე გაგებული ჰქონდა, რომ დაღესტნიდან გამოსული ბატონიშვილი – ჯერ კიდევ რომ ახალციხეში იჯდა და იმერეთის ამბების განვითარებას უცდიდა – ლევან აბაშიძესთანაც კავშირში იყო. დანარჩენი აბაშიძეების ახლო ურთიერთობა ახალციხის ფაშასთან და ალექსანდრე ბატონიშვილთან ხომ კარგა ხანია რუსთათვისაც ცნობილი იყო; ქაიხოსრო აბაშიძეს, დარეჯან ბატონიშვილის (სოლომონ I-ის ასული) მეუღლეს, ხომ ძველთაგან ჰქონდა იქ მჭიდრო კავშირი და მისი მოკეთენი და დამხმარენი აქამდე ოსმალეთის კარზედ თვალსაჩინო როლს თამაშობდნენ; ხოლო ამისი ვაჟი ივანე ხომ აჯანყებულთა მეთაური იყო და მეამბოხენი მას მეფედაც კი უპირებდნენ გამოცხადებას...

აბა, რა გასაკვირველი უნდა ყოფილიყო, რომ ამ გვარში ქაიხოსროსთან და ივანე აბაშიძესთან ერთად ლევანიც დიდის იჭვის ქვეშ აეყვანა ერმოლოვს. ამ მოსაზრებებმა თუ უკარნახეს ფრთხილსა და დარბაისელ ლევანს ალექსანდრე ბატონიშვილის წინადადება, დიმიტრი აბაშიძის ასულის შერთვის შესახებ, რუსთა მხედრობის უფროსისათვის – სტალისთვის გაემჟღავნებინა.

ამ ბარათში ალექსანდრე ბატონიშვილი 26 ოქტომბრის 1818 წლის თარიღით ლევანს შემდეგს სწერდა: „საქართველოს ბატონიშვილი ალექსანდრე გაახლებთ მრავალს მოკითხვასა, აღსავსე ძმურის სიყვარულითა. ამასთან ჩვენთვის ფრიად სასიხარულო იყო შეტყობა, რომ შენ კეთილად იმყოფები მანდ, შენს მამულში, მაგრამ მრთელის გულით მაგათ მაინც ნუ მიენდობით... ახლა ჩვენს ამბებს თუ ისურვებთ, გაუწყებთ, რომ ღვთის წყალობით მოვახერხეთ მშვიდობიანად გამოსვლა დაღესტნიდან და აქ მამედ-აღასთან სტუმრად გახლავარ, თანახმად ჩემის სურვილისა. ეხლა ახალი ფაშა რომ მობრძანდა, აქედან აღარ გამიშვა და სულთანს თხოვნა მიართვა, რომ ესა და ეს წარჩინებული პირი ჩამობრძანდა და სპარსეთს მიდიოდა და ჩვენ ვერ გავუშვით, რის ნებასაც ვითხოვთო. ამავე დროს ირანის ხელმწიფე და შახ-ზადე ჯავრობენ რომ ამდენი წელიწადია, რაც ისინი მე მფარველობენ, რომ ჩვენ მუდამ მათ მხარეს ვყოფილვართ და ვიყავით დიდი და წარჩინებული ვალიები. ეს საქმე ამნაირად არის ეხლა და ღვთის წყალობით როგორს მსვლელობას მიიღებს ის, ამისი არა ვიცი. თუ ეს მართალია, არა მგონია, რომ აქედან გამიშვან, რაიც ჩემთვის სასურველი იქნება.[16]

---

[16] აქედანაც აშკარად ჩანს, რომ ბატონიშვილი გარკვევით სპარსულ ორიენტაციის (როგორც ბევრსა ჰგონია) არ ყოფილა. მისთვის სულ ერთი იყო, რომელ მოკავშირესაც გაიჩენდა იგი რუსთა წინააღმდეგ: იქნებოდა ის ოსმალეთი, სპარსეთი, ეგვიპტის საფაშო თუ დაღესტანი. ის იმისკენ იყო, ვინც საქართველოში, ან კავკასიაში რუსთა ბატონობას ებრძოდა, ამიტომ ის, ჩვენის აზრით, მარტო ქართულ ორიენტაციას ადგა...

„ამასთან, – დასძენს ბოლოს ბატონიშვილი, – მოგეხსენებათ, რომ ჩვენი სახლი თავიდანვე ყოფილა თქვენთან ნათესაურს და ახლობელს დამოკიდებულებაში და რაკი ნათესაობა ჩვენი ბოლოს მობერდა, მე მოწადინე ვარ, კვალად განვაახლო იგი და განვამტკიცო ახლად კურთხევითა ღვთისათა და თავდადებობითა მოციქულთა; თუ ეს თქვენი ნებაც იქნება, მოგვათხოვეთ ცოლად ასული ძმისა თქვენისა დიმიტრისა და თუ ამას მოისურვებთ, მისი აქეთკენ გამომგზავრებასაც მოგიხერხებთ. მგონია, არ უნდა ვიყო დასაწუნარი სასიძე.

ამის პასუხს გთხოვთ ნუ დამიყოვნებთ, რათა სარწმუნოდ ვიუწყო და შევუდგე ჩემს შემზადებასა. ამასთან გთხოვთ, მაუწყო მშვიდობა შენი, რითაც ფრიად გვაამებთ ჩვენ“ (აზის ბეჭედი ალექსანდრესი – იხ. „აქტები“, ტ. VI, ნაწ. I, გვ. 310).

აი, ამ წერილის არსებობა რუსთა მმართველობისთვის საიდუმლო არ უნდა ყოფილიყო და რაკი ლევან აბაშიძე მუდამ აგენტების სასტიკ თვალ-ყურის რკალში მოემწყვდა, მან, როგორც აღვნიშნეთ, ლოიალობა ამჯობინა და ეს წერილი ორიგინალში ღენ. სტალს მიართვა მთავარმართებელ ერმოლოვისთვის მოსახსენებლად, თითქოს მისგან შესაფერ „რჩევა-დარიგებათა“ მისაღებად. ერმოლოვმა ეს „თავაზიანი შემოვლა“ სწორედ ახსნა და მართლაც ტლანქად ისარგებლა ამ კეთილშობილი ჟესტით და „ან“-ის მთქმელს ძალად „ბან“-იც ათქმევინა.

მისი პასუხი თ. ლევანისადმი არ სტოვებს არავითარ ადგილს რჩევა-დარიგებისათვის; ის სრულიად უკრძალავს ლევანს ლმობიერებას და წინასწარ უკარნახებს, თუ რა ხასიათის წერილი უნდა მისწეროს მან ბატონიშვილს. ამიტომ ერმოლოვის ამ წერილში „რჩევა“ ძალიან უხეშად და ყოველგვარ დიპლომატიურ მოქნილების გარეშე უცებ გადადის „მოთხოვნაში“, რომლის უკან ასევე უხეშად იმალება რუსული ხიშტი. ერმოლოვი 1819 წლის 15 იანვრის პასუხში უცხადებს რა მადლობას თავ. ლევანს, ბატონიშვილის წერილის გენ. სტალზე გადაცემისათ-

ვის, განუმარტავს, რომ ამით მან შეასრულა მოვალეობა რუსეთის იმპერიის პატიოსან ქვეშევრდომისა. „ხოლო, რაიცა შეეხება ბატონიშვილ ალექსანდრეს წინადადებას", – განაგრძობს ერმოლოვი, – „თქვენი" ძმის, დიმიტრი აბაშიძის ასულის ცოლად შერთვის შესახებ, გატყობინებთ ჩემი მხრივ, რომ მისი ასეთი სურვილი არასოდეს არ შესრულდება და არც შეიძლება შესრულდეს თქვენგან, ვინაიდგან ამგვარი დანათესავება იმ ადამიანთან, რომელიც მთელ თავის ძალ-ღონეს რუსეთის მავნებლობისაკენ მართავს" და სხვა... „ასეთ ადამიანთან დანათესავება არა თუ მოუმატებს რაიმე ღირსებას თქვენს ოჯახს, არამედ შემდეგში შეუძლიან ბევრი უსიამოვნება და სამართლიანი იჭვები მთავრობისა თავს დაატეხოს. ამის გამო, გულწრფელად გირჩევთ და მოვითხოვ თქვენის ბრწყინვალებისაგან, რომ თქვენ ასეთი წინადადება ბატონიშვილ ალექსანდრესი თქვენის პირადი მშვიდობიანობისათვის, გადაწყვეტილად და ზიზღით უკუ-აგდოთ".[17]

როგორც აღვნიშნეთ, ორი გარემოება უკარნახებდა ამ ნაბიჯის გადადგმას ალექსანდრე ბატონიშვილს: პირველი ის, რომ აბას-მირზას გადაწყვეტილი ჰქონდა ბატონიშვილს სასწრაფოდ ჯვარი დაეწერა და მოციქულები ჰყავდა დაგზავნილი სარძლოს გამოსარჩევად; მეორე კიდევ ის, რომ მარტოდ სპარსეთზედ მინდობა, რომელმაც ამდენი მარცხი განიცადა რუსებთან ბრძოლებში და ახლო პერიოდი ამ ბრძოლათა გიულისტანის სამარცხვინო ზავით დასრულდა. ასეთ სახელმწიფოზე მინდობა, თუ კი მეორე შესაძლებლობა წარმოდგებოდა, საჭირო აღარ იყო. ეხლა კი მოსალოდნელი იყო, სპარსეთ-ოსმალეთის ურთიერთობის გამწვავება აშკარა ომით დამთავრებულიყო და ამ ჭიდილში ბატონიშვილს უკეთესი მოკავშირის შოვნაც შეეძლო. ოსმალეთი ბევრად უფრო ძლიერი მოწინააღ-

[17] იხ. წერილი, ერმოლოვისა ლევან აბაშიძისადმი, 15.I.1819 წ. („აქტები", ტ. VI, ნაწ. I).

მდეგე უნდა ყოფილიყო რუსეთისა და იმერეთიც ფეხზედ იდგა ტრაღიკულად დაღუპულ მეფის სოლომონ მეორის ანდერძის დასაცავად.

ალექსანდრე ბატონიშვილი ცდილობდა, თუ საჭირო იქნებოდა, ნიადაგი შეემზადებინა ოსმალეთის მხარეზე გადასასვლელად და ახალციხის ფაშის გულის მოსაგებად. ამ პოლიტიკური კომბინაციისათვის, როგორც დავინახეთ, მას აბაშიძეების გვარი და ოჯახები ყველაზე უფრო გამოადგებოდენ და მათი დანათესავებაც დააშურა, ვიდრე აბას-მირზა თავისას გაიტანდა და სულთანს ბრძანებას მიაწერინებდა ახალციხის ფაშისადმი, რომ ბატონიშვილი დაუყოვნებლივ გაეშვათ მასთან თავრიზში.[18]

მართლაც, ისედაც დამძიმებული ურთიერთობა სპარსეთ-ოსმალეთს შორის უფრო მწვავდებოდა ბატონიშვილის ახალციხეში გაჩერებით.

აბას-მირზასათვის აუცილებელი იყო ბატონიშვილის გვერდით ყოლა, რადგან შირვანის სახანო ამდგარიყო რუსთა წინააღმდეგ და დაღესტანიც. ბატონიშვილის მიერ მრავალ წელთა განმავლობაში განმტკიცებული და შემზადებული, ბობოქრობდა დიდი იმპერიისაგან თავის სახსნელად.

ერევნის სარდალს ნაბრძანები ჰქონდა, მოლაპარაკება გაემართა ახალციხესთან ბატონიშვილის სპარსეთში გასამგზავრებლად, მაგრამ ამ ცდამ უშედეგოდ ჩაიარა. სარდალი იმდენად გააბრაზა ფაშის უარმა, რომ მუქარას-მუქარაზე უთვლიდა და ბოლოს ახალციხის საფაშოს საზღვრებთან ჯარებიც კი მიიყვანა; მაგრამ ახალციხის საფაშომ ბატონიშვილი მაინც არ გაუშვა (იხ. მოხსენება ერმოლოვისა მინისტრ ნესსელროდესადმი, 15 დეკემბრიდან 1818 წ. „აქტები“, №6, ნაწ. I, გვ. 310).

[18] იხ. მოხსენება ველიამინოვისა ერმოლოვისადმი (7/XII.1818 წ.), საცა ის სწერს ალ. ბატონიშვილის წადილზე – შესცვალოს სპარსეთის მფარველობა ოსმალეთისაზე, რათა ამით უფრო დაეხმაროს საქართველოს. ბატონიშვილს სწორედ ამისათვის ეჭირვება აბაშიძეების დანათესავებაო, ამბობს ველიამინოვი. (იხ. „აქტები“, ტ. VI, ნაწ. I, გვ. 309).

ჩვენ ზევით ვნახეთ, რომ ბატონიშვილი თვითონაც არ უჩქარიდა სპარსეთისაკენ გამგზავრებას და არაფრად აგდებდა იმ გარემოებას, რომ ორ სახელმწიფოთა გამწვავებულ ურთიერთობას უფრო ართულებდა.

ჩვენ ვიცით, რომ ოსმალეთ-სპარსეთის ურთიერთობის გამწვავების გამო, ბატონიშვილს სხვა ანგარიშები ჰქონდა. იქნებ ეს პოლიტიკური ანგარიშები მართლაც ხვდებოდა იმ ინტიმურ გრძნობებს, რომელიც მას დიდი ხნით დამარხული ჰქონდა მშვენიერ ასულის მნახველს დიმიტრი აბაშიძის ოჯახში; ეს იყო იმ ბრძოლით და იმედებით სავსე წლებში, როცა ბატონიშვილი აჯანყების დროშით ხელში დააქროლებდა თავის ბედაურს ქართლში და კახეთში და დრო გამოშვებით იმერეთშიაც...

ტყვილა იცდიდა ბატონიშვილი ხერთვისში; მისი გული აჩქარებით სცემდა, თვალები ლოდინმა დაღალა, მაგრამ ტანწერწეტა, მშვენიერი ასული აბაშიძისა, არ იქნა, არ მოჰგვარეს მას ლევანის კაცებმა. მეტი დაყოვნება კი საქმეს გააფუჭებდა სპარსეთის კარზე, როდესაც ოსმალეთთან ჯერ კიდევ არაფერი იყო გამორკვეული და არც ომი სჩანდა ასე ახლოს. და როდესაც სპარსეთმა დიპლომატიურის საშუალებით ყოველი ღონე იხმარა, სულთანს საქმის გაჭიანურება უკვე უხერხულად მიაჩნდა და მან ახალციხის ფაშას უბრძანა: ბატონიშვილი სპარსეთს გაემგზავრებინა...

ალექსანდრეს მეტი არა დარჩენოდა რა; მან აბაშიძის ქალთან შეუღლების წადილი გულში დაიმარხა და ახალციხის საფაშო დასტოვა. ის მიენდო ბედს, ხოლო თვითონ კი საკუთარ ბედნიერებაზე ხელი აიღო. ეხლა მას ის უნდა შეერთო, ვისაც აბას-მირზა ურჩევდა; რადგან სხვა მოკავშირე საქართველოს ამ ჟამად აღარ გააჩნდა... და ლევან აბაშიძისაგან გაწბილებულმა ბატონიშვილმა 7 იანვარს 1819 წელს ახალციხიდან 3 ბეგის და 140 მხედრის თანხლებით ყარსზე გადაიარა; 10-ს იანვარს მას ეჩმიაძინის მონასტერში ღამე გაუთენებია, საცა ერევნის სარდლის მიერ წარმოგზავნილი წარჩინებულნი შეგებებიან და ბატონიშვილი დიდის დიდებით მეორე დღესვე ერევანში წაუ-

ბრძანებიათ. სარდალი მას ციხის გალავნის გარეთ შეგებებია დიდის ამალით, ცხენოსანის ჯარებით და ზარბაზნებით...

ამ ცნობებს ერმოლოვი მინისტრ ნესელროდეს აწვდის და შემდეგ გულის ტკივილით დასძენს: „როგორც მატყობინებენ, აბას-მირზა ბატონიშვილს აძლევს არაქსთან ახლო მდებარე ქალაქს რამოდენიმე სოფლებით, რომლებიც რუსეთის საწინააღმდეგო ბაზად უნდა იქმნეს გამოყენებული მათ მიერ"-ო,[19] ხოლო ორიოდე კვირის შემდეგ, ამ გულსაკლავ ხმებს უფრო გარკვეულის სახით მიუღწევია მთავარმართებლამდე და ისიც, შიშით მოცული, სწერს თავად ვოლკონსკის პეტერბურგში: „აბას-მირზას დაჟინებით ბატონიშვილ ალექსანდრეს მიეცა სამფლობელო ყარაბახის და ჩვენი თათრული პროვინციების საზღვრებზე, საცა მას კავშირი და ურთიერთობა აქვს. მას მისცეს თანხები ციხის ასაღებად და გარდასახლებულთა დასაბინავებლად, რომელთა გადაბირებას უნდა შეეცადოს ჩვენის სოფლებიდანო,[20] ალექსანდრე ბატონიშვილს ებოძა დარალაგიოზის ოლქი, საცა უმთავრესად ყარაბახიდან გასული თათრობა ცხოვრობსო" და ამავე დროს გულის ტკივილით ატყობინებდა მთავარმართებელი მინისტრს: „აბას-მირზა ცდილობს, ბატონიშვილს ჯვარი დასწეროს, რათა მას გაუჩნდეს მემკვიდრე მამრობითის სქესისა და ამ მიზნით სპარსეთის მიერ გაგზავნილია შუაკაცები თურქეთში მცხოვრებ აისორთა მღვდელ-მთავართან, რათა მან ბატონიშვილს თვისი ძმის წული მიათხოვოსო".[21]

როგორც ეტყობა, აბასის ამ ცდამ ნაყოფი ვერ მოიტანა და ბატონიშვილმა აისორის მღვდელ-მთავრის ასული ვერ შეირთო. საქმის დაყოვნება კი აბას-მირზას არას გზით არ უნდოდა და ამ ხანად მან უფრო ახლოს დაუწყო საპატარძლოს გამოძებნა. შესაძლებელია, ეს შუამავლობა ეხლა ეჩმიაძინის მონასტრის ხელმძღვანელთ ხვდათ წილად.

---

[19] იხ. „აქტები", ტ. VI, ნაწ. I, გვ. 311.

[20] იხ. „აქტები", ტ. VI, ნაწ. II, გვ. 9.

[21] ibid, გვ. 214.

სომხეთის ერთი ნაწილი უკვე აშკარად ხედავდა, რომ არარატსკის და არღუთაშვილ-ბებუთაშვილთა პოლიტიკა ვერ გამოდგა სომხეთისათვის მაინც და მაინც საბედნიეროო; არც ის კმაროდა, რომ ღენერალი მადათოვი წარჩინებას წარჩინებაზე იღებდა. ეხლა სომხის ვაჭრებს ახალი მეტოქე უჩნდებოდათ კავკასიაში; ძველი ტრადიციული მონოპოლია სომეხთა ვაჭრობისა, ქართველმა მეფეებმა რომ შეუქმნეს, ირყეოდა და რუსეთიდან მოდიოდა ახალი სავაჭრო კაპიტალი, რომელსაც მთავრობა ათას წარჩინებას აძლევდა. არც სომხების სამღვდელოების და ეკლესიის მდგომარეობა შეიქნა სახარბიელო რუსთა ხელ-ქვეით... მათი მამულებიც ქართველ თავად-აზნაურების და ეკლესიების მამულებთან ერთად მუდამ ხიფათში იყო და პატარა წინააღმდეგობის გაწევისათვის რუსეთის ხაზინის საკუთრებად ხდებოდა.

ველარ სჭრიდა ბაგრატიონთა მიერ ბოძებული, ტრადიციით ნაკურთხი სიგელი ამ ახლად მოსულ ძალის წინაშე.

ყველა ამას ემატებოდა დიდი გადასახადები და დაუსრულებელი აჯანყება-ეგზეკუციები სომხებით დასახლებულ ადგილებში, რაც სომხების სარჩო-საბადებელს ანიავებდა. არსად ჩანდა სანატრელი „სიწყნარე“, რომელსაც სომხის სავაჭრო წრეებისათვის აღებ-მიცემაში ხელი უნდა გაემართა და სხვა. შორს წაგვიყვანდა ყველა ამ მიზეზთა ჩამოთვლა, მაგრამ ერთი კი მაინც აშკარა იყო: სპარსეთის საზღვარზე, ან თვით ერევნის სახანოში დასახლებული სომხობის ნაწილი ეხლა უფრო გაბედვით აძაგებდა რუსთა პოლიტიკას და ბევრნაირად სანატრელად მიაჩნდა ის ხანა, როცა ამიერ-კავკასია ქართველ მეფეთა ჰეგემონიის ქვეშ იმყოფებოდა.

ალბათ, ამ სულიერ განწყობილებას აბას-მირზაც და ერევნის სარდალიც კარგად იცნობდნენ და ცდილობდნენ მის შესაფერად გამოყენებას. საჭირო იყო ქართველთა და სომეხთა ხელ-ახლა დამეგობრება, ერთის იდეით გატაცება და ბაგრატიონთა ხანის ხელახალი იდეალიზაცია; რა თქმა უნდა, სპარსეთის პროტექტორატის ქვეშ. აი, ამ მოსაზრებით თუ ხელმძ-

ღვანელობდნენ ეჩმიაძინის მონასტრის წინამძღოლნი, როცა ისინი ასეთ რჩევას აძლევდნენ აბას-მირზას...

ალექსანდრე ბატონიშვილს ებოძა სამფლობელოდ სპარსეთისაგან პროვინცია დარალაგიოზი, ნახიჩევან-ერევნის შუა, საცა მრავლად იყვნენ სომხები დასახლებული, ალბათ ამ დარალაგიოზის სომხობამაც სასურველად დაინახა საქართველოს ტახტის მემკვიდრის დანათესავება; იმ მემკვიდრისა, რომელიც ასეთი მიღებული იყო შაჰის კარზე და ეხლა ამ ოლქის ბატონ-პატრონიც გამხდარიყო. ბატონიშვილის დარალაგიოზში დაბინავების მიზანს სწორად ხსნიდა მთავარმართებელიც: „ის დააბინავეს ჩვენს საზღვრებთან ახლოს იმ იმედით და ანგარიშით, რომ მეზობელი თათრობა აგვიჯანყოს, ან აჰყაროს და თვისთან გადაიყვანოს და ყარაბახზედაც იქონიოს უშუალო გავლენა ბატონიშვილმაო“.[22]

საქმის დიდიხნით გაჭიანურება არც ბატონიშვილს მიაჩნდა შესაძლოდ და გადასწყვიტა, აბას-მირზას სურვილი სისრულეში მოეყვანა. მან ინახულა მელიქ სააქის ქალი მარიამი და მაშინვე მისი მშვენიერებით მოხიბლული იქმნა. ამის შემდეგ ბატონიშვილმა მოუხშირა ერევანში და ეჩმიაძინში დარბაზობას...

...და მაისის მშვენიერ დღეს უძველეს მონასტრის წიაღში საქორწინო გვირგვინი დაიდგა უკვე გაჭაღარავებულ თავზე.

ამის შესახებ ღენ. სავარსამიძე მთავარმართებლის თანაშემწეს ველიამინოვს წინასწარ აწვდიდა შესაფერ ცნობებს.

20 მაისს, 1820 წ. ის იწერებოდა: „ბატონიშვილი ალექსანდრე დარალაგიოზშია და ამ დღეებში მოელოდებიან ეჩმიაძინში, საცა ის ჯვარს დაიწერს მელიქ სააქის ასულზე. აბას-მირზამ თვითონ აიღო თავზე ყოველი ხარჯები ქორწინებისათვისო.“[23] ამავე წერილში სავარსამიძე რუსთ ატყობინებდა, რომ არზრუმის სერასქირისაგან ხშირად მოდიოდნენ მოციქულები აბას-მირზასთან და სთხოვდნენ მას – „გაუშვას ბატონიშვილი იმერეთში უკვე დაწყებულ აჯანყების სახელმძღვანელოდო.“

---

[22] ibid, იხ. ერმოლოვის წერილი მადათოვს, 4/V.1819 წ.

[23] იხ. „აქტები“, ტ. VI, ნაწ. I, გვ. 312.

ერმოლოვის წინანდელი მოხსენებიდან სჩანს, რომ ბატონიშვილს აჯანყებული იმერეთი მეფედ აცხადებს და სპარსეთს დახმარებას სთხოვს.[24] თუ ბატონიშვილი მართლაც დიდ მნიშვნელობას აძლევდა იმერეთში დაწყებულ ამბებს, აშკარაა, რომ მას სწორედ ამ დროს სჭიროდა სპარსეთის დახმარება... ოსმალეთი მაშინ ფორმალურად მაინც რუსეთთან მშვიდობიან განწყობილებაში იმყოფებოდა და იმერეთს აქტიურად ვერას დაეხმარებოდა. ახალციხის საფაშოც კი, რომელიც პორტასთან ვასალურ დამოკიდებულებაში იყო, აჯანყებულებს ხელს აშკარად ვერ გაუწვდიდა. ისე კი ლეკთა, აჭარელთა და ქობულეთელთა რაზმებით მაინც ეხმარებოდა იმერეთს ახალციხის ფაშა და ტყვია-წამალს საპალნებით უგზავნიდა.[25]

ქაიხოსრო აბაშიძეს და მის შვილს ივანეს არ მოჰკლებიათ დახმარება ამ ფაშისა, რომელიც გურიასაც აგულიანებდა რუსთა წინააღმდეგ და ქაიხოსრო გურიელთანაც მჭიდრო კავშირში იყო.

მაგრამ ეს დახმარება საკმარისი არ იყო აჯანყებული იმერეთისათვის, რომელსაც ერმოლოვმა ჩრდილო კავკასიიდან და ქართლიდან ყველა ჯარები შეასია და ამას ძალათ გამო-

---

[24] იხ. პოტტო, ტ. III; აგრეთვე „აქტები", ტ. VI, ნაწ. შ, გვ. 563.

[25] ეს გარემოება იმდენად აბრაზებდა მთავარმართებელ ერმოლოვს, რომ ის ყოველგვარ წონასწორობას ჰკარგავდა, დიპლომატიურ ეთიკას და ფორმალურ მხარეებს ერთბაშად ივიწყებდა და უშვერის ქუჩური სიტყვებით აგინებდა ფაშას: „ცრუს, მდაბალს და სალახანას" უწოდებდა მას იმერეთის დახმარებისათვის და თან ამ „ავაზაკს" სულთანთან ასმენდა რუსეთ-ოსმალეთის მეგობრული ხელშეკრულების დარღვევისათვის.

სულთანიც და საგარეო მინისტრიც აშოშმინებდენ ერმოლოვს, რომ „შესაფერი ბრძანება" უკვე გაეგზავნა ფაშასო; მაგრამ ერმოლოვმა მწარე გამოცდილებით ისწავლა, რომ ეს იყო უბრალო დაყვავება, ხოლო ნამდვილად კი სულ სხვა სახის ინსტრუქცია მიდიოდა ფაშას; უკანასკნელი ერმოლოვის გინებას დარბაისლურად, დინჯად ხვდებოდა და მუდამ ზვიადად მოუგებდა, ხოლო აბაშიძეების შიკრიკებს ძველებურად იღებდა და აჯანყებულთ დახმარებას არ აკლებდა („აქტი", VI).

ყვანილი გურულ-მეგრული მილიციებიც თან მიუმატა იმერეთის საბოლოოდ დასათრგუნავად.

საჭირო იყო სპარსეთის აქტიური დახმარება და იმერეთიდან და ახალციხიდანაც მოციქულები ზედი-ზედ მოდიოდა ბატონიშვილს. ივ. აბაშიძის დესპანები მას აბას-მირზას წინაშე შუამდგომლობას სთხოვდნენ დახმარებისათვის. ალექსანდრე ბატონიშვილმაც აღუთქვა ასეთი შუამდგომლობა.[26] ამ დროს უკვე გადაწყვეტილი დაქორწინების და ამ გზით აბასის და აგრეთვე სომხეთის გავლენიან და ფულიან წრეების მომხრობის გადადება აღარ გამოდგებოდა.

მაინც არ ვიცით, ბოლოს უფრო აბას-მირზას რჩევამ გასჭრა, თუ ერევნელი მელიქის სააკ აღამალის ქალის, მართლაც ზღაპრულმა სილამაზემ, რომ უკვე ხანში შესულმა ბატონიშვილმა სასწრაფოდ დაქორწინება გადასწყვიტა. კიდევ მეტიც: მან აბას-მირზას ანგარიში არ წაუხდინა და მით რუსებს დავთრები უფრო აურია. მალე მზეთუნახავისაგან ბატონიშვილ ალექსანდრეს ვაჟი შეეძინა და რომ უფრო ადვილი ამოსახსნელი გამხდარიყო რუსთათვის ეს სიმბოლო, მემკვიდრეს უკვდავი პაპის სახელი დაარქვეს; პატარა ერეკლე სპარსეთის კარზე ლაღობდა და „გურჯისტანის ვალიად" ემზადებოდა. რუსეთის ელჩმა სპარსეთის კარზე იცოდა, რომ კარგ სამახარობლოს ვერ მიიღებდა პეტერბურგში ამ ამბის მიწოდებისათვის, მაგრამ აბა რა ექნა: სანამ უნდა ემალა „ჭირი", რომელიც თავის თავს აღარ მალავდა.

ალექსანდრემ სხვაფრივაც გაუმართლა იმედი აბას-მირზას, ეხლა რუსეთს თავსატეხად ის გარემოება უხდებოდა, რომ ბატონიშვილმა ამ დაქორწინებით დიპლომატიურ-პოლიტიკური დივერსიაც მოახდინა და მამისა და ძმის ტახტზე მიკედლებული, საქართველოს ძველი მოხარკე ერევნის სახანო თუ

[26] იხ. წერილი ერმოლოვისა გალიცინისადმი, „აქტები", ტ. V, ნაწ. I, გვ. 563.

ვერ შემოიმტკიცა, დაიახლოვა მაინც. ეს ის სახანო იყო, რომელსაც ასეთის დაჟინებით ეძგერა უძლეველი ციციანოვი და რომელმაც ასე მოულოდნელად აჭამა სირცხვილი მასაც და რუსის ჯარსაც და 1804 წ. ხანგრძლივი ალყა უშედეგოდ მოახსნევინა, მაგრამ არც რუსეთი გამოდგა გულუბრყვილო და მალე დაინახა, რომ ისეთივე საფრთხე, რომელსაც იმერეთის შემომტკიცებისათვის ახალციხის საფაშო წარმოადგენდა, ქართლ-კახეთისათვის ერევნის სახანო გამხდარიყო. ალექსანდრე ბატონიშვილს და მის ოჯახს სწორედ აქ გაეჩინათ ბაზა ქართლ-კახეთში ანტი-რუსულ მუშაობის საწარმოებლად. ერევნის სარდალიც ბოლომდე საუკეთესო განწყობილებაში დარჩა ბატონიშვილთან და ძველებურად უწყობდა ხელს მის საქართველოში იარაღით შეჭრას.

რუსეთის ერთადერთი დასაყრდენი, სომხობა, როგორც დავინახეთ, უკვე დიდ ეჭვებს შეეპყრო და ეხლა შეიძლება მათი სიძისაგან – დიდებულ ერეკლეს მემკვიდრისაგან – უფრო მეტს გამოელოდნენ, ვიდრე მრისხანე ერმოლოვის ცარიელ დაპირებისაგან.

ამიტომ რუსეთს მეტი დაყოვნება აღარ შეეძლო და უნდა ისევ ციციანოვის გეგმას დაბრუნებოდა: საჭირო იყო ამ ბაზის მოშლა და რადაც არ უნდა დამჯდარიყო, ერევნის აღება... ჯერ კიდევ ერმოლოვი ელოლიავებოდა ამ აზრს და ციციანოვის გამარჯვებათა გვირგვინები მას მოსვენებას არ აძლევდნენ; მაგრამ იცოდა, რომ ამ უძლეველმა მხედარმა სწორედ ერევანთან წაიტეხა ფეხი და – მეტ სიფრთხილეს იჩენდა... დაიწყო რუსეთ-სპარსეთის ახალი ომი და თითქოს აქ ეძლეოდა ერმოლოვს შემთხვევა ერევნის ხელთ საგდებად, მაგრამ...

ინტრიგების ქსელში ბოლოს თვით მთავარმართებელიც გაება და გახდა ხელმწიფის ახალ ფოვორიტის – პასკევიჩის მსხვერპლი; ბედმაც „ერევნის გრაფობა“ ამ ახლად მოვლინებულ მთავარმართებელს არგუნა; ერმოლოვი კი ცივად

გაისტუმრეს რუსეთისაკენ...

ამ შემთხვევაში რუსეთის ცდა უფრო ნაყოფიერი გამოდგა და მისი სამხედრო მომზადება ბევრად უსწრებდა წინ სპარსეთისას. ომი 1828 წლამდე გაგრძელდა, მაგრამ სპარსეთს აქ დამარცხება დამარცხებაზე არ ასცდენია და ფეხტ-ალიშაჰი თვისი მემკვიდრის აბასის წინდაუხედავ ნაბიჯების გამო თმა-წვერს იგლეჯდა და ზავის შეკვრას აჩქარებდა; დეზორგანიზაცია იწყებოდა, წინააღმდეგობის გაწევის ძალა აღარ იყო და 10 თებერვალს, 1828 წ. თურქმენჩაის ზავი შეიკრა; ამის ძალით სპარსეთს ერისთავის მიერ დაპყრობილი თავრიზი დაუბრუნეს, მაგრამ ერევან-ნახჩევანი მას სამუდამოდ ჩამოაცილეს. თუ ვინმემ ეს ზავი დააჩქარა, ეს იყო ისევ ის ერისთავი, რომლის თამამმა შეჭრამ თავრიზში მთელ სპარსეთს თავზარი დასცა, მაგრამ მას ამ სახელოვან დივერსიის გამო რუსეთმა სამსახურიდან დათხოვნით უპასუხა, ხოლო თავრიზი კი ისევ სპარსეთს დარჩა. მაგრამ რაც რუსთ თავრიზში იპოვეს ის კი იქ აღარ დასტოვეს... ეს იყო ალექსანდრე ბატონიშვილის ოჯახი, რომელიც პოლიტიკურ კლუბად გადაექცია ბატონიშვილის მეუღლეს... ამ ომის მსვლელობაზე ამყარებდა ალექსანდრე ბატონიშვილი თავის სანატრელ იმედებს და ომის პირველ წელში მან მართლაც მოახერხა საქართველოში შეჭრა და მალე რუსთა ჯარების პირისპირ დადგა...

ეს გარემოება არც ისე აშინებდა ბატონიშვილს, მაგრამ მალე აქ ძლიერი ქართული მილიციები გამოჩნდნენ და ამ მრავალ რიცხოვან მოწინააღმდეგეთ ბატონიშვილი დიდის ხნით ვეღარ გაუმაგრდა, „არ ისროლოთ, ქართველებო, გონს მოდით!.. ჩვენთან არის დიდი ერეკლეს მემკვიდრე ალექსანდრე ბატონიშვილიო...“ – მოუწოდებდნენ მაღლობიდან ბატონიშვილის მხლებლები – მეომრები ქართველ მილიციებს, მაგრამ უკან დახევა აღარ შეიძლებოდა (მრავალი მწარე გაკვეთილები მიეღოთ მათ ამ წლებში ერმოლოვის საშინელ ეგზეკუციების

სახით... ამათ უკან ეხლაც რუსული ზარბაზანი იდგა).

„ხედავთ, – ეუბნებოდნენ ქართველები რუსის ღენერალს, – ისინი რას გვეუბნებიან და საით გვიწვევენ? ის არის ჩვენი ერეკლეს მემკვიდრე, მაგრამ... ჩვენ ფიცი მივეცით რუსთ, და აბა, ნახეთ – რას ნიშნავს ქართველთა ფიციო...“ (იხ. პოტტო, ტ. III); და მათ მართლაც დაამტკიცეს ლოიალობა, თავი არ დაზოგეს, და ბატონიშვილიც საშინლად დაამარცხეს.

ასე უშედეგოდ გაიარა შემდეგმა ცდებმაც, რადგან სპარსეთისაგან აღთქმული დახმარებანი ბატონიშვილის რაზმამდის დროზედ ვეღარ აღწევდნენ.

ამ ხანებში მაინც საჭირო იყო სპარსულ მთავარ შტაბთან ერთობა და მჭიდრო კავშირი და რადგან მთელი ომების ბაზა – თავრიზი და აბას-მირზას იქაური სასახლე იყო, ალექსანდრემაც აქ დაიდო ბინა... ქართველ ემიგრანტების და შიკრიკების წრე ბატონიშვილის ოჯახთან ტრიალებდა და მარიამს ისე უცქეროდა, როგორც მომავალ დედოფალს საქართველოისას.

მარიამი ენერგიულად ჩაება საქმეში და სპარსეთის წარჩინებულ წრეებში საქართველოს განთავისუფლების იდეის სამსახურს შეუდგა. ამ ხანად მარიამს დიდი გავლენა ჰქონდა მოპოვებული სპარსულ მაღალ წრეებში. ამ გავლენით ფრიად სარგებლობდნენ ქართველი ლტოლვილები, ალექსანდრესთან რომ მოეყარათ თავი. ამავე დროს ეს ქალი სომხურ კათალიკოსთა მიერ სომეხ-ქართველთა ერთობის ჩატეხილ ხიდს ამრთელებდა სპარსელი სომხების მოწინავე წრის ალექსანდრე ბატონიშვილთან შემომტკიცებით...

თუ სომხეთს კავკასიაში კიდევ ეწერა ეროვნული სახის შერჩენა, ეს მარტო საქართველოს ხელახლა ფეხზე დადგომით შეიძლებოდა. ასე იღვწოდა ეს ქალი, რომელიც მართლაც სცდილობდა, ბატონიშვილის უღლის გამწევი ყოფილიყო...

მაგრამ უწყალო ბედი სხვაგვარად სჯიდა და სომეხ-ქართ-

ველთა ერთობის ხიდის „აფეთქება“ მაინც მოხდა.

ამას ეხლა ხელი შეუწყო სხვა ქართველმა – ღენერალმა ერისთავმა, რომელმაც ქართველური თავგამოდებით სტრატეგიაც დაივიწყა და რუკაც, – ისე მამაცად და მოულოდნელად შეიჭრა სპარსეთის სიღრმეში, რომ თვით თავრიზის აღებაც კი შესძლო. და იმის შემდეგ, რაც მას პასკევიჩისაგან ერევნის აღების ამბავი მოუვიდა, მამაცმა ერისთავმა მას თავრიზის აღება მიულოცა. ეს იყო ძველებური: „იახშიოლ“! [27]

მეტად ორიგინალური მხედარი უნდა ყოფილიყო ეს რუსეთის ძლევამოსილებისათვის თავდადებული ერისთავი. ესეც იმ ერისთავთა ჯგუფს ჰგავდა, რომელთაც ერეკლეს ჟინით საქართველო და მისი თავისუფლება დაივიწყეს და უმაგალითო ერთგულებით შეეწირნენ რუსის ხელმწიფეთ...

სჩანს, ამ ერისთავს, რომელსაც რუსის ჯარისკაცნი მეტის სინაზით „ბატუშკას“ ეძახდნენ, მამაცობასთან ერთად მოხერხება და დიპლომატია არა ჰკლებია და როცა უკვე მის მიერ დაპყრობილ თავრიზში სარდალი პასკევიჩი შემოვიდა და ერისთავს მადლობის მაგიერ ყვირილი და ლანძღვა დაუწყო (რომ ამ ქალაქის აღება მას ერისთავმა დაასწრო), ერისთავმა მშვენივრად შეიკავა თავი; და როცა პასკევიჩმა გინებით გული მოიჯერა, ერისთავმა მორიდებით მოახსენა, რომ თავრიზის აღებაც ისე, როგორც ერევნისა, მარტო პასკევიჩის საქმეაო და ის ულოცავს მას ამ გამარჯვებას. ამ მოხერხებულმა პასუხმა, მოგვითხრობს ისტორიკოსი პოტტო, პასკევიჩი სულ დააბნია და ეხლა ის ყელზე მოეხვია ერისთავს და ჯვარზეც წარადგინა იმ „დახმარებისათვის“, რაც მამაცმა ქართველმა რუს სარდალს თავრიზის აღების დროს გაუწიაო.

გაზვიადებულმა პასკევიჩმა ამ მხნე სტრატეგ ერისთავში

---

[27] მამაცი ერისთავი მუსიკით, რუსულის „ურა!“-თი და დაფნაღარის ცემით 13 ოქტომბერს, 1826 წელს შევიდა თავრიზში; (პოტტო, ტ. IV).

ალბათ დიდი მეტოქე დაინახა, რომელიც მომავალში მას შეიძლება ასე ადვილად აღარ გადაულოცავდა დაპყრობილ ციხეებს. ამიტომ პასკევიჩმა ერისთავის „განთავისუფლება“ არჩია სამხედრო სამსახურისაგან (ასევე გაიძვერულად მოექცა ის დიდ მხედარს და მგოსანს ალ. ჭავჭავაძეს, ცოტა უფრო გვიან) და მამაც ერისთავს „მშვიდობიანი მოღვაწეობისათვის“ სენატორობა მიანიჭა...

რუსთა ზეიმს თავრიზის აღების გამო ცხარე ცრემლებით შეხვდა ბატონიშვილის ოჯახობა, რომელსაც აქ დიდის ხნით გადამალვა აღარ შეეძლო. უნდა ვიფიქროთ, ბატონიშვილი ამ დროს თავრიზის გარეთ იმყოფებოდა, ხოლო მისმა მეგობარმა – აბასმა თვითონაც ძლივს მოახერხა გაესწრო უცნაურ ერისთავის შურდულივით შემოჭრამდე... და დარჩნენ მშვენიერი მარიამი და პატარა ერეკლე რუსთა რკალში მომწყვდეულნი.

ისტორიკოსი პოტტო მაინც არ გვეუბნება, თუ ვინ აღმოაჩინა ამ დროს თავრიზში ალექსანდრე ბატონიშვილის მეუღლე მარიამი და მისი ყრმა ერეკლე... ვინ შეუკრა მოულოდნელად გზა ამ ოჯახს, გასაქანი არ მისცა და ამნაირად, გარედ დარჩენილ ალექსანდრეს მოსწყვიტა?

მაგრამ ჩვენ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ აქაც ერისთავებმა თავის „ღალატის ტრადიციას“ ერეკლეს ოჯახისადმი არ უღალატეს და ალექსანდრეს ოჯახზეც ამ დროს ისევ ერისთავმა „იფიქრა“...

ღენერალ ერისთავს არც ამ 25 წლის შემდეგ დაეგდო ის უცნაური ერთგულება ერისთავთა (უფრო ქსნისა და შემდეგ არაგვისაც), რომლითაც ღენ. ციციანოვსაც კი მოჰქონდა თავი. აი, რას სწერდა ის იმ ხანში მინისტრ კოჩუბეის:

„ერისთავნი იმდენად ერთგულნი არიან რუსეთისა, რამდენათაც მე შემიძლია თავი მოვიწონო, ჩემი ერთგულებით... ერისთავნი ერთად-ერთი გვარია, რომელსაც ისე ვენდობი, როგორც რუსებსო...“ („აქტები“, ტ. II).

„ბატუშკამ“ არ იკმარა სარდლისათვის აბას-მირზას რეზიდენციის გასაღების ჩაბარება, მას მეტი ერთგულების გამოჩენა მოსწყურდა და ალექსანდრე ბატონიშვილის ოჯახის ფეშქაშად მიძღვნით ხომ საუკეთესოდ დამტკიცდებოდა ეს ერთგულება.

ამ დროს ალექსანდრე ბატონიშვილის მეუღლე 23 წლისა ყოფილა და როგორც ისტორიკოსი პოტტო მოგვითხრობს – „ეს მარიამი იყო იშვიათი სილამაზის“; კიდევ მეტიც, ის „ზღაპრული სიტურფით“ ყოფილა შემოსილი.

ამ ქალის გავლენა მაღალ წრეებში, როგორც აღვნიშნეთ, ცნობილი ყოფილა: „ამაზე მთელი თავრიზი ლაპარაკობდაო,“ – განაგრძობს პოტტო. უნდა ვიფიქროთ: ამ ქალს იქ ნამდვილი პოლიტიკური სალონი ჰქონოდა გამართული და არა მარტო ალექსანდრე ბატონიშვილთან გახიზნული ქართველები იყრიდნენ აქ თავს, არამედ ერევნის სახანოდან და დაღესტნიდან გადმოსულნიც და ალბათ თვით თავრიზის ანტირუსული ნაკადიც ამ ოჯახში ჰპოებდა სათავეს.

პასკევიჩმა არ დააყოვნა მარიამის და მცირეწლოვანი ერეკლეს თავრიზიდან გამგზავრება, და რომ ამას უცხო ხალხის თვალში ცუდი შთაბეჭდილება არ მოეხდინა, დედა და შვილი მარიამის მამასთან – მელიქ სააკთან ერევანში გაისტუმრა.

ემცნო თუ არა რუსეთის ხელმწიფეს ეს ამბავი, მაშინვე სიხარულმა მოიცვა იგი და დაჩქარებით დაიწყო პატარა ერეკლესადმიც იმ „მზრუნველობის“ გამოჩენა, რომელიც არ დაუკლია ყველა დანარჩენ ბატონიშვილთათვის, ულმობლად რომ გადალალა საქართველოდან, მამული და სახლ-კარი ხაზინის სასარგებლოდ ჩამოართვა, ძალად რუსის ქალები შერთო – რათა მათი მოდგმა გაერუსებინა – და რუსული ჩინები დააკერა.

ამ ცდის მიუხედავად, საქმე თავიდანვე ნელის ტემპით წავიდა. აშკარა იყო, სიხარულის გრძნობას გონებამ სძლია და მარიამს და პაწია ერეკლეს საშუალება მიეცათ, რამოდენიმე წელი მაინც გაეტარებინათ მელიქ აღამალის ოჯახში.

სასტიკი ზვერვის მიუხედავად, ალექსანდრე ბატონიშვილი მაინც ახერხებდა ცოლ-შვილთან კავშირის დაჭერას წერილებით და შიკრიკების საშუალებითაც. თუმცა მათგან მოშორებული იყო, მაგრამ შიში არაფრისა ჰქონდა, რაკი ცოლ-შვილი სიმამრის ოჯახში ეგულებოდა დაბინავებული.

თურქმენჩაის ზავის შემდეგ ბატონიშვილის ცდები, საქართველოს საკითხის საგარეო ძალთა განვითარებასთან დასაკავშირებლად, დიდის ხნით იხსნებოდა; მაგრამ თითქოს განგებაც ხელს უწყობდა, რომ ამ კაცის მღელვარე ცხოვრება არ დამცხრალიყო და ახალი ნაკადი იმედისა მას აროდეს მოკლებოდა. ეხლაც ასე მოხდა: როგორც კი სპარსეთთან ზავი შეიკრა, ოსმალეთ-რუსეთის ახალი ომი ატყდა; ეხლა აქ გადიტანა ბატონიშვილმა მოქმედების ასპარეზი და მალე მას ქობულეთში ვხედავთ, იმერეთის ბატონიშვილ ვახტანგთან ერთად. ესენი ქაიხოსრო გურიელის დახმარებით ხელს უწყობენ გურიის მხნე და თავდადებულ დედოფალ სოფიოს... მაგრამ ოსმალეთმა შორეულ ფრონტზე დამარცხება განიცადა და გურიის საკითხიც ავტომატურად მოიხსნა...

ადრიანოპოლის ზავმა (2 ენკენისთვე, 1829 წ.). ალექსანდრე ბატონიშვილს ერთხელ კიდევ გადაუწყვიტა იმედები და საქართველო დაატოვებინა; ყველაზე უმძიმესი ბატონიშვილისთვის ის გამოდგა, რომ ადრიანოპოლის ზევით ახალციხეც რუსეთის ხელში გადავიდა და სამუდამოდ მოიჭრა ის ბაზა, საიდანაც იმერეთის აღდგენისათვის მუშაობა მრავალ წელთა მანძილზე სწარმოებდა. ბატონიშვილს ეხლა თითქოს ორივე ხელები მოსჭრეს: აღარც ახალციხე იყო, აღარც ერევანი და ქართული ემიგრაცია ბატონიშვილთან ერთად შიდა სპარსეთში გადავიდა...

თითქოს ყველაფერი გაქრა, მაგრამ ეხლა, რიგში ახალი იმედი დგებოდა: მთა და მისი არწივი ქაზი-მულა, საშინლად ურთულებდნენ რუსთ საქმეს და მათ წინააღმდეგ გაგზავნილი ვოლჟინსკის რაზმი ერთთავად იქნა განადგურებული. ეგვიპ-

ტის ფაშაც რუსეთ-ოსმალების კავშირის ჩასაშლელად კავკასიით ინტერესდებოდა და ალექსანდრე ბატონიშვილი ეხლა ამ ფაშის და მთის თემების დაკავშირებას შეეცადა... მისი შიკრიკები ხან დაღესტანში გადიოდენ ქაზი-მულასთან, ხან კიდევ ეგვიპტისაკენ.

ამავე დროს საქართველოს მოწინავე წრე დიდ შეთქმულებისათვის ემზადებოდა და შიკრიკთა მეორე წყება ბატონიშვილ თამარისა და ალექსანდრეს შორის მიდი-მოდიოდა...

ქაზი-მულას გმირულმა იერიშებმა ალექსანდრე ბატონიშვილს კვლავაც აღუძრეს საქართველოში შეჭრის იმედი და ისიც დაეთანხმა 1832 წ. შეთქმულთ, რომ თუ აჯანყება დაიწყებოდა, ქართლ-კახეთს მოევლინებოდა და მეფედ ეკურთხებოდა; მაგრამ როზენის ახალმა ტაქტიკამ (ფრთხილ და თანდათან შეტევისა) გიმბრი აიღო და მალე ქაზი-მულა ალყაშემორტყმული შეიქნა. რუსულმა არტილერიამ ქაზი-მულა დაცხრილა, მთის არწივთა ბუდე გაანიავა და ბატონიშვილის იმედებიც თან გაატანა... დაიღუპა საქართველოს შეთქმულებაც და ბაგრატიონთა მზე ეხლა უკვე სამუდამოდ ჩაესვენა...

ბატონიშვილმა იგრძნო, რომ თურქმენჩაის და ადრიანოპოლის ზავით, საგარეო გართულება რუსთ ახლო მომავალში აღარ მოელოდათ; ქაზი-მულას დაღუპვით, მთაც კარგა ხნით ცხრებოდა და პაუზა ხანგრძლივი უნდა ყოფილიყო.

დაიწყო გრძელი და მწარე ლოდინი და ამ დროში მეტად გაუძნელდა მარტოობა ბატონიშვილ ალექსანდრეს და სცადა, ლეგალური გზით უკან გამოეთხოვა თვისი ცოლ-შვილი. რუსეთის ელჩი შეშფოთდა, კავკასიის მთავარმართებელი შეშინდა და ეს ამბავი პეტერბურგს აცნობეს.

ეხლა კი მეტი დაგვიანება აღარ შეიძლებოდა და ხელმწიფემ პატარა ერეკლეს პირადად ხილვის და „გაბედნიერების" სურვილი გამოსთქვა. საგარეო საქმეთა მინისტრი ნესსელროდე 1832 წ. ნოემბრის 4-ს, საგანგებო დავალებით მიმართავდა

ერევანში სომხეთის ოლქის მმართველს ღენ. ბებუთოვს, რათა მას ეს საქმე მშვიდობიანად მოეგვარებია. ამის შემდეგ გაიმართა განუწყვეტელი მიწერ-მოწერა პეტერბურღ-ტფილისსა და ტფილის-ერევანს შორის, მაგრამ შედეგი კი არა სჩანდა.

ალექსანდრე ბატონიშვილის მეუღლე უფრო სხვა წარმოდგენის იყო შვილის გაბედნიერებაზე და ცივი უარით ისტუმრებდა ღენ. ბებუთოვს და მის მიერ შეძლებულ დიდ „პენსიონებს“ და რუსთ ხელმწიფის წყალობებს გულს ოდნავადაც არ უხსნიდა. საქმეს ვერც იმან უშველა, რომ იმპერატორმა შვილთან ერთად დედაც რუსეთში მიიპატიჟა და აღუთქვა, რომ მას პეტერბურგში, სადაც მისი ერეკლე საუკეთესო სასწავლებელში მოთავსდებოდა, ფუფუნება და ბრწყინვალება არ მოაკლდებოდა.

ბარონ როზენი[28] ბებუთოვს სწერს, რომ მას პირდაპირ აოცებს მარიამის ასეთი უარი... ჯერ ერთი, რომ უარი საერთოდ აღარ შეიძლება, რადგან უმაღლესი ნება უკვე წარმოითქვა და მეორეც – ყველაფერი ეს ხომ მხოლოდ პატარა ერეკლეს გაბედნიერების წადილით ხდებოდა: „მე მგონია, რომ, – ამბობს როზენი, – ყოველი დედა არა თუ რაიმე წინააღმდეგობას გაუწევდა ამგვარ წინადადებას, არამედ პირიქით, სიხარულით აღივსებოდა მთავრობის ასეთ წყალობათა გამო, თუ კი ამ დედას თავისი შვილი უყვარსო.“[29]

მაგრამ მარიამს მართლაც უფრო ძალიან უყვარდა თავისი შვილი, ვიდრე ამის წარმოდგენა ბარონ როზენს შეეძლო... და ამიტომაც უცნაურის სიმტკიცით იღებდა ხელს ყველა დაპირებულ „ბედნიერებაზე“ ბატონიშვილის მეუღლე.

გასაოცარია ის ღირსება, ამ ქალმა თავიდანვე რომ გამოიჩინა და რომლითაც იდუმალ მოკრძალებასაც კი იწვევდა იგი

---

[28] კავკასიის ახალი მთავარმართებელი პასკევიჩის შემდეგ.

[29] იხ. წერილი ბარ. როზენისა ბებუთოვისადმი, 12 აპრილი, 1833 წ. („აქტები“, ტ. VIII).

თვით რუსთა ბანაკში. მარიამმა ღენ. ბებუთოვის დაჟინებით მოთხოვნაზე წერილობითი პასუხის გაცემა აღუთქვა მთავარმართებლისათვის გადასაგზავნად და ტფილისი და პეტერბურგიც გულის ძგერით ელოდნენ ამ უგვირგვინო დედოფლის „ნოტას“.

აქტების მერვე ტომში, სადაც ამ ამბის შესახებ დოკუმენტებია გამოქვეყნებული, არა სჩანს მარიამის წერილობითი პასუხი; ალბად ის ან მეტად სასტიკი და დასასტამბავად უხერხული აღმოჩნდა, ან პეტერბურგში გაიგზავნა დანარჩენ მასალებთან და იქ დარჩა, როგორც ამას ზოგი საბუთის შესახებ ბ. ბერჟე აქტების წინასიტყვაობაში აღნიშნავს. მაგრამ საბუთი გვაქვს, ვიფიქროთ, რომ ასეთი დაჟინებითი „მიპატიჟებისათვის“, რომელიც უფრო ტყვედ წაყვანას ჰგავდა და რომლის ნამდვილი აზრი დანარჩენ ბატონიშვილთა ბედმა მას უხვად დაანახა, მარიამი რუსებს ვალში არ დარჩებოდა.

ბარონ როზენი ამ წერილის გამო მარიამის მამას – აღამალს უსაფუძვლო ეჭვის ქვეშ აყენებს; მისი შეხედულებებით, მამის კარნახის გარეშე ქალი ვერ გაბედავდა თავის წერილში გამოეთქვა ასე სასტიკად და მჭრელად დებულება მთავრობის „რაღაც უდიერობის“ შესახებ.[30] ამავე დროს როზენი აფრთხილებს სომხეთის მმართველს – კარგად ეჭიროს თვალი მარიამზე, რომ ჩუმად არ გაიქცეს, ან შვილი არ გააპაროს სადმეო. ღენ. ბებუთოვი არავითარ ცდას არ აკლებს, რომ საქმე მშვიდობიანად მოაგვაროს, მაგრამ ამ ღენერალის გარჯა ძველებურად უშედეგო დარჩა...

„გააფთრებულმა მარიამმა უეჭვოდ განმიცხადაო, – ატყობინებს ის როზენს ტფილისში, – რომ თავისი ხელით განგმირავს ხანჯლით საკუთარ შვილს, თუ მართლაც მის წაყვანას დააპირებენო“. არ შეიძლებოდა რუსებზე ამას შთაბეჭდილება არ მოეხდინა და ახლო წარსულის ამბავი არ მოეგონებინა,

[30] ibid, გვ. 217.

როცა დიდი ერეკლეს მეორე რძალმა მშვენივრად დაამტკიცა, რომ შეეძლო ხანჯლის ხმარება ასეთ დროს.

იქნებ ღენერალ ბებუთოვს მეორე ღენერალის – ლაზარევის განგმირული მკერდი თვალ-წინ დაუდგა; და წადილი მარიამისა ნახევრად განაღდებულად ჩასთვალა ერევნის ღენერალმა.

ამიტომ გასაგებია, რომ ბებუთოვმა ხიფათის თავიდან ასაცილებლად, არჩია, მარიამი როგორმე ტფილისამდე გაემგზავრებინა, ვითომდა მთავარმართებელთან პირადი მოლაპარაკებისათვის და თხოვნის გასაგზავნად ხელმწიფისათვის. ის ამით ცდილობდა თავდაცვას ქალის პირაქეთ შემოტევათაგან...

მეორე წერილში, რომელიც ალბათ შეცდომით იმავე რიცხვითაა დათარიღებული, ბებუთოვი როზენს ატყობინებს უცნაური და გაუგონარი სიჯიუტე-სიმტკიცის ამბებს, რომელსაც ეს ქალი იჩენდა დაუღალავ თხოვნა-რჩევა-მოლაპარაკებათა დროს.

ეს სიჯიუტე ხშირად ისტერიული ხდებაო, – ამბობს მმართველი. ამ გააფთრებულ ქალთან არავითარი საბუთი არა სჭრის და მე ყოველი იმედი დავკარგე, რომ ის ნებით ან შვილს მარტოკა გამოუშვებს, ან მასთან ერთად წამოვაო. ამიტომ ერთადერთი გამოსავალია, რომ როგორმე ტფილისამდე მაინც ჩაიტყუონ ეს ქალიო. აშკარაა, მარტო ამ გზით თუ შეეძლო ბებუთოვს ამ სახიფათო მონდობილობისაგან თავის დახსნა.

ალბათ ამ რჩევის თანახმად მიმართა მთავარმართებელმა როზენმა თავაზიანის და რიტორიულის წერილით მარიამს და ურჩია, ტფილისში „ჩაბრძანებულიყო“ პატარა ერეკლეთურთ. თუმცა უმაღლესი ნების შეცვლა არ შეიძლებოდა და ერეკლე უნდა საკუთარ „ბედნიერებისათვის“ პეტერბურგს გაგზავნილიყო, მაგრამ როზენი მარიამს ჰპირდებოდა შვილთან ერთად ტფილისში იმდენ ხანს დარჩენის ნებას, რამდენსაც კი თვითონ ბატონიშვილის მეუღლე მოისურვებდა; და შემდგომ, თუ თანახმა გახდებოდა, თვითვე შეეძლო, გაჰყოლოდა შვილს

რუსეთში; და თუ არა, შეეძლო ისევ ერევანში მამასთან დაბრუნებულიყო. როზენი ეხლა იმის ცდაში იყო, რომ ეს დედა-შვილი როგორმე ტფილისში ჩამოეყვანა და ამით ალექსანდრე ბატონიშვილთან ყოველი კავშირის საშუალება მოესპო.

ამ ხანებში მთავარმართებელი უკვე აშკარად უხვევს ხელმწიფის პირველ ინსტრუქციას „შთაგონების" შესახებ და ღენ. ბებუთოვს უბრძანებს: – თუ სხვა არა გაუვა რა, ძალა იხმაროს და ისე ჩამოიყვანოს მარტო ერეკლე მაინც ტფილისში.

ამგვარ ძალადობაზე გადასვლას თავისი მიზეზები ჰქონდა.

საქმე ის იყო, რომ ალექსანდრე ბატონიშვილმა გაიგო თუ არა, რა ვერაგულის საშუალებით ფიქრობს რუსეთი მის ხელში ჩაგდებას და როგორ უწყალოდ უპირებენ საყვარელი ცოლშვილის წართმევას, მაშინვე სპარსეთის მაღალი წრეები შესძრა, რაიც როზენთან ერთად პეტერბურგმაც შეიტყო.

რუსეთის ამ გვარ განზრახვით აღშფოთებული სპარსეთის მთავრობა ენერგიულად ერევა საქმეში და დიპლომატიურ ნაბიჯებს სდგამს. რუსეთის ელჩი სიმონიჩი თავრიზიდან სასწრაფო ინსტრუქციებს ითხოვს, რათა შეეძლოს რაიმე დამაჯერებელი საბუთი დაუსახელოს სპარსეთის მთავრობას: თუ რად არ უშვებენ მარიამს და პატარა ერეკლეს სპარსეთში – საკუთარ ოჯახში, ბატონიშვილ ალექსანდრესთან. სიმონიჩი (ელჩი) სწერს როზენს, რომ დასახელებული მიზეზი, თითქოს თვითონ მარიამს არა სურდეს ქმართან წასვლა, ან და – თითქოს საგზაო ფული არა ჰქონდეს, „საბუთად" ვერ გამოდგება; სპარსეთის მთავრობას და თვით ალექსანდრეს ადვილად შეუძლიათ წარმოადგინონ საჭირო თანხაო.

ამაზე მთავარმართებელი როზენი მეტად გრძელი წერილებით მიუგებს რუსეთის ელჩს და საჭირო „დარიგებას" აწვდის, რომელშიაც ბრაზი და ნერვიულობა უფრო გამოსჭვივის, ვიდრე დიპლომატიური ელეგანსი. როზენი ურჩევს ელჩს: შეატყობინოს სპარსეთის მთავრობას, რომ დაბრკოლებას მარტო გზის

ფული არ იწვევს, არამედ, ვალები, რაიც მარიამს ამ წლებში დაედო და რის დაფარვასაც თითქოს დიდი თანხა სჭირდება; და თუ ალექსანდრე ბატონიშვილმა ამ დიდი თანხის შოვნაც მოახერხა, ან სპარსეთის მთავრობამ თვით წარმოადგინა ეს ფული, ამ შემთხვევაში რუსეთის ელჩს ევალება განაცხადოს, რომ მას არ შეუძლია ამ თანხის მიღება, ვიდრე პეტერბურგის მთავრობისაგან შესაფერ ნებართვას არ მიიღებს!

მაგრამ როზენს თვითონაც ეეჭვება ამ მოჭორილი „დიდი ვალებით“ ფონს გასვლა და ისიც უფრო მოკლე და მოჭრილ გზას ირჩევს, რომელშიაც ყველაფერია, გარდა დიპლომატიური ეთიკისა, რაც განსაკუთრებით სპარსეთის კარზე უნდა ყოფილიყო უცილო. მთავარმართებელი უჯავრდებოდა კიდეც რუსის ელჩს – რად იძიებთ საერთოდ ამას? ან სპარსეთს რად არ მოუჭრით, რომ ეს რუსეთის შინაური, „საოჯახო“ საქმეა და რა უფლებით ერევა ჩვენს საქმეში შაჰის მთავრობაო? რომ ალექსანდრე ბატონიშვილი დღესაც, როგორც 30 წლის წინ, გამდგარია და მტერი იმპერიისა, გამოცხადებულია კანონის გარეშე, ხოლო მისი ვაჟი ერეკლე, რუსეთის ქვეშევრდომია და არა სპარსეთის, და ჩვენი საქმეა, რაც გვინდა იმას ვუზამთ მასო.

ეს ტლანქი, უხეში და თან უჭკუო „პასუხი“ ვერც ერთის მხრივ ვერ დააკმაყოფილებდა ელჩ სიმონიჩს და ამ წერილს მოჰყვა სხვა კიდევ მრავალი იმავ ხასიათისა.

როზენის მკვახე და მჭრელ ტონს, როგორც ირკვევა, სხვა საბუთიც ჰქონია; მთავარმართებელს დიპლომატიის ამგვარი დელიკატობა და ბატონიშვილ ალექსანდრეს ოჯახის ბედის გამო, ნოტების ჭექა-ქუხილი ორ სახელმწიფოს შორის სრულიად გაუგებრად მიაჩნდა. მისთვის საკმაო იყო, რომ ალექსანდრემ რუსეთს აჯანყებები მოუწყო და საქართველოს იმპერიის პროვინციად გადაქცევას არ შეურიგდა ამ 30 წლის მანძილზედაც კი. ასეთი „ბუნტარი“ მარტო უმაღლესი სასჯელის ღირსი

თუ იყო და აბა რა საჭირო იყო ამის გამო დიპლომატიური გართულებანი? როზენი სხვანაირად ხსნიდა ამ ამბებს: მას ეგონა, რომ რუსის ელჩი განსაკუთრებული ხათრითა და მორიდებით ეპყრობოდა ალექსანდრე ბატონიშვილს, როგორც ნათესავს.

სიმონიჩს ცოლად ჰყავდა ამილახვრის ქალი, რომელიც იყო დაი ალექსანდრეს ძმისშვილის, თეიმურაზ გიორგის ძის ცოლისა. მაგრამ ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა არა ჰქონია საქმის მსვლელობაზე. სიმონიჩი შეძლებისდაგვარად ასრულებდა პეტერბურგის ნებას. მაგრამ, ვით დიპლომატს და მით უმეტეს ირანის კარზე მყოფს, სულ სხვა ეტიკეტი სჭიროდა, რაც როზენს არ ესმოდა...

მთავარმართებელს უნარი არა ჰქონდა განზრახვის დამალვის და საგნებს ნამდვილი სახელით ნათლავდა; ამიტომ ის გულის ტკივილით სწერდა ელჩ სიმონიჩს: რა დროს ნოტებია, რის დიპლომატია, როცა საქმე რუსეთის ინტერესებს შეეხებაო? „ალბათ თქვენც აშკარად ხედავთ, რომ აუცილებელია ერეკლეს რუსეთში დარჩენა, რათა ამ ყმაწვილს მიეცეს წესიერი აღზრდა და განემტკიცოს მას მომავალი კეთილდღეობა; წინააღმდეგ შემთხვევაში, იხეტიალებს რა უცხო ქვეყანაში თავის მამასთან ერთად, ის ბავშვობიდანვე შეითვისებს აზრს, თითქოს საქართველოს რაღაც პრეტენდენტი იყოს, და დარჩება ყოველგვარ განათლების გარეშე, და მარტო სიძულვილით აღივსება ყოველივე რუსულისადმი; და რადგან ბატონიშვილი ალექსანდრე მუდამ სცდილობდა, კავშირი დაეჭირა ლეკებთან, და ჯერ კიდევ შარშანაც ურჯულო ქაზიმულასთან იყო, ასევე შეინახავს ამ კავშირს მისი შვილიც. და როცა წამოიზრდება, შეეძლება მთებში შემოგვეპაროს, სადაც დაუცხრომელ ავაზაკად გახდება, ან და მდგომარეობის მიხედვით, შეეძლება საგრძნობი ზიანის მიყენება მთავრობისათვის“.[31]

როზენის „შორსმჭვრეტელობა“ მართლაც რომ ძალიან შორს

[31] იხ. „აქტები“, ტ. VIII, გვ. 220.

მიდიოდა ამ დროს; ეს ყველაზე ადრე ალექსანდრე ბატონიშვილმა თვისი დაუძინებელის შეურიგებლობით ასწავლა მას.

თუ იმ მიწერ-მოწერას უფრო დაკვირვებით შევისწავლით, რომელიც კარგა ხნის მანძილზე მთავარმართებელ როზენისა და ელჩ სიმონიჩის შუა სწარმოებდა, უნდა დავასკვნათ, რომ შესაძლებელია, როზენს მართლა ეფიქრა, რომ სიმონიჩი ერთგვარ ლოიალობას იჩენდა ალექსანდრეს ოჯახის ბედისადმი... ყოველ შემთხვევაში, ელჩის მერყევმა მოქმედებამ ძალიან შეუწყო ხელი მარიამის და ერეკლეს რუსეთში გადასახლების გაჭიანურებას...

თუ მისაღებია ის მოსაზრება, რომ ელჩს სიმონიჩს რაიმე დამოკიდებულება ჰქონდა 1832 წლის შეთქმულებასთან,[32] მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ სიმონიჩი გულწრფელად იყო მოწადინებული, შეძლებისდაგვარად, ჩუმი მფარველობა მაინც გაეწია მარიამისათვის და ამ მიზნით მან მთავარმართებელს დიპლომატიური ომი გაუმართა.

ამას უნდა დავუმატოთ, რომ სიმონიჩთან სამსახურში იმყოფებოდა შეთქმულთა ერთი მეთაურთაგანი სოლომონ რაზმაძე, რომელიც, ვიდრე მას დააპატიმრებდნენ, ალბათ აქტიურ დახმარებას უწევდა ბატონიშვილს და სიმონიჩზეც შესაფერ გავლენას ახდენდა. ამიტომ უნდა ვიფიქროთ – ბატონიშვილის მდგომარეობა საკმაოდ მტკიცე იყო: ერთის მხრივ რუსულ საელჩოსთან კავშირით რაზმაძისა და თვით სიმონიჩის ლოიალობის გამო, და მეორე მხრივ კი შაჰის მემკვიდრის – აბასის ენერგიულის ჩარევით.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ პატარა ერეკლესა და მისი დედის ტრაღედიას, თავრიზში რომ დაიწყო და ერევნით ტფილისზე და შემდეგ პეტერბურგზე სევდის არშიად გადაიარა.

როგორც დავინახეთ, რუსეთი ბოლოს მოკრძალებას

---

[32] იხ. ბ. კახაბერის: „მასალები 32 წლის შეთქმულების შესწავლისათვის", კრებული „კავკასიონი", №8.

სტოვებს და როზენი ბებუთოვს უბრძანებს: ძალაც კი იხმაროს ერეკლეს ტფილისში წამოსაყვანად. ეს უკარნახა მას ან ერეკლეს მამის ხელში მოგდების წადილმა, ან კიდევ პეტერბურგის მართლაც უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნამ საქმეში სპარსეთის დიპლომატიის ჩარევის გამო.

ბატონიშვილი ალექსანდრე მართლაც რომ არ აძლევდა მოსვენებას რუსეთის ელჩს. და როზენის უსაბუთო და მოკლეფეხიან ტყუილებს, რომელსაც ის ალექსანდრესაგან ცოლ-შვილის წართმევის მიზეზად ასახელებდა, სპარსეთის სამინისტრო სულ ადვილად ააშკარავებდა.

რა თქმა უნდა, მარიამი ამ ბრძოლაში მთავარმართებელს ვერ გაუმკლავდებოდა და ბოლოს იძულებული შეიქნა, მამის, ძმების და ახლობლების დაჟინებით რჩევას დაჰყოლოდა... მაგრამ იარაღი მაინც არ დაუყრია და ქალი მამას ჯერ მარტო ტფილისამდე წაყოლას დაეთანხმა. ღენ. ბებუთოვი 5 აგვისტოს, 1833 წ. თარიღით ატყობინებს მოთმინებიდან გამოსულ ბარონ როზენს, რომ ბოლო დროს იმ მუქარამ, რომ პატარა ერეკლეს ძალით და მარტოკა გაგზავნიდნენ, გასჭრაო და რომ მარიამს შეუთანხმდნენ – 8 აგვისტო დაენიშნათ ტფილისში წასასვლელად. შემდეგში მარიამმა კიდევ შესძლო რამოდენიმე ხნით გადაედებინა ეს ვადა. ეხლა დანამდვილებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მარიამის „დათანხმება“ სწორად ნაანგარიშევი „სტრატეგიული მოვლა“ იყო...

რაკი ერევანში მეტი გაჩერება აღარ ხერხდებოდა და შესაძლო იყო, მას შემდეგ, რაც ქმარს ძალად მოსწყვიტეს, ეხლა შვილიც დაჰკარგოდა, მან თითქოს მოისურვა ეხლა „ნებაყოფლობით“ ხლებოდა მთავარმართებელს ტფილისში ორის თხოვნითა. მარიამმა ღენ. ბებუთოვიც კი დაიყოლია და როზენისთვის მიაწერინა – როგორმე ეს ორი სათხოვარი აესრულებინათ დიდი ერეკლეს რძლისათვის... პირველი იყო: ტფილისში საკმაო ხნით დარჩენის ნება, რათა ჯერ ყრმა ერეკლეს (რაღაც 7-8 წლისა)

წერა-კითხვა (თუნდაც რუსულიო) ესწავლა; მეორე იყო – გაეგზავნათ არზა ხელმწიფე იმპერატორისათვის და ეშუამდგომლათ ბატონიშვილი ალექსანდრეს ბედის შესამსუბუქებლად; და თუ ის რუსთაგან ყოველმხრივ შენდობილ და პატიებულ იქნებოდა, რა თქმა უნდა, მოისურვებდა ცოლ-შვილთან ერთად თვითონაც რუსეთისაკენ გამგზავრებულიყო. ამ თხოვნას, როგორც ვსთქვით, მხარს უჭერდა ღენ. ბებუთოვიც და ამან უფრო გააბედვინა მარიამს ერევნიდან ტფილისს წასულიყო.

აშკარა იყო – აქაც ჩვეული, ნაცადი საშუალება და ხერხი მეტყველებდა ბაგრატიონთა და მათი რძლების, რომ როგორმე საქართველოში დარჩენის საშუალება და ვადა გაეხანგრძლივებინათ და, ვინ იცის, იქნებ ამ ხანში ბედი ისევ შეტრიალებულიყო და ისინიც საკუთარ ქვეყანაში სამუდამოდ დარჩენილიყვნენ.

ამ რძლებში ყველაზე მეტი საბუთი მარიამს ჰქონდა, რადგან იცოდა, თუ რა დიდი გავლენა და პატივი ჰქონდა მოპოვებული იმის ქმარს სპარსეთის კარზე; თუ ბატონიშვილი აქამდე ვერას გახდა, იმედი იყო, სულ მალე ყველაფერს მოაგვარებდა, ოღონდ კი იმ დრომდე როგორმე არ გასცლოდნენ დედა-შვილი მშობლიურ მიწა-წყალს.

აი, ამას აღწევდა თითქოს მარიამი ტფილისში წასვლით და სჩანს, არც მთლად უშედეგოდ დარჩენილა ეს ცდა. 1833 წ. 22 ენკენისთვეს, მთავარმართებლის აპარატის საშუალებით გაუგზავნია მარიამს წერილი საყვარელ ქმრისათვის, საცა თავისს და შვილის ამბავს ატყობინებს, თან აცნობებს ხელმწიფის განზრახვას – მათი რუსეთში გაგზავნის შესახებ – და ბოლოს მოკრძალებით ურჩევს: თვითონაც ითხოვოს ხელმწიფისაგან პატიება და ნება ცოლ-შვილთან ერთად რუსეთში გამგზავრებისა. დიდის პატივით მიმიღო აქ მთავარმართებელმაო,– სწერს იგი ქმარს, – მაგრამ სადაა ჩემთვის ან დღე ან ღამე, როცა თქვენგან მოშორებით ვარო... შემდეგ მარიამი მას

ატყობინებს: პირადად ველაპარაკე ბარონ როზენს, რომელმაც განმიცხადა, რომ ხელმწიფის ნება ერეკლეს რუსეთში წაყვანის შესახებ ურყევიაო. მე კი ამაზე თქვენი თანხმობა არა მქონდა, თან უარის თქმაც აღარ შეიძლებოდა ხელმწიფის სურვილის წინააღმდეგ, ამიტომ განვუცხადე როზენს: თანახმა ვარ წავიდე, თუ კი ჩემი ბატონი და დამტირებელი, მეფის ძე ალექსანდრე აქ ჩამობრძანდება და ჩვენ ერთად წავალთ და წარვსდგებით რუსთა ხელმწიფის წინაშე. მთავარმართებელს, – დასძენს მარიამი, – მეტად მოეწონა ეს ჩემი წინადადება და ძალიან კარგადაც მიიღოვო. და სთხოვს მარიამი ბატონიშვილ ალექსანდრეს „პასუხი დამიჩქარეთო."[33]

უეჭველია, მარიამმა კარგად იცოდა მისი „დამტირებლის" და „ბატონის" ამბავი; იცოდა, რომ ის რუსეთს არასდროს არ შეურიგდებოდა და ბრძოლას არ დააგდებდა, მაგრამ საჭირო იყო დროის მოგება და ეს დრო ხომ მის სასარგებლოდ მუშაობდა.[34] „აქტებიდან" სჩანს, რომ ალექსანდრე ბატონიშვილს გაუგია თუ არა თავისი ცოლ-შვილის ტფილისში წაყვანის ამბავი, გაორკეცებული ძალით დაუწყია მოქმედება, საქმეში სპარსეთის დიპლომატიის უფრო ენერგიულად ჩარევისათვის...

15/9 1833 წ. რუსეთის ელჩი სიმონიჩი თავრიზიდან მთავარმართებელს მოახსენებს ბატონიშვილ ალექსანდრეს დაუღალავ ცდაზე და აცნობებს, რომ აზერბეიჯანის მმართველს უკვე ჰქონდა მასთან ამ საგანზე ოფიციალური მოლაპარაკება. წერილიდან სჩანს, რომ ბატონიშვილი ალექსანდრე ვერ დაკმაყოფილებულა აზერბეიჯანის მმართველის ნაბიჯებით და

---

[33] ibid, გვ. 223.

[34] ამის გარდა, ალბათ, მარიამმა ამ წერილის წამღების საშუალებით ბატონიშვილს თავისი და ერეკლეს მდგომარეობა დაწვრილებით აცნობა და ადგილობრივ პირობებსაც გააცნო საიდუმლოდ. ე.ი. ამ ხერხით ერევნის გაწყვეტილი კავშირი ინფორმაციისა დროებით მაინც აღადგინა ამ ქალმა.

უთხოვნია სასწრაფოდ გამგზავრება შაჰის მემკვიდრე აბას-მირზასთან, რომელსაც ყოველივეს პირადად მოახსენებდა. რუსთა ელჩი უკვე დარწმუნებულია, რომ ალექსანდრე ბატონიშვილის პირადი და დიდი ხნის მეგობარი და საყვარელი თანამებრძოლი პრინცი აბას-მირზა, მართლა ბეჯითად მოჰკიდებს საქმეს ხელს და ასე უბრალო ნოტებით აწი საქმეს აღარა ეშველებოდა რა...

ამავე დროს ბარონი როზენი უკვე გრძელ წერილებს აგზავნის პეტერბურგში ცენტრალური მთავრობის დასამშვიდებლად. ის სწერდა, რომ ირანი თუმცა ოფიციალურად ითხოვდა ალექსანდრე ბატონიშვილის ცოლ-შვილის ისევ სპარსეთში დაბრუნებას, მაგრამ მან, მარიამის მამის დახმარებით, საქმე მოაგვარა და ეხლა დედა-შვილი ტფილისში იმყოფებიან, რათა გაზაფხულზე პეტერბურგისაკენ გამოემგზავრონო. ამავე დროს მარიამის თხოვნის თანახმად, ხელმწიფეს უმდაბლესის რჩევით მიმართავს: „შეუნდოს ცოდვები ალექსანდრე ბატონიშვილს, მისცეს რუსეთში ჩამოსვლის ნება და „წყალობასაც ნუ მოაკლებთო."

ამგვარად, ალექსანდრე ბატონიშვილს კიდევ ერთხელ მიანიჭეს წინდაწინ „უკანასკნელი" ამნისტია... თუმცა მას ამის შესახებ არც ეხლა უთხოვნია ვისმესათვის. როზენი ამ ამნისტიას ენკენისთვის დამლევის წერილით ითხოვდა; და მას უკვე 7 ნოემბერს სასწრაფოდ სწერდა პასუხს საგარეო საქმეთა მინისტრი, რომ ხელმწიფემ „ყველაფერი აპატია" ალექსანდრე ბატონიშვილს და თქვენი ნაბიჯები მეტად მოიწონაო. სჩანს, მალე დავიწყებია რუსეთს უამრავი და თანაც „უკანასკნელი" გაფრთხილებანი, რომლითაც ის ბატონიშვილს მიმართავდა.

ეხლა თავსატეხ საკითხად ის გახდომოდათ – სად დავასახლოთ ბატონიშვილი დაბრუნებისას და რამდენი ჯამაგირი დავუნიშნოთო. და შესაფერ რჩევას ბარონ როზენს ჰკითხავდნენ. უკანასკნელი თანახმა იყო, სადმე რუსეთში დაემკვიდრებინათ

ბატონიშვილი, ხოლო საქართველოში კი არავითარ შემთხვევაში.

მაგრამ ეხლაც ტყუილა ჩაიარა მიწერ-მოწერამ და მილოცვებმა, ტფილისიდან პეტერბურგს მეფის გულის მოსაგებად რომ იგზავნებოდნენ. ალექსანდრე ბატონიშვილი ცოლ-შვილის დატყვევებით და „მძევლობით" ვერ ჩაიტყუეს რუსეთში და ხელმწიფის საჩუქრები და წყალობები ეხლაც ზიზღს იწვევდა მის გულში. მხნე და გავლენიან ალექსანდრეს მაინც სჯეროდა, რომ სპარსეთის დიპლომატიური ჩარევა ბოლოს აიძულებდა რუსეთს: მისი ცოლ-შვილი უკან დაებრუნებინა, რომ ამ ბრძოლის ველზე მაინც არგუნებდა ძველ მტერს დამარცხებას და წართმეულ და დარღვეულ ოჯახს კვლავ აღადგენდა... ამ იმედს უეჭველად ჰქონდა საფუძველი, რადგან ძლევამოსილი იყო მისი მეგობარი აბას-მირზა, რომელიც ასე ცდილობდა ალექსანდრეს მემკვიდრე გასჩენოდა და ეს მემკვიდრე მამის მაღალი ტრადიციის მატარებელი გამხდარიყო.

ეხლა რუსეთმა ეს მემკვიდრე გაიძვერულად, მოპარვით წაართვა არა მარტო მამას, არამედ ბაგრატიონებს, საქართველოს და შეიძლება სპარსეთსაც.[35]

ამიტომ ლამობდა ალექსანდრე ბატონიშვილი, ჩქარა ენახა აბას-მირზა და ამ საქმეში აზერბეიჯანის მმართველობის არა საკმაო ენერგიულობა მოეხსენებინა. მაგრამ... ბედი ამ შემთხვევაში არა სწყალობდა ბატონიშვილს.

სწორედ ამ ხანებში აბას-მირზა მოულოდნელად გარდაიცვალა და ახალ მემკვიდრესთან, მემედ-მირზასთან ასეთი ინტიმური განწყობილება არა ჰქონია ალექსანდრეს, რომ მისი ხათრისათვის „პრინცს" რუსეთთან, რომელთანაც ფორმალუ-

---

[35] აბასისათვის ეხლა უკვე აშკარა გამხდარიყო, რომ ბუფერული კავკასიური სახელმწიფო, წინად ასე უაზროდ დევნილ გურჯისტანის მეთაურობით, დღეს თვით სპარსეთს ისე ესაჭიროებოდა, როგორც თევზს წყალი...

რად მაინც დაზავებული იყო, საქმე გაერთულებინოს.

ალექსანდრე კიდევ სწერდა და ანუგეშებდა მარიამს: – მალე მემედ-მირზა წავა თავრიზს, სადაც მეც გავემგზავრები და რუსის ელჩს წარვუდგები პრინცის დახმარებით თქვენს საქმეზეო (იხ. 3/12, 33 წ. წერილი ალექსანდრესი მარიამისადმი);[36] მაგრამ სჩანს, ამ ჩარევიდან არა გამოვიდა რა...

მარიამმა მართლაც ჩინებულად შეასრულა თავისი გეგმა: მოახერხა სწორედ ერთი წლის მოგება და 1834 წ. აგვისტომდე ერეკლეთურთ ტფილისში დაჰყო; მაგრამ სპარსეთიდან შველა მეტად დაგვიანდა... რუსეთიც ხედავდა, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი შერიგებაზე და უკან დაბრუნებაზე არც კი ფიქრობდა, პირიქით, მარიამისა და ერეკლეს გაგზავნას ითხოვდა თავისთან სპარსეთში. ამიტომ მეტ დაყოვნებას აზრი აღარა ჰქონდა და როზენმა დედა-შვილი პეტერბურგისკენ გაისტუმრა.

„აქტებიდან“ კიდევ სჩანს, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი 1834 წ. აგვისტოში ისევ თავრიზს ყოფილა და მემკვიდრესთან აუდიენციაც ჰქონია, მაგრამ მარიამის და ერეკლეს ბედი ამან ვეღარ შეაბრუნა.

პატარა ერეკლე კადეტთა კორპუსში მიაბარეს და ერთი წლის შემდეგ სასახლის პაჟებში ჩარიცხეს და მალე ორდენებით დაამძიმეს, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ როზენის თქმით: „საქართველო დავიწყებოდა და მის მთებს „ყაჩაღათ“ არ მოვლენოდა, როგორც „მამა მისი“, საქართველოსათვის რომ იწვოდა და იბრძოდა ღრმა მოხუცებულობამდე...

ალექსანდრე ბატონიშვილი სიკვდილამდე შერჩა მტკიცედ ფიცს, დიდი ერეკლეს დროშაზე რომ მისცა, და რაკი ვერ შესძლო მისი საქართველოს სასახლეზე აფრიალება, გულში ჩაიხუტა და საფლავში თან ჩაიტანა. ბატონიშვილი 73 წლის აღესრულა თეირანში და მისი რაინდობა და გმირობა ისე ღირ-

[36] იხ. „აქტები“, ტ. VIII.

სეულად დაუფასა მოწინააღმდეგე რუსეთმა, რომ უკანასკნელი ნუგეშიც წაართვა, ცოლ-შვილი ქურდულად გამოაცალა და ჩრდილოეთში გადაუკარგა – მათგან დატირებაც აღარ აღირსა მოხუცს.

მშვენიერი მარიამ რუსეთის სუსხმა დააზრო და დამტირებელზე და საყვარელ ბატონზე უძილო და უძირო ფიქრებმა დალიეს მისი მთრთოლვარე გული.

დაშალა რუსეთმა ბაგრატიონთა უკანასკნელი ოჯახიც საქართველოში: მძევლებად წაიყვანა დაუცხრომელი მტრის უსაყვარლესი არსებანი იმ იმედით, რომ მალე ბატონიშვილსაც ხელთ იგდებდა; ფიქრობდა, რომ ამით ეს ცოცხალი პროტესტი, სინდისის მხელა და საქართველოზე მოხდენილ უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა ჩაჩუმდებოდა და დიდი რუსეთის დიდი მორალური მარცხიც დაიმალებოდა... მაგრამ იმ ძველ მარცხს ეხლა ხომ მეორეც მიემატა.

ალექსანდრე ბატონიშვილის დრამატიზმით სავსე ხანგრძლივი ბრძოლის ამბებს, მის მშფოთვარე და მღელვარე ცხოვრების მატიანეს, ღრმა მოხუცებულობამდე რომ არ დამცხრალა, ჩვენ აქ სულ გაკვრით და საერთო ხაზებით შევეხეთ. ამ დიდი ხარვეზების ამოვსება ჩვენს მიზანს ამ ჟამად არ შეადგენდა... ჩვენ მისი მოღვაწეობის და ბრძოლების ზოგიერთ მომენტებზედ შევჩერდით, რომლებიც, ასე თუ ისე, დაკავშირებული იყო მისი ოჯახის ბედთან. როგორც დავინახეთ, ეს მისი ოჯახური ტრაღედია ოცდაათიან წლებში დაიწყო და თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე სიმწვავე მას არ დაუკარგავს...

ბატონიშვილის ცხოვრების მღელვარე გზა – ეს დაპყრობილ საქართველოს თავგანწირული ცდებია რუსეთის იმპერიის ბორკილების ასაყრელად; და ჩვენ ვფიქრობთ, რომ საჭიროა, მალე იქნეს სათანადოდ შესწავლილი ეს დიდი პიროვნება და მის ბრძოლათა ყველა ეტაპი, რომლებიც აშკარად გამოაჩენდნენ, რომ საქართველოს და ბაგრატიონებს თავისუფლება და

ტახტი ადვილად არ დაუთმიათ... ბრძოლა გრძელი, ძნელი და მამაცური იყო და ამ ბრძოლამ ღირსეული ტრადიცია შექმნა.

იმ ულეველ მასალებში, რაიც დღესაც დაუმუშავებელია, მრავლადაა გაბნეული ამ ბრძოლის საგმირო ეპიზოდები, რომელთა შექმნაში პირველი ადგილი ბატონიშვილს უჭირავს.

ჩვენ შეგვიძლია იჭვებით და ხან უარყოფითაც შევხედოთ ალექსანდრე ბატონიშვილის განდგომის პირველ წლებს, ბევრი აქ გაუგებარიცაა; მაგრამ, რაც ამას მოჰყვა და განსაკუთრებით, ალექსანდრე ბატონიშვილის თავდადებული, ხანგრძლივი ბრძოლები კავკასიაში რუსთა დამკვიდრების წინააღმდეგ, ამ ბატონიშვილს უდავოდ საქართველოს აღდგომისათვის მოწამეობრივ გვირგვინს ადგამენ.

* * *

ბოლოს გაკვრით მაინც გვინდა აღვნიშნოთ, რომ დიდ იმპერიას პატარა ირაკლისადმი ანგარიში ბევრად არ გამართლებია... მართალია, ის პაჟთა კორპუსში სწავლობდა და ცარსკოე სელოს და პეტერბურგის ბრჭყვიალა არისტოკრატიის წრე სიკეკლუცით და სიუხვით შეეცადა მის მოხიბლვას, მაგრამ ერეკლეს გული მაინც ვერ იქნა – ვერ მოიგეს.

ვერც ის არიგებდა ახალგაზრდა ბატონიშვილს თავის ყოფასთან, რომ ქართველი წარჩინებულები და ბაგრატიონთა ოჯახის წევრნი ბლომად იმყოფებოდნენ პეტერბურგში და მასთან მჭიდრო კავშირში იყვნენ. საპატიო ტყვეობა მისთვის მაინც ტყვეობა იყო და ბოლოს პაჟთა კორპუსს თავი გაანება და დაიწყო ზრუნვა საქართველოში დაბრუნებისათვის...

განვლო მისი ტყვეობის დღიდან ათეულმა წელმა; კავკასია უკვე „სანამესტნიკოდ“ აქციეს და 1845 წ. პირველ ნამესტნიკად ტფილისს ვორონცოვი მოევლინა. ცოტა არ იყოს, უხერხულობაში ჩააყენა ეს კაცი დიდებულ ერეკლეს შვილისშვილმა,

რომელიც არც ტახტს, არც პატივს და არც სიმდიდრეს არ ითხოვდა, არამედ იმის ნებას, რომ ვითარცა კერძო პირს და მოქალაქეს, უფლება ჰქონოდა მის წინაპართა სისხლით გაპოხიერებულ და ძვლებით მოკენჭილ ტფილისში ეცხოვრა...

ეს იყო პრაქტიკული გამოცდა იმ დიდ დაპირება-წყალობათა, რომელიც უხვ ბედნიერებად უნდა მოეფინა „ლმობიერ" ვორონცოვს ქართველ წარჩინებულთათვის; ეხლა მას „ლიბერალიზმი" ამ ბატონიშვილისადმი კეთილშობილის სახით უნდა გამოეჩინა და ქართველობა მის პასუხს გულის ძგერით ელოდებოდა... ალბათ ეს „ლიბერალი" ბევრჯერ ჩაიკვნეტდა ჩარბებს და ჩუმად იკლავდა მოწოლილ ბოლმას, მაგრამ ხელოვნურ დარბაისელ ნიღბის წახდენას ვეღარ ბედავდა; და მანაც თავაზიანად გაუწოდა ერეკლეს „მწყალობელი" ხელი...

ეღირსა ერეკლეს საყვარელ ტფილისში დაბრუნება, მაგრამ ეხლა ეს უკვე სხვა ტფილისი იყო, მას რომ დახვდა... ტფილისი ეხლა „ტიფლისად" ექციათ და ერეკლეც ხომ „გრუზინსკათ" გაეხადათ... ეხლა ის ნაცნობი, ბრჭყვიალა ბალები პეტერბურგისა აქ გადმოეტანათ, ხოლო ძველს ყაბახს თალხი გადაეცვა... უმოქმედოდ, უსიხარულოდ გადიოდნენ წლები ერეკლეს ახალგაზრდობისა; და ისიც დიდებულ სეხნიას – სახელოვან პაპას ცრემლითა და ნაღველით სავსე გულით შენდობას ევედრებოდა ამ უფერულ წლებისათვის, რომელიც საქართველოსა და ბაგრატიონთათვის უქმად იკარგებოდა. ერეკლეს ხომ ათასნაირ პირობებს ქვეშ მისცეს ნება ტფილისში დაბრუნებისა და რუსთ ისიც დიდ საფრთხედ მიაჩნდათ, რომ ქართველობა ტფილისის ქუჩებში ხედავდა ამ კაცს – ვით სიმბოლოს ძველ დიდებისას, რომელიც გარეგნულად ასე ჰგავდა დიდებულ ერეკლეს...

თანამედროვეთა დამოწმებით, „ერეკლე იყო შუათანა ტანის, მხრებში წახრილი, როგორც მისი პაპის ერეკლეს სურათს ვხედავთ, სახითაც მას ამგვანებდნენ. წმინდა ბაგრატიონთ

ტიპი ჰქონდა: შავი თვალ-წარბი, სწორი, ცოტა მოზრდილი სახის გამომეტყველება; საკმაოდ მაღალი, ზრუნვის ბეჭდით აღბეჭდილი შუბლი, კაცის გულს მიიზიდავდა"... „უყვარდა ქართული კაბით სიარული"...

უნდა ვიფიქროთ, რომ ეს „ქართული კაბა" იყო ერთადერთი საშუალება ერეკლეს მიერ პროტესტის გამოსახატავად... მაგრამ არა, მას კიდევ დარჩენოდა ერთი პატარა ასპარეზი, რომლის აღკრძალვა ალბად „ნამესტნიკი"-სათვისაც უხერხული თუ იყო... ერეკლეს თურმე შეუქმნია კომიტეტი წერა-კითხვისა, რომელსაც ტფილისში ორი სკოლა გაუხსნია: ერთი მთაწმინდაზე და მეორე – ავლაბარში. ხალხი ამ სკოლებს თურმე „ერეკლეს სკოლებს" ეძახდა... ალბათ, ეს იყო დასაწყისი იმ კულტურულ-ეროვნული მუშაობისა, რომელსაც ასე თავგამოდებით მიეცა უფლება-აყრილ საქართველოს მოწინავე საზოგადოება. თვით ცნობილ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სათავეც ეს ერეკლეს კომიტეტი თუ იყო.

დანარჩენ მის მოღვაწეობაზე, სამწუხაროდ, არა ვიცით რა; საინტერესოა მხოლოდ ბ-ნ ზ. ჭიჭინაძის ცნობა, რომ ერეკლე საზღვარგარეთ გამგზავრებულა და ნაპოლეონ მესამესთან რაღაც კავშირი და ურთიერთობა დაუჭერია. ჩვენ ამ საინტერესო ცნობის შემოწმება ვერ შევძელით...

ერეკლეს ცოლად შეურთავს თამარი, ასული დავით ჭავჭავაძისა (შვილისშვილი ალ. ჭავჭავაძისა); მას დარჩენია ორი ქალი.

ერეკლე გარდაცვლილა ტფილისში, თავის სასახლეში 1882 წლის 27 აპრილს, დიდი ხნის ავადმყოფობის შემდეგ... ცხედრის გამოსვენება მომხდარა 1 მაისს, დილის 10 საათზე, სიონში. გზა სახლიდან სიონის ტაძრამდე სავსე ყოფილა ხალხით, ყველა სავაჭრო დაუკეტიათ და მთელი ამქარი გამოსულა. კუბო წაუსვენებიათ ბალდახინით, რომელსაც ოთხის კუთხით საქართველოს მეფეთა ღერბი ამკობდა. აქედან იგი წაასვენეს მცხეთაში და მეორე დღეს სვეტიცხოველში დაუსაფლავებიათ.

დასაფლავების დღეს ტფილისიდან სპეციალური მატარებლები იქნა დანიშნული, რომელმაც მცხეთაში სამი ათას კაცამდე წაიყვანა; სხვა კუთხეებიდანაც ბლომად მოაწყდა მცხეთას ხალხი და სოფლის ხალხმა ქელეხი გამართაო, – დასძენენ ამ ამბის მომსწრენი. ჩანს – ქართველმა ხალხმა თავის ბატონიშვილს ძველ სიონ-მცხეთის წიაღში ნამდვილი მეფური წირვა და დაკრძალვა გაუმართა.

თუ რუსეთმა ერეკლე ცოცხალი არ დაანება საქართველოს, მკვდარს მაინც დაეუფლა ქართველი ერი და სამეფო ბალდახინით, დიდებით მიიყვანა ძველ მცხეთაში და აქ ბაგრატიონს საიდუმლო „მეფეთკურთხევა“ გაუმართა მისი სახელოვანი წინაპრების წყების წინაშე და მოწიწებით გვერდით დაუსვენა დიდ პაპას – ერეკლეს და უკანასკნელ მეფეს – გიორგის. ესეც გადაკრული, ქარაგმული მეტყველება იყო დაგროვილ რისხვისა, გულში რომ ჩაემარხათ ქართველთ, მაგრამ დიდ რუსეთს პატარა ერის გადაკრულის ქარაგმისათვის როდი ეცალა... ამ პროტესტმაც უშედეგოდ ჩაიარა, მაგრამ დრო მაინც მიდიოდა და რუსეთის იმპერიას დამსახურებულ საბრალმდებლო ოქმს უწერდა...

სარჩევი

ეთერ ორჯონიკიძე
ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ 5

ალექსანდრე ბატონიშვილის წერილები 95
(წერილები გამოსაცემად მოამზადა ეთერ ორჯონიკიძემ)

თამარ პაპავა
ალექსანდრე ბატონიშვილი და მისი ოჯახის ბედი 185

ქართული წიგნები

ეთერ ორჯონიკიძე

ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ

●

ალექსანდრე ბატონიშვილის წერილები

●

თამარ პაპავა

ალექსანდრე ბატონიშვილი და მისი ოჯახის ბედი

რედაქტორი

ნინო ვახანია

დიზაინერი

თეა ინწკირველი

კომპიუტერული უზრუნველყოფა

გოგა დემეტრაშვილი, დათო კუტუბიძე

ტექ. რედაქტორი

ნინო ნიკოლაიშვილი

დაბეჭდილია თურქეთში, ტიპოგრაფიაში

BİLTUR BASIM YAYIN VE HİZMET A.Ş.